F733
1959

ეროვნული
ბიბლიოთეკა

F-2347

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2 1959 წ.

## შინაარსი

### საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

17. „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების განხორციელების ღონისძიებებზე.

18. ფულის მიმოქცევის მდგომარეობისათვის საქონელბრუნვის საჭირო სასაქონლო ფონდებით უზრუნველყოფისათვის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებლობის გადიდებისა და ხელფასის ფონდების გამოყენებისადმი კონტროლის გაძლიერების შესახებ.

19. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ.

20. თევზის მეურნეობის განვითარების, სატბორე მეთევზეობის ორგანიზაციისა და რესპუბლიკის შინაგან წყალსატევებში თევზის ჭერის გადიდების ღონისძიებათა შესახებ.

21. საქართველოს თევზჭერის კოლმეურნეობების შემდგომი განმტკიცებისა და სოხუმის გემთსარემონტო-ტექნიკური სადგურის მოწყობის ზომების შესახებ.

22. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ზომების შესახებ.

23. საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ.

24. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს იმ საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის გარდამავალი წითელი დროშის დაწესების შესახებ, რომლებმაც სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები**

25. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების წესის შესახებ.
26. საქართველოს სსრ სახელმწიფო ტყეების დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.
27. საერთო-სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზატკეცილების გაყოლებით მწვანე ნარგავების შექმნის ღონისძიებათა შესახებ.
28. საქართველოს სსრ ტერიტორიის ფარგლებში შავი ზღვის სანაპიროზე საზღვაო ტერიტორიული წყლების სარგებლობის წესების დამტკიცების შესახებ.
29. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ.
30. 1959—1965 წლებში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში სპილენძისა და ტყვიის მომჭირნეობის შესახებ.
31. საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ.
32. სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის და სამეცნიერო-ტექნიკური პროპაგანდის რესპუბლიკური სახლის გაერთიანების შესახებ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტად.
33. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის შემდგომი ხარისხობრივი გაუმჯობესების შესახებ.
34. ქალაქებსა და მუშათა დაბებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კოოპერაციული ვაჭრობის შესახებ.
35. „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების“ კანონის შესრულებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ.
36. საქართველოს სსრ შინაგან წყალსატევებში თევზჭერის იმ წესების მე-17 მუხლის დამატების შესახებ, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 12 დეკემბრის № 817 დადგენილებით.
37. განსაზღვრული გასაღების მქონე პროდუქციის გეგმის ზევით წარმოების დაუშვებლობისა და მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული მარაგის შემცირების შესახებ.
38. თამბაქოს ხარისხის გაუმჯობესების ზომების შესახებ.
39. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ.
40. მშენებლობაში საპროექტო საქმის გაუმჯობესების შესახებ.
41. „საბჭოთა ვაჭრობის წარჩინებულის“ ნიშნის დამტკიცების შესახებ.
42. გადასახლება-დასახლების შეღავათების მოწესრიგების შესახებ.
43. 1959—1965 წლებში შაქრის წარმოების გადიდების უზრუნველყოფის ზომების შესახებ.
44. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში შრომის მავნე პირობებიანი პროფესიების დამატებითი სიის დამტკიცების შესახებ.
45. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

ეროვნული

## საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

**17** „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების განხორციელების ღონისძიებებზე

სრულიად საკავშირო სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო გამოფენების სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა ერთიან გამოფენად გაერთიანებასთან და ამ გამოფენის ქ. მოსკოვში 1959 წელს გახსნასთან დაკავშირებით და შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 28 მაისის № 591 დადგენილებისა „სრულიად საკავშირო სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო გამოფენების სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა ერთიან გამოფენად გაერთიანების შესახებ“ და 1959 წლის 15 იანვრის № 85 დადგენილებისა „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევების ჩვენების მომზადებასთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაციისა და საქართველოს სსრ პავილიონის მუშაობის ხელმძღვანელობისათვის მოეწყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის რესპუბლიკური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (კომიტეტის თავმჯდომარე)—მ. ი. კუჭავა.

კომიტეტის წევრები:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე—ო. დ. გოცირიძე.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე—გ. ი. ჩოგოვაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე (კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე)—გ. შ. მიქელაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე—გ. ნ. ზამბახიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი—მ. ი. ქანუყვაძე.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი—გ. ნ. ჯიბლაძე.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე—მ. მ. დოლაბერიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — ბ. ვ. ლორთქიფანიძე.

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი—დ. ი. ჩხიკვიშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი—რ. რ. დვალი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი — მ. ი. საბაშვილი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგე—ე. მ. ჯაფარიძე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების, სკოლებისა და კულტურის განყოფილების გამგე—გ. ნ. მელაძე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილე—პ. ს. დუგაშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ტექნიკური სამმართველოს უფროსი—ა. კ. განგია.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე „საქართველოს სსრ" პავილიონის დირექტორი—გ. დ. ქადაგიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ჯგუფის უფროსი გ. მ. მიროტაძე.

2. გამოფენის რესპუბლიკურმა კომიტეტმა განიხილოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა ჩვენების 1959 წლის თემატიკური გეგმა და 1959 წლის 5 მარტისათვის წარმოუდგინოს იგი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებს, სამეცნიერო დაწესებულებებსა და უწყებებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საქართველოს მიღწევების ჩვენებაში:

ა) ყოველწლიურად, არა უგვიანეს 1 სექტემბრისა, წარუდგინონ სახალხო მეურნეობის მიღწევათა რესპუბლიკურ კომიტეტს წინადადებანი საქართველოს სსრ პავილიონსა და გამოფენის დარგობრივ პავილიონებში მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსპორტის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მიღწევათა ჩვენების თემატიკის შესახებ, აგრეთვე წინადადებანი პერიოდული გამოფენების თემატიკის შესახებ;

ბ) იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევების გამოფენაში, დაამზადონ, დამტკიცებული თემატიკური გეგმის შესაბამისად, მანქანები, მოწყობილობა, ხელსაწყოები, მოდელები და სხვა ექსპონატები საგამოფენო შესრულებით, საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციით, აღწერილობებითა და ილუსტრირებული მასალებით, აგრეთვე აწარმოონ მოწყობილობის მონტაჟი, გამართვა და ამუშავება გამოფენის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებულ ვადებში იმ ორგანიზაციათა სახსრების ხარჯზე, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაში;

გ) პერიოდული თემატიკური გამოფენების მოსაწყობად მიაწოდონ გამოფენას მიმდინარე წარმოების ხარჯზე მანქანები, ჩარხები, ხელსაწყოები და სხვა მოწყობილობა, აგრეთვე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქცია;

დ) უზრუნველყონ თავიანთი წარმომადგენლების მონაწილეობა თემატიკური გეგმების განხილვაში, ექსპოზიციებისა და გაფორმების შემუშავებაში როგორც საქართველოს სსრ პავილიონში, ისე გამოფენის დარგობრივ პავილიონებშიც. ყოველგვარი დახმარება გაუწიონ გამოფენას მუშაობაში და იმ მიღწევათა აქტიური პროპაგანდის მოწყობის საქმეში, რომლებიც წარდგენილ უნდა იქნან გამოფენაზე.

ე) დანერგონ სახალხო მეურნეობაში სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარი კომიტეტის მიერ რეკომენდებული მანქანები, მოწყობილობა, კონსტრუქციები, მასალები, მოწინავე მეთოდები შრომისა და წარმოების ორგანიზაციის საქმეში.

4. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა მიიღონ ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1959 წლის 15 იანვრის № 85 დადგენილებით „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის შესახებ“ დაამტკიცა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დებულება და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის გენერალური გეგმის ძირითადი მიმართულებანი, №№ 1 და 2 დანართების თანახმად.

5. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს გაითვალისწინოს, 1959 წლიდან დაწყებული, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საქართველოს სსრ პავილიონის ექს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პონატების გაფორმებასთან, მონტაჟთან და დემონტაჟთან დაკავშირებული მთელი სამუშაოების და კაპიტალური მშენებლობის დაფინანსება.

6. დამტკიცდეს 1959 წელს საქართველოს სსრ პავილიონის გაფორმებისა და გაწყობის ხარჯთაღრიცხვა 820 ათასი მანეთის ოდენობით.

7. სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო გამოფენების სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა ერთიან გამოფენად გაერთიანებასთან და ამის გამო მუშაობის ხასიათის შეცვლასთან დაკავშირებით, საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადების კომიტეტის სამუშაო აპარატს ეწოდოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენისათვის მზადების ჯგუფი.

| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
| --- | --- |
| **ვ. მჟავანაძე.** | **გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1959 წ. 3 მარტი, № 158

საქართველოს კპ ც. კ-ის და საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 3 მარტის № 158
დადგენილების დანართი № 1

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის შესახებ

1. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა მოწყობილია როგორც მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მიღწევების ერთიანი მუდმივმოქმედი საერთო-საკავშირო გამოფენა.

სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა არის სსრ კავშირის ცენტრალური დაწესებულება.

2. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარი ამოცანაა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების, აგრეთვე მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მიღწევების აქტიური პროპაგანდა იმ მიზნით, რომ ფართოდ დავნერგოთ ისინი პრაქტიკაში, ყოველნაირად შევუწყოთ ხელი სსრ კავშირის სახალხო მეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეობაში ტექნიკურ პროგრესს და შრომის ნაყოფიერების გადიდებას, და მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ახალი სისტემის უპირატესობის გამოყენებას.

ამასთან დაკავშირებით, გამოფენას ეკისრება ჩვენება და პროპაგანდა:

ა) სოციალისტური მრეწველობის, ტრანსპორტის მიღწევებისა, რომლებიც ასახავენ ამ დარგების განვითარების თანამედროვე დონეს და ტექნიკური პროგრესის, სამრეწველო საწარმოების მიერ ახალი, უფრო სრულყოფილ სახეობათა მანქანების, მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და მასალების ათვისების გზებს, აგრეთვე შრომის პროგრესული მეთოდების, ახალი ტექნიკის, ნოვატორთა გამოცდილებისა და მეცნიერების ისეთი მიღწევების წარმოებაში დანერგვის გზებს, რომლებიც მიმართულია ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებისა და სრულყოფისაკენ, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისაკენ, თვითღირებულების შემცირებისაკენ და სამრეწველო წარმოების პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი გამოშვების გადიდებისაკენ;

ბ) სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებასა და საკოლმეურნეო წყობილების შემდგომ განმტკიცებაში მიღწეული წარმატებებისა, სოფლის მეურნეობაში მიღწეული ტექნიკური პროგრესისა, მიწათმოქმედების მოწინავე კულტურისა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდების თვითღირებულების შემცირების გზებისა, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და საცდელი სადგურების მიღწევებისა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზატორთა და მოწინავეთა მოწინავე გამოცდილებისა;

გ) სამშენებლო ინდუსტრიის, საშენ მასალათა მრეწველობის, სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის მიღწევებისა, სამრეწველო საწარმოების, ელექტროსადგურების, ჰიდროტექნიკური ობიექტების, გზათა მიმოსვლის, საცხოვრებელი სახლების, კულტურული, სოციალურ-საყოფაცხოვრებო და ადმინისტრაციული დანიშნულების შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის ორგანიზაციისა და ტექნიკისა, სასოფლო მშენებლობის, შენობათა და ნაგებობათა დეტალების წარმოების ორგანიზაციისა და ტექნიკისა, აგრეთვე მშენებლობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების და თვითღირებულების შემცირების გზებისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) საბჭოთა მეცნიერების წარმატებებისა, ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებათა და გამოჩენილ მეცნიერთა უახლესი შრომებისა, მეცნიერული გამოკვლევებისა და აღმოჩენებისა, სოციალისტური მრავალეროვანი კულტურისა და საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ზრდისა.

3. გამოფენის შემადგენლობაში შედიან:

მთავარი პავილიონი, რომელიც ასახავს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს მიღწევებსა და მისი განვითარების პერსპექტივებს, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წყობილებას;

მოკავშირე რესპუბლიკების პავილიონები, რომლებიც ასახავენ ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში მიღწეულ წარმატებებს, მეცნიერების მიღწევებს, სოციალისტური კულტურის აყვავებას და ხალხთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდას;

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და მეცნიერების დარგების პავილიონები, რომლებიც ასახავენ სამამულო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონეს და ტექნიკური პროგრესის გზებს, საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურების მოწინავე გამოცდილებას, მოწინავეთა და ნოვატორთა გამოცდილებას ახალი ტექნიკის ათვისებისა და დანერგვის, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის საქმეში;

პავილიონები, სადაც პერიოდულად მოეწყობა გამოფენები, რომლებიც გვიჩვენებენ უმნიშვნელოვანეს მიღწევებს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში და მოწინავე გამოცდილების დანერგვას მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და მშენებლობაში.

4. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევების გამოფენა მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეისწავლის ყოველივე ახალსა და მოწინავეს სსრ კავშირის მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგში და შეარჩევს საუკეთესო ნიმუშებს გამოფენაზე საჩვენებლად;

ბ) მოაწყობს პერიოდულ გამოფენებს სახალხო მეურნეობის განვითარების სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე, ფართოდ უჩვენებს ამ გამოფენებზე საწარმოთა სერიული წარმოების პროდუქციას ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის ტექნიკის საუკეთესო ნიმუშებთან შედარებით;

გ) ჩაატარებს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დათვალიერებასა და კონკურსებს მანქანების, ხელსაწყოების, მოწყობილობის, სამშენებლო და სხვა კონსტრუქციების ახალი ნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშების, მასალების, სახალხო მოხმარების საქონლის, სამეურნეო კულტურათა ჯიშების, ცხოველთა ჯიშობრივი ჯგუფების ახალ სახეობათა გამოსავლინებლად და ა. შ.

დ) ურჩევს, რომ დაინერგოს სახალხო მეურნეობაში გამოფენაზე წარმოდგენილი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საუკეთესო ნიმუშები, მეცნიერული მიღწევები, ახალი, მოწინავე მეთოდები შრომისა და წარმოების ორგანიზაციის საქმეში;

ე) განიხილავს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო მეურნეობის საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა მონაწილეობით მათს წინადადებებს ექსპონატების ჩვენებისა და მუშაობის მეთოდების შესახებ, შეადგენს გამოფენის შეჯამებითს თემატიკურ გეგმებს, აგრეთვე პერიოდული გამოფენების თემატიკურ გეგმებს;

ვ) უზრუნველყოფს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სახალხო მეურნეობის საბჭოებთან, სამინისტროებთან უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად, რომლებიც მონაწილეობას იღებენ გამოფენაში, გამოფენისა და მის ცალკეულ განყოფილებათა ექსპოზიციების შექმნასთან დაკავშირებული სამხატვრო-გაფორმებითი და სხვა სამუშაოების განხორციელებას, აგრეთვე მოაწყობს კატალოგების, პროსპექტების, გზის მაჩვენებლებისა და სასტენდო ლიტერატურის გამოცემას ბროშურების წარმოდგენილ ექსპონატებზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების შესახებ;

ზ) მოაწყობს ექსკურსიებს, ტექნიკურ კონფერენციებს, სემინარებს, ლექციებს, მოხსენებებს გამოფენის ცალკეული თემებისა და ექსპოზიციების მიხედვით, გამოფენის მონაწილეთა შეხვედრებს გამოცდილების გასაზიარებლად, წარმოების ნოვატორებისა და მოწინავეების, მეცნიერი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების გამოსვლებს, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიმწოდებელთა და მომხმარებელთა შეხვედრებს;

თ) განახორციელებს სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციას, ფართოდ გამოიყენებს პრესას, კინოს, რადიოს, ტელევიზიას, ლექციებისა და საუბრების მაგნიტოფონურ ჩანაწერებს, მოძრავ გამოფენებს და პროპაგანდის სხვა საშუალებებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების, აგრეთვე მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მიღწევების ფართო პოპულარიზაციისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი) შეისწავლის სახალხო მეურნეობის რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო გამოფენების მუშაობას და აღმოუჩენს მათ მეთოდიკურ დახმარებას;

კ) მეთოდიკურ დახმარებას გაუწევს იმას, რომ მოეწყოს სსრ კავშირის მიღწევათა ჩვენება საერთაშორისო გამოფენებზე მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში;

ლ) სისტემატურად შეისწავლის საზღვარგარეთულ გამოფენებსა და ბაზრობებზე საგამოფენო საქმის მოწყობას და ექსპონატების ჩვენების მეთოდებს, რათა გამოყენებულ იქნას თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებანი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ექსპოზიციების გაფორმებაში;

მ) განიხილავს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო მეურნეობის საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლებთან ერთად საკითხებს გამოფენის მონაწილეთა შესახებ, დიპლომებითა და მედლებით მათი დაჯილდოების შესახებ, მათთვის პრემიების მიცემის შესახებ, აგრეთვე საუკეთესო პავილიონებისა და ექსპოზიციებისათვის ჯილდოების მიკუთვნების შესახებ.

5. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას უფლება ენიჭება:

ა) მიიღოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისაგან, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებებისაგან, სახალხო მეურნეობის საბჭოებისაგან, სამეცნიერო და სხვა დაწესებულებებისაგან წინადადებანი სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების, აგრეთვე მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მიღწევების ჩვენების თემატიკის შესახებ;

ბ) მიიღოს სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსა და მისი ორგანოებისაგან სტატისტიკური მონაცემები და სხვა მასალები მთლიანად სახალხო მეურნეობის, მისი ცალკეული დარგების, ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით, აგრეთვე სტატისტიკური მონაცემები უცხოეთის ქვეყნების ეკონომიკის შესახებ;

გ) მოიწვიოს გამოფენის თემატიკური გეგმის ცალკეულ განყოფილებებზე კონსულტაციისათვის, გამოფენის ექსპოზიციების გასაფორმებლად და პროპაგანდის განსახორციელებლად სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, სამშენებლო ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო-კვლევითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტიტუტების, საპროექტო და სამხატვრო ორგანიზაციების სპე-ციალისტები და მეცნიერი მუშაკები.

6. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს გამოფენის მთავარი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შეიქმნება პრეზიდიუმი და სექციები მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის ხაზით,

გამოფენის მთავარი კომიტეტის შემადგენლობას დაამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

7. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარი კომიტეტი:

ა) განიხილავს წინადადებებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის მოწინავე გამოცდილებისა და მიღწევების ჩვენების თემატიკის შესახებ და დაამტკიცებს გამოფენის შეჯამებითს თემატიკურ გეგმას და ცალკეული პავილიონებისა და ექსპოზიციების თემატიკურ გეგმებს, აგრეთვე განსაზღვრავს გამოფენის ექსპონენტთა ძირითად შემადგენლობას;

ბ) დაადგენს წესს და განსაზღვრავს პირობებს, რომ გამოფენაში მონაწილეობა მიიღონ წარმოების მოწინავეებმა და ნოვატორებმა, აგრეთვე საწარმოებმა, მშენებლობებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სარემონტო-ტექნიკურმა სადგურებმა, ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა, რაიონებმა, ოლქებმა, მხარეებმა და რესპუბლიკებმა;

გ) დაამტკიცებს რეკომენდაციებს, რომ დაინერგოს სახალხო მეურნეობაში გამოფენაზე წარმოდგენილი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საუკეთესო ნიმუშები, მეცნიერული მიღწევები, ახალი, მოწინავე მეთოდები შრომისა და წარმოების ორგანიზაციის დარგში;

დ) დააჯილდოებს გამოფენის მონაწილეებს დიპლომებით, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით და მისცემს მათ პრემიებს ახალი ტექნიკის ათვისებისა და მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე მისი დანერგვის საქმეში განსაკუთრებული მიღწევებისათვის, აგრეთვე მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის.

8. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას სათავეში უდგას დირექტორი, რომელიც თანამდებობით არის გამოფენის მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი.

გამოფენის დირექტორი ახორციელებს გამოფენის მუშაობისადმი ოპერატიულ ხელმძღვანელობას, გამოსცემს თავისი კომპეტენციის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფარგლებში, სსრ კავშირის კანონების, აგრეთვე მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა და გამოფენის მთავარი კომიტეტის დადგენილებათა საფუძველზე და შესასრულებლად, ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, შეამოწმებს მათ შესრულებას, დასდებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს, შექმნის და გააუქმებს დადგენილი წესით დამხმარე საწარმოებს, დაამტკიცებს დებულებებს გამოფენის სამმართველოების, განყოფილებების, პავილიონებისა და სამეურნეო ანგარიშის ორგანიზაციების შესახებ.

9. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა იმყოფება დამოუკიდებელ ბალანსზე და მისი შენახვა ხდება საკავშირო ბიუჯეტის ასიგნობებისა და გამოფენის ექსპლუატაციისაგან მიღებული სპეციალური სახსრების ხარჯზე.

10. გამოფენის დირექტორთან შეიქმნება სამეცნიერო-მეთოდიკური საბჭო და არქიტექტურულ-სამხატვრო საბჭო იმ საკითხების მოსამზადებლად, რომლებიც დაკავშირებულია თემატიკური და თემატიკურ-ექსპოზიციური გეგმების შემუშავებასთან, ექსპოზიციების მოწყობასთან, ჩვენების მეთოდიკასთან და გამოფენის არქიტექტურულ-მხატვრულ გაფორმებასთან. აღნიშნული საბჭოების შემადგენლობას დაამტკიცებს გამოფენის მთავარი კომიტეტი.

11. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დირექციის აპარატის სტრუქტურას დაამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

12. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოხატულია სსრ კავშირის ღერბი და თავისი დასახელება, აგრეთვე ემბლემა.

საქართველოს კპ ც. კ-ის და საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 3 მარტის № 158
დადგენილების დანართი № 2

## ძირითადი მიმართულებანი

### სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის გენერალური გეგმისა

1. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას აქვს 4 ძირითადი განაყოფი:

საერთო განაყოფი;

მრეწველობისა და ტრანსპორტის განაყოფი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის განაყოფი;

მშენებლობის განაყოფი;

გამოფენის პავილიონების ნუსხას განაყოფების მიხედვით განსაზღვრავს გენერალური გეგმა და მას დაამტკიცებს გამოფენის მთავარი კომიტეტი.

2. განხორციელდეს 1959—1961 წლებში ახალი პავილიონების მშენებლობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე „მრეწველობა და ტრანსპორტი", „ქიმია, ნავთობი, გაზი, გეოლოგია და ქვანახშირი", „სამშენებლო ინდუსტრია", „მეცნიერება", აგრეთვე დაკიდებული საბაგირო სამგზავრო გზის და სხვადასხვა ატრაქციონების მშენებლობა.

3. ახალი პავილიონების მშენებლობისა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის შემდგომი განვითარებისათვის გათვალისწინებულ იქნას გამოფენის ტერიტორიის მიმდებარე მიწის ნაკვეთების გამოყოფა 143 ჰექტარი საერთო ფართობით, მათ შორის:

19 ჰექტარი ქალაქის მიწებიდან გამოფენის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ საზღვარზე;

38 ჰექტარი ქალაქის მიწებიდან გამოფენის სამხრეთ საზღვარზე; ძერჟინსკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის 65 ჰექტარი მიწის ნაკვეთი გამოფენის დასასვენებელი ზონის გასაფართოებლად იმ ტერიტორიის გამოკლებით, რომელიც უკავია ყმათა შემოქმედების ოსტანკინოს სასახლე-მუზეუმს.

17 ჰექტარი ქალაქის მიწებიდან ტბორით მე-4 საპარკო რგოლის ქუჩასა და ძერჟინსკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის სამხრეთ საზღვარს შუა.

4 ჰექტარი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი ბოტანიკური ბაღის მიწებიდან გამოფენის ჩრდილოეთ ნაწილში.

ეროვნული

**18** **ფულის მიმოქცევის მდგომარეობისათვის, საქონელბრუნვის საჭირო სასაქონლო ფონდებით უზრუნველყოფისათვის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებლობის გადიდებისა და ხელფასის ფონდების გამოყენებისადმი კონტროლის გაძლიერების შესახებ**

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომი და რაიონული საბჭოების აღმასკომები არასაკმაოდ მუშაობენ ფულის მიმოქცევის და საკასო გეგმების შესრულების საკითხებზე, არ იღებენ საჭირო ზომებს ხელფასის ფონდების ხარჯვაში სახელმწიფოებრივი წესრიგის დასამყარებლად.

სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე მშენებლობებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები მთელ რიგ შემთხვევებში ურიგდებიან იმას, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდა ჩამორჩება ხელფასის ზრდას, უშვებენ ხელფასის ფონდების გაუმართლებელ გადახარჯვას, რაც იწვევს ფულის დამატებით გამოშვებას მიმოქცევაში და ქმნის სიძნელეებს სასაქონლო მასებით მისი უზრუნველყოფის საქმეში.

1958 წელს დაშვებული იყო ხელფასის ფონდების გადახარჯვა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში 57,3 მილიონი მანეთის ოდენობით, აქედან 1959 წლის 1 იანვრისათვის აუნაზღაურებელი დარჩა 22 მილიონ მანეთზე მეტი.

საკასო გეგმის შესრულებაზე უარყოფითს გავლენას ახდენს საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ საბაზრო ფონდის საქონლის გაყიდვა წვრილ საბითუმო გაყიდვის დაწესებული ლიმიტების გადამეტებით, ანგარიშების მინაწერები და საკასო დისციპლინის დარღვევა.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები არ იღებენ ზომებს ამ ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკის აღსაკვეთად. იშვიათი როდია შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანოები, საკასო გეგმის საშემოსავლო ნაწილის ნაკლშესრულებასთან ანდა გეგმასთან შედარებით ხელფასის ფონდის და სხვა ხარჯების გადამეტებასთან დაკავშირებით, მიმართავენ თხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნით, რათა დამატებით გამოუყონ საქონელი და გაამა[illegible] ფულით; ამავე დროს ისინი არ იღებენ საჭირო ზომებს საქონლის რესურსების გასადიდებლად ადგილობრივი წყაროების ხარჯზე, აგრეთვე იმისათვის, რომ გააფართოონ ფასიანი მომსახურება, რასაც ისინი მოსახლეობას უწევენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 იანვრის № 24 დადგენილების შესასრულებლად და იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა ფულის მიმოქცევის მდგომარეობისა და სასაქონლო რესურსებით საქონელბრუნვის უზრუნველყოფისათვის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის კვარტალურ საკასო გეგმებს, აგრეთვე რესპუბლიკაში საემისიო შედეგებს, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის და ქ. თბილისის გამოყოფით, დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ დანარჩენი ქალაქებისა და რაიონებისათვის საკასო გეგმებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო შემოსავლის საერთო თანხის ოდენობით, სავაჭრო ამონაგების გამოყოფით.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა აწარმოებს ფულის მიმოქცევის რეგულირებას იმ საერთო საემისიო შედეგის ფარგლებში, რაც დამტკიცებულია საკასო გეგმით მთლიანად რესპუბლიკისათვის.

გაფრთხილება მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, რომ, როგორც წესი, საკასო გეგმის საგასავლო ნაწილი უნდა იფარებოდეს ნაღდი ფულის საკუთარი შემოსულობის ხარჯზე, ხოლო საბრუნავი სალარო ნაღდი ფულით შეიძლება გაამაგროს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორამ მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული საკასო გეგმის ფარგლებში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორასთან ერთად:

ა) შეიმუშაოს, 1960 წლიდან დაწყებული, ყოველი წლისათვის რესპუბლიკაში მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის ბალანსის გაანგარიშებანი, ხოლო სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორამ საკასო გეგმის წლიური გაანგარიშებანი განსახილველად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

ბ) პერიოდულად განიხილოს მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის ბალანსების გაანგარიშებანი რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის მიხედვით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისობა მოსახლეობის შემოსავალ-გასავალსა და საქონელბრუნვის გეგმებსა და სასაქონლო ფონდებს შორის;

გ) უკეთუ ადგილი ექნა რესპუბლიკის მეურნეობაში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში ხელფასის ფონდების, აგრეთვე მოსახლეობის სხვა ფულადი შემოსავლის გადამეტებას გეგმასთან შედარებით (დამზადების გეგმის გადაჭარბებით შესრულება), წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ დაწესდეს დავალებანი საცალო საქონელბრუნვის გადიდებისა ადგილობრივი რესურსებიდან სახალხო მოხმარების საქონლის დამატებითი წარმოების ხარჯზე და იმ ფასიანი მომსახურების გაფართოების შესახებ, რასაც საწარმოები; კერძოდ, სანახაობითი საწარმოები, ადგილობრივი ტრანსპორტის საწარმოები, აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები უწევენ მოსახლეობას;

დ) გააძლიეროს კონტროლი შრომის ნაყოფიერობის, მუშაკთა რაოდენობისა და საშუალო ხელფასის გეგმური მაჩვენებლების შესრულებისადმი. სისტემატურად შეისწავლოს შესაბამისი მაჩვენებლები სახალხო მეურნეობის საბჭოსა და მრეწველობის სხვა დარგების მიხედვით, აგრეთვე ცალკეული საწარმოების მიხედვით, რათა დროზე აღმოაჩინოს გეგმებისაგან გადახრები და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ;

ე) სავაჭრო ორგანიზაციებთან ერთად შეისწავლოს საკითხი, რომ გადიდდეს სავაჭრო ამონაგების ინკასაცია, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის საქონლის მიყიდვის და სავაჭრო ორგანიზაციების

ეროვნული

საკუთარი საჭიროებისათვის ამონაგებიდან ხარჯების [illegible] შეზ-ღუდვის გზით და თავისი წინადადებანი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

3. დაწესდეს, რომ გეგმისა და დამატებითი დავალების ზევით გამომუშავებული მთელი სასურსათო საქონელი (გარდა ფქვილისა, ბურღულისა, მაკარონის ნაწარმისა, მცენარეულის ზეთისა, შაქრისა, სპირტისა) და ფართო მოხმარების სამრეწველო საქონელი, აგრეთვე საშენი მასალების არანაკლებ 50 პროცენტისა, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 24 აგვისტოს № 1041 დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკის განკარგულებაში რჩება, გამოყენებულ უნდა იქნას მოსახლეობისათვის მისაყიდად.

4. წინადადება მიეცეთ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას, საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) სისტემატური კონტროლი გაუწიონ სახელმწიფო ბანკის საკასო გეგმის შესრულების მიმდინარეობას და მიიღონ ზომები საქონელბრუნვის გასადიდებლად, საწარმოთა საქმიანობის გასაფართოებლად მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გაწევისა და სახელმწიფო სახსრების მომჭირნეობის მხრივ იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფო ბანკის სალაროში ნაღდი ფულის შემოსვლის დაწესებული გეგმების შესრულება;

ბ) მიიღონ ზომები, რათა დროზე გადახდეს გადასახადები და გამოსაღები მოსახლეობას, აგრეთვე დროზე აიკრიფოს ბინის ქირა და მოსახლეობისათვის გაწეული სხვა კომუნალური მომსახურების საფასური;

გ) ჩაატარონ სათანადო მუშაობა, რათა გადიდდეს ანაბრები შემნახველ სალაროებში და მოსახლეობის სიცოცხლისა და ქონების ნებაყოფლობითი დაზღვევა.

5. წინადადება მიეცეთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას და სხვა სავაჭრო ორგანიზაციებს საქონლის საბაზრო ფონდების განაწილება საცალო საქონელბრუნვის დასაფარავად სავაჭრო ორგანიზაციების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მიხედვით აწარმოონ ხელფასის ფონდების, კოლმეურნეთა შემოსავლის და მოსახლეობის სხვა ფულადი შემოსავლის შესაბამისად, აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკეულ საქონელზე არსებული მოთხოვნილების გათვალისწინებით.

აღმოფხვრან პრაქტიკა სავაჭრო ორგანიზაციების მიერ საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის საბაზრო ფონდის საქონლის მიყიდვისა და საქონლის გაცემისა ნისიად და ურთიერთ ანგარიშსწორების წესით.

დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას, საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს აღმოფხვრან ეს პრაქტიკა. მკაცრი სასჯელი დაადონ იმ პირებს, რომლებიც დაუშვებენ საბაზრო ფონდის საქონლის მიყიდვას სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე საქონლის გაცემას ურთიერთ ანგარიშსწორების წესით და ნისიად.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებს, უწყებებსა და სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს სათანადო წესრიგი დაამყარონ ხელფასის ფონდების ხარჯვაში საწარმოებში, მშენებლობებზე და სამეურნეო ორგანიზაციებში. მკაცრად დასაჯონ, როგორც სახელმწიფო დისციპლინის დამრღვევნი, ის პირები, რომლებმაც დაუშვეს ხელფასის ფონდების გადახარჯვა წარმოების გეგმის შესრულების მხრივ; გააუმჯობესონ შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის დაგეგმვა საწარმოებში, ამასთან უზრუნველყონ, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები წინ უსწრებდეს ხელფასის ზრდას.

დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას და სპეცბანკებს—სამრეწველო ბანკს, კომუნალურ ბანკს და სასოფლო-სამეურნეო ბანკს მიიღონ ზომები და გააძლიერონ კონტროლი იმ საწარმოების, მშენებლობებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ ხელფასის ფონდების ხარჯვისა და ამ ფონდების გადახარჯვის დროულად ანაზღაურებისადმი, რომლებმაც გადახარჯვა დაუშვეს.

7. დაწესდეს, რომ სამრეწველო საწარმოების, მშენებლობებისა და სამეურნეო ორგანიზაციების დირექტორებს (უფროსებს) და სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებმაც ხელფასის ფონდების გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარჯვა დაუშვეს 1959 წლის 1 იანვრიდან, წაერთმევათ პრემიები იმ ვადით, ვიდრე ამ გადახარჯვის ანაზღაურება მოხდებოდეს.

პროდუქციის გამოშვების გეგმის და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის გადაჭარბებით შესრულების დროს საწარმოები და მშენებლობები მოვალენი არიან უზრუნველყონ მათთვის დაწესებული თანაფარდობა შრომის ნაყოფიერების ზრდასა და საშუალო ხელფასის გადიდებას შორის.

დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს მუდმივი კონტროლი გაუწიონ მათდამი დაქვემდებარებული საწარმოებისა და მშენებლობების მიერ ამ მოთხოვნების შესრულებას.

8. მოქმედი წესის შესაცვლელად დადგენილ იქნას, რომ სახსრები საწარმოებს ხელფასის გასაცემად ხვედრი თანხების გადამეტებით, საწარმოო გეგმის შესრულების დონის საფუძველზე, შეიძლება მისცენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებმა, როგორც გამონაკლისი, ხელფასის თვიური ფონდის არაუმეტეს 5 პროცენტისა და იმ პირობით, რომ საწარმომ მთლიანად აანაზღაუროს მის მიერ წინათ დაშვებული გადახარჯვა.

ყველა სხვა შემთხვევაში სახსრების მიცემას საწარმოებისათვის მათ მიერ დაშვებული ხელფასის ფონდების გადახარჯვის დასაფარავად აწარმოებენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებები მხოლოდ ზემდგომი ორგანიზაციების—სამინისტროების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, უწყებების და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ნებართვით მათთვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში. ამავე დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა კონტროლი უნდა გაუწიონ იმას, რომ საწარმოებმა დროზე აანაზღაურონ ხელფასის ფონდების მათ მიერ დაშვებული გადახარჯვა.

9. დაევალოთ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას და სპეცბანკებს—სამრეწველო ბანკს, კომუნალურ ბანკს და სასოფლო-სამეურნეო ბანკს სისტემატური კონტროლი გაუწიონ მშენებლობას, რომელიც ხორციელდება სპეციალური წყაროების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარჯზე კაპიტალურ დაბანდებათა სახელმწიფო გეგმის ზევით; არ დაუშვან, რომ ამ მშენებლობის დაფინანსების წყაროდ გამოყენებულ იქნას საწარმოების საბრუნავი სახსრები, მათი ხელფასის ფონდები და კაპიტალური რემონტის ფონდები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ვ. მჟავანაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
გ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1959 წ. 3 მარტი, № 159

---

## 19 საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ

საქართველოს სსრ მშრომელებმა, ისე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, დიდ წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. იმ დიდი მუშაობის მეოხებით, რასაც პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ეწევიან მოსახლეობის კომუნისტური აღზრდისათვის, რესპუბლიკაში შემცირდა სისხლისსამართლებრივი დამნაშავეობა და მნიშვნელოვნად განმტკიცდა სოციალისტური კანონიერება.

მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა თავდადებით შრომობს სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა უბანზე, წმინდად იცავს საბჭოთა კანონებს და პატივს სცემს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს.

მაგრამ, ამასთან ერთად, ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი პირები, რომლებიც არ იცავენ საზოგადოებრივი ქცევის ნორმებს, სჩადიან ხულიგნურ მოქმედებას და სხვა დანაშაულს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში ადგილი აქვს დიდ ნაკლოვანებებს. ერთერთ სერიოზულ ნაკლს ის გარემოება წარმოადგენს, რომ ეს ბრძოლა უმთავრესად წარმოებს მილიციის, პროკურატური-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და სასამართლო ორგანოების ძალებით ისე, რომ მასში აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ მოსახლეობა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ცალკეულ პირთა საძრახისი საქციელი იშვიათად გამოაქვთ საზოგადოებრიობის განსახილველად. სათანადოდ არ არის გამოყენებული წესრიგის დამრღვევებზე საზოგადოებრიობის შემოქმედების დიდი ძალა.

რესპუბლიკის მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოები საკმარისად არ არიან დაკავშირებული საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. სისხლისსამართლებრივი საქმეების გამოძიებისა და განხილვის დროს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ იმ მიზეზებისა და პირობების გამოვლინებას, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულის ჩადენას. სისხლისსამართლებრივი საქმეების განხილვა იშვიათად წარმოებს სასამართლოს ღია სხდომებზე საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, რაც ამცირებს სასამართლო პროცესების აღმზრდელობითს მნიშვნელობას. სასამართლოში საქმეების განხილვის დროს მონაწილეობის მისაღებად არ იწვევენ საზოგადოებრივ ბრალმდებლებს. სასამართლო პროცესების მასალები ნაკლებად შუქდება ადგილობრივ პრესაში.

ამჟამად, მშრომელთა შეგნებულობის და პოლიტიკური აქტიობის ზრდისა და საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარების პირობებში, ამორალური, ანტისაზოგადოებრივი საქციელის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა წარმოებდეს არა მარტო ადმინისტრაციული ორგანოების მეშვეობით, არამედ, უმთავრესად, იმით რომ, ფართოდ ჩავაბათ მშრომელები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები რესპუბლიკაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში.

„ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 მარტის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში მშრომელთა ფართოდ ჩაბმის მიზნით, მოეწყოს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმები.

დაწესდეს, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სახალხო რაზმები შეიქმნებიან მოწინავე მუშებისა, მოსამსახურეებისა, კოლმეურნეებისა, სტუდენტებისა, მოსწავლეებისა და პენსიონერებისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან ნებაყოფლობითს საფუძვლებზე საწარმოო-ტერიტორიული პრინციპის მიხედვით საწარმოებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, სახლმმართველობებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში რაიონის (ქალაქის) ფარგლებში.

2. სახალხო რაზმი იცავს საზოგადოებრივ წესრიგს ქუჩებში, სტადიონებზე, პარკებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში დემონსტრაციების, მსვლელობების, მასობრივი სეირნობის, სპორტული შეჯიბრებების ჩატარების დროს.

3. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) 1959 წლის მარტი-აპრილის განმავლობაში მოაწყონ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმები უწინარეს ყოვლისა დიდ სამრეწველო საწარმოებში;

ბ) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების მუშაობას ხელმძღვანელობენ რაიონული (საქალაქო) შტაბები, რომლებიც შესდგებიან პარტიული და საბჭოთა ორგანოების, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სახალხო რაზმების ცალკეული მეთაურებისაგან. რაზმებსა და რაიონულ (საქალაქო) შტაბებს სათავეში უნდა ედგნენ, როგორც წესი, პარტიული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები;

გ) რაიონების (ქალაქების) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შტაბების შემადგენლობა, რაზმების მეთაურები და რაზმზე მიმაგრებული მიკრორაიონები დაამტკიცონ საქართველოს კპ რაიონული (საქალაქო) კომიტეტების ბიუროზე;

დ) ვინაიდან დიდი საყოველთაო-სახალხო და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა მონაწილეობას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში, გასწიონ ფართო მუშაობა მოსახლეობაში, რომელსაც განუმარტონ ამ ღონისძიების დიდი მნიშვნელობა და ის, თუ რაოდენ საჭიროა აქტიური დახმარების გაწევა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების საქმიანობისათვის.

4. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო,, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს,

ეროვნული

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, ქალაქისა და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს, საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს მიიღონ საჭირო ზომები, რათა ჩაუნერგონ მოსწავლეებს, სტუდენტებსა და ახალგაზრდობას სკოლაში, სასწავლებლებში, ოჯახში, ქუჩაში და საზოგადოებრივ ადგილებში დისციპლინისა და ქცევის წესების დაცვის მტკიცე ჩვევები; მოაწყონ მათთვის მისაწვდომი ფორმით საბჭოთა კანონების განმარტება.

5. დაევალოს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს ფართოდ ჩააბას კომკავშირული ორგანიზაციები ამ ღონისძიებათა განხორციელებაში და უზრუნველყოს კომკავშირელთა და ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილის აქტიური მონაწილეობა ნებაყოფლობით სახალხო რაზმებში.

6. დაევალოთ რესპუბლიკური გაზეთების — „კომუნისტის", „ზარია ვოსტოკას", „სოვეტაკან ვრასტანის", „ახალგაზრდა კომუნისტის", „მოლოდოი სტალინეცის", ჟურნალ „დროშის" და „ნიანგის" რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტს სისტემატურად აწარმოონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა იმის განსამარტებლად, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა მონაწილეობას რესპუბლიკაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში და რაოდენ საჭიროა აქტიური დახმარების გაწევა სახალხო რაზმების საქმიანობისათვის. პერიოდულად გააშუქონ მოწინავე ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების დადებითი მუშაობის მასალები.

7. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა დაწესებულებებმა, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებმა გააძლიერონ ბრძოლა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ, შემოიღონ საზოგადოებრივი წესრიგის ბოროტ დამრღვევთა გასასამართლებლად ღია სასამართლო პროცესების ჩატარება უშუალოდ საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, უზრუნველყონ ასეთი პროცესების გულმოდგინედ და უნარიანად მოწყობა მათი აღმზრდელობითი მნიშვნელობის გაძლიერების მიზნით, ამასთან მოიწვიონ საჭირო შემთხვევებში საზოგადოებრივი ბრალმდებლები. ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ ნებაყოფლობით სახალხო რაზმებს მათს საქმიანობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს განიხილონ ეს დადგენილება და მისი შესრულების ზომები ღია პარტიულ კრებებზე.

შესრულების მიმდინარეობა მოხსენდეს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს 1959 წლის აპრილის დამლევისათვის.

9. დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი დროებითი დებულებისა „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების შესახებ“.

10. დაევალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილებას და ადმინისტრაციული და სავაჭრო-საფინანსო ორგანოების განყოფილებას თვალყური ადევნონ ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობას.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
| **ვ. მჟავანაძე** | **გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1959 წ. 16 მარტი, № 217.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 16 მარტის № 217
დადგენილებით

## დროებითი დებულება

### საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების შესახებ

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდ წარმატებებს მიაღწია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. წლითიწლობით განუხრელად უმჯობესდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. იმ უდიდესი მუშაობის მეოხებით, რასაც პარტია, მთავრობა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ეწევიან მოსახლეობის კომუნისტური აღზრდისათვის, ჩვენს ქვეყანაში მკვეთრად შემცირდა დანაშაულებრივობა, მნიშვნელოვნად განმტკიცდა სოციალისტური კანონიერება. საბჭოთა მოქალაქეების დიდი

უმრავლესობა თავდადებულად შრომობს სოციალისტური მეურნეობის სხვადასხვა უბანზე, პატიოსნად ეკიდება თავის საზოგადოებრივ მოვალეობას, წმინდად იცავს საბჭოთა კანონებს და პატივს სცემს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს. მაგრამ ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი პირები, რომლებიც არ იცავენ საზოგადოებრივი ქცევის ნორმებს, მთვრალი მოდიან საზოგადოებრივ ადგილებში, ჩადიან ხულიგნობას და სხვა დანაშაულს, რაც ხელს უშლის საბჭოთა ადამიანებს დამშვიდებულ ცხოვრებასა და შრომაში.

მშრომელთა შეგნებულობისა და პოლიტიკური აქტივობის ზრდის და საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარების პირობებში ამორალური, ანტისაზოგადოებრივი მოქმედების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა წარმოებდეს უმთავრესად საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართოდ მონაწილეობით. ამ მიზნით ეწყობა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმები.

## I. ზოგადი დებულებანი

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სახალხო რაზმები შეიქმნებიან მოწინავე მუშებისა, მოსამსახურეებისა, კოლმეურნეებისა, სტუდენტებისა, მოსწავლეებისა და პენსიონერებისაგან ნებაყოფლობით საფუძველზე საწარმოო-ტერიტორიული პრინციპის მიხედვით საწარმოებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, სახლმმართველობებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში რაიონის (ქალაქის) ფარგლებში.

სახალხო რაზმების ხელმძღვანელობისათვის შეიქმნება მხოლოდ რაიონის ქალაქის ფარგლებში სახალხო რაზმების რაიონული (საქალაქო) შტაბები საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და რაზმების ცალკეული მეთაურებისაგან. სახალხო რაზმების და მათი შტაბების ორგანიზაციასა და ხელმძღვანელობას ახორციელებენ პარტიული ორგანოები.

სახალხო რაზმების ძირითადი ამოცანებია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ხულიგნობასთან ბრძოლა, აგრეთვე მონაწილეობა იმ ახსნა-განმარტებითს მუშაობაში, რასაც საზოგადოებრივი ორგანიზაციები ეწევიან მოსახლეობაში სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვისათვის.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სახალხო რაზმები და რაიონული (საქალაქო) შტაბები მთელ თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საბჭოთა კანონების მოთხოვნილებით, იმყოფებიან ამ კანონების მფარველობის ქვეშ და თავიანთ მუშაობას ახორციელებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონტაქტით.

შინაგან საქმეთა დაწესებულებები, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოები ყოველგვარ დახმარებას უწევენ რაზმებსა და მათ შტაბებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ სახალხო რაზმებსა და შტაბებს სამეცადინეო სადგომებითა და ტელეფონით.

### II. ნებაყოფლობითი სახალხო რაზმი და მისი სტრუქტურა

ნებაყოფლობით სახალხო რაზმში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქეები, რომლებიც, როგორც წესი, არ უნდა იყვნენ 18 წლის ასაკზე ნაკლები, პირადი განცხადებების საფუძველზე, რომლებსაც შეიტანენ პროფკავშირულ, კომკავშირულ კომიტეტებში ან სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში თავიანთი სამუშაო ადგილის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ნებაყოფლობით რაზმში შესვლის მსურველი მოქალაქენი მიიღებიან რაზმში იმ კოლექტივის კრების რეკომენდაციით, რომელშიაც ისინი ირიცხებიან.

სახალხო რაზმის დაარსება მოხდება რაზმელთა საორგანიზაციო კრებაზე, რომელსაც მოიწვევს საინიციატივო ჯგუფი, შემდგარი ერთი ან რამდენიმე საწარმოს, მშენებლობის, სასწავლებლის, სახლმმართველობის და სხვა დაწესებულებათა პარტიული და საბჭოთა ორგანოების, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან.

რაზმის რაოდენობრივი შემადგენლობა დაწესდება ადგილობრივი პირობების მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში რაზმში შეიძლება შეიქმნას ცალკეული ჯგუფები.

რაზმში თავის მოვალეობებს რაზმელი ასრულებს არასამუშაო დროს.

სახალხო რაზმის ხელმძღვანელობას ახორციელებენ მეთაური და მისი მოადგილეები, რომლებსაც რაზმელთა საერთო კრება აირჩევს ღია კენჭისყრით.

რაზმში შესულ პირს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი რაზმის მეთაურის მეშვეობით გადასცემს რაზმელის მოწმობას, სამკერდე ნიშანს და რაზმელის სამახსოვრო

წიგნაკს, რომელშიც ჩამოთვლილია რაზმელის უფლება-მოვალეობანი და რჩევა-დარიგება მისი პრაქტიკული საქმიანობის შესახებ.

რაზმიდან გარიცხვის საკითხს გადაწყვეტს რაზმის კრება, რასაც აცნობებს იმ ორგანიზაციას, რომელმაც რეკომენდაცია მისცა ამა თუ იმ პირს.

რაზმიდან გასული მოქალაქენი ვალდებული არიან ჩააბარონ რაზმის მეთაურს რაზმელის მოწმობა და ნიშანი.

## III. რაზმისა და რაიონული (საქალაქო) შტაბის უფლება-მოვალეობანი

1. სახალხო რაზმი:

იცავს საზოგადოებრივ წესრიგს ქუჩებში, სტადიონებზე, პარკებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში დემონსტრაციების, მსვლელობების, მასობრივი სეირნობის, სპორტული შეჯიბრებების დროს;

უზრუნველყოფს რაზმზე მიმაგრებულ რაიონში საზოგადოებრივ წესრიგს პატრულირების, რეიდების მოწყობის, გუშაგების დაყენებისა და მორიგეობის დაწესების გზით;

საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წარუდგენენ წინადადებებს საზოგადოებრივი წესრიგის ცალკეულ დამრღვევთა მიმართ ზემოქმედების ზომების მიღების შესახებ;

გადასცემს მასალებს ცალკეულ დამრღვევთა მიმართ საამხანაგო სასამართლოებს ან ადმინისტრაციულ ორგანოებს, აგრეთვე შეუძლია გამოყოს თავისი წარმომადგენელი საზოგადოებრივ ბრალმდებლად.

საჭირო შემთხვევებში აცნობებს პრესას საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებს;

ეწევა რაზმელთა შორის მუშაობას რაზმის შემჭიდროებისა და განმტკიცებისათვის, უნერგავს მათ მაღალ დისციპლინიანობას, ამხანაგობის გრძნობასა და თავდადებულობას;

ზრუნავს რაზმელთა ფიზიკური გამობრძმედისათვის, ასწავლის მათ დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს, აგრეთვე აცნობს რაზმელებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კანონმდებლობას.

რაზმის მეთაური პერიოდულად გამოდის მშრომელთა წინაშე ანგარიშით საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რაზმის მუშაობის შესახებ.

მუხ/19
ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. რაიონული (საქალაქო) შტაბი:

ხელმძღვანელობს რაზმების ჩამოყალიბებას საწარმოებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, სახლმმართველობებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში;

შეიმუშავებს რაიონში (ქალაქში) საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ღონისძიებებს, გაანაწილებს რაზმის ძალებს დაცვის ადგილებზე და დახმარებას გაუწევს რაზმების მეთაურებს მათ წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში;

პერიოდულად განაზოგადებს რაიონის (ქალაქის) რაზმების მუშაობის გამოცდილებას;

შეიტანს წინადადებებს პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში იმ მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრის შესახებ, რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას.

## IV. რაზმელის უფლება-მოვალეობანი

1. რაზმელი მოვალეა:

დაიცვას მოქალაქეთა პატივი და ღირსება, მიიღოს საჭირო ზომები საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღსაკვეთად;

დავალებათა შესრულების დროს დროულად და ზუსტად შეასრულოს რაზმის მეთაურის მოთხოვნები, იყოს დისციპლინირებული, გაბედული და თავდადებული;

საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებთან ბრძოლაში ზეგავლენა მოახდინოს წესრიგის დამრღვევზე უწინარეს ყოვლისა დაჯერებითა და გაფრთხილებით;

მოვალეობის შესრულების დროს თან იქონიოს რაზმელის მოწმობა და სამკერდე ნიშანი.

2. რაზმელს უფლება აქვს:

მოსთხოვოს მოქალაქეებს, რომლებიც საზოგადოებრივ წესრიგს არღვევენ, წესრიგის დარღვევის შეწყვეტა და საჭიროების დროს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა;

შეადგინოს, დარღვევის ხასიათის მიხედვით, აქტი მოწმეებისა და დამრღვევის მონაწილეობით, და შემდგომ გადასცეს აქტი რაზმის მეთაურს;

მიიყვანოს, საჭიროების შემთხვევებში, მოქალაქენი, რომლებიც საზოგადოებრივ წესრიგს არღვევენ, რაზმის რაიონულ (საქალაქო) შტაბში, მილიციაში ან უახლოეს სასოფლო საბჭოში.

ისარგებლოს თავისი მოვალეობის შესრულების დროს სამსახურეობრივი (დაწესებულების) ტელეფონით.

თავისი მოვალეობის შესრულებისა და მისთვის მინიჭებული უფლებების განხორციელების დროს რაზმელი მტკიცედ ხელმძღვანელობს საბჭოთა კანონების მოთხოვნებით. რაზმელის უფლებებს კანონი იცავს.

### V. წახალისების ზომები

რაზმელებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში და სანიმუშოდ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, წაახალისებენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საწარმოთა, დაწესებულებათა და სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელები მადლობის გამოცხადებით, სიგელის გადაცემით, საპატიო დაფაზე შეტანით, ძვირფასი საჩუქრით დაჯილდოებით, ხოლო იმ რაზმელებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, წარადგენენ მთავრობის ჯილდოებზე.

*

* *

შეგნებული აქვთ რა, რომ საზოგადოებრივი წესების დაცვას დიდი სახელმწიფო და საყოველთაო-სახალხო მნიშვნელობა აქვს, რაზმელები უმწიკვლოდ უნდა ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას და ღირსეულად ამართლებდნენ ხალხის ნდობას.

---

## 20 თევზის მეურნეობის განვითარების, სატბორე მეთევზეობის ორგანიზაციისა და რესპუბლიკის შინაგან წყალსატევებში თევზის ჭერის გადიდების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკაში თევზის მეურნეობის განვითარება მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოსახლეობის მოთხოვნილებას თევზსა და თევზის პროდუქტებზე.

ყურადღება არ ექცევა სატბორე მეურნეობის განვითარებას და თევზის მოშენებას, მაშინ როდესაც ამ სახის მეურნეობა შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახდეს თევზის რესურსების შევსების უალრესად მნიშვნელოვანი წყარო. მთელი რიგი კოლმეურნეობების გამოცდილებით დადასტურებულია, რომ სატბორე მეურნეობა მოითხოვს შედარებით მცირე ფულად და შრომითს დანახარჯებს და იგი მაღალშემოსავლიანი მეურნეობაა.

მაგალითად, მოსკოვის ოლქის ლენინის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკმა“ მოაწყო სატბორე მეურნეობა 4 ჰექტარ ფართობზე, ამასთან მის მშენებლობაზე დახარჯა 85 ათასი მანეთი და უკვე დათევზიანების წელს გამოზარდა თვითეულ ჰექტარზე 30 ცენტნერამდე სასაქონლო თევზი, რომლის რეალიზაციით მიიღო 107 ათასი მანეთი, თუ არ ვიანგარიშებთ ამ ტბორში გამოყვანილი წყალმცურავი ფრინველისაგან მიღებულ შემოსავალს.

სრულიად არასაკმაო ყურადღება ექცევა თევზის მოშენების, თევზის მარაგის აღწარმოებისა და რესპუბლიკის ტბა-მდინარის წყალსატევებისა და წყალსაცავების ექსპლოატაციის საკითხებს. საქართველოს სსრ ტბა-მდინარის წყალსატევებისა და წყალსაცავების წყლის ფართობი ამჟამად თითქმის 16 ათას ჰექტარს აღწევს.

თუ თევზის მოშენება და მისი მარაგის აღწარმოება რაციონალურად მოეწყობა, ამ წყალსატევებისაგან შეიძლება მივიღოთ სულ ცოტა 25—30 ცენტნერი თევზი წყლის 100 ჰექტარ ფართობზე, ანუ 4-დან 5 ათასამდე ცენტნერი თევზი, ნაცვლად ერთ ათასამდე ცენტნერი თევზისა, რასაც ამჟამად იღებენ ამ წყალსატევებში.

ამასთან ერთად, დამაკმაყოფილებლად არ არის მოწყობილი საზღვაო მეთევზეობა. მთელი რიგი საწარმოები საზარალოა, გამოშვებული პროდუქციის ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია.

იმ მიზნით, რომ გადიდდეს სასურსათო რესურსები და შეიქმნას მტკიცე ბაზა მოსახლეობის მოსამარაგებლად ცოცხალი და ახალი თევზით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

### ა. სატბორე მეთევზეობისა და შინაგან წყალსატევების ხაზით

1. დაწესდეს საქართველოს სს რესპუბლიკაში მეთევზეობის ტბორების მშენებლობის გეგმა 1959—1965 წლებისათვის წყლის ფართობით არა ნაკლებ 1.200 ჰექტარისა, მათ შორის კოლმეურნეობებში—800 ჰექტარი, საბჭოთა მეურნეობებში—100 ჰექტარი, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საქთევზმრეწვის ხაზით—

ეროვნული

200 ჰექტარი და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების ხაზით—100 ჰექტარი იმ ვარაუდით, რომ აყვანილ იქნას თევზის ჭერა წყლის ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 10 ცენტნერამდე მაინც.

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სახალხო მეურნეობის საბჭოსთან და ცეკავშირის გამგეობასთან ერთად, ავტონომიურ რესპუბლიკებთან, ავტონომიურ ოლქთან და საქართველოს სსრ რაიონებთან შეთანხმებით, ორი თვის ვადაში წარმოადგინოს მეთევზეობის ტბორების მშენებლობის 1959—1965 წლების გაშლილი გეგმა, რაც განაწილებულ იქნას შვიდწლედის წლების მიხედვით.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, ცეკავშირის გამგეობასააშენონ 1959 წლის განმავლობაში მეთევზეობის ტბორები 200 ჰექტარ ფართობზე, მათ შორის კოლმეურნეობებში—150 ჰექტარი, საბჭოთა მეურნეობებში—40 ჰექტარი და სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით—10 ჰექტარი, რაც განაწილდეს რაიონების მიხედვით, დანართის თანახმად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და ცეკავშირის გამგეობას:

ა) მოაწყონ სპეციალისტთა კომპლექსური ბრიგადები, გაგზავნონ ისინი რესპუბლიკის რაიონებში და რაიაღმასკომებთან ერთად ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ სატბორე მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწის ნაკვეთების გამოვლინება და გამოყოფა.

დაევალოთ ამავე ბრიგადებს შეისწავლონ რაიონებში არსებული ტბა-მდინარის წყალსატევები თევზის მოსაშენებლად მათი ვარგისიანობის თვალსაზრისით და წარმოადგინონ ღონისძიებანი მათი თევზსამეურნეო გამოყენებისათვის;

ბ) უზრუნველყონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების მომარაგება ტბორების გამარტივებული და ეკონომიური პროექტებით, რომლებიც არ მოითხოვენ დიდ ფულად და მატერიალურ დანახარჯებს;

გ) ტექნიკური დახმარება გაუწიონ, აგრეთვე მასალების გამოყოფით დაეხმარონ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს ტბორების მშენებლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, საოლქო აღმასკომსა და რაიაღმასკომებს მოაწყონ ტბორების მშენებლობა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით, ამასთან პრაქტიკული დახმარება გაუწიონ ამ ორგანიზაციებს.

სატბორე მეურნეობის მშენებლობაში ჩააბან კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა ფართო მასები, ამასთან გამოიყენონ სარემონტო-ტექნიკური სადგურების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტექნიკა, უზრუნველყონ ტბორების მშენებლობის ამ დადგენილებით მიღებული გეგმის უცილობლივ დამთავრება 1959 წელს.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ტრესტ საქთევზმრეწვს:

ა) 1959—1962 წლებში განახორციელოს პრაქტიკული ღონისძიებანი რესპუბლიკის იმ ტბა-მდინარის წყალსატევებისა და წყალსაცავების კომპლექსური ათვისებისა და თევზსამეურნეო გამოყენებისათვის, რომლებსაც თევზსამეურნეო მნიშვნელობა აქვთ, 16 ათას ჰექტარ ფართობზე, ნაცვლად ექსპლუატაციაში მყოფი 11.600 ჰექტარისა, და აიყვანოს თევზის გამოზრდა და ჭერა წყლის ფართობის 100 ჰექტარზე გადაანგარიშებით სულ ცოტა 25—30 ცენტნერამდე;

ბ) სამი თვის ვადაში დაამთავროს რესპუბლიკის ტბა-ტბორის ფონდის და წყალსაცავების პასპორტიზაცია და შეიმუშაოს ტბა-მდინარის წყალსატევებისა და წყალსაცავების მშენებლობის და თევზპროდუქტიულობის გადიდების დავალებანი; მთლიანად გადაიყვანოს ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი თევზსამეურნეო სადგური ამ სამუშაოთა განხორციელებაზე;

გ) უზრუნველყოს 1959 წელს თევზის სარეწაო ჭერა რესპუბლიკის ტბა-მდინარის წყალსატევებში 1.650 ცენტნერის რაოდენობით;

დ) მოაწყოს გამოსაკვები პილაური 1.000 ტონამდე სარკისებრი კობრის გამოსაზრდელად 1965 წლისათვის;

ე) მოაწყოს 1959 წელს სატბორე მეურნეობა 10 ჰექტარ ფართობზე, თევზისა და წყალმცურავი ფრინველის მოშენებით.

უზრუნველყოს მუშაობის სანიმუშო მოწყობა ამ ტბორებში და გამოზარდოს წყლის ფართობის ერთ ჰექტარზე სულ ცოტა 20—25

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტნერი თევზი; გახადოს ეს ტბორები საჩვენებელ [illegible] რათა კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა მეურნეობებმა ამ ტბორების მაგალითის მიხედვით და მათი გამოცდილების შესწავლის საფუძველზე, მოაწყონ თევზისა და წყალმცურავი ფრინველის გამოზრდა;

ვ) უზრუნველყოს სარკისებრი კობრის და თაფარავნის კობრის მოზარდის შეუფერხებლივ მიწოდება კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის იმ ოდენობით, რაც უზრუნველყოფს რესპუბლიკის, ტბორებისა და ტბა-მდინარის წყალსატევების სრულ დათევზიანებას.

6. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საქთევზმრეწვის წინადადებანი იმის შესახებ, რომ:

ა) მოეწყოს 1959 წელს მცხეთის რაიონში კალმახის გამოსაზრდელი მეურნეობა;

ბ) მოეწყოს სამგორის რაიონში გარდაბნის სარწყავ არხზე საკვდელი გამოსაზრდელი მეურნეობა სასაქონლო სარკისებრი კობრის გამოსაყვანად;

გ) გადიდდეს სასაქონლო კალმახის გამოზრდა შავწყალას კალმახის მეურნეობაში იმ ვარაუდით, რომ აყვანილ იქნას კალმახის გამოშვება 30 ტონამდე 1965 წელს.

დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს განსაკუთრებული კონტროლი გაუწიოს აღნიშნული ობიექტების მშენებლობას, უზრუნველყოს საჭირო ფულადი სახსრებისა და მასალების გამოყოფა და ამ ობიექტების დამთავრება დაწესებულ ვადაში.

7. სატბორე მეურნეობათა მშენებლობისა და ექსპლუატაციისადმი ხელმძღვანელობის განსახორციელებლად ნება დაერთოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოაწყოს სამინისტროს აპარატში მეთევზეობისა და თევზმომშენებლობის განყოფილება.

წინადადება მიეცეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, ხუთი დღის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად აღნიშნული განყოფილების შტატები.

8. დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარ სამმართველოს კოლმეურნეობებში მეთევზეობის ტბორების მშენებლობის ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობის განხორციელებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საქთევზმრეწვთან ერთად:

ა) მოაწყოს 1959 წელს მოკლევადიანი კურსები თევზმომშენებელთა მოსამზადებლად კოლმეურნეობებისათვის;

ბ) გაგზავნოს 1959 წელს კოლმეურნეთა და თევზის მრეწველობის მუშაკთა ჯგუფი უკრაინის სსრ და რუსეთის სფსრ რაიონებში, რათა შეისწავლონ ტბორებში თევზის მოშენების გამოცდილება.

10. დაევალოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სახალხო მეურნეობის საბჭოს საქთევზმრეწვთან და სათანადო სპეცბანკებთან ერთად:

ა) მოამზადოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ გამოეყოთ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თევზმეურნეობებს გრძელვადიანი კრედიტები მეთევზეობის ტბორების მშენებლობისათვის;

ბ) შესაბამის სამეცნიერო ორგანიზაციებთან შეთანხმებით დააზუსტოს საკვების რეცეპტურა ტბორებსა და პილაურებში თევზის ხელოვნური კვებისათვის და წარმოადგინოს წინადადებანი აღნიშნული საკვების წარმოებისა და გამოყოფის შესახებ.

11. ტბა-მდინარის წყალსატევებისა და წყალსაცავების თევზპროდუქტიულობის უსწრაფესად ამაღლების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 12 დეკემბრის № 817 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, სახალხო მეურნეობის საბჭოსათვის დაწესებული შტატებისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, ნება დაერთოს საქთევზმრეწვს მოაწყოს სათევზმომშენებლო-სამელიორაციო და საკლიმატიზაციო სადგური.

### ბ. საზღვაო მეთევზეობის ხაზით

12. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ტრესტ საქთევზმრეწვს:

ა) მნიშვნელოვნად გააძლიეროს საზღვაო ჭერა, მთავარი ყურადღება მიაქციოს სტავრიდის, პელამიდის, ბარაბულის, ქამბალისა და სხვა ძვირფასი თევზის ჭერის გადიდებას;

ბ) გააფართოოს თევზის კონსერვის წარმოება სოხუმისა და გაგრის საკონსერვო ქარხნების სრულ სიმძლავრეზე და აიყვანოს გამომუშავება 3.000 ათას პირობით ქილამდე წელიწადში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს გამოშვებული კონსერვის ხარისხს; გამოუშვას ბარაბულის, სტავრიდისა და ქაფშიის კონსერვები შპროტის ტიპისა და ტომატის წვენში.

საკონსერვო ქარხნების თანაბარი დატვირთვის მიზნით, ეთხოვოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გაითვალისწინოს 1959 წლისა და შემდგომი წლებისათვის თევზის ნედლეულის მოწოდება აზოვ-შავიზღვის აუზის სხვა საწარმოებიდან;

გ) დაჭერილი თევზის სრულად გამოყენების მიზნით, დაამთავროს 1959 წელს 5 ტონა სიმძლავრის ცხიმფქვილის საამქროს მშენებლობა ქ. სოხუმში და დაიწყოს ახალი ცხიმფქვილის 15 ტონა სიმძლავრის ქარხნის მშენებლობა ქ. ბათუმში შემდგომი გაფართოებით 30 ტონამდე, ამასთან დაამთავროს მშენებლობა 1960 წელს.

13. ეცნობოს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, რომ კრასნოდარის სახალხო მეურნეობის საბჭო მეტად არადამაკმაყოფილებლად ასრულებს საქართველოს სსრ თევზის მრეწველობის საწარმოების ტარით მომარაგების ვალდებულებებს და ეთხოვოს მიიღოს საჭირო ზომები, რათა მან მოაწოდოს საქართველოს სს რესპუბლიკას 50 ლიტრი ტევადობის კასრ-ტარა.

14. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ააშენოს 1959—1960 წლებში სოხუმის გემთსარემონტო ქარხნის ტერიტორიაზე საკასრე ტარის საამქრო იმ ვარაუდით, რომ გამოშვებულ იქნას 30 ათასი კასრი.

15. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს შეადგინოს 1959 წელს ქ. ბათუმში საცავი მოლოს მშენებლობის პროექტი და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წარუდგინოს იმის ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთება, რომ საჭიროა დამთავრდეს ქ. ბათუმში თევზკომბინატის მშენებლობა.

16. ეთხოვოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს:

ა) ტბა-მდინარის წყალსატევების პროდუქტიულობის გადიდებისა და სატბორე მეურნეობის ორგანიზაციის ღონისძიებათა შემუშავებაში დახმარების გასაწევად მოავლინოს საქართველოს სს რესპუბლიკაში 1959 წლის მეორე კვარტალში მეთევზეობის სპეციალისტთა ჯგუფი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) გამოყოს 1959 წლის დამლევისათვის 15 ტონის ცხიმფქვილის მოწყობილობა და ერთი კასრ-ტარის ხაზი 50-ლიტრიანი კასრების გამოსამუშავებლად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ვ. მჟავანაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 7 აპრილი, № 273.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ც. კ-ის და საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს 1959 წ. 7 აპრილის
№ 273 დადგენილების დანართი

# ს ი ა

## რაიონებისა, რომლებშიაც ეწყობა თევზმომშენებლობის ტბორები კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებში

| | | ფართობი (ჰექტარობით) |
|---|---|---|
| **საკოლმეურნეო თევზმომშენებლობის ტბორები** | | |
| 1. აფხაზეთის ასსრ | | 10 |
| 2. აჭარის ასსრ | | 4 |
| 3. სამხრეთ ოსეთის ა/ო | | 2 |
| 4. აბაშის | რაიონი | 1 |
| 5. ახალქალაქის | „ | 1 |
| 6. ახალციხის | „ | 1 |
| 7. ახმეტის | „ | 2 |
| 8. ბოგდანოვკის | „ | 1 |
| 9. ბოლნისის | „ | 2 |
| 10. ბორჯომის | „ | 3 |
| 11. ვანის | „ | 3 |
| 12. გეგეჭკორის | „ | 20 |
| 13. გორის | „ | 5 |
| 14. გურჯაანის | „ | 2 |
| 15. დმანისის | „ | 1 |
| 16. ზესტაფონის | „ | 5 |
| 17. ზუგდიდის | „ | 5 |
| 18. ქარელის | „ | 1 |
| 19. კასპის | „ | 1 |
| 20. ყვარლის | „ | 2 |
| 21. ქუთაისის | „ | 4 |
| 22. ლაგოდეხის | | 2 |
| 23. ლანჩხუთის | „ | 2 |
| 24. მარნეულის | „ | 3 |
| 25. მახარაძის | „ | 2 |
| 26. მაიაკოვსკის | „ | 2 |
| 27. მცხეთის | „ | 2 |
| 28. ქ. ფოთი | „ | 1 |
| 29. საგარეჯოს | „ | 5 |
| 30. სამტრედიის | „ | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | ფართობი (ჰექტარობით) |
|---|---|---|
| 31. სიღნაღის | „ | 5 |
| 32. სამგორის | „ | 3 |
| 33. თელავის | „ | 3 |
| 34. თეთრიწყაროს | „ | 3 |
| 35. თერჯოლის | „ | 1 |
| 36. ხობის | „ | 3 |
| 37. ხაშურის | „ | 3 |
| 38. წალენჯიხის | „ | 1 |
| 39. წალკის | „ | 3 |
| 40. წულუკიძის | „ | 3 |
| 41. წითელწყაროს | „ | 3 |
| 42. ცხაკაიას | „ | 5 |
| 43. წყალტუბოს | „ | 10 |
| 44. ჩოხატაურის | „ | 5 |
| 45. ჩხოროწყუს | „ | 1 |
| სულ | | 150 ჰექტ. |

**თევზმომშენებლობის ტბორები საბჭოთა მეურნეობებში**

1. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობები . . . . . . . . . . 20
   მათ შორის: ახალქალაქის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა . 2
   ძველი სენაკის საბჭოთა მეურნეობა . . . 12
   პატარა ფოთის საბჭოთა მეურნეობა . . . 5
   ქვიშხეთის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა . . . . . . . . . . 1
2. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საბჭოთა მეურნეობები . . . . . . . . . . 20
3. სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოები . . . . 10

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 21 საქართველოს თევზჭერის კოლმეურნეობების შემდგომი განმტკიცებისა და სოხუმის გემთსარემონტო-ტექნიკური სადგურის მოწყობის ზომების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 9 თებერვლის № 134 დადგენილების შესასრულებლად, თევზჭერის კოლმეურნეობების შემდგომი განმტკიცებისა და საკოლმეურნეო მეთევზეობის აღმავლობის მიზნით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს:

ა) გადააკეთოს ტრესტ საქთევზმრეწვის სოხუმის გემთსარემონტო ბაზა გემთსარემონტო-ტექნიკურ სადგურად თევზჭერის კოლმეურნეობებისათვის მომსახურების გასაწევად;

ბ) გამოარკვიოს, თუ რომელი თევზსარეწაო გემები, ჭერის იარაღები, სარეწაო მექანიზმები უნდა მიეყიდოთ თევზჭერის კოლმეურნეობებს და რომელი უნდა დარჩეს სოხუმის გემთსარემონტო-ტექნიკურ სადგურში, კოლმეურნეობათა სურვილისა და ეკონომიური შესაძლებლობის, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ უფრო ეფექტურად იქნას გამოყენებული თევზსარეწაო ტექნიკა;

გ) მოაწყოს საქთევზფლოტის იმ თევზსარეწაო გემების, ჭერის იარაღებისა და სარეწაო მექანიზმების მიყიდვა თევზჭერის კოლმეურნეობებისათვის, რომლებიც წინათ სოხუმის სამოტორო-სათევზაო სადგურს ეკუთვნოდა.

შავი ზღვის თევზსარეწაო აუზის განვითარების მდგომარეობისა და პერსპექტივების და თევზჭერის კოლმეურნეობათა ეკონომიკის ზრდის საფუძველზე, გამოარკვიოს რომელ კოლმეურნეობებს შეუძლიათ შეიძინონ გემები, ჭერის იარაღები და მექანიზმები ნაღდ ანგარიშზე 1959 წელს და ნაყოფიერად გამოიყენონ ისინი, რომელ კოლმეურნეობებს დასჭირდებათ განაწილვადება და რომელი კოლმეურნეობებისათვის მიზანშეწონილია საწარმოო-ტექნიკური მომსახურების არსებული წესის დროებით შენარჩუნება;

დ) შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიურად სუსტი თევზჭერის კოლმეურნეობების განმტკიცებას ან მათ გადაკეთებას იქ, სადაც ეს ეკონომიურად მიზანშეწონილია, თევზის მოპოვების თევზქარხნების (თევზკომბინატების) საამქროებად ან ბრიგადებად;

ე) მისცეს გემთსარემონტო-ტექნიკურ სადგურს საკუთარი საბრუნავი სახსრები, რომლებიც საჭიროა ნორმალური საწარმოო და სავაჭრო საქმიანობის უზრუნველსაყოფად ამ დადგენილებით მასზე დაკისრებული ფუნქციების შესაბამისად, სოხუმის ყოფილი სამოტორო-სათევზაო სადგურის საკუთარი საბრუნავი სახსრების ხარჯზე;

ვ) შეუნარჩუნოს გემთსარემონტო-ტექნიკური სადგურის მუშაკებს შრომის ანაზღაურების წესი, აგრეთვე ყველა შეღავათი და უპირატესობანი, რომლებიც დაწესებული იყო სამოტორო-სათევზაო სადგურის შესაბამისი მუშაკებისათვის;

ზ) განახორციელოს საქართველოს თევზჭერის კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელობა;

თ) გემთსარემონტო-ტექნიკური სადგურის მოწყობასთან დაკავშირებით, რომელსაც ეკისრება თევზჭერის კოლმეურნეობების ტექნიკური მომსახურება, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 5 სექტემბრის № 1302 განკარგულების ნაწილობრივ შესაცვლელად, ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი საქთევზფლოტის შენარჩუნების მიზანშეწონილობის შესახებ, სახელმწიფო ჭერისადმი ხელმძღვანელობისა და მიმღებ-სატრანსპორტო ფლოტის რაციონალურად გამოყენების შესახებ.

2. დაწესდეს, რომ თევზსარეწაო გემები, ჭერის იარაღები და სარეწაო მექანიზმები, რომლებიც სოხუმის ყოფილ სამოტორო-სათევზაო სადგურს ეკუთვნოდა, უნდა მიეყიდოს თევზჭერის კოლმეურნეობებს ნებაყოფლობით საფუძვლებზე მათი განაცხადებით მხოლოდ ტექნიკურად წესიერ და ექსპლოატაციისათვის გამოსადეგ მდგომარეობაში. ამასთან, თევზჭერის კოლმეურნეობებს უნდა მიეყიდოს, როგორც წესი, ის გემები და ჭერის იარაღები, რომლებიც მათზე იყო მიმაგრებული.

ნებადართულ იქნას მიეყიდოს თევზჭერის კოლმეურნეობებს აგრეთვე ის შენობები და ნაგებობანი, რომლებსაც შემდეგში გემთსარემონტო-ტექნიკური სადგური ვერ გამოიყენებს.

3. იმ მიზნით, რომ უფრო სწორად იქნას შეფასებული საწარმოო საშუალებანი, რომლებსაც ტრესტი საქთევზმრეწვი თევზჭერის კოლმეურნეობებს მიყიდის და არ იქნას დაშვებული შეცდომები ამ საქმეში:

ა) შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გ. ს. ჯომარჯიძე (კომისიის თავმჯდომარე), საქართველოს სსრ ფინან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ს[illegible] კანტორის და ტრესტ საქთევზმრეწვის წარმომადგენლები.

შეყვანილ იქნან კომისიის შემადგენლობაში: აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს წარმომადგენელი და სოხუმისა და გაგრის თევზჭერის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები; აჭარის ასს რესპუბლიკაში — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს წარმომადგენელი და ბათუმისა და ქობულეთის თევზჭერის კოლმეურნეობათა წარმომადგენლები. ქალაქ ფოთში — ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის წარმომადგენელი და ფოთის თევზჭერის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

დაეკისროთ ამ კომისიებს ტექნიკის გაცვეთისა და ტექნიკური მდგომარეობის შეფასება, გასაყიდი ფასის დადგენა, აგრეთვე კოლმეურნეობათა მიერ ნაყიდი საწარმოო საშუალებების ანაზღაურების ვადების განსაზღვრა;

ბ) კონტროლი გაუწიოს თევზჭერის კოლმეურნეობებისათვის მისაყიდ საწარმოო საშუალებათა შეფასების სისწორეს, სასტიკად აღიკვეთოს ცალკეულ მუშაკთა სხვისი მოიმედეობის არასწორი განწყობილებანი—მიყიდონ ტექნიკა თევზჭერის კოლმეურნეობებს შემცირებულ ფასებში, რაც ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებს.

4. დაწესდეს, რომ თევზჭერის კოლმეურნეობები ტრესტ საქთევზმრეწვისაგან შეიძენენ საწარმოო საშუალებებს ნაღდ ანგარიშზე ან ფასის ნაწილ-ნაწილად გადახდით. თევზჭერის კოლმეურნეობებს, რომლებსაც ყიდვის დროს არ შეუძლიათ გაასწორონ ანგარიში მათ მიერ შეძენილი საწარმოო საშუალებებისათვის, გაუნაწილ-ვადდეთ გადასახდელები ჭერის იარაღებისათვის 3 წლამდე ვადით (მაგრამ არა უმეტეს მათი გაცვეთის დაწესებულ ვადისა), გემებისა და მექანიზმებისათვის—7 წლამდე ვადით.

გადასახდელთა განაწილვადების დროს თევზჭერის კოლმეურნეობები მისცემენ სასოფლო-სამეურნეო ბანკის დაწესებულებებს ვალდებულებებს, რომლებშიაც აღინიშნება მათთვის მიყიდული გემებისა, მექანიზმებისა და ჭერის იარაღებისათვის გადასახდელთა დაფარვის ვადები და ხვედრი თანხები, თავზჭერის კოლმეურნეობებისაგან შემოსული თანხები მათ მიერ ნაყიდი გემებისა, მექანიზმებისა, მოწყობილობისა, ნაგებობებისა და სხვა ფასეულობებისათვის, რომლებიც მიკუთვნებულია ძირითად საშუალებებზე, ჩაირიცხება საკავშირო ბიუჯეტის განსაკუთრებულ ანგარიშზე, ხოლო ჭერის იარაღებისა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა რეა-

ლიზაციისაგან შემოსული თანხები, რომლებიც მიკუთვნებულია საბრუნავ საშუალებებზე,—ჩაირიცხება საქართველოს სსრ ბიუჯეტის საგანგებო ანგარიშზე.

იმ შემთხვევებში, როდესაც თევზჭერის კოლმეურნეობები შეიძენენ გემებს, ჭერის საშუალებებს და სარეწაო მექანიზმებს, მაგრამ არ შეუძლიათ დიდი საზღვაო თევზსარეწაო გემების შეძენა, დაშვებულ იქნას ასეთი გემების გადაცემა კოლმეურნეობებისათვის იჯარით.

5. დაწესდეს, რომ ექსპლუატაციაში ნამყოფი იმ თევზსარეწაო გემების, ჭერის იარაღებისა და სარეწაო მექანიზმების ფასები, რომლებიც თევზჭერის კოლმეურნეობებს მიეყიდება, განისაზღვრება მათი სამსახურის ვადის, გაცვეთის ოდენობისა და საერთო ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით შემდეგი წესით:

ა) სამამულო წარმოების თევზსარეწაო გემები და მექანიზმები შეფასდება მოქმედ საპრეისკურანტო ფასებში, რასაც დაემატება მომმარაგებელი ორგანიზაციების ფასნამატი, აგრეთვე მიტანის ხარჯები, ხოლო იმპორტის წესით შეძენილი გემები და მექანიზმები—სამამულო წარმოების ამავე ტიპის გემებისა და მექანიზმების ფასების შესაბამისად;

ბ) ცალკეული შეკვეთებით დამზადებული თევზსარეწაო გემები და მექანიზმები, რომლებსაც საპრეისკურანტო ფასები არა აქვთ, შეფასდება მათი საბალანსო ღირებულების მიხედვით;

გ) ჭერის იარაღებისა და სარეწაო ინვენტარის, აგრეთვე ნაგებობათა ფასები, რომლებსაც კოლმეურნეობები იძენენ, დაწესდება მათი საბალანსო ღირებულების მიხედვით;

დ) როდესაც თევზჭერის კოლმეურნეობები ყიდულობენ საწარმოო საშუალებებს, მათ მთლიანად ჩაეთვლებათ შეძენილი ტექნიკის ანაზღაურებაში სოხუმის ყოფილი სამოტორო-სათევზაო სადგურის დავალიანება კოლმეურნეობებისაგან წინათ მიღებული ქონებისათვის;

6. დაწესდეს, რომ:

ა) 1959 წლიდან დაწყებული, ახალი თევზსარეწაო გემები, ჭერის იარაღები და სარეწაო მექანიზმები თავისუფლად მიეყიდებათ თევზჭერის კოლმეურნეობებს ნაღდ ანაგრიშზე ან ამ მიზნისათვის კრედიტის მიცემით;

ბ) თევზჭერის კოლმეურნეობები შეიძენენ ახალ გემებს, გემისა და სარეწაო მექანიზმებს, გემის ინვენტარს, ჭერის იარაღებს ან მათ დასამზადებლად საჭირო მასალებს, სათადარიგო ნაწილებს,

ინსტრუმენტებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და [illegible] ნავთობპროდუქტებს და მეთევზეობისა და დამხმარე მეურნეობა-სათვის საჭირო სხვა მასალებს გემთსარემონტო-ტექნიკური სადგურის შეკვეთების საფუძველზე ერთიან ფასებში შესაბამისი ფასნამატით.

7. თევზჭერის კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურების ფორმების შეცვლასთნ და მათთვის თევზსარეწაო გემების, ჭერის იარაღებისა და სარეწაო მექანიზმების მიყიდვასთან დაკავშირებით, დაეკისროს გემთსარემონტო-ტექნიკურ სადგურს შემდევი ძირითადი ფუნქციების შესრულება:

ა) თევზსარეწაო გემების, გემის მთავარი და დამხმარე ძრავების, სარეწაო მექანიზმების და მექანიზაციის სხვა საშუალებათა რემონტი, რომლებიც კოლმეურნეობებს ეკუთვნის;

ბ) დახმარების გაწევა თევზჭერის კოლმეურნეობებისათვის თევზსარეწაო გემების და სარეწაო მექანიზმების გამოყენებასა და ტექნიკურ მომსახურებაში;

გ) იჯარით მიცემა თევზჭერის კოლმეურნეობებისათვის, მათი თხოვნით, დიდი თევზსარეწაო გემებისა, რომელთა შეძენა მათ ამჟამად არ შეუძლიათ, აგრეთვე იმ გემებისა, რომელთა შეძენა მათთვის მიზანშეწონილი არ არის მათი გამოყენების განსაზღვრულ შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

დ) დახმარების გაწევა თევზჭერის კოლმეურნეობებისათვის მეთევზეობასა და დამხმარე მეურნეობაში კაპიტალური მშენებლობის, შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამუშაოთა შესრულების საქმეში;

ე) თევზჭერის კოლმეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაცია იმ გზით, რომ მიეყიდოთ მათ თევზსარეწაო გემები, სარეწაო მექანიზმები და ჭერის იარაღები ან მათ დასამზადებლად და სარეწაო ინვენტარის შესაკეთებლად საჭირო მასალები, მექანიზმების სათადარიგო ნაწილები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ინვენტარი, საწვავი, საცხები ზეთი და საწარმოო დანიშნულების სხვა საქონელი;

ვ) დახმარების გაწევა თევზჭერის კოლმეურნეობებისათვის იმ მხრივ, რომ დაინერგოს ახალი ტექნიკა, მეცნიერების მიღწევები და მოწინავე გამოცდილება მეთევზეობისა და ფლოტის ექსპლუატაციის, აგრეთვე სპეციალისტთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების დარგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გემთსარემონტო-ტექნიკური სადგურის საქმიანობა ხორციელდება სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს და სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორას ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ პროექტი, რომელშიაც გათვალისწინებული იქნება:

ა) თევზსარეწაო გემების, ძრავების და სარეწაო მექანიზმების სარემონტოდ მიღების და რემონტიდან მათი გაცემის, აგრეთვე ჩატარებული რემონტისა და სხვა მომსახურებისათვის კოლმეურნეობებსა და გემთსარემონტო-ტექნიკურ სადგურს შორის ანგარიშსწორების წესი და პირობები;

ბ) დიდი საზღვაო თევზსარეწაო გემების თევზჭერის კოლმეურნეობებისათვის იჯარით გადაცემის წესი და პირობები;

გ) იმ კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურებისათვის ანგარიშსწორების წესი და პირობები, რომლებსაც ამჟამად არ შეუძლიათ შეიძინონ ყველა საწარმოო საშუალება, რაც მათ თევზის მოსაპოვებლად სჭირდებათ.

შემუშავებული პროექტი წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შესათანხმებლად.

9. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გაითვალისწინონ სოხუმის გემთსარემონტო-ტექნიკური სადგურისათვის მასალების, მექანიზმებისა და სათადარიგო ნაწილების მიწოდება თევზსარეწაო გემების შესაკეთებლად, აგრეთვე ცვლის ძრავების მიწოდება სააგრეგატო რემონტისათვის.

10. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ სოხუმის ყოფილი სამოტორო-სათევზაო სადგურის გემთწამყვანები, გემის მექანიკოსები და სხვა სპეციალისტები, როგორც წესი, გადავიდნენ სამუშაოდ თევზჭერის იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც ისინი მომსახურებას უწევდნენ.

შენარჩუნებულ იქნას მოქმედი წესი შეღავათების ანაზღაურებისა სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით დახმარების მიცემისა, აგრეთვე ყოველგვარი შეღავათები და უპირატესობანი სოხუმის ყოფილი სამოტორო-სათევზაო სადგურის თევზსარეწაო ფლოტის მცურავთა შემადგენლობის პირებისა და სპეციალისტებისათვის, რომლებიც გადაყვანილი იქნებიან თევზჭერის კოლმეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეობებში; ჩაეთვალოთ მათ თევზჭერის კოლმეურნეობაში მუშაობის დრო საერთო შრომის სტაჟში.

აღნიშნული მიზნებისათვის საჭირო ხარჯები გაწეულ იქნას საქთევზფლოტის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ სახსრებიდან.

11. დაევალოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კანტორას:

ა) აძლიოს 1959—1961 წლებში საქართველოს თევზჭერის კოლმეურნეობებს კრედიტი სოხუმის ყოფილი სამოტორო-სათევზაო სადგურის იმ სპეციალისტთა და თევზსარეწაო ფლოტის მცურავთა შემადგენლობის საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის, რომლებიც საქართველოს თევზჭერის კოლმეურნეობებში გადავიდნენ, 7 ათას მანეთამდე საცხოვრებელ სახლზე 7 წლის ვადით, რაც უნდა დაიფაროს კრედიტის მიღების შემდეგ მეორე წლიდან დაწყებული;

ბ) იმ შემთხვევებში, როდესაც თევზჭერის კოლმეურნეობებს არ ყოფნით სახსრები ნაყიდი ახალი გემების, მექანიზმებისა და ჭერის იარაღების სრული ანაზღაურებისათვის, აძლიონ ამ მიზნით კრედიტი კოლმეურნეობებს მათი შუამდგომლობით ვადით: ჭერის იარაღების შესაძენად — 3 წლამდე, გემებისა და სარეწაო მექანიზმების შესაძენად — 7 წლამდე, კოლმეურნეობის ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით.

12. დაევალოთ ცეკავშირს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, ფოთის საქალაქო აღმასკომს მიიღონ ზომები ვაჭრობის მოსაწესრიგებლად და უზრუნველყონ, რომ მიეყიდოთ თევზჭერის კოლმეურნეობებს და მეთევზე კოლმეურნეებს სპეცტანსაცმელი, სამრეწველო, სასურსათო საქონელი და საშენი მასალები საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო სადგომების მშენებლობისათვის.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ საბაზრო ფონდების განაწილების დროს გამოუყოს ცეკავშირს მიზნობრივი დანიშნულებით თევზჭერის კოლმეურნეობებისა და მეთევზე კოლმეურნეებისათვის მისაყიდად საჭირო სასურსათო და სამრეწველო საქონელი.

13. რჩევა მიეცეთ საქართველოს თევზჭერის კოლმეურნეობებს:

ა) მიიღონ მუდმივ სამუშაოდ თევზის მეურნეობის დარგის სპეციალისტები სოხუმის ყოფილი სამოტორო-სათევზაო სადგურიდან, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, საზღვაო სასწავლებლებისა და საზღვაო სკოლების კურსდამთავრებული სპეციალისტები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) დაუწესდეს შრომის საზღაური თევზსარეწაო ფლოტის მცურავთა შემადგენლობის პირებს და სოხუმის ყოფილი სამოტორო-სათევზაო სადგურის სპეციალისტებს, რომლებიც კოლმეურნეობებში გადავიდნენ. თვითეულ კოლმეურნეობაში მიღებული საერთო წესის შესაბამისად, იმ ანგარიშით, რომ მათი საზღაურის დონე არ იყოს იმ საზღაურზე ნაკლები, რასაც ისინი სამოტორო-სათევზაო სადგურში იღებდნენ დაჭერილი და ჩაბარებული თევზის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით;

გ) შეიტანონ საჭირო ცვლილებანი თევზჭერის არტელის წესდებაში, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა:

უახლოეს წლებში გადიდდეს კოლმეურნეობის საკუთარი საბრუნავი სახსრები იმ ოდენობამდე, რაც აუცილებელია მისი ნორმალური საწარმოო საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

აწარმოონ ანარიცხები განუყოფელ ფონდებში არტელის ფულადი შემოსავლის არა ნაკლებ 15—20 პროცენტისა კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი ზრდის უზრუნველსაყოფად და პირველ რიგში საწარმოო საშუალებათა შესაძენად, თევზის მოსაშენებლად, არტელზე მიმაგრებული წყალსატევების სათანადო წესრიგზე შესანახად, აგრეთვე მეთევზე კოლმეურნეთა კულტურული და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად;

დ) დაადგინონ დაჭერილი და ჩაბარებული თევზისათვის მეთევზე კოლმეურნეებთან ანგარიშსწორების ისეთი წესი, რომლის დროსაც მათ თევზის ქარხნები უშუალოდ მისცემენ ჭერაზე კოლმეურნეობის მინდობილობით თანხის ნაწილს ავანსის სახით, ხოლო კოლმეურნეობასთან საბოლოო ანგარიშის გასწორება იწარმოებს იმ ვადებსა და იმ ოდენობით, რასაც კოლმეურნეთა საერთო კრება დაადგენს.

14. მიზანშეწონილად ჩაითვალოს საქართველოს თევზჭერის კოლმეურნეობათა რეგულირების რესპუბლიკური ფონდის შენარჩუნება.

15. თევზჭერის კოლმეურნეობების მიერ თევზსარეწაო გემების, ჭერის იარაღებისა და სარეწაო მექანიზმების შეძენასთან დაკავშირებით:

ა) მიეცეთ დროებით მეთევზეობის არტელებს ნედლი თევზის, ზღვის ნადირისა და ზღვის პროდუქტების დიფერენცირებულ ფასნამატთა თანხები, რასაც ამჟამად თევზის ქარხნები აძლევენ საქთევზფლოტს თევზის მოპოვებისათვის მისი საწარმოო ხარჯების დასაფარავად იმ ოდენობით, რაც არ უნდა აღემატებოდეს ფასნამატის თანხებს, რომლებსაც სოხუმის ყოფილი სამოტორო-სათევზაო სად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გური იღებდა. კოლმეურნეობების მიერ თევზის ქარხნებისაგან დიფერენცირებული ფასნამატის წესით მიღებული სახსრები არ შეიძლება გამოიყენონ მათ მეთევზეობის არტელის წევრთა შრომის ასანაზღაურებლად. ფასნამატთა თანხები და მათი დარიცხვის წესი განისაზღვრება კოლმეურნეობის მიერ იმ თევზქარხანასთან დადებული ხელშეკრულებით, რომელიც მისგან იღებს თევზს, და ამ ხელშეკრულებას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო.

იმასთან დაკავშირებით, რომ მეთევზეობის ტექნიკის გაუმჯობესება, შრომის ნაყოფიერების ზრდა და თევზსარეწაო გემების, ჭერის იარაღებისა და სარეწაო მექანიზმების გამოყენების ეფექტიანობა მუდმივ შეუწყობს ხელს თევზის მოპოვების გადიდებას და პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების შემცირებას, დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს უზრუნველყოს ნედლი თევზის, ზღვის ნადირისა და ზღვის პროდუქტების დიფერენცირებულ ფასნამატთა ოდენობის სისტემატური შემცირება;

ბ) გაუქმდეს წესი, რომლის თანახმად თევზჭერის კოლმეურნეობები გემებისა და სარემონტო-სათევზაო სადგურის სახელოსნოების მშენებლობისათვის ეწევიან იმ თანხების 10 პროცენტის გადარიცხვას, რომლებსაც ისინი იღებენ სახელმწიფოსათვის თევზის ზეგეგმითი ჩაბარებისათვის.

16. მიღებულ იქნას ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1959 წლის 9 თებერვლის № 134 დადგენილებით:

ა) დაავალეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს გაუხსნას თვითეულ თევზჭერის კოლმეურნეობას სპეციალური ანგარიში, რომელზედაც ჩაირიცხება ის სახსრები, რასაც თევზის ქარხნები (თევზკომბინატები) გადაგზავნიან მეთევზე კოლმეურნეთა შრომის ასანაზღაურებლად;

ბ) დაადგინეს, რომ სპეციალური ანგარიშიდან სახსრები შეიძლება დაიხარჯოს მხოლოდ მეთევზე კოლმეურნეთა შრომის ასანაზღაურებლად მათ მიერ ჩაბარებული თევზისათვის;

გ) ნება დართეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს აძლიოს თევზჭერის კოლმეურნეობებს ამჟამად დასაკრედიტებელი დანახარჯების დამატებით იმ შემთხვევაში, თუ მათ არ მოეპოვებათ საკმაო საკუთარი სახსრები, — მოკლევადიანი სესხი იმისათვის, რომ გაუს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წორონ ანგარიში გემთსარემონტო-ტექნიკურ სადგურებს და თევზის ქარხნებს (თევზკომბინატებს) ჯევზსარეწაო გემების რემონტისა და თევზჭერის კოლმეურნეობათა სხვა სახის ტექნიკური მომსახურებისათვის, იყიდონ ნავთობპროდუქტები, სათადარიგო ნაწილები, გემების შესაკეთებელი მასალები, მექანიზმები და ჭერის იარაღები;

დ) გაავრცელეს თევზჭერის კოლმეურნეობებზე სამოტორო-მეთევზეობის სადგურებში მოქმედი წესები უსაშიშროების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის შესახებ;

ე) დააწესეს, რომ თევზსარეწაო ფლოტის მცურავთა შემადგენლობის საკომანდო კადრების მომზადება თევზჭერის კოლმეურნეობებისათვის უნდა წარმოებდეს სპეციალურ საზღვაოსნო სასწავლებლებსა და სკოლებში მოქმედ პირობებში სახელმწიფოს ხარჯზე;

ვ) დაავალეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით, ერთი თვის ვადაში წარუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ეკონომიურად სუსტი თევზჭერის კოლმეურნეობების თევზის მოპოვების თევზქარხნების საამქროებად ან ბრიგადებად გადაკეთების წესის და ამ კოლმეურნეობათა ქონების გადაცემის წესის შესახებ;

ზ) დაავალეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ორი კვირის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ ინსტრუქცია თევზჭერის კოლმეურნეობებისათვის მისაყიდი თევზსარეწაო გემების, ჭერის იარაღების, სარეწაო მექანიზმების, ნაგებობების შეფასების შესახებ და მათ მიერ ნაღდ ანგარიშზე ან განაწილვადებით საწარმოო საშუალებათა შეძენისათვის თევზჭერის კოლმეურნეობათა ანგარიშსწორების წესის შესახებ.

თევზჭერის კოლმეურნეობების მიერ საწარმოო საშუალებათა ყიდვის დროს მათ მთლიანად ჩაეთვლებათ შეძენილი ტექნიკის ანაზღაურებაში სამოტორო-მეთევზეობის სადგურების დავალიანება კოლმეურნეობებისაგან წინათ მიღებული ქონებისათვის;

თ) დაავალეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს ორი თვის ვადაში წარუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადება იმ მასალებისა და საწარმოო დანიშნულების სხვა საქონლის ნომენკლატურის შესახებ, რომლებიც თევზჭერის კოლმეურნეობებს უნდა მიეყიდოთ გემთსარემონტო-ტექნიკური სადგურებისა და თევზის ქარხნების (თევზკომბინატების) მეშვეობით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი) დაავალეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით, ორი თვის ვადაში შეიმუშაოს პროექტი დებულებისა გემთსარემონტო-ტექნიკური სადგურისა და თევზის ქარხნის (თევზკომბინატის) შესახებ, რომელიც გემთსარემონტო-ტექნიკური სადგურის ფუნქციებს ასრულებს, და დასამტკიცებლად წარუდგინოს იგი მინისტრთა საბჭოს;

კ) დაავალეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, გაითვალისწინოს სახალხო-სამეურნეო გეგმებით, რომ გამოეყოს „ცენტროსოიუზს" ქსოვილები და სხვა მასალები სპეციალური სპეცტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შესაკერად მეთევზე კოლმეურნეებისათვის;

ლ) დაავალეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოს სამი თვის ვადაში შეიმუშაონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგინონ წინადადებანი თევზსარეწაო ფლოტის მცურავთა შემადგენლობის პირების, თევზჭერის კოლმეურნეობებში მომუშავე თევზის მრეწველობის სპეციალისტების და კოლმეურნეობის სხვა წევრების სოციალური უზრუნველყოფის სისტემისა და მათთვის შევბულების ანაზღაურების წესის შესახებ, აგრეთვე მცურავთა შემადგენლობის აღნიშნულ პირთა და სპეციალისტთა შეღავათების და უპირატესობათა შესახებ;

მ) დაავალეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით, ოთხი თვის ვადაში შეიმუშაონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგინონ წინადადებანი:

1. თევზჭერის კოლმეურნეობებში, მათთვის თევზის მოპოვების საწარმოო საშუალებათა მიყიდვასთან დაკავშირებით, თევზის, ზღვის ნადირისა და ზღვის პროდუქტების დამზადების დაგეგმვის წესის შესახებ, აგრეთვე თევზის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულების შემდეგ მოპოვებული თევზის კოლმეურნეობათა მიერ რეალიზაციის წესის შესახებ.

2. თევზჭერის კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი ნედლი თევზის იმ ერთიანი დასამზადებელი ფასების შესახებ, რომლებიც დიფერენცირებული იქნება მეთევზეობის რაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონების, თევზის ჯიშების, ხარისხიანობის და რეწვის [illegible] ხედვით, ამასთან მხედველობაში უნდა იქნას მიღებული იმ თევზის წახალისებითი დასამზადებელი ფასების დაწესება, რომელიც მოსახლეობაში გადიდებული მოთხოვნილებით სარგებლობს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ვ. მჟავანაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 7 აპრილი, № 274.

## 22 მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ზომების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების და სარეწაო კოოპერაციის მიერ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ერთგვარი გაუმჯობესების, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა და კომბინატების ქსელის გაფართოების მიუხედავად, საყოფაცხოვრებო მომსახურების ამჟამად არსებული დონე სერიოზულად ჩამორჩება მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

ბევრ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში საყოფახცოვრებო მომსახურების სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოების ქსელი საკმარისი არ არის, რის გამო მშრომელებს არ შეუძლიათ დროზე შეიკერონ, შეაკეთებინონ ან ქიმიურად გააწმენდინონ და დააუთოვებინონ ტანსაცმელი, შეაკეთებინონ ფეხსაცმელი, ავეჯი, ტელევიზორები, მაცივრები და კულტურული და სამეურნეო დანიშნულების სხვა ტექნიკურად რთული საგნები.

კომბინატების, ატელიეებისა და სახელოსნოების უმეტესობა კეთილმოუწყობელია, ისინი იმყოფებიან ანტისანიტარულ მდგომარეობაში, არ გააჩნიათ საჭირო ავეჯი მომსვლელთა მისაღებად. სახელოსნოები და ატელიეები არ არიან აღჭურვილი შესაბამისი ტექნოლოგიური მოწყობილობით. ამის გამო, წარმოების და შემკვეთთა მომსახურების კულტურა მთელ რიგ სახელოსნოებში დაბალია. მშრომელებისაგან ბევრი საჩივარი შემოდის იმაზე, რომ დამაკმაყო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფილებელი არ არის შეკერვისა და სარემონტო სამუშაოების ხარისხი, დიდი დრო სჭირდება შეკვეთების შესრულებას. მეტად არასაკმაოა ისეთი სახელოსნოების ქსელი, სადაც წვრილმანი შეკეთება შემკვეთის თანდასწრებით ხდება. სრულიად არასაკმაო ოდენობით წარმოებს ბინების შეკეთება მოქალაქეთა სახსრების ხარჯზე.

საყოფაცხოვრებო მომსახურების წარმოების დისლოკაცია ვერ მოიცავს ქალაქების მთელ მოსახლეობას. განსაკუთრებით ცუდად არის დაყენებული სოფლის მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურება.

კოლმეურნეებს და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს ბევრი სახის საყოფაცხოვრებო მომსახურების გამო უხდებათ მიმართონ რაიონულ ცენტრებს, სადაც აგრეთვე საკმაოდ არ არის გაშლილი საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელი.

ადგილობრივი მრეწველობა, სარეწაო და სამომხმარებლო კოოპერაცია სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებზე. საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მოწყობისათვის სუსტად წარმოებს კოლმეურნეობების სახსრების და შესაძლებლობათა მიზიდვა.

როგორც ქალაქებში, ისე სოფლადაც ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი ნივთების მიღება შესაკეთებლად მათი შინ მიტანით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისია, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი, ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სარეწაო საბჭო და ცეკავშირი საკმაოდ ვერ უზრუნველყოფენ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მოთხოვნილებებს მოწყობილობაზე, ქსოვილებზე, ტყავის საქონელზე, დამხმარე მასალებსა და სათადარიგო ნაწილებზე ტექნიკურად რთული საოჯახო საგნების შესაკეთებლად.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციის საქმეში არსებული ჩამორჩენა აიძულებს მშრომელებს მიმართონ კერძო პირებს და ზედმეტი ფული აძლიონ მათ, რაც დიდ ზიანს აყენებს მოსახლეობისა და სახელმწიფოს ინტერესებს.

რესპუბლიკაში საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, რაც ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის საარსებო საჭიროებებს, იმის შედეგია, რომ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი, თბილისის საქალაქო საბჭო, მშრომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციები უშუალოდ არ მუშაობენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საკითხებზე, არ გამოყოფენ საჭირო სადგომებს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელის გასადიდებლად, სრულიად არასაკმაო რაოდენობით წარმართავენ ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის დაგროვებებს ატელიეებისა და სახელოსნოების შესაქმნელად, უმნიშვნელო ოდენობით იზიდავენ ბანკის კრედიტებს ამ მიზნებისათვის და თითქმის სრულიად არ იყენებენ კოლმეურნეობათა სახსრებს იმისათვის, რომ შეიქმნას სოფლად მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა განშტოებული ქსელი. ცუდად არის მოწყობილი ისეთი კვალიფიციური კადრების მომზადება საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის, როგორიც არიან მკერავები, გამომჭრელები, მეჩექმეები, ტექნიკურად რთული საგნების რემონტის ოსტატები.

საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის მიერ დასახული ამოცანების საფუძველზე და შესასრულებლად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 6 მარტის № 245 დადგენილებისა „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ზომების შესახებ“ და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის დადგენილებისა „მოსახლეობის საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ზომების შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობისა და ვაჭრობის სამინისტროებს, საქართველოს სარეწაო საბჭოს, ცეკავშირს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მიიღონ ზომები მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების ძირეულად გაუმჯობესებისათვის, რათა უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში ყველგან იქნას უზრუნველყოფილი მოსახლეობა საყოფაცხოვრებო მომსახურების ძირი-

თადი სახეობებით. მთლიანად გამოიყენონ არსებული შესაძლებლობანი ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის შეკერვისა და სარემონტო ატელიეების, ველოსიპედებისა და მოტოციკლების, ტელევიზორების, რადიომიმღებების, მაცივრების, მტვერსასრუტების, სარეცხი მანქანების და სხვა საოჯახო საგნების სარემონტო სახელოსნოებისა და საწარმოების ქსელის გასაფართოებლად ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, მუშათა დაბებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, აგრეთვე საპარიკმახეროთა ქსელის გასაფართოებლად და ბინების რემონტის მოსაწყობად მოქალაქეთა სახსრების ხარჯზე. უფრო ფართოდ მიიზიდონ სოფლად ასეთი საწარმოების მოსაწყობად სამომხმარებლო კოოპერაცია და კოლმეურნეობები. მნიშვნელოვნად აამაღლონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობის კულტურა და გააუმჯობესონ მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი.

2. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს, ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სარეწაო საბჭოს, ცეკავშირის, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მუშათა მომარაგების სამმართველოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ გადიდდეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა მოცულობა 1961 წელს სულ ცოტა 224,4 მილიონ მანეთამდე, ნაცვლად 126,2 მილიონი მანეთისა 1958 წელს, და გადიდდეს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების რაოდენობა სულ ცოტა 5707-მდე 1961 წელს, ნაცვლად 3114-სა 1958 წელს, რაც განაწილდეს უწყებებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სახეობათა მიხედვით, № 1 დანართის თანახმად.

დაევალოთ საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირს, საქართველოს სარეწაო საბჭოს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მუშათა მომარაგების სამმართველოს 5 დღის ვადაში აცნობონ დაქვემდებარებულ საწარმოებს, ქალაქებსა და რაიონებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელისა და სამუშაოთა მოცულობის გადიდების დავალებანი, შეთანხმებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს,

ეროვნული

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) გადასცენ საექსპლუატაციოდ 1959 წელს ერთი აბანო ხობის რაიონში, ექვსი ჰიგიენური საშხაპო — ფოთში, ბორჯომში, მარნეულში, ხაშურში და თითო — აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში, საყოფაცხოვრებო მომსახურების ხუთი კომბინატი—გორში, თელავში, თეთრიწყაროში, ხაშურსა და წყალტუბოში; 1960 წელს გადასცენ საექსპლოატაციოდ საყოფაცხოვრებო მომსახურების 8 კომბინატი და 1961 წელს — 10 კომბინატი;

ბ) ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ წინადადებანი იმის შესახებ, რომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მიერ იჯარით აღებული შენობები გადაეცეს სახელმწიფო მრეწველობის საწარმოების ბალანსზე ან მიეყიდოს ასეთი შენობები სარეწაო კოოპერაციის არტელებს, აგრეთვე იმის შესახებ, რომ შემცირდეს იმ სადგომების საიჯარო განაკვეთები, რომლებიც აღნიშნულ საწარმოებს უკავიათ.

4. დაევალოს საქართველოს სარეწაო საბჭოს:

ა) მოაწყოს 1959 წელს საყოფაცხოვრებო მომსახურების ორი ახალი კომბინატი ქ. თბილისში და თითო ასეთი კომბინატი ჭიათურაში, ზესტაფონში, სამტრედიასა და მახარაძეში, გადასცეს საექსპლოატაციოდ 1960 წელს 6 კომბინატი და 1961 წელს — 10 კომბინატი;

ბ) მოაწყოს მოსახლეობისათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და საოჯახო ნაკეთობათა მისაქირავებელი პუნქტები 1959 წელს არანაკლებ თითო პუნქტისა ქ. თბილისის ყოველ რაიონში, აგრეთვე თითო გასაქირავებელი პუნქტი გარეუბნის საავარაკო ადგილებში, ხოლო 1960 და 1961 წლებში რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და საკურორტო ადგილებში.

დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს გამოუყოს საქართველოს სარეწაო საბჭოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 26 იანვრის № 81 განკარგულებით გათვალისწინებული რაოდენობის ზევით მოსახლეობისათვის დროებით სარგებლობაში გადასაცემად 30 ცალი პიანინო, 100 ცალი ტელევიზორი, 100 ცალი მაცივარი და 100 ცალი სარეცხი მანქანა;

გ) მოაწყოს ქ. თბილისის ყველა რაიონში ინდივიდუალური მობინადრეებისაგან ბინების შეკეთების შეკვეთების მიმღები თითო პუნქტი, აგრეთვე ამავე მიზნისათვის მოაწყოს თითო არტელი აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკებში, ამასთან იქონიოს მხედველობაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ 1960 წელს რესპუბლიკის ყველა ქალაქში ბინების შეკეთება მოქალაქეთა სახსრების ხარჯზე უნდა წარმოებდეს სარეწაო კოოპერაციის ძალებით;

დ) მოაწყოს 1959 წელს ქ. თბილისში ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვის პირველი კლასის 2 ატელიე; 1960 და 1961 წლებში კიდევ პირველი კლასის 5 ატელიე;

ე) მოაწყოს მოსახლეობისათვის ახალი სახის საყოფაცხოვრებო მომსახურება — საქურქჩე სამუშაოები, ხელთათმანების, ქოლგების შეკეთება, ტანსაცმლის მხატვრული კემსვა, ბეწვეულობის შეღებვა, იატაკის წმენდის სამუშაოები და სხვ;

ვ) მოაწყოს 1959 წელს ავეჯის, ჭურჭლის და სხვა ნაკეთობათა რემონტი მოსახლეობის ბინაზე, რისთვისაც უნდა გაგზავნოს სპეციალისტები ცალკეული სახის რემონტისა და მოსახლეობის ერთჯერადი მომსახურების ცალკეულ სახეობათა შესასრულებლად (ბინების დალაგება, იატაკის გაწმენდა, შეშის დახერხვა და დაწყობა და სხვა სამუშაოები);

ზ) მოაწყოს 1959 წელს ნახმარი ნივთების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და სხვა საოჯახო საგნების შესყიდვა მოსახლეობისაგან;

თ) მოაწყოს ქ. თბილისში მუშათა მუდმივმოქმედი ბრიგადები საჰაპანო ტრანსპორტით, რომლებიც მომსახურებას გაუწევენ მოსახლეობას შეძენილი საოჯახო ნივთებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შეფუთვის, დატვირთვისა და შინ მიტანის საქმეში;

ი) განახორციელოს 1959 წელს ტანსაცმლის ქიმიური წმენდისა და შეღებვის ერთი ფაბრიკის მშენებლობა ქ. თბილისში და 1960 წელს — კიდევ ორი ფაბრიკისა ქალაქ ქუთაისსა და სოხუმში.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს და საქართველოს სარეწაო საბჭოს, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მუშათა შრომის ნაყოფიერების ამაღლების, სამუშაოთა ღირებულების შემცირებისა და მოსახლეობისათვის რაც შეიძლება მეტი მოხერხებულობის შექმნის მიზნით, გაითვალისწინონ მშენებლობა ქალაქ თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ტყიბულში, ჭიათურაში, ტყვარჩელში, რუსთავში ფეხსაცმლის, ავეჯის და ტექნიკურად რთული საოჯახო საგნების სარემონტო მექანიზებული ფაბრიკებისა და სპეციალიზებული სახელოსნოებისა მიმღები პუნქტების ფართო ქსელით, რომლებიც შეასრულებენ წვრილ რემონტს შემკვეთის თანდასწრებით.

6. დაევალოთ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს და საქართველოს სარეწაო საბჭოს მოაგვარონ თავიანთ საწარმოებში ფურნიტურის, ინსტრუმენტისა და სხვა დამხმარე მასალების წარმოება, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა სავსებით იქნას უზრუნველყოფილი საწარმოების მოთხოვნილება ამ მასალებზე.

7. დაევალოს ცეკავშირის გამგეობას:

ა) გადასცეს საექსპლოატაციოდ 1959 წელს საყოფაცხოვრებო მომსახურების ოთხი კომბინატი გურჯაანის, გორის, წალენჯიხისა და სამგორის რაიონებში, 1960 წელს სულ ცოტა 6 კომბინატი და 1961 წელს — სულ ცოტა რვა კომბინატი;

ბ) მოაწყოს ცეკავშირის კოოპერაციულ სკოლასთან საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვადასხვა სპეციალობის ოსტატთა მოსამზადებელი მუდმივმოქმედი კურსები მსმენელთა 60 კაცის კონტინგენტით.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რაიაღმასკომებთან ერთად, ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს ამ დადგენილების შესაბამისად საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მშენებლობის 1959, 1960 და 1961 წლების გეგმა, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ უახლოესი ორი წლის მანძილზე თვითეულ საბჭოთა მეურნეობასა და დიდ დასახლებულ პუნქტებში უნდა შეიქმნას სარემონტო და სამკერვალო სახელოსნოები, აბანოები, საპარიკმახეროები და სხვა საწარმოები.

9. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს განახორციელონ განუყოფელი ფონდების ხარჯზე საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის საჭირო სადგომების მშენებლობა იმ ანგარიშით, რომ შემდგომ ისინი გადაეცეს დროებითი სარგებლობისათვის ცეკავშირს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საჭირო სახეობათა მოსაწყობად.

10. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მოაწყოს ქ. თბილისში მაღალხარისხოვანი ფეხსაცმლის შეკერვა ინდივიდუალური შეკვეთებით (მოსკოვის სახელმწიფო უნივერსალური მაღაზიის ტიპისა) და საბავშვო ასორტიმენტის ფეხსაცმლის ინდივიდუალური შეკერვა.

11. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს:

ა) მოაწყოს 1959 წელს ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვის სამი ახალი ატელიე ახალციხეში, სამტრედიაში და პირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასისა—ქ. თბილისში, გახსნას კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და საოჯახო საგნების შემკეთებელი ხუთი სახელოსნო ქ. სოხუმში, ბათუმში, სტალინირში, რუსთავსა და ქუთაისში და ერთი ავტოპროფილაქტორიუმი ქ. თბილისში;

ბ) მოაწყოს ქ. თბილისში, ბათუმში, სოხუმსა და სტალინირში დამხმარე მასალებისა და ქიმიკატების, სათადარიგო ნაწილების ინსტრუმენტის, ფურნიტურის წვრილსაბითუმო მიყიდვა საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის ნაღდ ანგარიშზე და უნაღდო ანგარიშსწორების წესით;

გ) საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროსთან, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან, ცეკავშირთან და საქართველოს სარეწაო საბჭოსთან ერთად, ერთი თვის ვადაში მოაწყონ სახელოსნოებში, ატელიეებსა და მიმღებ პუნქტებში ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ფურნიტურის, ტანსაცმლის საწმენდი ქიმიკატების, თარგების და მოდის ჟურნალების მიყიდვა მოსახლეობისათვის საბაზრო ფონდების ხარჯზე;

დ) საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროსთან, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან, საქართველოს სარეწაო საბჭოსთან და ცეკავშირთან ერთად, სამი თვის ვადაში შეიმუშაოს, დაამტკიცოს და გამოსცეს სამკერვალო და სარემონტო-საყოფაცხოვრებო მომსახურების საპრეისკურანტო ფასები, ამასთან იქონიოს მხედველობაში იმ სამუშაოთა ღირებულების შემცირება, რომლებსაც საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოები ასრულებენ.

12. ეცნობოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ „მოსახლეობისათვის ფეხსაცმლის, ტანსაცმლისა და ლითონის ნაკეთობათა შემკეთებელი სახელოსნოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ 1951 წლის 23 მაისის № 1726 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, ნება დართო მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს შეიძინონ საცალო მაღაზიებში სარემონტო შეკეთების სამუშაოებისათვის ინსტრუმენტები, სათადარიგო დეტალები, ძაფი, ხმელი ტილო, ღილები, ლაქები, საღებავები და სხვა მასალები ნაღდ ანგარიშზე, ისე რომ ერთდროულად დაიხარჯოს არა უმეტეს 150 მანეთისა.

13. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს, ცეკავშირსა და საქართველოს

ეროვნული

სარეწაო საბჭოს შეიმუშაონ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბ-ჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით დაამტკიცონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის საჭირო მკერავთა, მეფეხსაცმელეთა, ავეჯის, ლითონის ნაწარმის და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ტექნიკურად რთუ-ლი საგნების რემონტის ოსტატთა მომზადებისა და გადამზადების 1959—1961 წლების გეგმები, ამასთან იქონიონ მხედველობაში საწარმოების სრულად უზრუნველყოფა ამ სპეციალობის კვალიფი-ციური მუშაკებით. გარდა ამისა, ფართოდ შემოიღონ ოსტატთა მომ-ზადება ინდივიდუალური სწავლების გზით.

უზრუნველყონ, რომ საწარმოებმა ფართოდ მიიზიდონ მოსახ-ლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა შინ შესას-რულებლად კვალიფიციური მუშები და მუშა-ქალები, რომლებსაც არა აქვთ შესაძლებლობა იმუშაონ უშუალოდ საწარმოებში.

14. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიო-ნულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბ-ჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, თბილი-სის საქალაქო საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიო-ნული საბჭოების აღმასკომებს:

ა) განიხილონ საკითხი, რომ განთავისუფლდეს სადგომები ქალაქებში, მუშათა დაბებსა და რაიონულ ცენტრებში მოსახლეო-ბის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოების მოსაწყობად, სხვადასხვა ორგანიზაციათა და დაწესებულებათა კანტორების შემ-ჭიდროების ხარჯზე;

ბ) ქალაქებისა და ცალკეული საცხოვრებელი რაიონების და-გეგმვის და განაშენიანების პროექტების შედგენისა და დამტკიცე-ბის დროს გაითვალისწინონ საყოფაცხოვრებო მომსახურების სა-წარმოების განლაგება, ამასთან იქონიონ მხედველობაში ამ სა-წარმოების დაახლოება მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილებთან;

გ) დააწესონ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების გამოსასვლელი დღეები და მუშაობის საათები იმის გათვალისწინე-ბით, რომ შეიქმნას რაც შეიძლება მეტი მოხერხებულობა მშრო-მელებისათვის;

დ) განიხილონ საკითხი და განახორციელონ ღონისძიებანი, რომ-ლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსა-ხურების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, ამასთან იქონიონ მხედვე-ლობაში, რომ უახლოესი ორი წლის მანძილზე ქალაქებში, რაიო-ნულ ცენტრებსა და მსხვილ დასახლებულ პუნქტებში არსებობდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები, რათა სავსებით იქნას დაკმაყოფილებული მოსახლეობის მოთხოვნილებანი და საჭიროებანი.

ე) 1959 წლის 1 ივნისამდე უზრუნველყონ შესაბამისი სადგომებით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი მიმღები პუნქტები, კომბინატები და სახელოსნოები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დადგენილებით 1959 წლისათვის;

ვ) განიხილონ აბანოების, საშხაპოებისა და სამრეცხაოების მუშაობის საკითხი, მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ სანიტარული მდგომარეობა და დაამყარონ მათში სათანადო წესრიგი;

ზ) საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროსთან, საქართველოს სარეწაო საბჭოსთან და ცეკავშირთან ერთად, გამოიყენონ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მშენებლობისა და გაფართოებისათვის ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ფონდების სახსრები და სარეწაო და სამომხმარებლო კოოპერაციის მოგება საშემოსავლო გადასახადის გადახდის შემდეგ, ბიუჯეტის შემოსავლის გადამეტება გასავალზე, აგრეთვე გამოიყენონ ბანკის კრედიტები.

15. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროსთან, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან, ცეკავშირთან და საქართველოს სარეწაო საბჭოსთან ერთად, ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს დასამტკიცებლად ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ კომუნალური სამრეცხაოების ქსელის გაფართოებას ქალაქებსა და მუშათა დაბებში, აგრეთვე სამრეცხაოების მოწყობას სოფელ ადგილებში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სარეწაო და სამომხმარებლო კოოპერაციის სახსრების ხარჯზე.

16. დაევალოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას აძლიოს სარეწაო კოოპერაციის არტელებს და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის სარეწაო კოოპერაციის საბჭოებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირების ვალდებულებებით და მათი შუამდგომლობით კრედიტი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მშენებლობისათვის 800 ათას მანეთამდე დანახარჯებით ერთ საწარმოზე,

ეროვნული

ვადით ერთი წლიდან ექვს წლამდე იმ ანგარიშით, რომ სესხის დაფარვა დაიწყოს მისი მიღების შემდეგ მეორე წლიდან.

ამის შესაბამისად, დაევალოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კანტორას გამოუყოს 1959 წელს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მშენებლობისათვის გრძელვადიანი კრედიტები: ცეკავშირს — 5 მილიონი მანეთის და საქართველოს სარეწაო საბჭოს — ერთი მილიონი მანეთის ოდენობით.

17. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს შეიმუშაოს და დაამტკიცოს დადგენილი წესით საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის ტიპობრივი პროექტი რესპუბლიკის ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და დიდი სოფლების პირობების შესაბამისად.

18. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 6 მარტის № 245 დადგენილებით გამოყოფილი ტექნოლოგიური მოწყობილობა და ავტომანქანები გადაეცეს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს, საქართველოს სარეწაო საბჭოს, ცეკავშირს და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს იმ დასახელებებითა და რაოდენობით, რაც აღნიშნულია №№ 2 და 3 დანართებში.

19. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას:

ა) შეიტანოს სამინისტროებისა და უწყებების სამშენებლო-ორგანიზაციების საიჯარო სამუშაოთა გეგმებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მშენებლობა ხელშეკრულებებით, მათი უწყებრივი კუთვნილების დამოუკიდებლად;

ბ) გაითვალისწინოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მოთხოვნილების უზრუნველყოფა ნედლეულით, ქიმიკატებით, მასალებით, სათადარიგო ნაწილებით, მოწყობილობითა და ავტოტრანსპორტით, სამუშაოთა მათთვის დაწესებული მოცულობის შესაბამისად, აგრეთვე საშენი მასალებით ახალი საწარმოების მოსაწყობად და ბინების შესაკეთებლად;

გ) გაითვალისწინოს სახალხო მეურნეობის გეგმებით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა მოცულობა.

20. ეთხოვოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუყოს 1959 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საშენი მასალები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მშენებლობისათვის.

21. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროს საქართველოს სსრ პროფესიულ კავშირთა საბჭოს.

22. დაევალოთ საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სარეწაო საბჭოს, ცეკავშირს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მუშათა მომარაგების სამმართველოს 1959 წლის 15 ივლისისა და 1960 წლის 15 იანვრისათვის მოახსენონ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მუშაობას ყოველდღიურ კონტროლს უნდა უწევდნენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები და პროფკავშირული ორგანიზაციები, საზოგადოებრივი კონტროლი უნდა წარიმართოს მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების მაღალი კულტურისათვის, სახელოსნოების სანიმუშო მუშაობისათვის და მათ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის ბრძოლის გაძლიერებისაკენ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ყურადღებას მიაქცევენ იმ გარემოებას, რომ საჭიროა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ძირეულად გაუმჯობესების ამ დადგენილებით დაწესებულ დავალებათა უცილობლივ შესრულება, რაც ხელს შეუწყობს მშრომელთა რეალური ხელფასის შემდგომ გადიდებას.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
| **ვ. მჟავანაძე.** | **გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1959 წ. 24 აპრილი № 329.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამუშაოთა მოცულობა და საწარმოთა რაოდენობა მოსახლეობის საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების ხაზით

| | 1959 წელი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | წერტების რაოდენობა | | | სამუშაოთა მოცულობა | | |
| | სულ | ქალაქი | სოფელი | სულ | ქალაქი | სოფელი |
| სულ . . . . . . | 3938 | 2045 | 1893 | 165071 | 132289 | 32782 |
| **ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრო** | 1142 | 781 | 361 | 36913 | 6633 | 10280 |
| ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვა და რემონტი . . . . | 185 | 126 | 59 | 7690 | 5855 | 1836 |
| ფეხსაცმლის რემონტი | 205 | 129 | 76 | 2592 | 1772 | 820 |
| ავეჯის რემონტი . . | 29 | 26 | 3 | 520 | 485 | 35 |
| ავტომანქანების პროფილაქტიკა და რემონტი. | 58 | 30 | 28 | 3540 | 1860 | 1680 |
| კულტურულ - საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საგნების რემონტი . . | 100 | 74 | 26 | 2300 | 1829 | 471 |
| ქიმიური გაწმენდა და შეღებვა . . . . | 30 | 28 | 2 | 400 | 375 | 25 |
| ფოტოგრაფიები | 85 | 51 | 34 | 2100 | 1528 | 572 |
| საპარიკმახეროები . . | 367 | 268 | 99 | 13391 | 10331 | 3060 |
| სხვა სახეობანი . . . | 83 | 49 | 34 | 4380 | 2598 | 1782 |
| **საქართველოს სარეწაო საბჭო** | 1410 | 1084 | 326 | 69480 | 65201 | 4279 |
| ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვა და რემონტი . . . | 240 | 196 | 44 | 19253 | 18576 | 677 |
| ფეხსაცმლის რემონტი . | 395 | 274 | 121 | 7967 | 6941 | 1026 |
| ავეჯის რემონტი . . | 25 | 24 | 1 | 592 | 576 | 16 |

მუხ. 22
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა
და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 24 აპრილის № 329
დადგენილების დანართი № 1

**საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოების სახეობათა მიხედვით
1959—1961 წლებისათვის**

(სამუშაოთა მოცულობა ათას მანეთობით)

| 1960 წელი | | | | | | 1961 წელი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წერტების რაოდენობა | | | სამუშაოთა მოცულობა | | | წერტების რაოდენობა | | | სამუშაოთა მოცულობა | | |
| სულ | ქალაქი | სოფელი | სულ | ქალაქი | სოფელი | სულ | ქალაქი | სოფელი | სულ | ქალაქი | სოფელი |
| 4858 | 2229 | 2629 | 191376 | 146705 | 44671 | 5707 | 2427 | 3280 | 224391 | 168281 | 56110 |
| 1430 | 931 | 499 | 44015 | 30907 | 13108 | 1674 | 1111 | 563 | 52096 | 36640 | 15456 |
| 224 | 154 | 70 | 8380 | 6281 | 2099 | 253 | 176 | 77 | 9190 | 6825 | 2365 |
| 265 | 153 | 112 | 3437 | 2267 | 1170 | 325 | 207 | 118 | 4390 | 3095 | 1295 |
| 55 | 34 | 21 | 1085 | 852 | 233 | 65 | 38 | 27 | 1522 | 1133 | 389 |
| 60 | 30 | 30 | 3700 | 1900 | 1800 | 70 | 38 | 32 | 4300 | 2380 | 1920 |
| 112 | 80 | 32 | 2667 | 2098 | 569 | 130 | 87 | 43 | 3351 | 2454 | 897 |
| 52 | 28 | 24 | 700 | 388 | 312 | 65 | 33 | 32 | 900 | 484 | 416 |
| 106 | 64 | 42 | 2900 | 1940 | 960 | 130 | 84 | 46 | 3500 | 2425 | 1075 |
| 450 | 329 | 121 | 15531 | 11987 | 3544 | 507 | 368 | 139 | 18240 | 13871 | 43 9 |
| 106 | 59 | 47 | 5615 | 3194 | 2421 | 129 | 80 | 49 | 6703 | 3973 | 2730 |
| 1453 | 1103 | 350 | 73383 | 68372 | 5011 | 1479 | 1105 | 374 | 82763 | 77083 | 5680 |
| 272 | 216 | 56 | 20444 | 19563 | 881 | 301 | 233 | 68 | 22157 | 21117 | 1040 |
| 390 | 265 | 125 | 8580 | 7493 | 1087 | 368 | 239 | 129 | 9580 | 8438 | 1142 |
| 34 | 32 | 2 | 890 | 863 | 27 | 43 | 41 | 2 | 1230 | 1200 | 30 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | 1959 წელი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | წერტების რაოდენობა | | | სამუშაოთა მოცულობა | | |
| | სულ | ქალაქი | სოფელი | სულ | ქალაქი | სოფელი |
| კულტსაყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საგნების რემონტი | 150 | 134 | 16 | 4500 | 4286 | 264 |
| ქიმიური წმენდა და შეღებვა | 18 | 18 | — | 980 | 930 | — |
| ფოტოგრაფიები | 179 | 142 | 37 | 5466 | 4766 | 700 |
| საპარიკმახეროები | 363 | 259 | 104 | 15892 | 14378 | 1514 |
| საყოფაცხოვრებო მომსახურების დანარჩენი სახეობანი | 40 | 37 | 3 | 14830 | 14748 | 82 |
| **ვაჭრობის სამინისტრო** | 40 | 40 | — | 18250 | 18250 | — |
| ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვა და რემონტი | 30 | 30 | — | 16300 | 16300 | — |
| საგარანტიო და გარანტიის შემდგომი რემონტი | 8 | 8 | — | 1550 | 1550 | — |
| ავტომანქანების პროფილაქტიკა და რემონტი. | 2 | 2 | — | 400 | 400 | — |
| **სახალხო მეურნეობის საბჭო** | 60 | 58 | 2 | 21292 | 20808 | 484 |
| ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვა და რემონტი | 12 | 11 | 1 | 3800 | 3690 | 110 |
| ფეხსაცმლის ინდივიდუალური შეკერვა და რემონტი | 32 | 31 | 1 | 17150 | 16776 | 374 |
| საპარიკმახეროები | 14 | 14 | — | 335 | 335 | — |
| საყოფაცხოვრებო რემონტის სხვა სახეობანი | 2 | 2 | — | 7 | 7 | — |
| **ცეკავშირი*** | 1140 | — | 1140 | 17088 | — | 17088 |
| ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვა და რემონტი | 171 | — | 171 | 3365 | — | 3365 |
| ფეხსაცმლის რემონტი | 251 | — | 251 | 2798 | — | 2798 |
| ავეჯის რემონტი | 36 | — | 36 | 447 | — | 447 |

მუზ. 22
ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1960 წელი | | | | | | 1961 წელი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წერტების რაოდენობა | | | სამუშაოთა მოცულობა | | | წერტების რაოდენობა | | | სამუშაოთა მოცულობა | | |
| სულ | ქალაქი | სოფელი | სულ | ქალაქი | სოფელი | სულ | ქალაქი | სოფელი | სულ | ქალაქი | სოფელი |
| 154 | 137 | 17 | 5000 | 4699 | 301 | 173 | 155 | 18 | 5960 | 5588 | 372 |
| 19 | 19 | — | 1151 | 1151 | — | 26 | 26 | — | 1336 | 1336 | — |
| 181 | 141 | 40 | 5625 | 4883 | 742 | 169 | 129 | 40 | 5744 | 4983 | 761 |
| 361 | 255 | 106 | 16726 | 14843 | 1883 | 367 | 259 | 108 | 18013 | 16082 | 1931 |
| 42 | 38 | 4 | 14967 | 14877 | 90 | 32 | 23 | 9 | 18743 | 18339 | 404 |
| 49 | 49 | — | 19790 | 19790 | — | 58 | 58 | — | 22050 | 22050 | — |
| 35 | 35 | — | 17200 | 17200 | — | 40 | 40 | — | 19220 | 19220 | — |
| 12 | 12 | — | 2140 | 2140 | — | 15 | 15 | — | 2230 | 2230 | — |
| 2 | 2 | — | 450 | 450 | — | 3 | 3 | — | 600 | 600 | — |
| 60 | 58 | 2 | 26679 | 26114 | 565 | 62 | 60 | 2 | 31511 | 30886 | 625 |
| 12 | 11 | 1 | 4070 | 3955 | 115 | 12 | 11 | 1 | 4350 | 4225 | 125 |
| 32 | 31 | 1 | 22220 | 21770 | 450 | 34 | 33 | 1 | 26730 | 26230 | 500 |
| 14 | 14 | — | 380 | 380 | — | 14 | 14 | — | 420 | 420 | — |
| 2 | 2 | — | 9 | 9 | — | 2 | 2 | — | 11 | 11 | — |
| 1697 | — | 1697 | 25081 | — | 25081 | 2238 | — | 2238 | 33118 | — | 33118 |
| 263 | — | 263 | 5380 | — | 5380 | 338 | — | 338 | 6860 | — | 6860 |
| 388 | — | 388 | 4776 | — | 4776 | 510 | — | 510 | 6608 | — | 6608 |
| 49 | — | 49 | 644 | — | 644 | 64 | — | 64 | 872 | — | 872 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | 1959 წელი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | წერტების რაოდენობა | | | სამუშაოთა მოცულობა | | |
| | სულ | ქალაქი | სოფელი | სულ | ქალაქი | სოფელი |
| კულტსაყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საგნების რემონტი | 125 | — | 125 | 1607 | — | 1607 |
| ფოტოგრაფიები | 73 | — | 73 | 688 | — | 688 |
| საპარიკმახეროები | 409 | — | 409 | 4033 | — | 4033 |
| საყოფაცხოვრებო რემონტის სხვა სახეობანი | 75 | — | 75 | 4150 | — | 4150 |
| **ა. კ. რკინიგზის სამმართველო** | 146 | 82 | 64 | 2018 | 1397 | 651 |
| ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვა და რემონტი | 21 | 8 | 13 | 525 | 330 | 195 |
| ფეხსაცმლის ინდივიდუალური შეკერვა და რემონტი | 70 | 39 | 31 | 675 | 419 | 256 |
| ავეჯის რემონტი | 1 | 1 | — | 30 | 30 | — |
| კულტსაყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საგნების რემონტი | 5 | 5 | — | 78 | 78 | — |
| ქიმიური წმენდა და შეღებვა | 1 | 1 | — | 10 | 10 | — |
| საპარიკმახეროები | 48 | 28 | 20 | 730 | 530 | 200 |

*) ცეკავშირის ხაზით გრაფაში „სოფლად" შეტანება საყოფაცხოვრებო მომსახურებას უწევს სამომხმარებლო კოოპერაცია.

მუხ. 22
ეროვნული
ბიბლიოთეკა

| 1960 წელი | | | | | | 1961 წელი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წერტების რაოდენობა | | | სამუშაოთა მოცულობა | | | წერტების რაოდენობა | | | სამუშაოთა მოცულობა | | |
| სულ | ქალაქი | სოფელი | სულ | ქალაქი | სოფელი | სულ | ქალაქი | სოფელი | სულ | ქალაქი | სოფელი |
| 191 | — | 191 | 2396 | — | 2396 | 254 | — | 254 | 3256 | — | 3256 |
| 108 | — | 108 | 996 | — | 996 | 141 | — | 141 | 1270 | — | 1270 |
| 590 | — | 590 | 6004 | — | 6004 | 797 | — | 797 | 8885 | — | 8885 |
| 108 | — | 408 | 4885 | — | 4885 | 134 | — | 134 | 5367 | — | 5367 |
| 169 | 88 | 81 | 2428 | 1522 | 906 | 196 | 93 | 103 | 2853 | 1622 | 1231 |
| 28 | 8 | 20 | 685 | 330 | 355 | 37 | 8 | 29 | 890 | 330 | 560 |
| 77 | 39 | 38 | 740 | 419 | 321 | 86 | 39 | 47 | 820 | 419 | 401 |
| 2 | 2 | — | 60 | 60 | — | 3 | 3 | — | 90 | 90 | — |
| 8 | 8 | — | 153 | 153 | — | 10 | 10 | — | 203 | 203 | — |
| 3 | 3 | — | 30 | 30 | — | 5 | 5 | — | 50 | 50 | — |
| 51 | 28 | 23 | 760 | 530 | 230 | 55 | 28 | 27 | 800 | 530 | 270 |

ხურების საწარმოები რაიცენტრებსა და ქალაქებში, რომლებსაც მომსახურე-

ეროვნული

საქართველოს კპ ცენტრალური

და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

1959 წლის 24 აპრილის № 329

დადგენილების დანართი № 2

# უ წ ყ ი ს ი

## მოწყობილობისა, რომელიც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს გამოეყოთ 1959 წლისათვის

(ცალობით)

| | სულ | მათ შორის | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 22 კლასისა ა, ბ, გ, დ, ე, ვ, | ზიგზაგი 26 კლ. | საგრაგნილო 51 და 51 ა | სილების ალესანიშნავი 65 კლ. |
| **სულ საკერავი მანქანები** | 130 | 100 | 10 | 10 | 10 |
| მათ შორის: | | | | | |
| აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო | 10 | 7 | 1 | 1 | 1 |
| აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო | 10 | 7 | 1 | 1 | 1 |
| სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი | 3 | 2 | — | 1 | — |
| თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი | 2 | 2 | — | — | — |
| ვაჭრობის სამინისტრო | 15 | 7 | 3 | 2 | 3 |
| ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრო | 30 | 27 | 1 | 1 | 1 |
| საქართველოს სარეწაო საბჭო | 35 | 26 | 3 | 3 | 3 |
| ცეკავშირი | 25 | 22 | 1 | 1 | 1 |
| **საქურქჩე მანქანები 10 კლ. ბ** | 5 | — | — | — | — |
| მათ შორის: | | | | | |
| საქართველოს სარეწაო საბჭო | 5 | — | — | — | — |
| **საკერავი მანქანები** | | | | | |
| ფეხსაცმლისა 34 კლ. | 10 | — | — | — | — |
| მათ შორის: | | | | | |
| სახალხო მეურნეობის საბჭო | 10 | — | — | — | — |

მუხ. 22
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის
და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 24 აპრილის № 329
დადგენილების დანართი № 3

## უ წ ყ ი ს ი

### ავტომანქანებისა, რომლებიც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს გამოეყო 1959 წლისათვის

(ცალობით)

| | სულ | მათ შორის | | |
|---|---|---|---|---|
| | | მ-423 | გაზ-51 ფურ-გონი | გაზ-51 |
| სულ | 18 | 10*) | **) | 3***) |
| მათ შორის: | | | | |
| აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო | 1 | 1 | — | — |
| აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო | 1 | 1 | — | — |
| სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი | 1 | 1 | — | — |
| თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი | 1 | — | 1 | — |
| ვაჭრობის სამინისტრო | 1 | — | 1 | — |
| ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრო | 4 | 4 | — | — |
| საქართველოს სარეწაო საბჭო | 4 | 3 | 1 | — |
| ცეკავშირი | 5 | — | 2 | 3 |

*) სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 6 მარტის № 245 დადგენილებით სარეზერვო ფონდიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის დამატებით გამოყოფის ხარჯზე;

**) საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს 1959 წლის ფონდის შემცირების ხარჯზე;

***) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რეზერვის ხარჯზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 23 საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ

აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილების და პარტიისა და მთავრობის შემდგომ გადაწყვეტილებათა შედეგად, მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა გაწეული რესპუბლიკაში საზოგადოებრივი კვების განვითარებისა და მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

ამასთან ერთად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ „საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 20 თებერვლის დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი სავსებით შეეხება საქართველოს სსრ საზოგადოებრივი კვების საწარმოებსაც.

რესპუბლიკაში საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი საკმაოდ არ არის განვითარებული. ქსელის დისლოკაცია არადამაკმაყოფილებელია. საკმარისი არ არის საწარმოების აღჭურვა სავაჭრო-ტექნოლოგიური და სამაცივრო მოწყობილობით, აგრეთვე ჭურჭლით, ინვენტარითა და ავეჯით. მოსახლეობის მომსახურება საზოგადოებრივი კვებით მეტად დაბალია, ხოლო საკუთარი პროდუქციის ხვედრითი წონა საზოგადოებრივი კვების ბრუნვაში არ აღემატება 30—35 პროცენტს. ბევრ სასადილოში საჭმელი ერთფეროვანი, უგემური და ძვირია.

საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაკები, სასადილოთა ტრესტების, სავაჭრო ორგანიზაციების, მუშათა მომარაგების სამმართველოების, სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სამრეწველო საწარმოებისა და სასწავლებლების დირექტორები, აგრეთვე რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციები არ იჩენენ სათანადო მზრუნველობას მომხმარებელთა საჭიროებისათვის და არ იღებენ ქმედითს ზომებს საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მოსახლეობის კვებით მომსახურების ძირეულად გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე კვების ღირებულების გაიაფებისათვის.

იქ, სადაც სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები და სამრეწველო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და სასწავლებლების დირექტორები უშუალოდ მონაწილეობენ და დახმარებას უწევენ საზოგადოებრივი კვების საქმეს, სასადილოები უკეთ მუშაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენ (დიმიტროვის სახელობის ქარხანა, თბილისის კამვოლ-მაუდის და ტრიკოტაჟის კომბინატები, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა ტყიბულ-ქვანახშირისა და ჭიათურის მარგანეცის ტრესტები, კასპის ცემენტის ქარხანა, ლაითურისა და აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობები, გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა და სხვ.).

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, მუშათა მომარაგების სამმართველოები და ცეკავშირის გამგეობა ჯერ კიდევ არასაკმაოდ მუშაობენ საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების საკითხებზე, ნელი ტემპებით ეწევიან სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოების მუშაობის გაუმჯობესების საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები ფონდების განაწილებისა და მიმწოდებლებისაგან პროდუქტების გაცემის დროს ვერ უზრუნველყოფენ სასურსათო საქონლის პირველ რიგში მიცემას საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის. მთელ რიგ შემთხვევებში სასადილოებს ეძლევათ ცუდი ხარისხის, არადამაკმაყოფილებელი ასორტიმენტის პროდუქტები და ისიც დიდი შეფერხებით.

საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი, საქალაქო და რაიონული აღმასკომები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ საზოგადოებრივი კვების საკითხებს.

პარტიულმა, საბჭოთა და პროფკავშირულმა ორგანოებმა პრინციპულ სიმაღლეზე ვერ დააყენეს საზოგადოებრივი კვების საქმე, მათ იგი დღემდეც მხოლოდ სავაჭრო ორგანიზაციების საქმედ მიაჩნიათ და არ ითვალისწინებენ იმას, რომ საზოგადოებრივი კვება არათუ უზრუნველყოფს საზოგადოების მატერიალური და შრომითი რესურსების მომჭირნეობას, არამედ ძირფესვიანად ცვლის ოჯახის ყოფაცხოვრებას, ათავისუფლებს ქალებს საოჯახო მეურნეობის სიმძიმისაგან.

„საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 20 თებერვლის დადგენილების და „საზოგადოებრივი კვების და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომი-

ეროვნული

ტეტის VIII პლენუმის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქალაქო აღმასკომებსა და რაიაღმასკომებს, საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას და მათს ადგილობრივ ორგანოებს განუხრელად იხელმძღვანელონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 20 თებერვლის დადგენილებით „საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ“, შეიმუშაონ ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი საზოგადოებრივი კვების განვითარებისათვის, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა უახლოეს წლებში გახდეს საზოგადოებრივი კვება ნამდვილად მასობრივი, მოხერხებული და ხელსაყრელი მშრომელთა ფართო მასებისათვის.

2. დამტკიცდეს საზოგადოებრივი კვების საწარმოების მიერ პროდუქციის გამოშვების დავალება 1959—1965· წლებისათვის იმ ანგარიშით, რომ კერძების გამოშვება გადიდდეს 1965 წელს 330 მილიონამდე, მათ შორის ცეკავშირის ხაზით—70 მილიონ კერძამდე, რაც განაწილდეს ორგანიზაციების, ქალაქებისა და რაიონების მიხედვით, №№ 1 და 2 დანართების თანახმად.

აყვანილ იქნას საკუთარი პროდუქციის ხვედრითი წონა საზოგადოებრივი კვების საერთო ბრუნვაში შვიდწლედის დამლევისათვის 55 პროცენტამდე სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაში და სულ ცოტა 40 პროცენტამდე—სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში.

უახლოესი ორი წლის განმავლობაში გაორკეცდეს ბოსტნეულისა და თევზის კერძების გამოშვება.

3. დამტკიცდეს 1959—1965 წლებისათვის, როგორც მინიმალური, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის გადიდების დავალება 1380 საწარმოს რაოდენობით. რომლებშიაც უნდა იყოს 64,0 ათასი დასაჯდომი ადგილი, რაც განაწილდეს სავაჭრო სისტემების, ორგანიზაციების, ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მიხედვით, №№ 3 და 4 დანართების თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქრთველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ააშენონ და გააწყონ საბჭოთა მეურნეობებთან, ჩაის ფაბრიკებთან და ღვინის ქარხნებთან, რომლებსაც მომსახურებას უწევს სამომხმარებლო კოოპერაცია, 128 სასადილო მათში 5.120 დასაჯდომი ადგილით, რაც განაწილდეს მშენებლობის ობიექტების მიხედვით, № 5 დანართის თანახმად.

5. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქალაქო და რაიონულ აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილებზე არსებული შესაძლებლობანი საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის გასავითარებლად, რისთვისაც გადააკეთონ ამ მიზნისათვის გამოსადეგი შენობები, უფრო რაციონალურად გამოიყენონ მოქმედი სასადილოების სადგომები და 1959 წლის დამლევამდე გადასცენ არადანიშნულებით დაკავებული სადგომები. გამოყონ აგრეთვე ახალმშენებლობათა პირველ სართულებში სადგომები სასადილოების, კაფეების, სახლთა სამზარეულოების, პურისა და სხვა სასურსათო მაღაზიების მოსაწყობად.

სამრეწველო საწარმოებისა და სასწავლებლების დაპროექტების და მშენებლობის დროს გაითვალისწინონ სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოების სავალდებულო მოწყობა, რაც შეთანხმებული უნდა იქნას საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ორგანოებთან და ცეკავშირთან.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, მუშათა მომარაგების სამმართველოებს, ცეკავშირის გამგეობას, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქალაქო და რაიონულ აღმასკომებს:

ა) უზრუნველყონ სასადილოების, რესტორნების, კაფეების, სასაუზმეებისა და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოების გადაყვანა ნახევარფაბრიკატებით მუშაობაზე იმ ვადებისა და საწარმოთა რაოდენობის მიხედვით, რაც გათვალისწინებულია №№ 6 და 7 დანართებით;

ბ) მოაწყონ არსებულ სადგომებში წარმოების სპეციალური საამქროები, აგრეთვე ააშენონ დასამზადებელი ფაბრიკები ნახევარფაბრიკატების გამოსამუშავებლად, № 8 დანართის თანახმად;

გ) მოაწყონ 1959 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედ კარტოფილბოსტნეულსაცავებთან კარტოფილისა და ბოსტნეულის დამხარისხე-

ეროვნული

ბელი და გამწმენდი საამქროები, რათა უზრუნველყოფილ [illegible] პროდუქტებით ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში საზოგადოებრივი კვების საწარმოები ქ. თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშათა მომარაგების სამმართველოს სისტემაში—ქ. ჭიათურაში, ტყვარჩელსა და ტყიბულში.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გამოუშვას 1959 წელს ხორცკომბინატებში ნახევარფაბრიკატები იმ რაოდენობით და იმ ქალაქების მიხედვით, რაც გათვალისწინებულია № 9 დანართით, ხოლო საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ უზრუნველყოს მათი შეუფერხებელი გატანა საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და საცალო სავაჭრო ქსელის მოსამარაგებლად.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ მოაწყოს ხორცკომბინატებში ბულიონის დამზადება, რათა დაკმაყოფილდეს საზოგადოებრივი კვების საწარმოების მოთხოვნილება ამ პროდუქტზე, იმ მიზნით, რომ გაიაფდეს პირველი კერძები მუშათა და სტუდენტთა სასადილოებში, აგრეთვე მიეყიდოს ბულიონი მოსახლეობის სავაჭრო ქსელის მეშვეობით დაფასოებულ ბოთლებში.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ტრესტ საქპურკონდიტერს მოაწყონ ცომის გამომუშავება და მისი გაყიდვა საზოგადოებრივი კვების მაღაზიებსა და საწარმოებში.

მოსახლეობის მოხერხებულობისათვის დააწესონ ფუნთუშის ნაწარმისა და ნამცხვრის ერთიანი დამრგვალებული ფსები, ამ ნაკეთობათა წონის შეცვლის ხარჯზე.

9. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და საბითუმო სავაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს უზრუნველყონ საზოგადოებრივი კვების საწარმოების პირველ რიგში და უპირატესობრივი მომარაგება კარგი ხარისხის და გაუმჯობესებული ასორტიმენტის ხორცით, თევზით, ფრინველითა და სხვა პროდუქტებით.

10. საზოგადოებრივი კვების გასაუმჯობესებლად დამატებითი სასურსათო რესურსების მოზიდვის მიზნით, დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, მუშათა მომარაგების სამმართველოებს და ცეკავშირის გამგეობას უზრუნველყონ 1959 წელს ღორის სულადობის დაყენება გასასუქებლად, ფრინველის გასუქება და დამატებითი პროდუქციის მიღება დამხმარე მეურნეობებიდან № 10 დანართში აღნიშნული რაოდენობით, ხოლო შემდეგში განავითარონ

 მეც. 23
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს მეურნეობანი და გამოიყენონ ამ მიზნისათვის კვების ნარჩენები იმ ანგარიშით, რომ 1965 წელს ეს პროდუქცია გადიდდეს სულ ცოტა ერთი სამად მაინც 1959 წელთან შედარებით.

დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაუბრკოლებლივ გამოყონ და მიამაგრონ საწარმოებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს მიწის ნაკვეთები ისეთი დამხმარე მეურნეობების მოსაწყობად, რომლებშიაც იწარმოებს ბოსტნეულის მოყვანა, ღორის გასუქება, კურდღლის, წყალმცურავი ფრინველის მოშენება, თევზის მოშენება და ჭერა ტბორებსა და წყალსატევებში.

საზოგადოებრივი კვების საწარმოებში დამხმარე მეურნეობათა პროდუქციის ფართოდ გამოყენება უნდა გახდეს კვების გაუმჯობესებისა და მისი ღირებულების შემცირების დამატებითი წყარო.

11. დაევალოთ ცეკავშირის გამგეობას, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მოაწყონ 1959—1960 წლებში საზოგადოებრივი სასადილოები ყველა საბჭოთა მეურნეობაში როგორც ცენტრალურ კარმიდამოებში, ისე საბჭოთა მეურნეობების მსხვილ განყოფილებებში, და მიიღონ ზომები საბჭოთა მეურნეობებში არსებული სასადილოებისა და ბუფეტების მუშაობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისათვის.

დაეკისროთ საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, რაიკოოპკავშირებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშკოოპების ხელმძღვანელებს პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ შეუფერხებლივ იქნან მომარაგებული სასადილოები კვების საჭირო პროდუქტებით როგორც ცენტრალიზებული ფონდების ხარჯზე, ისე საბჭოთა მეურნეობების პროდუქციითაც.

მოეწყოს მუშაობა საბჭოთა მეურნეობების ყველა სასადილოში იმგვარად, რომ საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებს და მათი ოჯახის წევრებს შეეძლოთ ისადილონ გემრიელად და ხელმისაწვდომ ფასებში ან წაიღონ სადილი შინ.

ცეკავშირმა და მისმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობათა გამგეობებთან ერთად, განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი სოფლად საზოგადოებრივი კვების ფართოდ მოწყობისათვის.

12. წინადადება მიეცეთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობას, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცვის სამინისტროსთან ერთად, 1959 წლის დამლევამდე გადასინჯონ კერძების რეცეპტურები მესამე კატეგორიის სასადილოებისათვის იმ მხრივ, რომ გაუმჯობესდეს მათი ხარისხი და დაუახლოვდეს მომზადების ოჯახურ წესს, ამასთან იქონიონ მხედველობაში კერძების გაიაფება და მათი გემოვნებითი თვისებების გაუმჯობესება.

გააფართოონ ქართული კერძების რეცეპტურა ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით და 1959 წლის დამლევამდე გამოსცენ ამ კერძების რეცეპტურების კრებული ქართულ და რუსულ ენებზე.

13. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას და მუშათა მომარაგების სამმართველოების ხელმძღვანელებს:

— განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი წარმოებისა და ბრუნვის ხარჯების შესამცირებლად საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების, წარმოების პროცესების ფართო მექანიზაციის და ამ საფუძველზე საზოგადოებრივი კვების მუშაკთა შრომის ნაყოფიერების ამაღლების, სხვადასხვაგვარი დანაკარგების ლიკვიდაციის, სამმართველო, მომსახურე და საწარმოო პერსონალის ზედმეტი რაოდენობის გაუქმების ხარჯზე, აგრეთვე სხვა ხარჯების შემცირებით. ამასთან უზრუნველყონ კვების ხარისხისა და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესება;

გადასინჯონ საზოგადოებრივი კვების საწარმოებში ფასების შექმნის არსებული წესი და 1959 წლის დამლევამდე, საჭმლის ღირებულების ყოველდღიური კალკულაციის ნაცვლად, დააწესონ საზოგადოებრივი კვების III და II კატეგორიის საწარმოთა პროდუქციის მუდმივმოქმედი ფასები;

— დააწესონ, რომ საზოგადოებრივი კვების მესამე კატეგორიის საწარმოები, რომლებიც მომსახურებას უწევენ მუშებს, მოსამსახურეებსა და მოსწავლეებს, უნდა იგეგმებოდნენ უმოგებოდ, ხოლო საზკვების მეორე კატეგორიის საწარმოები — არა უმეტეს 1,5—2 პროცენტისა.

—დააწესონ, რომ III და II კატეგორიის სასადილოებში ისეთი პროდუქტების გაცემა, რომლებიც კულინარულ დამუშავებას არ მოითხოვენ, ხდება ფასნამატის დაურიცხავად;

წარმოებისა და ბრუნვის ხარჯების შემცირებით მიღებული ეკონომია მოხმარდეს საზოგადოებრივი კვების პროდუქციის ღირებულების შემცირებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. რჩევა მიეცეთ სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, სასწავლებლების და სხვა უწყებებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს დახმარება გაუწიონ სავაჭრო ორგანიზაციებს სატრანსპორტო საშუალებათა მიწოდებით და კომუნალური მომსახურებით, ამ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებისა და მოსწავლეების უკეთ მომსახურების მიზნით.

15. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ დამზადდეს ცალკეული სახის მოწყობილობა და ინვენტარი საზოგადოებრივი კვების საწარმოებისათვის.

დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაამზადონ 1959 წლის საწარმოო გეგმის გადამეტებით ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში საჭირო რაოდენობის მაგიდები, სკამები და სხვა წვრილი ინვენტარი, რაც საზოგადოებრივი კვების საწარმოებს აკლიათ.

16. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას და მუშათა მომარაგების სამმართველოებს უზრუნველყონ მოსახლეობის მომსახურების ისეთი პროგრესული ფორმების ფართო დანერგვა საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, როგორიცაა სადილების შინ გაცემა, ნახევარფაბრიკატების გაყიდვა, საუზმეების, სადილებისა და ვახშმების აბონემენტების და ჩეკების წინასწარ გაყიდვა, საზოგადოებრივი კვების საწარმოების გადაყვანა შემდგომი ანაზღაურების მეთოდზე და მომსახურების სხვა სრულყოფილი მეთოდები, რომლებიც იძლევიან იმის საშუალებას, რომ გადიდდეს მოქმედი საწარმოების გამტარუნარიანობა და ამაღლდეს მომხმარებელთა მომსახურების კულტურა.

მოაწყონ საზოგადოებრივი კვების საწარმოების პროდუქციის, კერძოდ ნახევარფაბრიკატების გაყიდვის, სადილების შინ გაცემისა და მიტანის, და სხვათა ფართო რეკლამა.

17. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს 1959 წლის განმავლობაში ააშენოს ქ. თბილისში მექანიკური სამრეცხაო, რომელიც მომსახურებას გაუწევს ყველა სისტემის საზოგადოებრივი კვებისა და საცალო ვაჭრობის საწარმოებს, ხოლო 1960 წელს ააშენოს ასეთი სამრეცხაო ქ. რუსთავში, ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში.

18. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სახალხო მეურნეობის საბჭოს და ცეკავშირის გამგეობას გამოყონ საჭირო სახსრები საზოგადოებრივი კვების საწარმოების კაპიტალური მშენებლობისათვის, მათი რეკონსტრუქციისათვის და ტექნოლოგიური მოწყობილობის შესაძენად როგორც სახალხო მეურნეობის გეგმით ამ მიზნისათვის გათვალისწინებულ კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე, ისე იმ სახსრების ხარჯზედაც, რომლებსაც გამოყოფენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოები, სამინისტროები და უწყებები სავაჭრო საწარმოების მშენებლობისა და მოწყობისათვის.

19. ეცნობოთ სავაჭრო ორგანიზაციებს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1959 წლის 20 თებერვალს № 182 დადგენილებით გაავრცელეს ცენტრალური კომუნალური ბანკის მიერ დაკრედიტების პირობები, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის 10 ოქტომბრის № 2593 დადგენილებით საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა და ადგილობრივი საშენი მასალის წარმოებისათვის, საზოგადოებრივი კვების საწარმოებსა და ორგანიზაციებზე მოწყობილობის და ავტომატების შეძენასთან და დადგმასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად.

დაწესდეს, რომ აღნიშნული მიზნებისათვის კრედიტებს 100 ათას მანეთამდე გასცემს ცენტრალური კომუნალური ბანკი საზოგადოებრივი კვების სამეურნეო ანგარიშის საწარმოთა შუამდგომლობით, ხოლო 100 ათას მანეთზე ზევით — ზემდგომ ორგანიზაციათა შუამდგომლობით.

20. საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებისა და საწარმოების მოთხოვნილების შესაბამისად კადრების მომზადების უზრუნველყოფის მიზნით, დამტკიცდეს ღონისძიებანი საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის სისტემებში კადრების მომზადებისა, № 11 დანართის თანახმად.

21. საშუალო კვალიფიკაციის მუშაკთა მომზადების მიზნით, საჭიროდ ჩაითვალოს, რომ მოეწყოს 1959—1960 სასწავლო წლიდან ქ. თბილისში საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმი.

დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ვაჭრობის სამინისტროს ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ სა-

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კონკრეტული წინადადებანი თბილისის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის მოწყობის შესახებ.

22. წინადადება მიეცეთ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ კონტროლი საზოგადოებრივი კვების საწარმოების სანიტარული მდგომარეობისადმი, სანიტარული რეჟიმის დაცვისადმი, საჭმლის მომზადებისადმი, გააძლიერონ სანიტარული სამსახურის მუშაკთა პასუხისმგებლობა დავალებული საქმისათვის.

23. ამ დადგენილების შესაბამისად საზოგადოებრივი კვების ქსელის მშენებლობის უზრუნველსაყოფად, გამოეყოს ვაჭრობის სამინისტროს 6 მილიონი მანეთი, აქედან მიმდინარე წლის მეორე კვარტალში მიეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სარეზერვო ფონდიდან 3 მილიონი მანეთი, ხოლო დანარჩენი თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ წარმოადგინოს საჭირო წინადადებანი კაპიტალდაბანდებათა მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების შედეგების მიხედვით.

24. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას შეისწავლოს საკითხი და ორი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ მოეწყოს საზოგადოებრივი კვების საწარმოებისათვის სავაჭრო მოწყობილობისა და ინვენტარის დამამზადებელი საწარმოები.

25. „მოსკვიჩ-უნივერსალის“ მარკის 50 ავტომობილიდან, რომლებიც საქართველოს სს რესპუბლიკას გამოეყო საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საჭიროებისათვის, მიეცეთ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს 35 ცალი ვაჭრობის სამინისტროს სისტემის მომსახურებისათვის, საქპურკონდიტერს — 5 და ცეკავშირს—10 ცალი; 15 ცალი ძარიანი მოტოროლერი მიეცეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურებისათვის.

26. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო პროფკავშირული ორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევენ იმ გარემოებას, რომ საჭიროა გაძლიერდეს საზოგადოებრივი კონტროლი საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობისადმი.

მუშათა, მოსამსახურეთა, მოსწავლეთა და დიასახლისთა წრიდან გამოყოფილმა საზოგადოებრივმა კონტროლიორებმა, სამომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმარებლო კოოპერაციის სარევიზიო და სასადილო კომისიებმა დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ მშრომელთა მომსახურების მაღალი კულტურისათვის ბრძოლაში, საჭმლის ხარისხის გაუმჯობესებისა და კვების ღირებულების გაიაფების, ნედლეულის ჩადების ნორმებისა და საზოგადოებრივი კვების პროდუქციის დაწესებული ფასების მტკიცედ დაცვის საქმეში.

საჭიროა ფართოდ მოეწყოს საზოგადოებრივი კვების მუშაკთა შორის სოციალისტური შეჯიბრება საზოგადოებრივ კვებაში საქმის საუკეთესოდ დაყენებისა და მშრომელთა კარგი მომსახურებისათვის.

* *

*

მიაჩნიათ, რა რომ საზოგადოებრივი კვების საქმის შემდგომი განვითარება და ძირეულად გაუმჯობესება წარმოადგენს ყველა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ავალდებულებენ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური საბჭოთა სოციალსიტური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, საოლქო აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაწვრილებით გაერკვნენ საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობაში, განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ყოველდღიური კონტროლი გაუწიონ ამ საწარმოების მუშაობას, დროზე მიიღონ ზომები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და მიაღწიონ მოსახლეობის მომსახურების კულტურის ამაღლებას.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
| **ვ. მჟავანაძე.** | **გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 24 აპრილი, № 331.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის
და საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის № 331
დადგენილების დანართი № 1

## დ ა ვ ა ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ საზოგადოებრივი კვების საწარმოების მიერ კერძების გამოშვებისა 1959—65 წლებისათვის

(მილიონი კერძი)

| | 1959 წელი | 1965 წელი |
|---|---|---|
| 1. აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტრო | 11,0 | 23,9 |
| 2. აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტრო | 8,5 | 17,8 |
| 3. სამხრეთ ოსეთის საოლქო სავაჭრო განყოფილება. | 0,6 | 1,5 |
| 4. თბილისის საქალაქო აღმასკომის ვაჭრობის სამმართველო | 34,5 | 80,0 |
| 5. ქ. ქუთაისი | 6,2 | 14,3 |
| 6. ქ. რუსთავი | 5,8 | 10,8 |
| 7. ქ. ფოთი | 4,0 | 6,5 |
| 8. ქ. გორი | 2,9 | 4,5 |
| 9. საქვაჭრობა | 11,8 | 20,0 |
| 10. საქკურორტვაჭრობა | 4,5 | 9,0 |
| 11. რკინიგზის რესტორნებისა და ბუფეტების საქართველოს ტრესტი | 9,4 | 18,7 |
| სულ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში: | 99,2 | 207,0 |
| სახალხო მეურნ. საბჭოს მუშათა მომარ. სამმართველო. | 16,0 | 32,6 |
| ა. კ. რკინიგზის მუშათა მომარაგების სამმართველო | 9,0 | 18,0 |
| საქჰიდროენერგომშენის მუშათა მომარაგების სამმართველო | 1,0 | 2,4 |
| სულ მუშათა მომარაგ. სამმართველოები | 26,0 | 53,0 |
| სულ სახელმწიფო ვაჭრობა | 125,2 | 260,0 |
| ცეკავშირის სისტემა | 40,0 | 70,0 |
| სულ რესპუბლიკაში | 165,2 | 330,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა
და საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის № 331
დადგენილების დანართი № 2

## დავალება კვერცხების გამოშვებისა 1959—1965 წლებისათვის სამომხმარებლო კოოპერაციის რაიონების მიხედვით

(ათასი კვერცხი)

| კოოპორგანიზაციების დასახელება | 1959 წლის გეგმა (ათასი კვერცხი) | 1965 წლის დავალება (ათასი კვერცხი) |
|---|---|---|
| 1. აფხაზკავშირი . . . . . . . . . . . | 5050 | 8890 |
| 2. აჭარკოოპკავშირი . . . . . . . . . . | 3600 | 6300 |
| 3. სამხრეთ ოსეთის საოლქო სამომხმ. კავშირი . . | 620 | 1080 |
| 4. ამბროლაურის რაიკოოპკავშირი . . . . . . | 845 | 1400 |
| 5. ახალციხის რაიკოოპკავშირი . . . . . | 135 | 220 |
| 6. ახალქალაქის „ . . . . . . . . | 730 | 1260 |
| 7. ახმეტის „ . . . . . . . . | 260 | 490 |
| 8. ბოგდანოვკის „ . . . . . . . . | 280 | 490 |
| 9. ბოლნისის „ . . . . . . . . | 320 | 535 |
| 10. სამგორის „ . . . . . . . . | 1560 | 2730 |
| 11. გეგეჭკორის „ . . . . . . . . | 1290 | 2240 |
| 12. გორის „ . . . . . . . . | 440 | 700 |
| 13. გურჯაანის „ . . . . . . . . | 890 | 1540 |
| 14. დუშეთის „ . . . . . . . . | 455 | 875 |
| 15. ვანის „ . . . . . . . . | 230 | 385 |
| 16. ზესტაფონის „ . . . . . . . . | 305 | 595 |
| 17. ზუგდიდის „ . . . . . . . . | 1270 | 2240 |
| 18. თელავის „ . . . . . . . . | 315 | 525 |
| 19. თეთრიწყაროს „ . . . . . . . . | 430 | 700 |
| 20. კასპის „ . . . . . . . . | 895 | 1575 |
| 21. ლაგოდეხის „ . . . . . . . . | 570 | 980 |
| 22. ლანჩხუთის „ . . . . . . . . | 710 | 1220 |
| 23. მარნეულის „ . . . . . . . . | 830 | 1435 |
| 24. მახარაძის „ . . . . . . . . | 2040 | 3640 |
| 25. ონის „ . . . . . . . . | 400 | 735 |
| 26. ორჯონიკიძის „ . . . . . . . . | 330 | 595 |
| 27. საგარეჯოს „ . . . . . . . . | 710 | 1330 |
| 28. სამტრედიის „ . . . . . . . . | 385 | 700 |
| 29. სიღნაღის „ . . . . . . . . | 920 | 1610 |
| 30. ქარელის „ . . . . . . . . | 510 | 840 |

მუზ. 23
ბიბლიოთეკა

| კოოპორგანიზაციების დასახელება | | 1959 წლის გეგმა (ათასი კერძი) | 1965 წლის დაველება (ათასი კერძი) |
|---|---|---|---|
| 31. ქუთაისის | რაიკოოპკავშირი | 545 | 945 |
| 32. ყვარლის | „ | 540 | 1015 |
| 33. ჩოხატაურის | „ | 820 | 1470 |
| 34. ჩხოროწყუს | „ | 700 | 1190 |
| 35. ცაგერის | „ | 500 | 840 |
| 36. ცხაკაიას | „ | 875 | 1525 |
| 37. წალკის | „ | 345 | 590 |
| 38. წითელწყაროს | „ | 590 | 1050 |
| 39. წალენჯიხის | „ | 1290 | 2240 |
| 40. ხაშურის | „ | 270 | 720 |
| 41. წულუკიძის | „ | 1270 | 2200 |
| 42. აბაშის | „ | 253 | 435 |
| 43. ადიგენის | „ | 230 | 385 |
| 44. ასპინძის | „ | 205 | 370 |
| 45. ბორჯომის | „ | 230 | 380 |
| 46. დმანისის | „ | 315 | 525 |
| 47. თერჯოლის | „ | 310 | 540 |
| 48. თიანეთის | „ | 130 | 210 |
| 49. კაჭრეთის | „ | — | — |
| 50. ლენტეხის | „ | 130 | 220 |
| 51. მცხეთის | „ | 525 | 875 |
| 52. მაიაკოვსკის | „ | 500 | 875 |
| 53. მესტიის | „ | 150 | 245 |
| 54. საჩხერის | „ | 175 | 280 |
| 55. ტყიბულის | „ | 230 | 385 |
| 56. ყაზბეგის | „ | 135 | 225 |
| 57. წყალტუბოს | „ | 185 | 290 |
| 58. ჭიათურის | „ | 25 | 70 |
| 59. ხობის | „ | 710 | 1245 |
| 60. ფოთის მუშკოოპი | „ | 225 | 390 |
| 61. ყიზლარის სპეც. საცალო ვაჭრობა | | 235 | 415 |
| ს უ ლ | | 40,0 | 70,0 |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ა ვ ა

## საქართველოს სს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი კვების

| | 1959 წელი | 1960 წელი | 1961 წელი |
|---|---|---|---|
| 1. აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტრო | 8/340 | 8/340 | 10/430 |
| მ. შ. სახლის სამზარეულოები | | 1 | |
| 2. აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტრო | 8/330 | 8/330 | 9/370 |
| მ. შ. სახლის სამზარეულოები | | 1 | |
| 3. სამხ. ოსეთის საოლქო სავაჭრო განყოფილება | 3/105 | 2/70 | 2/70 |
| 4. ქ. თბილისის ვაჭრობის სამმართველო | 30/2210 | 32/2350 | 33/2440 |
| მ. შ. სახლის სამზარეულოები | 2 | 4 | 4 |
| 5. ქუთაისის ქალაქის ვაჭრობის განყოფილება | 5/200 | 6/240 | 6/240 |
| მ. შ. სახლის სამზარეულოები | | 1 | |
| 6. რუსთავის ქალაქის ვაჭრობის განყოფილება | 6/240 | 7/280 | 8/310 |
| მ. შ. სახლის სამზარეულოები | | 1 | 1 |
| 7. ფოთივაჭრობა | 2/74 | 2/74 | 2/74 |
| მ. შ. სახლის სამზარეულოები | | | 1 |
| 8. გორივაჭრობა | 2/70 | 3/105 | 3/105 |
| 9. საქვაჭრობა | 8/300 | 9/342 | 10/380 |
| 10 საქკურორტვაჭრობა | 3/150 | 3/150 | 4/200 |
| 11. რკინიგზის რესტორნების საქართველოს ტრესტი | 3/90 | 4/120 | 4/120 |
| სულ ვაჭრობის სამინისტროს ხაზით. | 78/4109 | 84/4401 | 91/4739 |
| მ. შ. სახლის სამზარეულოები | 2 | 8 | 6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა
და საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის № 331
დადგენილების დანართი № 3

ლ ე ზ ა

საწარმოთა ქსელის ზრდის 1959—1965 წლებისათვის

| 1962 წელი | 1963 წელი | 1964 წელი | 1965 წელი | ს უ ლ |
|---|---|---|---|---|
| 10/430 | 11/470 | 11/470 | 12/520 | 70/3000<br>1 |
| 10/410 | 10/420 | 10/420 | 10/420 | 65/2700<br>1 |
| — | 2/70 | 1/35 | 2/70 | 12/420 |
| 35/2580<br>4 | 36/2650 | 40/2920 | 44/3250 | 250/18400<br>14 |
| 7/280 | 8/320 | 10/400 | 13/520 | 55/2200<br>1 |
| 10/400 | 11/440 | 12/470 | 14/560 | 68/2700<br>2 |
| 2/74 | 2/76 | 3/114 | 3/114 | 16/600<br>1 |
| — | 2/70 | 3/105 | 3/105 | 16/560 |
| 11/420 | 12/456 | 14/532 | 15/570 | 79/3000 |
| 5/240 | 5/240 | 5/240 | 7/350 | 32/1570 |
| 5/150 | 5/150 | 6/180 | 6/190 | 33/1000 |
| 95/4984<br>4 | 104/5362 | 115/5886 | 129/6669 | 696/36150<br>20 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | 1959 წელი | 1960 წელი | 1961 წელი |
|---|---|---|---|
| ა. ქ. რკინიგზის მუშათა მომარაგების სამმართველო . . , . . . . , | 3/105 | 4/140 | 4/140 |
| საქ. სახ. მეურნ. საბჭოს მუშათა მომარაგების სამმართველო , , , . | 5/160 | 5/160 | 6/200 |
| საქჰიდროენერგომშენის მუშათა მომარაგების სამმართველო . . . . | 1/30 | 1/30 | — |
| სულ მუშათა მომარაგების სამმართველოების ხაზით . , , . . . . | 9/295 | 10/330 | 10/340 |
| მთლად სახელმწიფო ვაჭრობა , , . | 87/4404 | 94/4731 | 101/5079 |
| ცეკავშირი , , , , , . . | 45/1830 | 81/3340 | 97/4000 |
| სულ რესპუბლიკაში , , . . . | 132/6234 | 175/8071 | 198/9079 |

**შენიშვნა:** მრიცხველი—საწარმოთა რაოდენობა, მნიშვნელი—მათში დასაქდომი

მუხ. 23
ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1962 წელი | 1963 წელი | 1964 წელი | 1965 წელი | ს უ ლ |
|---|---|---|---|---|
| 5/180 | 5/180 | 6/210 | 7/245 | 34/1200 |
| 6/200 | 7/240 | 8/270 | 8/270 | 45/1500 |
| — | 1/30 | 1/30 | 1/30 | 5/150 |
| 11/380 | 13/450 | 15/510 | 16/545 | 84/2850 |
| 106/5364 | 117/5812 | 130/6396 | 145/7214 | 780/39000 |
| 99/4100 | 90/3740 | 99/4200 | 89/3790 | 600/25000 |
| 205/9464 | 207/9552 | 229/10596 | 234/11004 | 1380/64000 |

ადგილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა

საზოგადოებრივი კვების ქსელის განვითარებისა 1959—1965 წლე-

| კოოპორგანიზაციები | ქსელის ზრდა 1965 წლისათ. | | 1959 წელი | | 1960 წელი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ქსელის რაოდენობა | დასაჯდომი ადგილების რაოდენობა | ქსელის რაოდენობა | დასაჯდომი ადგილების რაოდენობა | ქსელის რაოდენობა | დასაჯდომი ადგილების რაოდენობა |
| 1. აფხაზკავშირი | 50 | 2000 | 2 | 80 | 6 | 240 |
| 2. აჭარკოოპკავშირი | 30 | 1200 | 1 | 40 | 4 | 160 |
| 3. სამხრეთ ოსეთის კოოპკავშირი | 26 | 1050 | 1 | 40 | 3 | 120 |
| 4. ამბროლაურის რაიკოოპკავშირი | 7 | 300 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 5. ახალციხის „ | 7 | 300 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 6. ახალქალაქის „ | 7 | 300 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 7. ახმეტის „ | 10 | 400 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 8. ბოგდანოვკის „ | 8 | 320 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 9. ბოლნისის „ | 4 | 160 | — | — | 1 | 40 |
| 10. სამგორის „ | 20 | 800 | 1 | 40 | 3 | 120 |
| 11. გეგეჭკორის „ | 4 | 160 | — | — | 1 | 40 |
| 12. გორის „ | 10 | 400 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 13. გურჯაანის „ | 10 | 400 | 1 | 40 | 2 | 80 |
| 14. დუშეთის „ | 10 | 400 | 1 | 40 | 2 | 80 |
| 15. ვანის „ | 7 | 300 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 16. ზესტაფონის „ | 10 | 400 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 17. ზუგდიდის „ | 10 | 400 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 18. თელავის „ | 20 | 800 | 1 | 40 | 3 | 120 |
| 19. თეთრიწყაროს „ | 10 | 400 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 20. კასპის „ | 10 | 400 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 21. ლაგოდეხის „ | 10 | 400 | 1 | 40 | 1 | 40 |

მუხ. 23
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის
და საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის № 331
დადგენილების დანართი № 4

ლ ი გ ა

ბისათვის რაიონების მიხედვით ცეკავშირის სისტემაში

| 1961 წელი | | 1962 წელი | | 1963 წელი | | 1964 წელი | | 1965 წელი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქსელის რაოდენობა | დასაჯდომი ადგილების რაოდენობა | ქსელის რაოდენობა | დასაჯდომი ადგილების რაოდენობა | ქსელის რაოდენობა | დასაჯდომი ადგილების რაოდენობა | ქსელის რაოდენობა | დასაჯდომი ადგილების რაოდენობა | ქსელის რაოდენობა | დასაჯდომი ადგილების რაოდენობა |
| 8 | 320 | 8 | 320 | 9 | 360 | 7 | 280 | 10 | 400 |
| 4 | 160 | 4 | 160 | 5 | 200 | 5 | 200 | 7 | 280 |
| 4 | 160 | 4 | 160 | 5 | 200 | 4 | 160 | 5 | 210 |
| 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 50 | 1 | 50 |
| 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 50 | 1 | 50 |
| 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 50 | 1 | 50 |
| 2 | 80 | 2 | 80 | 2 | 80 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 1 | 40 | 2 | 80 | 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 40 | — | — | — | — |
| 3 | 120 | 3 | 120 | 4 | 160 | 3 | 120 | 3 | 120 |
| 1 | 40 | — | — | 1 | 40 | 1 | 40 | — | — |
| 2 | 80 | 1 | 40 | 2 | 80 | 2 | 80 | 1 | 40 |
| 2 | 80 | 1 | 40 | 1 | 40 | 2 | 80 | 1 | 40 |
| 2 | 80 | 1 | 40 | 1 | 40 | 2 | 80 | 1 | 40 |
| 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 50 | 1 | 50 |
| 2 | 80 | 1 | 40 | 2 | 80 | 2 | 80 | 1 | 40 |
| 2 | 80 | 2 | 80 | 1 | 40 | 2 | 80 | 1 | 40 |
| 3 | 120 | 3 | 120 | 4 | 160 | 3 | 120 | 3 | 120 |
| 2 | 80 | 2 | 80 | 1 | 40 | 2 | 80 | 1 | 40 |
| 2 | 80 | 2 | 80 | 1 | 40 | 2 | 80 | 1 | 40 |
| 2 | 80 | 2 | 80 | 1 | 40 | 2 | 80 | 1 | 40 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| კოოპორგანიზაციები | ქსელის ზრდა 1965 წლისათ. | | 1959 წელი | | 1960 წელი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ქსელის რაოდენობა | დასაჯდომი ადგილების რაოდენობა | ქსელის რაოდენობა | დასაჯდომი ადგილების რაოდენობა | ქსელის რაოდენობა | დასაჯდომი ადგილების რაოდენობა |
| 22. ლანჩხუთის რაიკოოპკავშირი | 10 | 400 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 23. მარნეულის " . . . | 10 | 400 | — | — | 1 | 40 |
| 24. მახარაძის " . . . | 20 | 800 | 1 | 40 | 3 | 120 |
| 25. ონის " . . . | 7 | 300 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 26. ორჯონიკიძის " . . . | 10 | 400 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 27. საგარეჯოს " . . . | 20 | 1000 | 1 | 50 | 3 | 150 |
| 28. სიღნაღის " . . . | 10 | 400 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 29. ქარელის " . . . | 10 | 400 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 30. ქუთაისის " . . . | 10 | 400 | — | — | 1 | 40 |
| 31. ყვარლის " . . . | 15 | 700 | — | — | 2 | 80 |
| 32. ჩოხატაურის " . . . | 20 | 800 | 1 | 80 | 3 | 120 |
| 33. ჩხოროწყუს " . . . | 7 | 300 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 34. ცაგერის " . . . | 7 | 300 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 35. ცხაკაიას " . . . | 7 | 300 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 36. სამტრედიის " . . . | 10 | 400 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 37. წალკის " . . . | 8 | 320 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 38. წითელწყაროს " . . . | 8 | 320 | — | — | 2 | 80 |
| 39. წალენჯიხის " . . . | 7 | 300 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 40. წულუკიძის " . . . | 7 | 350 | — | — | 2 | 100 |
| 41. ხაშურის " . . . | 15 | 700 | 1 | 40 | 2 | 80 |
| 42. აბაშის რაიკოოპერატივი | 7 | 280 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 43. ადიგენის " . . . | 4 | 160 | — | — | — | — |
| 44. ასპინძის " . . . | 4 | 160 | — | — | — | — |
| 45. ბორჯომის " . . . | 4 | 160 | — | — | — | — |
| 46. დმანისის " . . . | 7 | 310 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 47. თერჯოლის " . . . | 7 | 350 | 1 | 50 | 1 | 50 |
| 48. თიანეთის " . . . | 7 | 350 | 1 | 50 | 1 | 50 |
| 49. ლენტეხის " . . . | 4 | 160 | — | — | 1 | 40 |
| 50. მცხეთის " . . . | 7 | 340 | 1 | 40 | 1 | 50 |
| 51. მაიაკოვსკის " . . . | 7 | 350 | 1 | 50 | 1 | 50 |
| 52. მესტიის " . . . | 4 | 160 | — | — | 1 | 40 |

მუხ. 23
ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1961 წელი | | 1962 წელი | | 1963 წელი | | 1964 წელი | | 1965 წელი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქულის რაოდენობა | დასაჯდომი ადგილების რაოდენობა | ქულის რაოდენობა | დასაჯდომი ადგილების რაოდენობა | ქულის რაოდენობა | დასაჯდომი ადგილების რაოდენობა | ქულის რაოდენობა | დასაჯდომი ადგილების რაოდენობა | ქულის რაოდენობა | დასაჯდომი ადგილების რაოდენობა |
| 2 | 80 | 2 | 80 | 1 | 40 | 2 | 80 | 1 | 40 |
| 2 | 80 | 2 | 80 | 1 | 40 | 2 | 80 | 2 | 80 |
| 3 | 120 | 3 | 120 | 3 | 120 | 4 | 160 | 3 | 120 |
| 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 50 | 1 | 50 |
| 2 | 80 | 2 | 80 | 1 | 40 | 2 | [illegible] | 1 | 40 |
| 3 | 150 | 3 | 150 | 4 | 200 | 3 | 150 | 3 | 150 |
| 2 | 80 | 2 | 80 | 1 | 40 | 2 | 80 | 1 | 40 |
| 2 | 80 | 2 | 80 | 1 | 40 | 2 | 80 | 1 | 40 |
| 2 | 80 | 1 | 40 | 2 | 80 | 2 | 80 | 2 | 80 |
| 3 | 140 | 3 | 150 | 2 | 100 | 3 | 140 | 2 | 90 |
| 3 | 120 | 3 | 120 | 3 | 120 | 4 | 160 | 3 | 120 |
| 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 50 | 1 | 50 |
| 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 50 | 1 | 50 |
| 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 50 | 1 | 50 |
| 2 | 80 | 2 | 80 | 1 | 40 | 2 | 80 | 1 | 40 |
| 1 | 40 | 2 | 80 | 1 | 40 | 1 | 50 | 1 | 50 |
| 1 | 40 | 2 | 80 | 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 50 | 1 | 50 |
| 1 | 50 | 1 | 50 | 1 | 50 | 1 | 50 | 1 | 50 |
| 3 | 140 | 3 | 150 | 2 | 100 | 3 | 140 | 1 | 50 |
| 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 40 |
| — | — | 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 40 |
| — | — | 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 40 |
| — | — | 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 50 | 1 | 50 | 1 | 50 |
| 1 | 50 | 1 | 50 | 1 | 50 | 1 | 50 | 1 | 50 |
| 1 | 50 | 1 | 50 | 1 | 50 | 1 | 50 | 1 | 50 |
| — | — | 1 | 40 | — | — | 1 | 40 | 1 | 40 |
| 1 | 50 | 1 | 50 | 1 | 50 | 1 | 50 | 1 | 50 |
| 1 | 50 | 1 | 50 | 1 | 50 | 1 | 50 | 1 | 50 |
| — | — | 1 | 40 | — | — | 1 | 40 | 1 | 40 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| კოოპორგანიზაციები | ქსელის ზრდა 1965 წლისათ. | | 1959 წელი | | 1960 წელი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ქსელის რაოდენობა | დასაჯდომი ადგილების რაოდენობა | ქსელის რაოდენობა | დასაჯდომი ადგილების რაოდენობა | ქსელის რაოდენობა | დასაჯდომი ადგილების რაოდენობა |
| 53. საჩხერის რაიკოოპერატივი | 7 | 300 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 54. ტყიბულის " | 10 | 400 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 55. ყაზბეგის " | 4 | 160 | — | — | 1 | 40 |
| 56. წყალტუბოს " | 4 | 160 | — | — | 1 | 40 |
| 57. ჭიათურის " | 7 | 300 | 1 | 40 | 1 | 40 |
| 58. ხობის " | 4 | 160 | 1 | 40 | — | — |
| 59. ფოთის მუშკოოპი " | 4 | 160 | — | — | 1 | 40 |
| სულ | 600 | 25000 | 45 | 1830 | 81 | 3340 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1961 წელი | | 1962 წელი | | 1963 წელი | | 1964 წელი | | 1965 წელი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქვეთის რაოდენობა | დასაჯდომი ადგილების რაოდენობა | ქვეთის რაოდენობა | დასაჯდომი ადგილების რაოდენობა | ქვეთის რაოდენობა | დასაჯდომი ადგილების რაოდენობა | ქვეთის რაოდენობა | დასაჯდომი ადგილების რაოდენობა | ქვეთის რაოდენობა | დასაჯდომი ადგილების რაოდენობა |
| 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 50 | 1 | 50 |
| 2 | 80 | 2 | 80 | 1 | 40 | 2 | 80 | 1 | 40 |
| 1 | 40 | 1 | 40 | — | — | — | — | 1 | 40 |
| 1 | 40 | 1 | 40 | — | — | — | — | 1 | 40 |
| 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 40 | 1 | 50 | 1 | 50 |
| 1 | 40 | — | — | — | — | 1 | 40 | 1 | 40 |
| — | — | 1 | 40 | 1 | 40 | — | — | 1 | 40 |
| 97 | 4000 | 99 | 4100 | 90 | 3740 | 99 | 4200 | 89 | 3790 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის
და საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის № 331
დადგენილების დანართი № 5

## დ ა ვ ა ლ ე ბ ა

### საზოგადოებრივი კვების ქსელის განვითარებისა საბჭოთა მეურნეობებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში, რომლებსაც მომსახურებას უწევს ცეკავშირი

| კოოპორგანიზაციების დასახელება | საზოგადოებრივი კვების ქსელის ზრდა | დასაჯდომი ადგილების რაოდენობა | იმ საბჭოთა მეურნეობების, ფაბრიკებისა და ქარხნების დასახელება, სადაც გაიხსნება სასადილოები |
|---|---|---|---|
| 1. აფხაზკავშირი . . . . | 12 | 480 | 1 მოქვის საბჭ. მეურნეობა.<br>2 აჩიგვარის საბჭ. მეურნეობა<br>1 კოხორის საბჭ. მეურნეობა<br>2 გალის საბჭ. მეურნეობა<br>1 სიდის საბჭ. მეურნეობა<br>1 გაგრის საბჭ. მეურნეობა<br>1 ათონის საბჭ. მეურნეობა<br>1 საბჭოთა მეურნ. „ილიჩი“<br>1 გალის ჩაის ფაბრიკასთან<br>1 გულრიფშის საბჭ. მეურნეობასთან |
| 2. აჭარკოოპკავშირი . . | 7 | 280 | 1 ოჩხამურის საბჭ. მეურნ.<br>1 ცეცხლაურის საბჭ. მეურნ.<br>1 მუხაესტატეს საბჭ. მეურნ.<br>2 სალიბაურის საბჭ. მეურნ.<br>1 ციხისძირის საბჭ. მეურნ.<br>1 მახვილაურის საბჭ. მეურნ. |
| 3. სამხრეთ ოსეთის საოლქო სამომხმარებლო კავშირი . | 1 | 40 | 1 თამარაშენის საბჭ. მეურნ. |
| 4. ამბროლაურის რაიკოოპკავშირი . . . . . . | 2 | 80 | 1 ამბროლაურის ღვინის ქარხანასთან<br>1 ხვანჭკარის ღვინის ქარხანასთან |
| 5. ახალქალაქის რაიკოოპკავშირი | 2 | 80 | 2 მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობასთან |
| 6. ახმეტის რაიკოოპკავშირი | 2 | 80 | 1 ახმეტის საბჭ. მეურნეობასთან<br>1 ახმეტის ღვინის ქარხანასთან |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| კოოპორგანიზაციების დასახელება | საზოგადოებრივი კვების ქსელის ზრდა | დასაჯდომი ადგილების რაოდენობა | იმ საბჭოთა მეურნეობების, ფაბრიკების და ქარხნების დასახელება, სადაც გაიხსნება სასადილოები |
|---|---|---|---|
| 7. ბოგდანოვკის რაიკოოპკავშირი | 1 | 40 | 1 სალამოს საბჭ. მეურნეობასთან |
| 8. ბოლნისის რაიკოოპკავშირი | 1 | 40 | 1 ბოლნისის ღვინის ქარხანასთან |
| 9. სამგორის რაიკოოპკავშირი | 10 | 400 | 1 გარდაბნის საბჭოთა მეურნეობასთან<br>1 ჯანდარის საბჭოთა მეურნეობასთან<br>1 სოღანლუღის საბჭ. მეურნეობასთან<br>1 დიღმის საბჭოთა მეურნეობასთან<br>1 ლილოს საბჭოთა მეურნეობასთან<br>1 დიღმის სანერგესთან<br>1 კრწანისის სანერგესთან<br>1 სამგორის მეფრინველეობის ფაბრიკასთან<br>1 სამგორის ელექტროქარხანასთან<br>1 დიღმის საბჭოთა მეურნეობასთან |
| 10. გეგეჭკორის რაიკოოპკავშირი | 4 | 160 | 2 დიდიჭყონის საბჭოთა მეურნეობასთან<br>1 ვედიდკარის საბჭოთა მეურნ.<br>1 ჭყონის ჩაის ფაბრიკასთან |
| 11. გურჯაანის რაიკოოპკავშირი | 3 | 120 | 1 კარდანახის საბჭ. მეურნ.<br>1 შრომის საბჭ. მეურნ.<br>1 მუკუზნის საბჭ. მეურნ. |
| 12. ვანის რაიკოოპკავშირი | 2 | 80 | 1 ვანის ღვინის ქარხანასთან<br>1 ამაღლების ღვინის ქარხანასთან |
| 13. ზესტაფონის რაიკოოპკავშირი | 2 | 80 | 1 როდინოულის საბჭ. მეურნ.<br>1 არგვეთის ღვინის ქარხანასთან |
| 14. ზუგდიდის რაიკოოპკავშირი | 5 | 200 | 1 ინგირის საბჭოთა მეურნ.<br>1 ნარაზნის საბჭოთა მეურნ.<br>2 ზედა ეწერის საბჭ. მეურნ.<br>1 ხეცერის საბჭ. მეურნ. |
| 15. კასპის რაიკოოპკავშირი | 3 | 120 | 2 კასპის ცემენტის ქარხანასთან<br>1 ოკამის საბჭოთა მეურნ. |
| 16. მარნეულის რაიკოოპკავშირი | 2 | 80 | 1 მარნეულის საბჭ. მეურნ.<br>1 მარნეულის ღვინის ქარხანასთან |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| კოოპორგანიზაციების დასახელება | საზოგადოებრივი კვების ქსელის ზრდა | დასაჯდომი ადგილების რაოდენობა | იმ საბჭოთა მეურნეობების, ფაბრიკების და ქარხნების დასახელება, სადაც გაიხსნება სასადილოები |
|---|---|---|---|
| 17. მახარაძის რაიკოოპკავშირი | 5 | 200 | 3 ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობასთან |
| 18. ორჯონიკიძის რაიკოოპკავშირი | 2 | 80 | 2 ლაითურის საბჭ. მეურნ.<br>1 ორჯონიკიძის ღვინის ქარხანასთან |
| 19. საგარეჯოს რაიკოოპკავშირი | 4 | 100 | 1 ლაშის ღვინის ქარხანასთან<br>1 მანავის საბჭ. მეურნ.<br>1 საგარეჯოს ღვინის ქარხანასთან<br>1 ბადიაურის ღვინის ქარხანასთან<br>1 მუხროვანის საბჭ. მეურნ. |
| 20. სამტრედიის რაიკოოპკავშირი | 1 | 40 | 1 ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმთან |
| 21. სიღნაღის რაიკოოპკავშირი | 2 | 80 | 1 ხირსის ღვინის ქარხანასთან<br>1 სიღნაღის ღვინის ქარხანასთან |
| 22. ცაგერის რაიკოოპკავშირი | 2 | 80 | 2 ღვინის ქარხანასთან |
| 23. ცხაკაიას რაიკოოპკავშირი | 3 | 120 | 1 უშაფათის ჩაის ფაბრიკასთან<br>1 ჭალადიდის საბჭოთა მეურნ.<br>1 კოლხიდის საბჭ. მეურნ. |
| 24. წალკის რაიკოოპკავშირი | 2 | 80 | 2 წალკის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობასთან |
| 25. წალენჯიხის რაიკოოპკავშირი | 1 | 40 | 1 ფახულანის ჩაის ფაბრიკასთან |
| 26. ხაშურის რაიკოოპკავშირი | 2 | 80 | 1 ქვიშხეთის საბჭ. მეურნ.<br>1 ალის ღვინის ქარხანასთან |
| 27. აბაშის რაიკოოპერატივი | 1 | 40 | 1 ზანათის საბჭოთა მეურნეობასთან |
| 28. მცხეთის რაიკოოპერატივი | 3 | 150 | 1 მცხეთის ღვინის ქარხანასთან<br>1 მცხეთის საბჭ. მეურნ.<br>1 დამპალოს საბჭ. მეურნ. |
| 29. მაიაკოვსკის რაიკოოპერატივი | 2 | 80 | 2 მაიაკოვსკის ღვინის ქარხანასთან |
| 30. ხობის რაიკოოპერატივი | 3 | 120 | 1 ხობის საბჭოთა მეურნეობასთან<br>1 ქვალონის საბჭოთა მეურნეობასთან<br>1 ახალსოფლის საბჭოთა მეურნ. |
| 31. თერჯოლის რაიკოოპერატივი | 4 | 160 | 1 თერჯოლის საბჭოთა მეურნ.<br>1 საზანოს ღვინის ქარხანასთან<br>1 ჩხარის ღვინის ქარხანასთან<br>1 სიქთარვის ღვინის ქარხანასთან |
| 32. ქუთაისის რაიკოოპკავშირი | 3 | 120 | 1 მებოსტნეობის საბჭ. მეურნ.<br>1 ოფშკვითის საბჭოთა მეურნ.<br>1 ქვიტირის საბჭ. მეურნ. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| კოოპორგანიზაციების დასახელება | საზოგადოებრივი კვების ქსელის ზრდა | დასაჯდომი ადგილების რაოდენობა | იმ საბჭოთა მეურნეობების, ფაბრიკების და ქარხნების დასახელება, სადაც გაიხსნება სასადილოები |
|---|---|---|---|
| 33. ფოთის საბჭ. მეურნ. მუშკოოპი | 1 | 40 | პატარა ფოთის საბჭ. მეურნ. |
| 34. თეთრიწყაროს რაიკოოპკავშირი | 1 | 40 | მანგლისის საბჭ. მეურნ. |
| 35. ადიგენის რაიკოოპერატივი | 1 | 40 | ადიგენის საბჭ. მეურნ. |
| 36. ბორჯომის რაიკოოპერატივი | 1 | 40 | ციხისჯვრის საბჭოთა მეურნ. |
| 37. დმანისის რაიკოოპერატივი | 1 | 40 | დმანისის საბჭოთა მეურნ. |
| 38. ქარელის რაიკოოპერატივი | 3 | 120 | 1 რუისის საბჭოთა მეურნ.<br>1 ქვენატკოცის საბჭოთა მეურნეობასთან<br>1 ქარელის ღვინის ქარხანასთან |
| 39. გორის რაიკოოპერატივი | 3 | 120 | 1 ბრეთის საბჭოთა მეურნ.<br>1 ხურვალეთის საბჭ. მეურნ.<br>1 გორის ღვინის ქარხანასთან |
| 40. თელავის რაიკოოპერატივი | 1 | 40 | ნაფარეულის საბჭოთა მეურნ. |
| 41. საჩხერის რაიკოოპერატივი | 1 | 40 | საჩხერის ღვინის ქარხანასთან |
| 42. ჩოხატაურის რაიკოოპერატ. | 1 | 40 | ჩოხატაურის ღვინის ქარხანასთან |
| 43. ტრესტი „საქ. ჩაი“ | 13 | 600 | — |
| სულ | 126 | 5120 | |

ა ქ ე დ ა ნ:

1959 წელს — 35 სასადილო
1960 წელს — 41 სასადილო
1961 წელს — 50 სასადილო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის
და საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის № 331
დადგენილების დანართი № 6

# დ ა ვ ა ლ ე ბ ა

## ნახევარფაბრიკატების გამომუშავებისა და ამ ნახევარფაბრიკატებით საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომარაგებისა 1959—1961 წლებისათვის (სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაში)

| | საზოგადოებრივი კვების საწარ. რაოდ. 1959 წ. 1 იანვრისათ. | იმ საწარმოების რაოდენობა, რომლებიც გამოიმუშავებენ ნახევარფაბრიკატებს | | | იმ საწარმოების რაოდენობა, რომლებიც მომარაგებული იქნებიან ნახევარფაბრიკატებით | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1959 წ. | 1960 წ. | 1961 წ. | 1959 წ. | 1960 წ. | 19 6 |
| აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტრო | 130 | 3 | 7 | 5 | 28 | 60 | ყველა საწარ. |
| აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტრო | 129 | 2 | 4 | 2 | 22 | 35 | „ |
| სამხრეთ ოსეთის საოლქო სავაჭრო განყოფილება | 25 | — | 1 | 2 | — | 10 | „ |
| ქ. თბილისი | 497 | 10 | 5 | — | 427 | ყველა საწარ. | — |
| ქ. ქუთაისი | 139 | — | 4 | 2 | — | 80 | ყველა საწარ. |
| ქ. რუსთავი | 90 | 2 | 2 | — | 52 | ყველა საწარ. | — |
| ქ. ფოთი („ტორგმორტრანსით“) | 67 | — | 2 | 1 | — | 39 | ყველა საწარ. |
| ქ. გორი | 31 | — | 2 | 1 | — | 25 | „ |

მუხ. 23
ეროვნული ბიბლიოთეკა

| | საზოგადოებრივი კვების საწარ. რაოდ. 1959 წ. 1 იანვრისათ. | იმ საწარმოების რაოდენობა, რომლებიც გამოიმუშავებენ ნახევარფაბრიკატებს | | | იმ საწარმოების რაოდენობა, რომლებიც მომარაგებული იქნებიან ნახევარფაბრიკატებით | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1959 წ. | 1960 წ. | 1961 წ. | 1959 წ. | 1960 წ. | 1961 წ. |
| საქვაჭრობა . . . . . . . . | 197 | — | 8 | 5 | — | 105 | „ |
| საქკურორტვაჭრობა . . . . . . . | 53 | 2 | 3 | 1 | 20 | 22 | „ |
| რკინიგზის რესტორნებისა და ბუფეტების საქართველოს ტრესტი . . . . . . . . | 196 | — | 16 | — | — | 120 | „ |
| სულ ვაჭრობის სამინისტროს ხაზით . . . . | 1554 | 19 | 54 | 19 | 549 | | ყველა საწარ. |
| ა. კ. რკინიგზის მუშათა მომარაგ. სამმართველო | 146 | 2 | 8 | 5 | 20 | 102 | „ |
| საქ. სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშათა მომარაგების სამმართველო . . . . . . | 174 | 2 | 6 | 2 | 20 | 80 | „ |
| საქჰიდროენერგომშენის მუშათა მომარაგ. სამმართველო . . . . . . . . . . | 29 | — | 2 | 3 | — | 17 | „ |
| სულ მუშათა მომარაგების სამმართველოების ხაზით | 349 | 4 | 16 | 10 | 40 | | ყველა საწარ. |
| სულ სახელმწიფო ვაჭრობა . . . . . | 1903 | 23 | 70 | 29 | 589 | | ყველა საწარ. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის
და საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის № 331
დადგენილების დანართი № 7

# ს ქ ე მ ა

## სასადილოების რეკონსტრუქცია-გაფართოებისა 1959 — 1961 წლებისათვის ნახევარფაბრიკატების სამზარეულოების გათვალისწინებით

| კოოპორგანიზაციები | |
|---|---|
| 1. აფხაზკავშირი | 1. ქ. გალი — გალის სოფლის კოოპერატივის რესტორანთან<br>2. ქ. გუდაუთი — გუდაუთის სოფლის კოოპერატივის საჩაიე<br>3. აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობის ცენტრალური სასადილო |
| 2. აჭარკოოპკავშირი | 4. მახინჯაურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის სასადილო<br>5. ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის ცანტრალური სასადილო<br>6. ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის სასადილო |
| 3. ამბროლაურის რაიკოოპკავშირი | 7. ამბროლაურის რაიცენტრის სასადილო |
| 4. ახალქალაქის | 8. ახალქალაქის რაიკოოპკავშირის სასადილო |
| 5. ბოლნისის | 9. ბოლნისის რაიცენტრის სასადილო „რატევანი“ |
| 6. გეგეჭკორის | 10. გეგეჭკორის სოფლის კოოპერატივის რესტორანი<br>11. დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნ. მუშკოოპის ცენტრალური სასადილო |
| 7. გურჯაანის | 12. გურჯაანის ქალაქის კოოპერატივის რესტორანი |
| 8. დუშეთის | 13. დუშეთის ქალაქის კოოპერატივის რესტორანი |
| 9. ვანის რაიკოოპკავშირი | 14. ვანის სოფლის კოოპერატივის რესტორანი |
| 10. ზუგდიდის „ | 15. ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის—ინგირის საბჭოთა მეურნეობის მუშკოოპის სასადილო<br>16. ნარაზენის საბჭოთა მეურნ. მუშკოოპის ცენტრალური სასადილო |
| 11. თეთრიწყაროს „ | 17. თეთრიწყაროს სოფლის კოოპერატივის ცენტრალური სასადილო |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| კოოპორგანიზაციები | |
|---|---|
| 12. კასპის „ | 18. კასპის რაიკოოპკავშირის სასადილო ცემენტის ქარხანასთან |
| 13. ლაგოდეხის „ | 19. ლაგოდეხის სოფლის კოოპერატივის ცენტრალური სასადილო |
| 14. მარნეულის „ | 20. მარნეულის რაიკოოპკავშირის სასადილო № 2 |
| 15. ლანჩხუთის „ | 21. ლანჩხუთის გარეუბნის კოოპერატივის სასადილო |
| 16. მახარაძის „ | 22. ლაითურის საბჭმეურნმუშკოოპის ცენტრალური სასადილო |
| 17. ონის „ | 23. ონის სოფლის კოოპერატივის რესტორანი |
| 18. სიღნაღის „ | 24. წნორის სოფლის კოოპერატივის სასადილო |
| 19. ქარელის „ | 25. აგარის საბჭოთა მეურნმუშკოობის სასადილო |
| 20. ყვარლის „ | 26. ყვარლის სოფლის კოოპერატივის სასადილო |
| 21. ჩოხატაურის „ | 27. ჩოხატაურის სოფლის კოოპერატივის სასადილო |
| 22. ჩხოროწყუს „ | 28. ჩხოროწყუს სოფლის კოოპერატივის ცენტრალური სასადილო |
| 23. ცაგერის „ | 29. ცაგერის სოფლის კოოპერატივის რესტორანი |
| 24. წალკის „ | 30. წალკის სოფლის კოოპერატივის ცენტრალური სასადილო |
| 25. წითელწყაროს „ | 31. წითელწყაროს სოფლის კოოპერატივის ცენტრალური სასადილო |
| 26. წალენჯიხის „ | 32. წალენჯიხის სოფლის კოოპერატივის ცენტრალური სასადილო |
| 27. აბაშის რაიკოოპერატ. | 33. აბაშის რაიკოოპერატივის რესტორანი |
| 28. დმანისის „ | 34. დმანისის რაიკოოპერატივის ცენტრალური სასადილო |
| 29. მცხეთის „ | 35. მცხეთის რაიკოოპერატივის რესტორანი |
| 30. მაიაკოვსკის „ | 36. მაიაკოვსკის რაიკოოპერატივის რესტორანი |
| 31. ხობის „ | 37. ხობის რაიკოოპერატივის სასადილო |
| 32. წულუკიძის რაიკოოპკავშირი | 38. წულუკიძის ქალაქის კოოპერატივის რესტორანი |

სულ 38 სასადილო-რესტორანი

მათ შორის 1959 წელს — 5

1960 წელს — 15

1961 წელს — 18

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა
და საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის № 331
დადგენილების დანართი № 8

# დ ა ვ ა ლ ე ბ ა

## ახალი საამქროების მოწყობისა და დამამზადებელი ფაბრიკების მშენებლობისა ნახევარფაბრიკატების გამოსამუშავებლად და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომარაგებისა ამ ნახევარფაბრიკატებით სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაში

| | წლები | ნახევარფაბრიკატები საამქროების ან წარმოებანი | დამამზადებელი ფაბრიკები |
|---|---|---|---|
| ქ. თბილისი . . . . | 1959 | 1 | — |
| | 1961 | — | 1 |
| ქ. რუსთავი . . . . | 1959 | 1 | — |
| | 1961 | — | 1 |
| ქ. ქუთაისი . . . . | 1960 | 1 | — |
| | 1962 | — | 1 |
| ქ. ბათუმი . . . . . | 1960 | 1 | — |
| | 1962 | — | 1 |
| ქ. ჭიათურა . . . . | 1960 | 1 | — |
| | 1962 | — | 1 |
| ქ. ტყიბული . . . . | 1960 | 1 | — |
| | 1961 | — | 1 |
| ქ. გორი . . . . . | 1960 | 1 | — |
| ქ. ფოთი . . . . . | 1960 | 1 | — |
| ქ. სოხუმი . . . . | 1960 | 1 | — |
| | 1962 | 1 | — |
| ქ. გაგრა . . . . . | 1960 | 1 | — |
| სულ . . . . . . | | 11 | 6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა
და საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის № 331
დადგენილების დანართი № 9

# დ ა ვ ა ლ ე ბ ა
## ნახევარფაბრიკატების გამოშვებისა ტრესტ საქხორცმრეწვის საწარმოებში

(კერძი ყოველდღიურად)

### I. თბილისის ხორცკომბინატი

| დასახელება | ზომის ერთეული | ერთეულების რაოდენობა | კერძის რაოდენობა 125 გრამზე გადაყვანით |
|---|---|---|---|
| **I. ნატურალური ნახევარფაბრიკატები** | | | |
| 1. საქონლისა | | | |
| ა) გულიაში . . . . . | კერძი 125 გრ. | 5000 | 5000 |
| ბ) რაგუ . . . . . | „ 200 „ | 5000 | 8000 |
| გ) არტალა . . . . . | „ 1 კგ | 100 | 800 |
| სულ . . . . . | | 10100 | 13800 |
| 2. ღორისა | | | |
| ა) გულიანი კატლეტები . | კერძი 125 გრ, | 200 | 200 |
| ბ) მწვადი . . . . . | „ 125 „ | 200 | 200 |
| გ) რაგუ . . . . . | „ 200 „ | 2000 | 3200 |
| სულ . . . . . | | 2400 | 3600 |
| 3. ცხვრისა | | | |
| ა) მწვადი ბაქოურად . . | კერძი 500 გრ. | 1000 | 4000 |
| ბ) რაგუ . . . . . | „ 500 „ | 100 | 400 |
| სულ . . . . . | | 1100 | 4400 |
| **II. სუპი ნატურალური** | | | |
| ა) საქონლისა . . . . | კერძი 250 გრ. | 100 | 200 |
| ბ) ღორისა . . . . | „ „ „ | 100 | 200 |
| გ) ცხვრისა რგოლში . . . | „ 125 „ | 100 | 100 |
| სულ . . . . . | | 300 | 500 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| დასახელება | ზომის ერთეული | ერთეულების რაოდენობა | კერძის რაოდენობა გრამზე დაყვანით |
|---|---|---|---|
| **III. ეროვნული ნახევარფაბრიკატები** | | | |
| ა) ბასთურმა . . . . | წონით კგ | 50 | 400 |
| ბ) ღორის კუპატი . . . . | " | 250 | 2000 |
| სულ . . . . . | კგ | 300 | 2400 |
| **IV. ნახევარფაბრიკატები პირველი კერძებისათვის** | | | |
| ა) სუფის კომპლექტი საქონლისა | კერძი 500 გრ. | 2000 | 8000 |
| სულ . . . . . | ულუფა | 16200 | 32700 |
| **V. დაკეპილი ნახევარფაბრიკატები** | | | |
| ა) მოსკოვური კატლეტი საქონლისა | 1000 ცალი | 15 | 15 |
| ბ) „პოჟარსკის“ კატლეტი ღორისა | " " | 10 | 10 |
| გ) ცხვრის კატლეტი | " " | 5 | 5 |
| სულ . . . . . . | ათასი ცალი | 30 | 30 |

| | |
|---|---|
| სოხუმის ხორცკომბინატში<br>ბათუმის "<br>ქუთაისის " | ნომენკლატურით, რაც გათვალისწინებულია თბილისის ხორცკომბინატისათვის შემდეგი რაოდენობით (თვითეული), ნახევარფაბრიკატები—5 ათასი მოყვანილი კერძი და დაკეპილი კატლეტი—3 ათასი ცალი. |
| გორის ხორცკომბინატში<br>გაგრის "<br>წყალტუბოს ქარხანაში | ნომენკლატურით, რაც გათვალისწინებულია თბილისის ხორცკომბინატისათვის შემდეგი რაოდენობით (თვითეული), ნახევარფაბრიკატები—3 ათასი მოყვანილი კერძი და დაკეპილი კატლეტი ერთი ათასი ცალი. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის
და საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის № 331
დადგენილების დანართი № 10

## დ ა ვ ა ლ ე ბ ა

### ღორის სულადობის და ფრინველის დაყენებისა გასასუქებლად და თევზის მოშენება ადგილობრივ წყალსატევებში 1959 წელს

| | სახვაჭრობის სისტემა | ცეკავშირის სისტემა |
|---|---|---|
| ღორის სულადობის დაყენება გასასუქებლად . . . | 6000 სული | 3500 სული |
| ღორის ხორცის (მატების) მიღება . . . . . . . | 2160 ცენტ. | 1260 ცენტ. |
| ფრინველის დაყენება გასასუქებლად , , , , , | 30000 სული | 30000 სული |
| ფრინველის ხორცის მიღება . . . . . . . , | 300 ცენტ. | 300 ცენტ. |
| მოშენდეს თევზი 1959 წელს ტბორებსა და ადგილობრივ წყალსატევებში . , , , , . . . | 10 ჰექტარზე | 10 ჰექტარზე |
| ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების მიღება . | 3700 ცენტ. | — |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა
და საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის № 331
დადგენილების დანართი № 11

# ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ა ნ ი

## კადრების მომზადებისა საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის ხაზით

### ვაჭრობის სამინისტროს ხაზით

1. გადიდდეს მოსწავლე კულინართა კონტინგენტი თბილისის სავაჭრო-კულინარულ სკოლაში და აყვანილ იქნას მათი ყოველწლიური გამოშვება 60 კაცამდე.

2. გაიხსნას 1959 წელს სავაჭრო-კულინარული სკოლა ქ. სოხუმში აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სისტემისათვის კულინართა (და გამყიდველთა) კადრების მომზადების უზრუნველსაყოფად. სკოლისათვის მისაღებ კონტინგენტი დაწესდეს 100 კაცის რაოდენობით, მათ შორის — 50 კულინარი.

3. კულინარების მომზადება უშუალოდ წარმოებაში ინდივიდუალურ-ბრიგადული სწავლების გზით განხორციელდეს ყოველწლიურად წელიწადში 100 კაცის ანგარიშით, ხოლო 1959 წელს — 150 კაცი, სულ კი შვიდწლედში მომზადდეს არა ნაკლებ 750 კაცისა.

4. მოეწყოს ახალი მომზადების კურსების წესით კულინართა კადრების სწავლება დიასახლისთა რიცხვიდან (რომლებსაც მოეპოვებათ ძირითადი ცოდნა საჭმლის მომზადების საქმეში), სწავლების 6 თვის ვადით ქ. ქუთაისში, რუსთავში და სხვა სამრეწველო ცენტრებში, როგორიცაა: ჭიათურა, ზესტაფონი, ტყიბული, ახალციხე და სხვ. სულ შვიდწლედში მომზადდეს 100 კაცი, მათ შორის 1959 წელს ქ. რუსთავში — 25 კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეკავშირის სისტემა

| | 1959 | 1960 | 1961 | 1962 | 1963 | 1964 | 1965 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მზარეულების მომზადება ერთწლიან კულინარულ სკოლაში . . | 25 | 25 | 25 | 50 | 50 | 50 | 50 | 275 |
| მზარეულების გადამზადება კვალიფიკაციის ასამაღლებელ 3,5 თვიან კურსებზე . . . . | 50 | 50 | 50 | 50 | 50 | 50 | 50 | 350 |
| სასადილოების გამგეთა გადამზადება მზარეულების 6 თვიან კურსებზე . . . . . . . , | 25 | 25 | 25 | 25 | 25 | 25 | 25 | 175 |
| მზარეულების მომზადება ინდივიდუალური სწავლებით ოსტატ მზარეულთა ხელმძღვანელობით . . . . . | 25 | 50 | 50 | 50 | 50 | 50 | 50 | 325 |
| სულ . , , , | 125 | 150 | 150 | 175 | 175 | 175 | 175 | 1125 |

## 24 საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს იმ საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის გარდამავალი წითელი დროშის დაწესების შესახებ, რომლებმაც სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს, კავშირგაბმულობის მუშაკთა, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად, დააწესოს გარდამავალი წითელი დროშა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროსადმი დაქვემდებარებული იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების დასაჯილდოებლად, რომლებმაც სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს და დაამტკიცოს შეჯიბრების პირობები იმ ვარაუდით, რომ გაიცეს ერთი პირველი, ერთი მეორე და ერთი მესამე ფულადი პრემია.

2. პრემიები მიეცეთ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოებს მოცემული საწარმოს ან მოცემული ორგანიზაციის ზეგეგმითი მოგებისა და ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე პრემიების III სკალის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 11 აპრილის № 232 დადგენილებით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ვ. მჟავანაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 29 აპრილი, № 328

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

### 25 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 იანვრის № 87 დადგენილება „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების წესის შესახებ“ დაეგზავნოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით, ერთი დეკადის ვადაში წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იმ პროდუქციის ნომენკლატურა, რომლის მიწოდების გეგმას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ამტკიცებს, და საქართველოს სს რესპუბლიკაში დამზადებული დანარჩენი პროდუქციის განაწილების წესი.

3. დადგენილ იქნას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმის შემუშავების შემდეგი წესი და ვადები:

ა) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი და თბილისისა და ქუთაისის საქალაქო საბჭოების აღმასკომები ყოველწლიურად, არა უგვიანეს 15 აპრილისა, წარუდგენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა მოთხოვნილების გაანგარიშებებს და მისი წარმოების გეგმებს მომავალი წლისათვის. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ 15 მარტამდე დაგზავნოს პროდუქციის მნიშვნელოვან სახეობათა სია და მათი მოხმარების გაანგარიშებისა და წარმოების გეგმის ფორმები;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისია წარუდგენს პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა წარმოების გეგმებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად 5 მაისისათვის და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტს პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა მოთხოვნილების გაანგარიშებებთან ერთად—15 მაისისათვის; არა უგვიანეს 25 ივნისისა წარმოუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა მომხმარებლების მიხედვით განაწილების გეგმის პროექტს;

გ) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი და თბილისისა და ქუთაისის საქალაქო საბჭოების აღმასკომები, პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა განაწილების საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმების საფუძველზე, ყოველწლიურად, არა უგვიანეს 5 ივლისისა, დააზუსტებენ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეათანხმებენ გაშლილი (სრული) ნომენკლატურით სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმებს, კაპიტალური მშენებლობის გეგმას და საერთო პროდუქციის გაანგარიშებებს მომავალი წლისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ შემუშავებული ფორმების მიხედვით; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებული წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმების საფუძველზე, შეადგენენ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარუდგენენ არა უგვიანეს 15 ივლისისა ნედლეულის, სათბობის, მასალების, მოწყობილობის მოთხოვნილების, სხმულის, ნაჭედის, ნატვიფრის, მანქანების დეტალებისა და კვანძების კოოპერირებულ მიწოდებათა გაანგარიშებებს;

დ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისია:

ყოველწლიურად, არა უგვიანეს 1 აგვისტოსი, წარუდგენს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს ნედლეულის, სათბობის, მასალების, მოწყობილობის მოთხოვნილების, სხმულის, ნაჭედის, ნატვიფრის, მანქანათა დეტალებისა და კვანძების კოოპერირებულ მიწოდებათა გაანგარიშებებს მომავალი წლისათვის, აგრეთვე წარმოების გეგმების პროექტებს იმ პროდუქციის ნომენკლატურის მიხედვით, რომელსაც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ანაწილებს;

ყოველწლიურად, არა უგვიანეს 5 ოქტომბრისა, წარმოუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იმ პროდუქციის ფონდების განაწილების გეგმის პროექტს, რომელსაც საქართველოს სსრ მინის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრთა საბჭო ამტკიცებს, და არა უგვიანეს 10 ოქტომბრისა განაწილებს და მომხმარებლებს აცნობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის ნომენკლატურაში შეტანილი პროდუქციის ფონდებს;

ყოველწლიურად, არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა, წარუდგენს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გაშლილი ნომენკლატურით პროდუქციის წარმოების გეგმების პროექტებს.

მონაწილეობას იღებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მუშაობაში პროდუქციის სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების და საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის მიწოდების გეგმების შემუშავებისათვის;

ე) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი და თბილისისა და ქუთაისის საქალაქო საბჭოების აღმასკომები, მათთვის დამტკიცებული ფონდების საფუძველზე, ყოველწლიურად, არა უგვიანეს 20 ოქტომბრისა, წარუდგენენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მარაგგასაღების მთავარ სამმართველოს მათთვის გამოყოფილი პროდუქციის სპეციფიკაციას;

ვ) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მარაგგასაღების მთავარი სამმართველო ყოველწლიურად, არა უგვიანეს 1 ნოემბრისა, წარუდგენს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული პროდუქციის სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების მთავარ სამმართველოებს შეჯამებითს სპეციფიკაციებს, რომლებიც საჭიროა შეკვეთების გასანაწილებლად და მომხმარებლების მისამაგრებლად მიმწოდებლებზე;

ზ) საბაზრო და ბაზრისგარეშე დანიშნულებისათვის სახალხო მოხმარების საქონლის მოთხოვნილების გაანგარიშებებსა და წინადადებებს საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიწოდების შესახებ წარუდგენენ ყოველწლიურად:

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი, თბილისისა და ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომები—საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას არა უგვიანეს 1 ივლისისა; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისია—საქართველოს სსრ მინისტრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა საბჭოს არა უგვიანეს 10 ივლისისა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს არა უგვიანეს 15 ივლისისა.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმის შემუშავების დროს გაითვალისწინოს, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას ნედლეულით, მასალებით, სათბობითა და მოწყობილობით, როგორც იმ პროდუქციის წარმოება, რომელსაც გეგმავს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია, ისე იმ პროდუქციის წარმოებაც, რომელსაც გეგმავენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას კაპიტალური მშენებლობა, რომელიც გათვალისწინებულია სახელმწიფო გეგმით.

5. განრიგების გაცემა იმ პროდუქციაზე, რომლის წარმოება და მოხმარება რესპუბლიკის შიგნით ხდება, დაეკისროს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მარაგგასაღების მთავარ სამმართველოს, გამოყოფილი ფონდების ფარგლებში.

6. აეკრძალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, რესპუბლიკის საწარმოებსა და მომარაგება-გასაღების ორგანოებს შეცვალონ საწარმოებს შორის პროდუქციის მიწოდების მხრივ შექმნილი კავშირურთიერთობანი ამ პროდუქციის მომხმარებელთა თანხმობის გარეშე.

7. აეკრძალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საწარმოებსა და სამშენებლო ორგანიზაციებს იმ მატერიალური რესურსების არადანიშნულებით გამოყენება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებადაურთველად, რომლებიც მათ გამოეყოთ საწარმოო პროგრამისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად.

მატერიალური რესურსების არადანიშნულებით გამოყენება სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებადაურთველად [illegible] სახელმწიფო დისციპლინის უაღრესად უხეშ დარღვევად და ამ მხრივ დამნაშავე თანამდებობის პირები მიცემულ იქნან სასტიკ პასუხისგებაში.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს და რესპუბლიკის მომარაგება-გასაღების ორგანოებს უზრუნველყონ სამრეწველო პროდუქციის მიწოდების გეგმებისა და დავალებების, განსაკუთრებით სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების და საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის მიწოდებათა გეგმების უცილობლივ შესრულება და გადაჭრით აღკვეთონ კუთხური ტენდენციების გამოვლინება პროდუქციის მომარაგებისა და გასაღების საკითხებში.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების შესრულების კონტროლი დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

9. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარი სამმართველოს მითითებანი პროდუქციის მიწოდებისა და მისი გაგზავნის რიგითობის შესახებ სავალდებულოა საქართველოს სსრ ყველა მიმწოდებელი საწარმოსათვის.

დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოს შეასრულოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული პროდუქციის სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების მთავარი სამმართველოების ყველა მითითება სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისა და საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის გეგმით დაწესებული რაოდენობის და ნომენკლატურის პროდუქციის მიწოდების და მისი გაგზავნის რიგითობის შესახებ.

10. დაწესდეს, რომ იმ პროდუქციის წარმოების გეგმებს, რომელიც არ არის გათვალისწინებული საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმით, მაგრამ შეტანილია სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების და საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის მიწოდების გეგმებში, დაამტკიცებს საქართველოს სსრ

მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისია სსრ
ეროვნული ბიბლიოთეკა
ხელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 7 მარტი, № 169

პირი

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 87

**1959 წლის 22 იანვარი**

**მოსკოვი; კრემლი.**

**სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების წესის შესახებ**

იმ მიზნით, რომ უფრო სრულად შეუთანხმდეს წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმები სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების ყოველმხრივ შესწავლის საფუძველზე, ყოველწლიურად შეიმუშავებს სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო გეგმას მატერიალური ბალანსების, პროდუქციის განაწილების გეგმებისა და სარესპუბლიკათაშორისო მიწოდებისა და საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის მიწოდების გეგმების შემადგენლობით.

2. დაწესდეს რომ:

ა) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დაამტკიცებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წარდგენით პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა მატერიალურ ბალანსებს მოკავშირე რესპუბლიკებსა და ძირითად მომხმარებლებს შორის ამ პროდუქციის განაწილების გეგმებით;

ბ) სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი დაამტკიცებს სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმას მატერიალური ბალანსების, პროდუქციის განაწილების გეგმების და როგორც საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის, ისე იმ პროდუქციის მიწოდების გეგმების შემადგენლობით, რომელთა ნომენკლატურა შეთანხმებულია მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებთან.

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სამკვირის ვადაში დაამტკიცოს 1959 წლისათვის მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებთან შეთანხმებული ნომენკლატურა იმ პროდუქციისა, რომლისათვისაც სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმას ამტკიცებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი;

გ) მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები დაამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიების წარდგენით სახალხო მეურნეობისათვის იმ პროდუქციის მიწოდების გეგმებს, რომელსაც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი არ ანაწილებს (სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებული ნომენკლატურით) და დაადგენენ მოკავშირე რესპუბლიკებში დამზადებული დანარჩენი პროდუქციის განაწილების წესს;

დ) სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები დაგეგმავენ იმ პროდუქციის განაწილებას, რომელსაც ისინი ანაწილებდნენ 1958 წელს (გარდა იმ პროდუქციისა, რომელიც შეტანილია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ნომენკლატურაში).

3. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმის შემუშავების დროს გაითვალისწინოს ის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ნედლეულით, მასალებით, სათბობითა და მოწყობილობით როგორც იმ პროდუქციის წარმოება, რომელსაც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი გეგმავს, ისე იმ პროდუქციის წარმოებაც, რომელსაც გეგმავენ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიები, სახალხო მეურნეობის საბჭოები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, საოლქო აღმასკომები და სამხარეო აღმასკომები, აგრეთვე სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული კაპიტალური მშენებლობა.

4. იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება უფრო სწორად მოხდეს საწარმოთა წარმოებითი სიმძლავრეების დატვირთვა მათი სპეციალიზაციის გათვალისწინებით და უფრო რაციონალურად იქნან მიმაგრებული მომხმარებლები მიმწოდებლებზე, დაწესდეს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებთან შეთანხმებული ნომენკლატურის მიხედვით პროდუქციის დამზადების შეკვეთებს გაანაწილებს ცენტრალიზებული წესით სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული პროდუქციის სარესპუბლიკათაშორისო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწოდების მთავარი სამმართველო შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებთან ერთად.

5. დაწესდეს, რომ იმ პროდუქციის განრიგებს, რომელიც გათვალისწინებულია სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების და საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის მიწოდების გეგმებით, გასცემს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული პროდუქციის სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების მთავარი სამმართველო, ხოლო იმ პროდუქციის განრიგებს, რომლის დამზადება და მოხმარება მოკავშირე რესპუბლიკის შიგნით წარმოებს, — მოკავშირე რესპუბლიკების მომარაგებისა და გასაღების შესაბამისი ორგანოები.

6. საიდუმლო.

7. აეკრძალოთ სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, საოლქო აღმასკომებსა და სამხარეო აღმასკომებს, საწარმოებს, მომარაგებისა და გასაღების ორგანოებს საწარმოებს შორის პროდუქციის მიწოდების მხრივ შექმნილი კავშირ-ურთიერთობის შეცვლა ამ პროდუქციის მომხმარებელთა თანხმობის მიუღებლად.

8. აეკრძალოთ სახალხო მეურნეობის საბჭოებს, მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებსა და უწყებებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, საოლქო აღმასკომებსა და სამხარეო აღმასკომებს, საწარმოებსა და სამშენებლო ორგანიზაციებს იმ მატერიალური რესურსების არადანიშნულებით გამოყენება მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ნებადაურთველად, რომლებიც მათ გამოეყოთ საწარმოო პროგრამისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად.

მატერიალური რესურსების არადანიშნულებით გამოყენება მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ნებადაურთველად ჩაითვალოს სახელმწიფო დისციპლინის უაღრესად უხეშ დარღვევად და ამ საქმეში დამნაშავე თანამდებობის პირები მიცემულ იქნან სასტიკ პასუხისგებაში.

9. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უზრუნველყონ, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებმა და უწყებებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, საოლქო აღმასკომებმა, სამხარეო აღმასკომებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მომარაგება-გასაღების ორგანოებმა უცილობლივ შეასრულონ სამრეწველო პროდუქციის მიწოდების გეგმები და დავალებანი, განსაკუთრებით სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების და საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიწოდების გეგმები, და გადაჭრით აღმოფხვრან კუთხური ტენდენციების გამოვლინება პროდუქციის მომარაგებისა და გასაღების საკითხებში.

სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების შესრულებისადმი კონტროლი დაეკისროს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ პროდუქციის სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების მთავარ სამმართველოებს.

10. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული პროდუქციის სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების მთავარი სამმართველოების მითითებანი სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში და საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის გეგმებით დაწესებული რაოდენობისა და ნომენკლატურის პროდუქციის მიწოდებისა და გაგზავნის რიგითობის შესახებ სავალდებულოა მოკავშირე რესპუბლიკების მომარაგებისა და გასაღების ორგანოებისათვის.

11. დამტკიცდეს სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმის შემუშავების უზრუნველყოფის ღონისძიებანი, № 1 დანართის თანახმად.

12. დამტკიცდეს 1959 წლისათვის იმ მომხმარებელთა ნუსხა, რომლებსაც სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმით, რომელსაც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ამტკიცებს, და პროდუქციის მიწოდების გეგმებით, რომლებსაც მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები ამტკიცებენ, გამოეყოფათ მატერიალური რესურსები № 2 დანართის თანახმად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ხრუშჩოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მაგიერ **მ. სმირტიუკოვი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა
პ ი რ ი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 22 იანვრის № 87
დადგენილების დანართი № 1

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღონისძიებანი

## სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმის შემუშავების უზრუნველყოფისათვის

1. დადგენილ იქნას სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმის შემუშავების შემდეგი წესი და ვადები:

ა) მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო, საგეგმო კომისიები ყოველწლიურად არა უგვიანეს 15 მაისისა წარუდგენენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა მოთხოვნილების გაანგარიშებებს და მომავალ წლისათვის მისი წარმოების გეგმების პროექტებს;

ბ) სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებთან ერთად მათი გაანგარიშებების საფუძველზე შეიმუშავებს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ყოველწლიურად არა უგვიანეს 15 ივნისისა მომავალი წლისათვის პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა მოკავშირე რესპუბლიკებისა და ძირითადი მომხმარებლების მიხედვით განაწილების გეგმებთან ერთად;

გ) მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები ყოველწლიურად არა უგვიანეს 1 აგვისტოსი წარუდგენენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს მომავალი წლისათვის ნედლეულის, სათბობის, მასალების, მოწყობილობის მოთხოვნილების, სხმულის, ნაჭედის, ტვიფრების, მანქანათა დეტალებისა და კვანძების კოოპერირებულ მიწოდებათა გაანგარიშებებს, აგრეთვე იმ პროდუქციის ნომენკლატურის მიხედვით წარმოების გეგმების პროექტებს, რომელსაც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ანაწილებს.

ამასთან, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიების მიერ წარდგენილი პროექტები იმ პროდუქციის წარმოების გეგმებისა, რომელსაც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ანაწილებს, შეთანხმებულ უნდა იქნას პროდუქციის უმნიშვნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოვანეს სახეობათა განაწილების გეგმებთან და მატერიალურ ბალანსებთან, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ;

დ) სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ყოველწლიურად არა უგვიანეს 15 სექტემბრისა აცნობებს მოკავშირე რესპუბლიკებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ნომენკლატურაში შეტანილი პროდუქციის ფონდებს, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა წარუდგენენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს აღნიშნულ პროდუქციის გაშლილი ნომენკლატურით წარმოების გეგმების პროექტებს;

ე) სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მოკავშირე რესპუბლიკების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით, მათ მიერ წარდგენილი გაანგარიშებისა და გეგმების პროექტების საფუძველზე, შეიმუშავებს და ყოველწლიურად არა უგვიანეს 1 დეკემბრისა დაამტკიცებს პროდუქციის სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების და საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის მიწოდების გეგმებს მომავალი წლისათვის.

ფოლადისა და თუჯის სხმული, ნაჭედის, ტვიფრების, მანქანათა კვანძებისა და დეტალების სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების და საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის მიწოდების გეგმებს შეიმუშავებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით და დაამტკიცებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ყოველწლიურად არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა იმ ანგარიშით, რომ მიმწოდებელმა საწარმოებმა შესძლონ ამ პროდუქციის მიწოდების შესახებ ხელშეკრულებათა დადება არა უგვიანეს 1 დეკემბრისა;

ვ) მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, მათთვის დამტკიცებული ფონდების საფუძველზე, წარუდგენენ ყოველწლიურად არა უგვიანეს 1 ნოემბრისა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული პროდუქციის სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების მთავარ სამმართველოებს შეჯამებითს სპეციფიკაციებს, რომლებიც საჭიროა შეკვეთების გასანაწილებლად და მომხმარებელთა მისამაგრებლად მიმწოდებლებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაწესდეს, რომ მომავალი წლისათვის პროდუქციის მიწოდების განრიგების გაცემა უნდა მთავრდებოდეს არა უგვიანეს 15 დეკემბრისა, ხოლო იმ პროდუქციაზე, რომლის განრიგების გაცემა 1958 წელს ყოველკვარტალურად ხდებოდა, არა უგვიანეს 15 დეკემბრისა წლის პირველი ნახევრისათვის და არა უგვიანეს 15 ივნისის წლის მეორე ნახევრისათვის.

3. დაწესდეს, რომ ნომენკლატურის მიხედვით პროდუქციის მიწოდების გეგმების შემუშავება და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მიერ მათი დამტკიცება, აგრეთვე შეკვეთების განაწილება, განრიგების გაცემა და მომხმარებელთა მიმაგრება მიმწოდებლებზე ხორციელდება იმ წესით და იმ ვადებში, რაც გათვალისწინებულია ამ დადგენილებით სარესპუბლიკათაშორისო მიწოდებისა და საერთოსაკავშირო საჭიროებისათვის მიწოდების გეგმებისათვის.

4. უფლება მიენიჭოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს საჭირო შემთხვევებში, მაგრამ არა უგვიანეს კვარტალის დაწყებამდე 30 დღისა, შეიტანოს სარესპუბლიკათაშორისო მიწოდებისა და საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის მიწოდების გეგმებში შესწორებანი ამ გეგმებით დამტკიცებულ დავალებათა ფარგლებში.

5. დაწესდეს, რომ 1959 წლიდან დაწყებული, სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებით, რომლებსაც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ამტკიცებს, შავი ლითონების ნაგლინი, მილები, ლითონის ნაკეთობანი და ფერადი ლითონები, რაც საჭიროა კოოპერირებულ მიწოდებათა გეგმით ჩასაბარებელი სხმულის, ნაჭედის, ტვიფრების, მანქანათა უმნიშვნელოვანესი კვანძებისა და დეტალების დასამზადებლად, გამოეყოფათ მოკავშირე რესპუბლიკებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც ამ ნაკეთობებს ამზადებენ.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა შეიმუშაოს და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებთან შეთანხმებით დაამტკიცონ აღნიშნულ ნაკეთობათა დასამზადებლად შავი ლითონის ნაგლინის, მილების, ლითონის ნაკეთობათა და ფერადი ლითონების გამოყოფის წესი.

6. დაწესდეს, რომ იმ პროდუქციის წარმოების გეგმებს, რომელიც არ არის გათვალისწინებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმით, მაგრამ შეტანილია სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების და საერთო საკავშირო საჭიროებისათვის მიწოდების გეგმებში, დაამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლი-

მუზ. 25
ეროვნული

კების სახელმწიფო საგეგმო კომისიები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით.

7. საქონლის ექსპორტისა და იმპორტის გეგმების, საქონელბრუნვის გეგმებისა და სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დაგროვების გეგმების დროულად შემუშავებისა და დამტკიცების მიზნით, დაევალოთ:

ა) მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს წარუდგინონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს ყოველწლიურად არა უგვიანეს 15 ივლისისა საბაზრო და ბაზრისგარეშე დანიშნულებისათვის სახალხო მოხმარების საქონლის მოთხოვნილების გაანგარიშებანი და წინადადებანი საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიწოდების შესახებ.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა მოკავშირე რესპუბლიკებთან, სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განიხილოს აღნიშნული გაანგარიშებანი და წინადადებანი და ყოველწლიურად არა უგვიანეს 1 სექტემბრისა წარუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქონელბრუნვის გეგმასთან ერთად ბაზრისგარეშე დანიშნულების ძირითადი სასურსათო და სამრეწველო საქონლის ბალანსები და განაწილების გეგმები მომავალი წლისათვის და მეცხოველეობის პროდუქტების საერთო-საკავშირო ფონდის შექმნისა და გამოყენების გეგმის პროექტი.

ბ) საგარეო ვაჭრობის სამინისტროს ყოველწლიურად არა უგვიანეს 1 ივლისისა წარუდგინოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წინადადებები მომავალი წლისათვის საქონლის ექსპორტისა და იმპორტის შესახებ იმ პროდუქციის ნომენკლატურის მიხედვით, რომლისთვისაც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ამტკიცებს სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებს.

ამავე ვადაში საგარეო ვაჭრობის სამინისტრო აცნობებს შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს იმ პროდუქციის ნომენკლატურაში შეტანილი საქონლის ექსპორტისა და იმპორტის შესახებ, რომლისთვისაც მიწოდების გეგმებს ამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები.

გ) საიდუმლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. დაწესდეს, რომ, 1959 წლიდან დაწყებული, [illegible] მოწყობილობა და მანქანები გასული წლის ფონდებით გაეგზავნებათ მომდევნო წლის 10 იანვრამდე, გარდა:

ა) ინდივიდუალური დამზადების მოწყობილობისა და მანქანებისა (ორთქლისა და ჰიდრავლიკური ტურბინები და მათი გენერატორები, დიდი და საშუალო სიმძლავრის ქვაბები, IV—V გაბარიტების ძალოვანი ტრანსფორმატორები, 4 და მეტი მეტრი ტევადობის ციცხვიანი ექსკავატორები, მსხვილი ელექტრომანქანები, სპეციალური, სპეციალიზებული და აგრეგატული ჩარხები, სპეციალური სამჭედლო-საწნეხო მანქანები, ავტომატური ხაზები, ლითონისა და ხისდამმუშავებელი ჩარხები, სახიდე ელექტრო, მეტალურგიული, პორტალური და ჯოჯგინა ამწეები, მადნისა და ქვანახშირის გადამტვირთველები, ლიფტები, მეტალურგიული, გამამდიდრებელი, სატორფე და საკოქსე მოწყობილობა, ნავთობაპარატურა, მსხვილი ჰაერსაბერი მანქანები), რომელთა გაგზავნა 1 მარტამდე წარმოებს.

ქიმიური მოწყობილობის გაგზავნა წარმოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 22 სექტემბრის № 1330 დადგენილების შესაბამისად;

ბ) მიმდინარე წელს დამზადებული და საექსპორტოდ მიუწოდებელი მოწყობილობისა და მანქანებისა, რომელთა გაგზავნა 1 აპრილამდე წარმოებს.

9. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების უფრო რაციონალური ორგანიზაციის მიზნით, დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ორი თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მომარაგებისა და გასაღების სადარგთაშორისო ბაზების ქსელის გაფართოებას 1959—1960 წლებში, გამოავლინონ ის რაიონები, რომლებსაც მომსახურებას უწევენ ეს ბაზები, აგრეთვე გაითვალისწინონ სახსრების გამოყოფა ამ ბაზების მშენებლობისათვის.

შენარჩუნებულ იქნან 1959 წლისათვის რაიონები მომხმარებელთა მომსახურებისა და მომარაგების და გასაღების ბაზებით, რომლებიც გადაცემულია მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოების და მარაგგასაღების მთავარი სამმართველოების გამგებლობაში, იმპორტული პროდუქციის მიწოდების განხორციელების ჩათვლით.

10. დაევალოს სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ორი კვირის ვადაში შეიმუშაოს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგეგმო კომისიებთან, სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით დაამტკიცოს ფორმები, წესი და ვადები ანგარიშგების წარდგენისა წარმოების გეგმებისა და პროდუქციის მიწოდების გეგმების შესრულების შესახებ, აგრეთვე ცნობების წარდგენისა სახალხო მეურნეობაში მასალების და მოწყობილობის ხარჯვის, ნაშთებისა და აღწერის შესახებ. ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნან აღნიშნული ანგარიშგებით სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული პროდუქციის სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების მთავარი სამმართველოები, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიები, სახალხო მეურნეობის საბჭოები, სამინისტროები და უწყებები, აგრეთვე მომარაგებისა და გასაღების მათი ორგანიზაციები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ხრუშჩოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მაგიერ **მ. სმირტიუკოვი.**

ვიზა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 22 იანვრის № 87
დადგენილების დანართი № 2

## სია

**მომხმარებლებისა, რომლებსაც გამოეყოფათ მატერიალური რესურსები მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმით, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და პროდუქციის მიწოდების გეგმებით, რომლებსაც ამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები**

რუსეთის სფსრ
უკრაინის სსრ
ბელორუსიის სსრ
უზბეკეთის სსრ
ყაზახეთის სსრ
საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზერბაიჯანის სსრ
ლიტვის სსრ
მოლდავეთის სსრ
ლატვიის სსრ
ყირგიზეთის ასსრ
ტაჯიკეთის სსრ
სომხეთის სსრ
თურქმენეთის სსრ
ესტონეთის სსრ
მოსკოვის საქალაქო აღმასკომი
მათ შორის:
„გლავმოსსტროი“
ლენინგრადის საქალაქო აღმასკომი
ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტრო
მათ შორის:
სტალინგრადმშენი
სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო
გზათა სამინისტრო
საზღვაო ფლოტის სამინისტრო
სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო
სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტრო
სსრ კავშირის გეოლოგიის და წიაღისეულთა დაცვის სამინისტრო
საგარეო ვაჭრობის სამინისტრო
სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტრო
სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო
სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო
სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრო
სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო
სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო
სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ქიმიის სახელმწიფო კომიტეტი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საავიაციო ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სათავდაცვო ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რადიოელექტრონიკის სახელმწიფო კომიტეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გემთმშენებლობის სახელმწი-
ფო კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პურეულის პროდუქტების სა-
ხელმწიფო კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომი-
ტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო
უშიშროების კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური
სტატისტიკური სამმართველო

„ცენტროსოიუზი“

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა (სამე-
ურნეო სამმართველოსათვის)

მოსკოვის კრემლის კომენდანტის სამმართველო

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობა

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართვე-
ლობა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზის მრეწვე-
ლობის მთავარი სამმართველო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო სა-
ჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსათნ არსებული სახელმწიფო მა-
ტერიალური რეზერვების მთავარი სამმართველო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო
მატერიალური რეზერვების მთავარი სამმართველო

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა

სხვა მომხმარებლები[1].

---

[1]. სხვა მომხმარებლებს მიეკუთვნებიან ამ დანართის ცხრილში ჩამოთვლილი უწყებები, დაწესებულებები და ორგანიზაციები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მაგიერ **მ. სმირტიუკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 22 იანვრის № 87
დადგენილების № 2 დანართის ცხრილი

## სია

**მომხმარებლებისა, რომლებსაც გამოეყოფათ მატერიალური რესურსები მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმით და პროდუქციის მიწოდების გეგმებით მუხლით „სხვა მომხმარებლები"**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიურ ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ქვეყნებთან კულტურული კავშირის სახელმწიფო კომიტეტი

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული საფინანსო-სამეურნეო განყოფილება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების, ზომებისა და განზომილებათა ხელსაწყოების კომიტეტი

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისია

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სასარგებლო წიაღისეულთა მარაგის სახელმწიფო კომისია

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული [illegible] კომისია

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითს სიტყვაში სამხედრო და სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის მთავარი სამმართველო

ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემია

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ორგანიზაციების მთავარი სამმართველო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭო

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო

სსრ კავშირის პროკურატურა

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო

გამომცემლობა „იზვესტია"

გამომცემლობა „პრავდა"

სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირი

სსრ კავშირის მხატვართა კავშირი

სსრ კავშირის მწერალთა კავშირი

სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირი

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირი

სსრ კავშირის კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირი

არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოება

უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირი

ინჟინერ-ტექნიკურ საზოგადოებათა საკავშირო საბჭო

კომიტეტების (მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის, სსრ კავშირის ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტის, ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტის, აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის და სსრ კავშირის სლავთა კომიტეტის) საქმეთა მმართველობა

საბჭოთა ქალების კომიტეტი

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირი.

პოლიტიკური და სამეცნიერო ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მაგიერ **მ. სმირტიუკოვი.**

## 26 საქართველოს სსრ სახელმწიფო ტყეების დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ „ბუნების დაცვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მიერ 1958 წლის 28 ნოემბერს მიღებული კანონის საფუძველზე ტყეების, ისე როგორც მთელი ბუნების, დაცვა ითვლება სახელმწიფო და მთელი საზოგადოების საერთო საქმედ.

უკანასკნელ წლებში ტყის დაცვის საქმეში გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, რაისაბჭოს აღმასკომები და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო ჯერ კიდევ არ აქცევენ ამ საქმეს საკმაო ყურადღებას. ამასთან, რაიაღმასკომები არ ღებულობენ საჭირო ზომებს ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის რადიკალურად გაუმჯობესებისათვის. 1958 წელს ადგილი ჰქონდა დიდი რაოდენობით უნებართვო ჭრის შემთხვევებს აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ა/ო, დმანისის, ადიგენის, ლაგოდეხის, გურჯაანის, ახმეტისა და საგარეჯოს რაიონის ტყეებში.

ხე-ტყის დამამზადებელი ზოგიერთი ორგანიზაცია არღვევს ტყის დამზადება-გამოზიდვის მოქმედ წესებს და ტყეკაფებზე არასწორად იყენებს მძლავრ ტრაქტორებს, რითაც ფერხდება ტყის ბუნებრივი განახლება და მოზარდის დაცვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლოსა და მილიციის ადგილობრივი ორგანოები არ აქცევენ საკმაო ყურადღებას ტყის წესების დარღვევებზე შემდგარი საქმეების გამოძიებასა და გარჩევას, ხოლო პროკურატურის ორგანოები არ ახორციელებენ საჭირო ზედამხედველობას ამ საქმეების მსვლელობაზე.

სახელმწიფო ფონდის ტყეების დაცვისა და მათში მეურნეობის წარმოების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომსა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) სისტემატურად შეამოწმონ ტყეების დაცვის მდგომარეობა და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახონ და გაატარონ საჭირო ქმედითი ღონისძიებები;

ბ) კატეგორიულად აკრძალონ ტყეებში პირუტყვის უსისტემო ძოვება, აგრეთვე საკვების დამზადების მიზნით ძირზე მდგომი ხეების გადაბელვა; ზუსტად გაატარონ ცხოვრებაში „საქართველოს სსრ ტყეებში თივის თიბვისა და პირუტყვის ძოვების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 27 სექტემბრის № 1049 დადგენილებით დამტკიცებული წესები;

გ) ფართოდ გაშალონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სკოლებსა და მოსახლეობაში ტყეების წყალშემნახველი, ნიადაგდაცვითი, ეროზიებთან ბრძოლის მნიშვნელობის შესახებ, აგრეთვე ტყის დაცვისა და მისი აღდგენა-განახლების აუცილებლობის საკითხებზე.

2. დაევალოს ხე-ტყის დამამზადებელ ორგანიზაციებს:

ა) მთის ტყეების ექსპლუატაციის პირობებში ფართოდ დანერგონ საჰაერო-საბაგირო გზების, სპეციალური მორსაშვებების და სხვა მოწყობილობათა გამოყენება, რომლებიც არ გამოიწვევენ ნიადაგის დაშლას, არ მოახდენენ უარყოფითს გავლენას ტყის ბუნებრივ განახლებასა და მოზარდის ზრდა-განვითარებაზე. ამასთან, აკრძალონ მორების ტრაქტორებით თრევა ხის ძირიდან სპეციალურად საამისოდ განკუთვნილ სათრევ გზამდე;

ბ) ტყეებში მავნე მწერების და სოკოვან დაავადებათა გავრცელების და აგრეთვე ხანძრის საშიშროების თავიდან აცილების მიზ-

ეროვნული

ნით, უზრუნველყონ ტყეკაფების დროული გაწმენდა დამზადების ნარჩენებისაგან, დამზადებული ხე-ტყის დროულად გამოზიდვა და წიწვიანი ჯიშების ხე-ტყის გაქერქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 11 ივნისის № 523 დადგენილების შესაბამისად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს:

ა) აკრძალოს ჭრაში დანიშნულ ტყის ფართობებზე პირუტყვის ძოვება ტყეკაფების გამოყოფისთანავე და ჭრის ჩატარების შემდეგ 5 წლის ვადით;

ბ) კატეგორიულად აკრძალოს ხეების მიზნობრივი ჭრა სახურავი ყავრის და ტკეჩის საჭიროებისათვის და მათი ტყეში გადამუშავება.

სახურავი ყავრისა და ტკეჩის გახდის უფლება მიეცეთ მხოლოდ საბოლოო საწყობში გამოზიდულ ხეებიდან.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სატყეო ინსტიტუტს მასზე მიმაგრებულ ტყეებში—თბილისისა და გორის საცდელ-საჩვენებელი სატყეო მეურნეობების საქმიანობაში გაატაროს ტყეების დაცვისა და მეურნეობის წარმოების გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებები.

5. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სსრ პროკურატურას:

ა) ცალკეულ შემთხვევებში განიხილონ ტყის წესების დამრღვევთა საქმეები სასამართლო პროცესებზე, ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით;

ბ) გაარკვიონ ტყის წესების დარღვევებზე შედგენილი საქმეების გამოუძიებლობისა და განუხილველობის მიზეზები და მიიღონ გადამწყვეტი ზომები ამ საქმეების დროულად გარჩევისათვის.

6. ეთხოვოს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს არმიის გენერალს ამხ. გალიცკის მისცეს მითითება ოლქის ჯარის ნაწილებს, რომლებიც განლაგებული არიან ტყის მასივების მახლობლად, არ დაუშვან ტყის ჭრა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებადაურთველად და ზუსტად დაიცვან ტყეში სახანძრო უშიშროების წესები.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოსთან ერთად, შეისწავლოს კოლხიდის დაბლობის, აგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთვე ლაგოდეხის, სიღნაღისა და მაიაკოვსკის რაიონების ტყეებში განლაგებული მეცხოველეობის ფერმების ტყიდან გაყვანის საკითხი და ღონისძიებები ამ საკითხზე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმდინარე წლის 1 ივლისისათვის.

8. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, შეისწავლონ ხე-ტყის დამამზადებელ ორგანიზაციათა რიცხვის შემდგომი შემცირების საკითხი და წინადადებანი ამის შესახებ სამი თვის ვადაში განსახილველად წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

9. სამასალე და საშეშე მერქნით რესპუბლიკის მოსახლეობის უზრუნველყოფის მიზნით, ეთხოვოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გაუდიდოს 1959 წლიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხე-ტყის გასაცემი ფონდი 250,0 ათასი კუბური მეტრით, აქედან სამასალე მერქანი — 50,0 ათასი კუბური მეტრი.

10. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტს, აგრეთვე რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს, ფართოდ გააშუქონ რადიოსა და პრესის მეშვეობით ტყის დაცვის, მისი მოვლისა და აღდგენა-განახლების საკითხები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ქიტიაშვილი.

ქ. თბილისი, 1959 წ. 9 მარტი № 182.

ეროვნული

## 27 საერთო-სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზატკეცილების გაყოლებით მწვანე ნარგავების შექმნის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკაში საერთო-სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზატკეცილების გაყოლებით მწვანე ნარგავების ზოლების შექმნის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოთ მცხეთის, კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის, საგარეჯოს, გურჯაანის და სიღნაღის რაიონებისა და ქ. თბილისის სამგორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს შეასრულონ 1959—1962 წლების პერიოდში გამწვანების სამუშაოები საერთო-სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზატკეცილების გაყოლებით 143 კილომეტრის მანძილზე და არსებული ნარგავების შევსება 142 კილომეტრის მანძილზე, პირველ რიგში თბილისი—ნატახტარი—გუდაურის, ნატახტარი—ხაშური—ტაშისკარის, ხაშური—ჩუმათელეთის, თბილისი—ჩალაუბანი—ნუკრიანის, წნორი—ლაგოდეხის, (ალაზნის ხიდამდე) გზებზე;

ა) თბილისი — ნატახტარი — გუდაურის გზის ტრასაზე

მცხეთის რაიაღმასკომმა — გზის მონაკვეთებზე 26-დან 30 კილომეტრამდე 5 კილომეტრ მანძილზე; დუშეთის რაიაღმასკომმა — გზის მონაკვეთებზე 43-დან 125 კილომეტრამდე 33 კილომეტრ მანძილზე.

ბ) ნატახტარი — ხაშური — ტაშისკარის გზის ტრასაზე

მცხეთის რაიაღმასკომმა — გზის მონაკვეთებზე 8-დან 13 კილომეტრამდე 5 კილომეტრ მანძილზე;

კასპის რაიაღმასკომმა — გზის მონაკვეთებზე 13-დან 34 კილომეტრამდე 10 კილომეტრ მანძილზე;

გორის რაიაღმასკომმა — გზის მონაკვეთებზე 46-დან 47 კილომეტრამდე ერთ კილომეტრ მანძილზე;

ქარელის რაიაღმასკომმა—გზის მონაკვეთებზე 74-დან 94 კილომეტრამდე 16 კილომეტრ მანძილზე;

ხაშურის რაიაღმასკომმა — გზის მონაკვეთებზე 94-დან 118 კილომეტრამდე 14 კილომეტრ მანძილზე;

გ) ხაშური — ჩუმათელეთის გზის ტრასაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაშურის რაიალმასკომმა — გზის მონაკვეთებზე 1-დან 3 კილომეტრამდე 2 კილომეტრ მანძილზე.

დ) თბილისი — ჩალაუბანი — ნუკრიანის გზის ტრასაზე

სამგორის რაიალმასკომმა — გზის მონაკვეთებზე 19-დან 27 კილომეტრამდე 7 კილომეტრ მანძილზე.

საგარეჯოს რაიალმასკომმა — გზის მონაკვეთებზე 35-დან 81 კილომეტრამდე 25 კილომეტრ მანძილზე.

გურჯაანის რაიალმასკომმა — გზის მონაკვეთებზე 82-დან 100 კილომეტრამდე 16 კილომეტრ მანძილზე;

სიღნაღის რაიალმასკომმა — გზის მონაკვეთებზე 100-დან 104 კილომეტრამდე 3 კილომეტრ მანძილზე;

ე) წნორი — ლაგოდეხის გზის ტრასაზე ალაზნის ხიდამდე

სიღნაღის რაიალმასკომმა — გზის მონაკვეთებზე 133-დან 139 კილომეტრამდე 6 კილომეტრ მანძილზე.

აღნიშნული გზატკეცილების გამწვანება და წინათ გაშენებული ნარგავების შევსება ნერგით მოხდეს წლებისა და ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით, დანართის თანახმად.

2. დაევალოთ ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნულ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით:

ა) ერთი თვის ვადაში გაანაწილონ გზატკეცილების გასწვრივ მწვანე ნარგავების გაშენებისა და რემონტის დავალებანი იმ მიწათმოსარგებლე კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და ორგანიზაციებს შორის, რომელთა მიწები ეკვრიან გზატკეცილების განსხვისების ზოლს და დაევალოთ მათ განახორციელონ გამწვანების სამუშაოები თავიანთი ძალებით ამ დადგენილებით აღნიშნულ ვადებში;

ბ) კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებსაც გზატკეცილების მახლობლად ბაღები და ვენახები აქვთ, გააფართოონ ისინი ახალი ნარგავების გაშენებით იმ მიზნით, რომ მიუახლოონ ნარგავები გზებს და შექმნან მათი გაყოლებით ბაღებისა და ვენახების მთლიანი ზოლები. განალაგონ ნარგავები გზებიდან არა უახლოეს 20 მეტრისა და უპირატესად იმ უბნებზე, სადაც თოვლის ნამქერები იცის;

გ) მიწათმოსარგებლეებმა, რომელთა მიწები გზატკეცილების

განსხვისების ზოლს ეკვრიან, თვითონ უზრუნველყონ გამწვანების სამუშაოები ნერგით თავიანთი სანერგეებიდან და სკოლებიდან.

სარგავი მასალის ნაკლებობისას მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ ზომები და უზრუნველყონ სამუშაოები საჭირო რაოდენობის ნერგით, უპირატესად ხეხილის მსხვილი ზომის ნერგით;

დ) ნარგავების კარგად გახარებისა და მათი მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფის მიზნით, დაეკისროთ როგორც ახლი, ისე არსებული მწვანე ნარგავების მოვლა, მორწყვა და დაცვა მიწათმოსარგებლეებს, რომელთა მიწები გზატკეცილების განსხვისების ზოლს ეკვრიან (კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, ორგანიზაციები): დაევალოთ მათ გამოყონ მწვანე ნარგავების გასაშენებლად და გაშენებული ნარგავების მოსავლელად და დასაცავად სპეციალური ბრიგადები, რომლებსაც მიამაგრონ მათი პასუხისმგებლობით გზების ცალკეული მონაკვეთები; მოამარაგონ ეს ბრიგადები მორწყვის სპეციალური საშუალებებით — ავტოცისტერნებითა და კასრებით; საჭიროების დროს ნარგავები შემოღობონ;

ე) გზატკეცილების გასწვრივ მწვანე ნარგავები დარგონ წლის გაზაფხულისა და შემოდგომის პერიოდებში, სამმწკრივიან (არანაკლებ) ზოლებად, დიდი ზომის ნერგით სულ ცოტა 2 მეტრის სიმაღლისა, მიწის კოშტიანად, მერქნის ჯიშების იმ ასორტიმენტისა და მათი განაწილების მიხედვით, რაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს მიერ. ამასთან ხეხილის ნერგი უნდა აღწევდეს დარგულ მცენარეთა საერთო რაოდენობის 50 პროცენტს;

ვ) სისტემატურად მოისმინონ აღმასკომების სხდომებზე გზატკეცილების გასწვრივ გამწვანების სამუშაოთა გეგმის შესრულების, მცენარეთა მდგომარეობისა და მათი მოვლის საკითხები, საჭირო დახმარება გაუწიონ სამუშაოთა მწარმოებლებს გამწვანების დაწესებული გეგმის უცილობრივ შესრულების საქმეში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მიმისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოსთან ერთად, განიხილოს, დაამტკიცოს და ერთი თვის ვადაში დაუგზავნოს სახელძღვანელოდ რაიონულ საბჭოებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტყის ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი სქემა ნერგის გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაგებისა და მის მიერ რეკომენდებული მერქნისა და [illegible] ბის ასორტიმენტი აღნიშნული გზატკეცილების გასამწვანებლად; ამასთან, გაითვალისწინოს რაიონების ნიადაგისა და ჰავის პირობები.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს ტექნიკური დახმარება გაუწიოს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოებს გზატკეცილების გასწვრივ მწვანე ნარგავების გაშენების დავალებათა შესრულებაში.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ საყრდენი მასალის (სარების) განაწილების დროს გაითვალისწინოს მისი მოთხოვნილება გზატკეცილების ტრასების გასწვრივ გამწვანების სამუშაოებისათვის ყოველწლიურად 20 ათასი ცალის რაოდენობით 1960-დან 1962 წლამდე.

6. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გამოყოს რაიაღმასკომებისა და ორგანიზაციების განაცხადებით საჭირო რაოდენობის ავტომანქანები ნერგებისა და სარების გადასაზიდად.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს საზოგადოება „ტყის მეგობარს" გასცენ თავიანთი მეურნეობებიდან დაწესებულ ფასებში მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების განაცხადებით მსხვილი ზომის სარგავი მასალა გზატკეცილების გასწვრივ გამწვანების სამუშაოთა საჭიროებისათვის.

განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა გზატკეცილების გასწვრივ გამწვანების სამუშაოებს და არსებული მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვის საქმეს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ავალებს ამ დადგენილების პირველ მუხლში ჩამოთვლილ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს ფართოდ ჩააბან ამ სამუშაოებში კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, საწარმოები და დაწესებულებები, აგრეთვე რაიონების მშრომელები, ამასთან მისცენ ამ საქმეს საყოველთაო-სახალხო ხასიათი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 10 მარტი № 183.

ეროვნული ბიბლიოთეკა №2

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 10 მარტის № 183
დადგენილების დანართი

# გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა

## საერთო-სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზატკეცილების გასწვრივ გამწვანების სამუშაოების გეგმისა 1959—1962 წლების პერიოდისათვის

| გზატკეცილების ტრასები | გზატკეცილთა ტრასების გავლის ადმინისტრაციული რაიონები | გასამწვანე-ბელი გზის მანძილი კმ | აქედან წლები | | | | სარემონტო (შესავსები) გზების მანძილი კმ | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1959 | 1960 | 1961 | 1962 | ს უ ლ | აქედან წლები 1959 | 1960 |
| 1. თბილისი — ნატახტარი— გუდაური | სამგორის | — | — | — | — | — | 3 | 3 | — |
| | მცხეთის | 5 | — | — | 2 | 3 | 9 | 9 | — |
| | დუშეთის | 33 | 5 | 5 | 10 | 13 | 13 | 13 | — |
| სულ . . . . | | 38,0 | 5 | 5 | 12 | 16 | 25 | 25 | — |
| 2. ნატახტარი — ხაშური — ტაშისკარი — ხაშური — ჩუმათელეთი | მცხეთის | 5 | 1 | 1 | 1 | 2 | 8 | — | 8 |
| | კასპის | 10 | 2 | 2 | 3 | 3 | 19 | — | 19 |
| | გორის | 1 | 1 | — | — | — | 20 | — | 20 |
| | ქარელის | 16 | 3 | 3 | 5 | 5 | 10 | — | 10 |
| | ხაშურის | 16 | 2 | 2 | 6 | 6 | 14 | — | 14 |
| სულ | | 48,0 | 9 | 8 | 15 | 16 | 71 | — | 71 |

| გზატკეცილების ტრასები | გზატკეცილთა ტრასების გავლის ადმინისტრაციული რაიონები | გასამშვენი ბერებული გზის მანძილი კმ | აქედან წლები | | | | სარემონტო (შესავსები) გზების მანძილი კმ | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1959 | 1960 | 1961 | 1962 | სულ | აქედან წლები 1959 | 1960 |
| 3. თბილისი — ჩალაუბანი-ნუკრიანი — წნორი — ლაგოდეხი ალაზნის ხიდამდე | სამგორის<br>საგარეჯოს<br>გურჯაანის<br>სიღნაღის | 7<br>25<br>16<br>9 | 1<br>3<br>3<br>2 | 1<br>4<br>4<br>2 | 2<br>9<br>4<br>2 | 3<br>9<br>5<br>3 | 6<br>27<br>2<br>11 | 6<br>27<br>2<br>11 | —<br>—<br>—<br>— |
| სულ | | 57,0 | 9 | 11 | 17 | 20 | 46 | 46 | — |
| მთლად | | 143,0 | 23 | 24 | 44 | 52 | 142 | 71 | 71 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ქიტიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა
შეხ. 27

ეროვნული

**28 საქართველოს სსრ ტერიტორიის ფარგლებში შავი ზღვის სანაპიროზე საზღვაო ტერიტორიული წყლების სარგებლობის წესების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს წესები საზღვაო ტერიტორიული წყლების სარგებლობისა და საცურაო საშუალებათა შენახვისა შავი ზღვის სანაპიროზე საქართველოს სსრ ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში მდინარე ფსოუდან თურქეთთან სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრამდე.

2. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს გააცნონ ეს დადგენილება და წესები ყველა დაინტერესებულ დაწესებულებასა და საწარმოს, აგრეთვე სანაპირო ზოლის დასახლებული პუნქტების მცხოვრებთ.

3. საზღვაო ტერიტორიული წყლების სარგებლობის წესების შესრულების კონტროლი დაეკისროთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, მილიციის ორგანოებს და საქართველოს ოლქის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მესაზღვრე ჯარებს.

4. ამ წესების დარღვევისათვის ან შეუსრულებლობისათვის დამნაშავე პირები მიცემულ იქნან პასუხისგებაში ადმინისტრაციული წესით ისე, რომ დამნაშავეებს დაედოთ ჯარიმა 100 მანეთამდე.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 2 აგვისტოს № 425 დადგენილება საზღვაო ტერიტორიული წყლების სარგებლობის წესებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს.

6. ეს დადგენილება ძალაში შედის მისი გამოცემიდან 15 დღის შემდეგ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 13 მარტი, № 188

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 13 მარტის № 188
დადგენილებით

# წ ე ს ე ბ ი

## სსრ კავშირის საზღვაო ტერიტორიული წყლების სარგებლობისა და საცურაო საშუალებათა შენახვისა შავი ზღვის სანაპიროზე საქართველოს სსრ ტერიტორიის ფარგლებში

შესაბამისად სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვის დებულებისა, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წლის 15 ივნისის დადგენილებით (სსრკ კან. კრ., 1927 წ., № 62, მუხ. 625), დადგენილია შემდეგი წესი სსრ კავშირის ტერიტორიული წყლების სარგებლობისა და საცურაო საშუალებათა შენახვისა შავი ზღვის სანაპიროზე საქართველოს სსრ ტერიტორიის ფარგლებში.

### I. საცურაო საშუალებათა რეგისტრაციის წესი

1. ყველა თევზჭერის, სამეცნიერო-კვლევითი, სპორტული და სხვა ორგანიზაცია, აგრეთვე სსრ კავშირის მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ მოტორიანი ან უმოტორო საცურაო საშუალებანი, რომლებსაც ისინი იყენებენ თევზის საჭერად და სხვა მიზნებისათვის შავი ზღვის ტერიტორიულ წყლებში, მათი სიდიდისა და სიმძლავრის მიუხედავად, მოვალენი არიან გაატარონ ისინი რეგისტრაციაში სანავსადგურო ზედამხედველობის ორგანოებში ან მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ადგილობრივ აღმასკომებში ტერიტორიალობის მიხედვით.

ნავსადგურების უფროსები ან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები რეგისტრაციაში გატარებულ თვითეულ გემზე მისცემენ მის მფლობელს დაწესებული ფორმის დოკუმენტებს (გემის ბილეთი, გემის მოწმობა ან ცნობა), მიაკუთვნებენ გემს ნომერს და მიაწერენ მას დაწესებულ მისადგომს.

2. მთელი საცურაო საშუალებანი სანავსადგურო ზედამხედველობის ორგანოებში ან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში რეგისტრაციის შემდეგ რეგისტრირებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იქნან სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების უახლოეს ნაწილში (ქვეგანაყოფში).

სასაზღვრო ჯარებში რეგისტრირებულ უნდა იქნას აგრეთვე მთელი საცურაო საშუალებანი, რომლებსაც იყენებენ იმ მდინარეებზე, რომლებიც ერთვიან ზღვას, ზღვის ნაპირიდან 20 კილომეტრის ფარგლებში.

სასაზღვრო ჯარები რეგისტრაციაში გატარებულ თვითეულ გემს მიაკუთვნებენ ქიმის ნომერს, რაზედაც გემის დოკუმენტს დაეკვრის დაწესებული ფორმის შტამპი.

საცურაო საშუალებათა რეგისტრაციისათვის დაინტერესებული ორგანიზაციები წარუდგენენ სასაზღვრო ნაწილს (ქვეგანაყოფს) ყველა საცურაო საშუალების სიას დაწესებული ფორმის მიხედვით და გემის დოკუმენტებს, ხოლო კერძო გემთმფლობელები გამოცხადდებიან პირადად და თან იქონიებენ ნავსადგურის უფროსის ან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ გაცემულ გემის დოკუმენტებს და ცნობას სამუშაო და საცხოვრებელი ადგილიდან.

3. რეგისტრაციაში გატარებულ ყველა საცურაო საშუალებას უნდა ჰქონდეს აშკარად გამოხატული წარწერები:

— ორივე ქიმზე და წინა ნაწილში—ქიმის ნომერი, რომელიც მიკუთვნებული აქვს გემს სასაზღვრო ჯარებში რეგისტრაციის დროს;

კიჩოზე, გემბანის სახურავზე ან გემბანზე — მიწერის ნავსადგური და მისადგომის ნომერი.

წარწერა გაკეთდება: თუ გემი შეღებილია ღია ფერად—შავი საღებავით, თუ იგი შეღებილია მუქ ფერად—თეთრი საღებავით. ციფრებისა და ასოების ოდენობა დაწესდება გემის სიდიდის შესაბამისად: სეინერებზე—25, ნავებზე—15 სანტიმეტრი.

საცურაო საშუალებებს, რომლებსაც იალქნები აქვთ, გარდა ქიმებსა და კიჩოზე გაკეთებული წარწერებისა, უნდა ჰქონდეთ იალქნის ზედა ნაწილში აშკარად გამოხატული ქიმის ნომერი და მის ქვემოთ—მისადგომის ნომერი. ციფრები უნდა იყოს ზომით არანაკლებ 50 სანტიმეტრისა და გამოყვანილი შავი საღებავით.

გემის კუთვნილ ნიჩბებსა და მაშველ ქონებას უნდა ჰქონდეს თავისი ნომერი ან დასახელება.

სარეწაო გემებს, გარდა ამისა, თუ ისინი ზღვაში იმყოფებიან, უნდა ჰქონდეთ კიჩოზე ზემო ნაწილში ჰაერიდან კარგად დასანახავი გამოსაცნობი ნიშნები, რომლებსაც სასაზღვრო ჯარები დააწესებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა ორგანიზაციების კუთვნილი სარეწაო და სატრანსპორტო გემები შეიღებება იმ ფერად, რაც დაწესებულია შესაბამისი უწყებების მიერ.

სპორტული, საკურორტო-სამკურნალო ორგანიზაციების, წყალთა სადგურების საცურაო საშუალებანი, რომლებსაც სპორტისა და სეირნობისათვის იყენებენ, აგრეთვე მოხალისე მებადურთა საცურაო საშუალებანი შეიღებება თეთრად.

5. ამ წესების 1 მუხლში მოხსენებული გემთმფლობელები მოვალენი არიან ყოველწლიურად, 1 თებერვლიდან 1 მარტამდე, მოახდინონ მათი კუთვნილი საცურაო საშუალებების ხელახალი რეგისტრაცია მიწერის პუნქტებში და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების უახლოეს ნაწილში (ქვეგანაყოფში), რაზედაც გემის დოკუმენტებში გაკეთდება აღნიშვნა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გამოიცვლება გემის ბილეთებიც. ამასთან, საცურაო საშუალებებისათვის წინათ მიკუთვნებული ქიმის ნომრები არ შეიცვლება.

6. ახლადაშენებული და ახლადშეძენილი გემები შეიძლება ჩაშვებულ იქნას წყალში და საექსპლუატაციოდ გადაცემული მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდება მათი რეგისტრაცია დადგენილი წესით.

ექსპლუატაციიდან გამოსული საცურაო საშუალებანი, მიზეზების მიუხედავად, უნდა მოიხსნას აღრიცხვიდან სამი დღეღამის განმავლობაში წყლიდან მათი ამოღების მომენტიდან.

უვარგისი საცურაო საშუალებანი ინახება მისადგომზე 10 დღეღამის განმავლობაში, რის შემდეგ ისინი უნდა დაშალონ და გაიტანონ მფლობელებმა მისადგომის ტერიტორიიდან.

**შენიშვნა:** სასაზღვრო ჯარებში რეგისტრირებული არ უნდა იქნან სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს ყველა გემი და სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალთა ხომალდები.

## II. მისადგომების მოწყობისა და საცურაო საშუალებათა შენახვის წესი

7. მისადგომებს ზღვის სანაპიროზე, საზღვაო ნავსადგურების გარეთ დააწესებენ დაინტერესებული სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარებთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ყველა მისადგომი მოეწყობა და შეინახება სა[illegible] დაინტერესებულ ორგანიზაციათა—საცურაო საშუალებათა მფლობელების სახსრების ხარჯზე.

9. თვითეულ მოწყობილ მისადგომს უნდა ჰქონდეს:

— მაჩვენებელი—მიწის დონიდან 2 მეტრი სიმაღლის ბოძი, მწვანე ფერად შეღებილი; ბოძის წვეროში მიემაგრება 60×50 სმ ზომის ფიცარი, თეთრად შეღებილი, რომელსაც ექნება წარწერა შავი საღებავით „მისადგომი № . . .". ასოებისა და ციფრების ზომა—25 სანტიმეტრი;

— ხის ან ლითონის ბიგები, რომლებსაც მიამაგრებენ საცურაო საშუალებებს ჯაჭვების ან ბოქლომების მეშვეობით. თვითეულ ბიგს უნდა ჰქონდეს იმ გემის ნომერი, რომელსაც მას ამაგრებენ.

მისადგომი უნდა იყოს შემოკავებული ხის ან მავთულის 2 მეტრის სიმაღლის ღობით. მისადგომზე შესასვლელად ღობეში მოეწყობა კარები ან პატარა ჭიშკარი;

— ამწე საშუალებანი წვრილ საცურაო საშუალებათა ამოსათრევად ნაპირზე;

— ნიჩბების, იალქნების და სხვა საშკიპერო-ტექნიკური ქონების შესანახი სადგომი, რომელიც ბოქლომით დაიკეტება;

— სატელეფონო კავშირი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი სასაზღვრო ჯარების უახლოეს ქვეგანაყოფთან;

— ჯიხური დარაჯისათვის;

— ზღვაში გამავალი და იქიდან მისადგომზე დაბრუნებული მცურავი საშუალებების და ეკიპაჟების აღრიცხვის ჟურნალი.

10. მთელი საცურაო საშუალებანი უნდა ინახებოდეს მხოლოდ იმ მისადგომებზე, რომლებზედაც ისინი არიან მიწერილი და რომლებიც უნდა იკეტებოდეს ბოქლომით. ბოქლომის გასაღები ინახება საცურაო საშუალებათა მფლობელთან, ხოლო ნიჩბები და იალქნები—საცურაო საშუალებებისაგან განცალკევებით ისეთ სადგომში, რომელიც ბოქლომით იკეტება.

**შენიშვნა:** ცალკეული მოქალაქეები, იმ შემთხვევაში, თუ მათ საშუალება არა აქვთ მოაწყონ თავიანთი სახსრებით მისადგომები, საცურაო საშუალებებს ინახავენ მე-7 მუხლში აღნიშნულ ორგანიზაციათა სადგომებზე, მათთან შეთანხმებით.

ის გემები, რომლებიც დიდი მოცულობისა და წყალწყვის გამო არ შეიძლება ამოღებულ იქნან წყლიდან, რჩება ღუზაზე, ამასთან მიღებულ უნდა იქნას ყოველგვარი ზომები, რომლებიც გამორი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხავენ მოტორების ამუშავების შესაძლებლობას ამ გემ[illegible] რისტთა დაუხმარებლად.

11. ორგანიზაციები მოვალენი არიან შეინახონ თავიანთ მისადგომებზე საკუთარი ხარჯით მისადგომის მამასახლისი და დარაჯები. მისადგომების მამასახლისებს და დარაჯებს დანიშნავენ ორგანიზაციები მხოლოდ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარებთან შეთანხმებით.

12. მისადგომებისათვის პასუხისმგებელმა ორგანიზაციებმა და პირებმა მუდამ წესიერ მდგომარეობაში უნდა იქონიონ მისადგომის მთელი მოწყობილობა, მტკიცედ დაიცვან მისადგომებზე საცურაო საშუალებათა შენახვის, დაცვის წესები და ზღვაში მათი გაშვების წესი, სასაზღვრო ჯარების მიერ შემუშავებული ინსტრუქციის შესაბამისად.

13. მისადგომიდან საცურაო საშუალებათა დაკარგვისათვის მისადგომის მამასახლისს და დარაჯს ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა.

## III. საცურაო საშუალებათა სარგებლობის წესი და მებადურთა ქცევის წესები

14. თევზჭერის ორგანიზაციების ყველა სარეწაო გემს და მოხალისე მებადურთა საცურაო საშუალებებს შეუძლიათ გავიდნენ ზღვაში მხოლოდ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების ნებართვით იმ შემთხვევაში, თუ მათ ექნებათ შემდეგი დოკუმენტები:

— ყველა უწყების გემებისათვის—გემის როლი (სია), ხელმოწერილი იმ საწარმოს, ორგანიზაციის, კოლმეურნეობის, არტელის ხელმძღვანელის მიერ, რომელსაც მოცემული გემი ეკუთვნის, და თუ ეკიპაჟის წევრებს ექნებათ პასპორტები ან მათი შემცვლელი პირადობის მოწმობები მფლობელთა ფოტოსურათებით.

გემის როლები და მებადურთა სიები უნდა იყოს დამოწმებული საწარმოთა, კოლმეურნეობათა ბეჭდებით;

— მოხალისე მებადურთა საცურაო საშუალებებისათვის—გემის ბილეთი, გაცემული ნავსადგურის უფროსის მიერ, ან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის ცნობა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების შტამპით ამ საცურაო საშუალებათა რეგისტრაციის შესახებ და მებადურთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. ყველა უწყების საცურაო საშუალებათა წასვლა-მოსვლის გაფორმება სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების ქვეგანაყოფებში მდგომარეობს შემდეგში: მოხდება გემის დოკუმენტების და იმ პირთა პირადი დოკუმენტების შემოწმება, რომლებიც ზღვაში გადიან და ნაპირზე ბრუნდებიან, და დაეკვრის სპეციალური შტამპი „გასვლა", „მოსვლა", გემის ჟურნალში.

16. თევზჭერისა და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების გემებს თუ მათ ექნებათ ამ წესებით გათვალისწინებული დოკუმენტები, შეუძლიათ გავიდნენ ზღვაში და დაბრუნდნენ თავიანთ ბაზებში დღეღამის ყოველ დროს დაწესებული კორიდორებით.

თევზსაჭერ გემებს, რომლებიც ეწევიან თევზის ჭერას ჩვენს ტერიტორიულ წყლებში ქ. ბათუმის სამხრეთით ეკრძალებათ შესვლა სოფ. კვარიათის სამხრეთით — პელენგი 270°

17. მოხალისე მებადურთა საცურაო საშუალებებს ზღვაში გაუშვებს მისადგომის მამასახლისი ან დარაჯი დღის სინათლეზე (მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე), მათ უფლება აქვთ შევიდნენ ზღვის სიღრმეში ორი მილის მანძილამდე და ნაპირის გასწვრივ ბაზირების პუნქტიდან—სამ მილამდე.

ქ. ბათუმის მოხალისე მებადურებს ეკრძალებად წასვლა ბათუმის სამხრეთ ნაწილისაკენ საზღვაო სასწავლებლის იქით — პელენგი 270°.

18. სპორტული ორგანიზაციების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების იმ საცურაო საშუალებათა გაშვება ზღვაში, რომლებიც გაქირავებულია გასასეირნებლად და სპორტისათვის, წარმოებს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების განსაკუთრებული საამისო ნებართვების გარეშე, ამ ორგანიზაციათა ადმინისტრაციის მიერ და მხოლოდ თავისი მისადგომებიდან დღის სინათლეზე, ამასთან ზღვაში შესვლა დაიშვება ნაპირიდან ორ მილამდე.

— „კს" ტიპის გასასეირნებელ კატარღებს უნდა ჰქონდეთ საწვავის მარაგი არა უმეტეს ერთი გაწყობისა.

ამ გემების ზღვაში ყოფნის დრო არ უნდა აღემატებოდეს 2 საათს მათი გასვლის მომენტიდან.

ის პირები, რომლებიც საცურაო საშუალებებს ქირაობენ, აღირიცხებიან გამქირავებელი სადგურების ადმინისტრაციის მიერ სპეციალურ ჟურნალში მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაქირავებელი საცურაო საშუალებებით სარგებლობა სპორტისა და გასეირნების მიზნით შეუძლია სსრ კავშირის ყველა მოქალაქეს განსაკუთრებული დოკუმენტების გაუფორმებლად, გამქირავებელი სადგურების ადმინისტრაციის კონტროლითა და პასუხისმგებლობით.

ტურისტული, სასწავლო ლაშქრობები და ექსკურსიები სანაპიროს გასწვრივ გამქირავებელი სადგურების, სპორტული და სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე მოხალისე მებადურთა კუთვნილი გემებით მათი ბაზირების პუნქტების გარეთ დაიშვება ყოველ ცალკე შემთხვევაში მხოლოდ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების ნებართვით.

ტურისტული ლაშქრობები სანაპიროს გასწვრივ ქალაქ ბათუმის სამხრეთით ყველა უწყების გემებით არ დაიშვება.

**შენიშვნა:** განსაკუთრებულ შემთხვევებში, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების შეხედულებით, საცურაო საშუალებათა გაშვება ზღვაში ცალკეულ უბნებზე შეიძლება შეიზღუდოს ან დროებით შეწყდეს.

19. საცურაო საშუალებებით სარგებლობა პირადი საჭიროებისათვის თევზჭერის, სპორტისა და გასეირნების მიზნით ქ. ბათუმის სამხრეთით ტერიტორიულ წყლებში შეუძლიათ მხოლოდ იმ მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ აკრძალულ სასაზღვრო ზონაში.

იმ მებადურებს, რომლებიც აკრძალული სასაზღვრო ზონის ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ, ეკრძალებათ თევზის ჭერა ქ. ბათუმის სამხრეთ ნაპირზე გასვლით, თუ მათ არ ექნებათ მილიციის ორგანოების მიერ გაცემული საშვები.

20. ყველა ორგანიზაციისა და კერძო გემთმფლობელების გემებმა ზღვაში ყოფნის დროს უნდა დაიცვან გემების დაჯახების თავიდან აცილების ყველა წესი და გამოსაცნობი სიგნალები, რომლებსაც დააწესებენ სასაზღვრო ჯარები დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

21. გემების ზღვაში ყოფნის დროს მათს კაპიტნებსა და გემის ეკიპაჟის წევრებს თან უნდა ჰქონდეთ როგორც გემის, ისე პირადი დოკუმენტები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ წესებით, და წარადგინონ ისინი სასაზღვრო ხომალდებისა და სასაზღვრო განრიგების პირველი მოთხოვნისთანავე.

ეროვნული

22. გემით ზღვაში გასვლის უფლებით სარგებლობენ მხოლოდ ის პირები, რომლებიც მიწერილი არიან მოცემულ გემზე დადგენილი წესით.

მგზავრთა გადაყვანა სარეწაო თევსაჭერი გემებით დაიშვება განსაკუთრებულ შემთხვევებში და მხოლოდ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების ნებართვით.

როდესაც გემის ქიმზე იმყოფებიან ისეთი პირები, რომლებიც არ შედიან ეკიპაჟის შემადგენლობაში, გემების კაპიტნები გასვლის გაფორმების დროს მოვალენი არიან წარუდგინონ სასაზღვრო ჯარების საკონტროლო-შემმოწმებელ პუნქტს ან სხვა ქვეგანაყოფს, რომელიც გასვლას აფორმებს, ამ პირთა სია, სადაც აღნიშნულ უნდა იქნას თევზჭერის ორგანიზაციის თვითეული პირის გვარი, სახელი, მამის სახელი, სად, რა მიზნით და რა ვადით არის მივლინებული. სიას შეამოწმებს შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

23. იმ შემთხვევაში, თუ გემი მივიდა ისეთ მისადგომზე, რომელზედაც იგი არ არის მიწერილი, გემის მფლობელი მოვალეა დაუყოვნებლივ გაატაროს რეგისტრაციაში თავისი მისვლა მისადგომის მამასახლისთან, რომელიც ამას აცნობებს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების უახლოეს ქვეგანაყოფს.

24. თევზჭერის საწარმოების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების ადმინისტრაცია პასუხისმგებელია გემთეკიპაჟების და მებადურთა ბრიგადების შერჩევისა და დაკომპლექტებისათვის, აგრეთვე კაპიტნებთან ერთად პასუხს აგებს იმისათვის, რომ გემების ეკიპაჟებმა და მებადურთა ბრიგადებმა დაიცვან ნაოსნობისა და საზღვაო რეწვის დადგენილი წესი.

25. თევზჭერის საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, როდესაც ისინი რეწვისათვის უშვებენ გემებს ქ. ბათუმის სამხრეთით—გონიოს რაიონში, მოვალენი არიან გულმოდგინედ შეამოწმონ სანავიგაციო ხელსაწყოების წესიერი მდგომარეობა და ის, თუ რამდენად არიან მომზადებული კაპიტნები გემების მართვისათვის; მათ უნდა უზრუნველყონ გემების კაპიტნები ხაზღვაო რუკებით, რომლებზედაც აღნიშნულ უნდა იქნას სსრ კავშირის და მოსაზღვრე სახელმწიფოს — თურქეთის ტერიტორიული წყლების საზღვარი, თევზის ჭერისათვის აკრძალული რაიონები, აგრეთვე განუმარტონ გემების ეკიპაჟებს, რომ მათ ზუსტად შეასრულონ „ინსტრუქცია საბჭოთა თევსაჭერი გემების ნაოსნობისა და მათ მიერ რეწვის წარმოების წესის შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

26. გემების კაპიტნები, გემთეკიპაჟების ყველა წევრი და მებადურები ზღვაში და ნაპირზე ყოფნის დროს მოვალენი არიან:

— გადასცენ სასაზღვრო ჯარების ქვეგანაყოფებს ზღვაში დაჭერილი და ნაპირზე აღმოჩენილი საცურაო საშუალებანი და სხვადასხვა საგნები, ამასთან შეინახონ ისინი იმ სახით, რა სახითაც იყვნენ აღმოჩენილი;

— დახმარება აღმოუჩინონ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, იმ მხრივ, რომ საჭიროების შემთხვევაში დააკაონ და გადასცენ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების ქვეგანაყოფებს ის პირები, რომლებიც ცდილობენ უკანონოდ გამოიყენონ საცურაო საშუალებანი ზღვაში გასასვლელად.

27. თევზჭერის ყველა ორგანიზაციას, გემების ეკიპაჟებს და მებადურებს ეკრძალებათ:

ა) რეგისტრაციაში გაუტარებელ საცურაო საშუალებათა შენახვა მისადგომებზე;

ბ) ნაპირზე მიდგომა და რაიმე საგნების გადმოტვირთვა, ადამიანთა ჩასხმა და გადმოსხმა ისეთ ადგილებში, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი, გარდა სტიქიური უბედურების შემთხვევებისა;

გ) საცურაო საშუალებათა გადაყვანა ერთი მისადგომიდან მეორეზე სასაზღვრო ჯარებთან წინასწარ შეუთანხმებლად;

დ) უცხოეთის გემებთან მიახლოვება და მათ ეკიპაჟებთან ლაპარაკი, რაიმე ნივთების მიღება და გადაცემა;

ე) საცურაო საშუალებათა გადაცემა სხვა მფლობელებისათვის წინასწარი ხელახალი რეგისტრაციის გარეშე;

ვ) ყველა უწყების გემების დროებითი ბაზირება გემთმისადგომებზე, რომლებიც მდებარეობენ ქალაქ ბათუმის სამხრეთ სანაპიროზე, გარდა სტიქიური უბედურების შემთხვევებისა.

---

## 29 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ყველა სახის მშენებლობისა და საშენი მასალების წარმოებისადმი ორგანიზაციულ-ტექნიკური ხელმძღვანელობის ერთ დაწესებულებაში თავმოყრისა და გაძლიერების მიზნით, გაუქმდეს საქართველოს სსრ მშენებლობის სამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისტროს კოლმეურნეობებში მშენებლობის სამმართველო და მის ნაცვლად შეიქმნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარი სამმართველო—საქმთავარკოლმშენი.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარ სამმართველოს სტრუქტურა და საშტატო განრიგი 23 ერთეულის რაოდენობით და თვიური ხელფასის ფონდი 24.350 მანეთი, დანართის თანახმად.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს საშტატო ერთეულები დამტკიცდეს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს 11 საშტატო ერთეულის და 12430 მანეთი თვიური ხელფასის ფონდის და საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს 1 საშტატო ერთეულის და 1000 მანეთი ხელფასის ფონდის შემცირების ხარჯზე, ხოლო დანარჩენი 11 საშტატო ერთეული და ხელფასის თვიური ფონდი 10920 მანეთი დაფარულ იქნას რესპუბლიკაში სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ხაზით 1959 წელს ჩატარებული შტატებისა და ხელფასის ფონდის შემცირების ხარჯზე.

დაევალოს საქმთავარკოლმშენს უფროსს მოაწყოს სამუშაოზე ამ სამმართველოს შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მშენებლობისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებში განთავისუფლებული მუშაკები.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს გადასცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარ სამმართველოს:

ა) ქონება, ინვენტარი და სატრანსპორტო საშუალებანი, რაც იმყოფებოდა კოლმეურნეობებში მშენებლობის სამმართველოს სარგებლობაში;

ბ) მოძრავი მექანიზებული რაზმი 1959 წლის 1 მარტის მდგომარეობით.

5. დაუწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარ სამმართველოს ხელფასის პერსონალური დანამატის ლიმიტი 920 მანეთის რაოდენობით საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს შესაბამისი ლიმიტის 420 მანეთით და საქართველოს სსრ წყალთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობის სამინისტროს ლიმიტის 500 მანეთით [illegible] ხარჯზე.

6. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომთან არსებულ კოლმეურნეობებში მშენებლობის სამმართველოები და რაიაღმასკომების კოლმეურნეობებში მშენებლობის განყოფილებები ერთდროულად დაუქვემდებარდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარ სამმართველოს.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოსათვის გამოყოფილი მატერიალური ფონდების რეალიზაცია და მათი მიცემა მომხმარებლებისათვის ამ სამმართველოს განაწილებით დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარემონტო-ტექნიკური სადგურების მთავარ სამმართველოს.

8. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარ სამმართველოს ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მშენებლობისა და საშენი მასალების წარმოების მკვეთრად გაუმჯობესების ღონისძიებები და მთავარი სამმართველოს დებულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 16 მარტი № 196

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 16 მარტის № 196
დადგენილების დანართი

## სტრუქტურა და საშტატო განრიგი

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოსი— საქმთავარკოლმმშენი

| სტრუქტურული დანაყოფი და თანამდებობათა დასახელება | საშტატო ერთეულების რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთი | ხელფასის თვიური ფონდი |
|---|---|---|---|
| 1. მთავარი სამმართველოს უფროსი | 1 | 3000 | 3000 |
| 2. მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე . . . | 1 | 2500 | 2500 |
| 3. მდივანი-სტენოგრაფისტი . | 1 | 550 | 550 |
| ჯამი . . . | 3 | — | 6050 |
| **მშენებლობის ორგანიზაციის განყოფილება** | | | |
| 1. განყოფილების უფროსი—მთ. ინჟინერი . . . . . | 1 | 1600 | 1600 |
| 2. უფროსი ინჟინერი . . | 2 | 1100 | 2200 |
| 3. ინჟინერ-ინსპექტორი . . | 3 | 980 | 2940 |
| ჯამი . . . | 6 | — | 6740 |
| **საპროექტო დაგეგმვის სამუშაოების განყოფილება** | | | |
| 1. განყოფილების უფროსი . . | 1 | 1600 | 1600 |
| 2. უფროსი არქიტექტორი . . | 1 | 1100 | 1100 |
| 3. ინჟინერ-მშენებელი . . . | 1 | 980 | 980 |
| ჯამი . . . | 3 | — | 3680 |
| **საშენი მასალების წარმოებისა და მატერიალური ფონდების განყოფილება** | | | |
| 1. განყოფილების უფროსი . . | 1 | 1600 | 1600 |
| 2. უფროსი ინჟინერი . . . | 1 | 1100 | 1100 |
| 3. ინჟინერი . . . . | 1 | 980 | 980 |
| ჯამი . . . | 3 | — | 3680 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სტრუქტურული დანაყოფი და თანამდებობათა დასახელება | საშტატო ერთეულების რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთი | ხელფასის თვიური ფონდი |
|---|---|---|---|
| **ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება** | | | |
| 1. განყოფილების უფროსი — საიდუმლო ნაწილის გამგე . . . | 1 | 880 | 880 |
| 2. უფროსი ბუღალტერი . . | 1 | 880 | 880 |
| 3. საქმისმწარმოებელი . . . | 1 | 500 | 500 |
| 4. მემანქანე ქართულ მანქანაზე | 1 | 410 | 410 |
| 5. მემანქანე რუსულ მანქანაზე | 1 | 410 | 410 |
| 6. მსუბუქი ავტომანქანის მძღოლი | 2 | 410 | 820 |
| 7. დამტარებელ-დამლაგებელი | 1 | 300 | 300 |
| ჯამი . . . | 8 | — | 4200 |
| სულ მთავარ სამმართველოში | 23 | — | 24.350 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ქიტიაშვილი.

## 30 1959—1965 წლებში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში სპილენძისა და ტყვიის მომჭირნეობის შესახებ

„1959—1965 წლებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში სპილენძისა და ტყვიის მომჭირნეობის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 თებერვლის № 133 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს 1959—1965 წლებისათვის დავალებანი სპილენძის და ტყვიის მომჭირნეობისა შემცვლელთა გამოყენების და ამ მასალების ხარჯვის ნორმების შემცირების ხარჯზე, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა ნაკეთობათა დასამზადებლად სპილენძისა და ტყვიის შემცვლელთა გამოყენების დროს უზრუნველყონ ამ ნაკეთობათა მაღალი ტექნიკური დახასიათებანი და საექსპლუატაციო მაჩვენებლები.

2. დაევალოს სახალხო მეურნეობის საბჭოს:

ა) გამოუშვას 1959—1965 წლებში დასაყენებელი სადენები ალუმინის დენგამტარი ძარღვებით წარმოების საერთო გეგმის 100 პროცენტის მოცულობით, ხოლო გამოუშვას 1965 წელს სადენები რადიოფიკაციისათვის—წარმოების საერთო გეგმის 100 პროცენტის მოცულობით, საგრაგნილე და მომინანქრებული სადენები—63,3 პროცენტის მოცულობით;

ბ) შეიმუშაოს, დაამზადოს და ყოველმხრივ გამოცადოს 1959—1965 წლებში საკონტროლო და ძალოვანი კაბელები რეზინისა და პლასტმასის იზოლაციით, საგრაგნილე, მომინანქრებული სადენები და რადიოსადენები ალუმინის ძარღვებით;

გ) გამოიყენოს, 1959 წლიდან დაწყებული, ალუმინის გრაგნილები შემდუღებელი ტრანსფორმატორების, 1800 კვა-მდე სიმძლავრის ძალოვნი ტრანსფორმატორებისა და ასინქრონული ელექტროძრავების ერთიანი სერიის დამზადების დროს (საერთო-სამრეწველო შესრულებით).

აიყვანოს 1965 წლისათვის აღნიშნული ელექტროძრავების წარმოების მოცულობა მათი საერთო გამოშვების 20 პროცენტამდე, ხოლო შემდუღებელი და ძალოვანი ტრანსფორმატორებისა—80 პროცენტამდე.

მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის „გლავნიიპროექტს“ უზრუნველყოს, რომ მისცენ: საკაბელო მრეწველობის

სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა საჭირო ტექნიკური დოკუმენტაცია აღნიშნული კაბელებისა და სადენების დამამზადებელ ქარხნებს, ხოლო ლენინის სახელობის საკავშირო სამეცნიერო-ელექტროტექნიკურმა ინსტიტუტმა და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა—საჭირო ტექნიკური დოკუმენტაცია აღნიშნული ტრანსფორმატორებისა და ელექტროძრავების დამამზადებელ ქარხნებს; „გლავნიიპროექტს“ აგრეთვე დაევალა განახორციელოს შემდგომი სამუშაოები ელექტროტექნიკურ მანქანებში, ტრანსფორმატორებსა და ელექტროაპარატებში ალუმინის საგრაგნილე სადენების გამოყენების გაფართოებისათვის;

დ) შეცვალოს 1959—1962 წლებში სპილენძისა და თითბრის ნაგლინი ცალკეული ტიპის ელექტროაპარატურისა და ელექტრომოწყობილობის წარმოებაში ბიმეტალისა და ალუმინის ნაგლინით ან პლასტმასებით;

ე) გამოიყენოს 1962 წლიდან ელექტრომანქანებში უფრო მყარი კოლექტორები კადმიუმით ან ქრომით ლეგირებული სპილენძისაგან;

ვ) დაამზადოს, 1959 წლიდან დაწყებული, საკაბელო არმატურა (მუფტები და ბუნიკები), მასალები და სპეციალური ინსტრუმენტი ალუმინის ძარღვებიანი, ალუმინის ან პლასტმასის გარსებიანი კაბელებისა და სადენების მონტაჟის და ექსპლუატაციისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული „გლავნიიპროექტის“ საკაბელო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ერთიანი ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით;

ზ) გადასინჯოს 1959—1960 წლებში ახალი საკაბელო ქარხნების მშენებლობისა და მოქმედი ქარხნების რეკონსტრუქციის პროექტები, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ საჭიროა შეიქმნას პირობები ალუმინის დენგამტარი ძარღვებიანი და გარსებიანი საკაბელო ნაკეთობათა გამოსაშვებად ტყვიის შემცვლელებისაგან;

თ) ყოველწლიურად გადასინჯოს სპილენძის, ტყვიის და მათი საფუძველზე შენადნობების (სხმულისა და ნაგლინის სახით) ხარჯვის ნორმები დაქვემდებარებულ საწარმოებში გამოშვებულ ნაკეთობათა ერთეულზე, ამასთან იქონიოს მხედველობაში სპილენძისა და ტყვიის მომჭირნეობის ამ დადგენილებით გათვალისწინებულ დავალებათა შესრულება;

ი) გადასინჯოს 1959 წელს დაქვემდებარებულ საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციათა და საწარმოთა ძალებით ელექტრომანქანების, მოწყობილობისა და ხელსაწყოების შეყვანილობათა (გამო-

ეროვნული

ყვანილობათა) კონსტრუქციები, იმისათვის, რომ შე[illegible] კაბელები და სადენები ალუმინის ძარღვებით და ალუმინის ან პლასტმასის გარსებით;

ქ) გადასინჯოს 1959—1960 წლებში სპილენძისა, ტყვიისა და მათი შენადნობებისაგან დამზადებული მანქანების, მოწყობილობის, ხელსაწყოების და სხვა ნაკეთობათა დეტალების ნომენკლატურები იმ მიზნით, რომ მაქსიმალურად შეიცვალოს ისინი ალუმინისაგან, თუთიისაგან, უჟანგი ქრომოვანი ფოლადისაგან, ანტიფრიქციული თუჯისაგან, პლასტმასებისაგან ან სხვა უფრო ნაკლებად დეფიციტური მასალებისაგან დამზადებული დეტალებით;

ღ) შეიმუშაოს და 1959—1961 წლებში წარუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სტანდარტების, ზომისა და საზომის ხელსაწყოების კომიტეტს ახალი სტანდარტების პროექტები და წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეიცვალოს სხვადასხვა სახის ელექტრომოწყობილობის, კაბელების, სადენების და სხვა ნაკეთობათა მოქმედი სტანდარტები, ამ ნაკეთობათა დამზადების დროს სპილენძისა და ტყვიის შემცვლელთა გამოყენებასთან დაკავშირებით.

3. ეცნობოთ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1959 წლის 10 თებერვლის № 133 დადგენილებით აკრძალა 1961 წლიდან გამოყენება:

ა) სპილენძისა და სპილენძის შენადნობებისა სადისტილაციო სვეტების, აგრეთვე სხვადასხვა ტევადობის აპარატურის დასამზადებლად, გარდა აპარატურისა, რომელსაც იყენებენ სპირტ-ჰიდროლიზურ, სპირტის სარექტიფიკაციო და ეთერის გარემოში გადიდებული ტემპერატურების პირობებში (+20 გრადუსზე მეტი) და ღრმა გაციების დანადგარებში;

ბ) სპილენძის და თითბრის მილაკებისა ბენზინსადენების და ზეთსადენების სისტემებში (გარდა კომპრესორთა ცილინდრების ზეთსადენების მილაკებისა და თვითმფრინავმშენებლობაში საჭირო მილაკებისა), ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა მათი შეცვლა 6x0,7; 8x0,7 10x0,8; 12x0,9 და 15x0,9 მმ ზომის ჩვეული ფოლადის გასპილენძიანებული მილაკებით, აგრეთვე ალუმინისა და პლასტმასის მილაკებით.

ამ მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული სპილენძისა და სპილენძის შენადნობების, აგრეთვე სპილენძისა და თითბრის

მილაკების გამოყენების აკრძალვა არ ვრცელდება [illegible] პროდუქციის დამზადებაზე;

გ) ტყვიისა ისეთი აპარატურის დამზადებისა და კაპიტალური რემონტისათვის, რომელშიაც ტყვიას არ იყენებენ თბოგამტარ ან ელექტროგამტარ მასალად, გარდა რენტგენოაპარატურის და ისეთი აპარატურის ფუტირებისა, რომელსაც იყენებენ რადიოაქტიურ იზოტოპებთან მუშაობისათვის;

დ) სპილენძის სალტეებისა და დენგამტარებისათვის ახალი ობიექტების მშენებლობის დროს; შეიცვალოს ისინი ალუმინისაგან დამზადებული სალტეებით (გარდა შემთხვევებისა, როდესაც ხდება სპილენძის სალტეების გამოყენება აგრესიულ წრეში), სააკუმულატორო ბატარიების სადგომებში და ელექტრორკალური ღუმელების მოკლე ქსელში.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას გამოუყოს საწარმოებსა და ორგანიზაციებს ასიგნობანი, მასალები და მოწყობილობა, რომლებიც საჭიროა ფერადი ლითონების მომჭირნეობის ამ დადგენილებით გათვალისწინებულ დავალებათა შესასრულებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 30 მარტი № 221

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 30 მარტის № 221
დადგენილების დანართი

## დავალება

### საქართველოს სს რესპუბლიკაში სპილენძის და ტყვიის მომჭირნეობისა 1959—1965 წლებში

1958 წელთან შედარებით

| | ზომის ერთეული | 1959 წელი | 1960 წელი | 1961 წელი | 1962 წელი | 1963 წელი | 1964 წელი | 1965 წელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სპილენძის ნაგლინი** | | | | | | | | |
| საავიაციო მრეწველობის საწარმოებში | მოხმარების პროცენტულად | 1,5 | 2,5 | 3,0 | 4,0 | 5,0 | 5,5 | 6,0 |
| მრეწველობის ყველა სხვა დარგში, გარდა გზათა სამინისტროს და სათავდაცვო მრეწველობის საწარმოებისა | „ | 3 | 5 | 7 | 9 | 11 | 13 | 15 |
| **თითბრის ნაგლინი** | | | | | | | | |
| (იმის მიხედვით, თუ რამდენ სპილენძს შეიცავს) | | | | | | | | |
| საავიაციო მრეწველობის საწარმოებში | „ | 2,0 | 2,5 | 3,5 | 4,0 | 5,0 | 6,0 | 6,5 |
| მრეწველობის ყველა სხვა დარგში, გარდა სათავდაცვო მრეწველობისა | „ | 1,5 | 2,0 | 4.0 | 7.0 | 9,0 | 11,0 | 12,0 |
| **ბრინჯაო და თითბერი სხმული** | | | | | | | | |
| (იმის მიხედვით, თუ რამდენ სპილენძს შეიცავს) მრეწველობის ყველა დარგში, გარდა სათავდაცვო მრეწველობისა | „ | 2 | 2 | 3 | 3 | 4 | 4 | 5 |
| **ბაბიტი** | | | | | | | | |
| (იმის მიხედვით თუ რამდენ ტყვიას შეიცავს) მრეწველობის ყველა დარგში, გარდა სათავდაცვო მრეწველობისა და გზათა სამინისტროს საწარმოებისა | „ | 1,0 | 1,5 | 3,0 | 3,5 | 4,0 | 4,5 | 5,0 |
| **მინარჩილი** | | | | | | | | |
| (იმის მიხედვით თუ რამდენ ტყვიას შეიცავს) | | | | | | | | |
| საავიაციო მრეწველობის საწარმოებში | „ | 1,0 | 2,5 | 3,5 | 4,0 | 4,5 | 5,0 | 5,5 |
| მრეწველობის ყველა სხვა დარგში | „ | 3,0 | 4,0 | 5,0 | 6,0 | 7,0 | 8,0 | 9,0 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

## 31 საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი, რომლებსაც ზოგადი მნიშვნელობა ან ნორმატიული ხასიათი აქვთ, გამოქვეყნდება „საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებულში“, რომელსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა გამოსცემს.

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი, რომლებიც ამ დადგენილებებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დიდი მნიშვნელობის ან გადაუდებლობის გამო, ფართოდ და დაუყოვნებლივ უნდა იქნან საჯაროდ გამოცხადებული, გამოქვეყნდება გაზეთებში, ხოლო საჭირო შემთხვევებში—გამოცხადდება აგრეთვე რადიოთი ან გადაიცემა დეპეშით.

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებში, რომლებსაც ნორმატიული ხასიათი აქვთ, უნდა იყოს აღნიშნული მათი ძალაში შესვლის ვადა.

იმ შემთხვევებში, როდესაც საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებში არ არის აღნიშნული მათი სამოქმედოდ შემოღების ვადა, ისინი ძალაში შედის მათი მიღების მომენტიდან.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებანი ძალაში შედის მათი მიღების მომენტიდან და „საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებულში“ არ გამოქვეყნდება.

4. საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი, რომლებიც არ არის გამოქვეყნებული „საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებულში“ ან გაზეთებში, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებანი შეიძლება გამოქვეყნდეს სხვა ნაბეჭდ გამოცემებში სათანადო ორგანიზაციების წარდგენით მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის ნებართვით.

5. საქართველოს სსრ მთავრობის იმ დადგენილებათა დედნებზე, რომლებიც გამოქვეყნებულ უნდა იქნან ამ დადგენილების 1 მუხლის თანახმად, გაკეთდება შემდეგი წარწერები:

„უნდა გამოქვეყნდეს დადგენილებათა კრებულში“;

„უნდა გამოქვეყნდეს დადგენილებათა კრებულსა და გაზეთებში“;

„უნდა გამოქვეყნდეს დადგენილებათა კრებულში, გაზეთებში და გამოცხადდეს რადიოთი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებების, ამ დადგენილების შესაბამისად მათი გამოქვეყნების დამოუკიდებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა დაუგზავნის მათი მიღებისთანავე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტებს, საქართველოს სსრ სამინისტროებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიას, საქართველოს სსრ პროკურატურას, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, საქართველოს სსრ სტატისტიკურ სამმართველოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას, აგრეთვე სხვა ორგანიზაციებს იმ სიის მიხედვით, რომელსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი დაამტკიცებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 30 მარტი, № 222

## 32 სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის და სამეცნიერო-ტექნიკური პროპაგანდის რესპუბლიკური სახლის გაერთიანების შესახებ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტად

სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის საუკეთესო ორგანიზაციის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გაერთიანდეს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტი და სამეცნიერო-ტექნიკური პროპაგანდის რესპუბლიკური სახლი სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტად.

მეხ. 32
ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დამტკიცდეს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პრო-პაგანდის საშტატო ცხრილი, დანართის თანახმად.

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტს ორი კვირის ვადაში დაამტკიცოს დებულება სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 30 მარტი, № 224

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 30 მარტის № 224
დადგენილების დანართი

# საშტატო ცხრილი

## სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის და პროპაგანდის ინსტიტუტისა

| სტრუქტურულ ქვედანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება | საშტატო ერთეულების რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთი | ხელფასის ფონდი |
|---|---|---|---|
| **ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალი** | | | |
| 1. დირექტორი | 1 | 2.000 | 2.000 |
| 2. დირექტორის მოადგილე გამომცემლობისა და პროპაგანდის დარგში | 2 | 1.800 | 3.600 |
| 3. მდივანი-საქმისმწარმოებელი | 1 | 500 | 500 |
| 4. ადმ.-სამეურნეო ნაწილის უფროსი | 1 | 1.000 | 1.000 |
| 5. უფროსი ბუღალტერი | 1 | 1.200 | 1.200 |
| 6. ბუღალტერი | 1 | 690 | 690 |
| 7. მოანგარიშე-მოლარე | 1 | 500 | 500 |
| 8. მემანქანე | 1 | 500 | 500 |
| 9. მეგარდერობე | 1 | 300 | 300 |
| 10. შიკრიკი | 1 | 300 | 300 |
| 11. დამლაგებელი | 3 | 300 | 900 |
| 12. ავტომანქანის შოფერი | 1 | 410 | 410 |
| 13. მეკუშნავე-ექსპედიტორი | 1 | 450 | 450 |
| სულ | 16 | — | 12.350 |
| **საგამომცემლო-საწარმოო განყოფილება** | | | |
| 1. რედაქტორი | 2 | 1.000 | 2.000 |
| 2. ტექნიკური რედაქტორი | 1 | 900 | 900 |
| 3. გამომშვები | 1 | 790 | 790 |
| 4. კორექტორი (რუსული, ქართული) | 2 | 750 | 1.500 |
| 5. მთარგმნელი (რუსული, ქართული) | 2 | 790 | 1.580 |
| 6. ტექნიკოსი-მხაზველი | 1 | 690 | 690 |
| 7. ფოტოლაბორატორიის გამგე | 1 | 1.000 | 1.000 |
| 8. როტოპრინტზე მბეჭდავი VII თანრიგ. | 1 | 7[illegible]0 | 740 |
| 9. დამწყობი V თანრიგისა | 1 | 440 | 440 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სტრუქტურულ ქვედანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება | საშტატო ერთეულების რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთი | ხელფასის ფონდი |
|---|---|---|---|
| 10. ამკინძავი VII თანრიგისა | 1 | 630 | 630 |
| 11. უფროსი მემანქანე | 1 | 600 | 600 |
| 12. მემანქანე | 3 | 500 | 1.500 |
| სულ | 17 | — | 12.370 |
| **სამეცნიერო-ტექნიკური პროპაგანდის განყოფილება** | | | |
| 13. განყოფილების გამგე | 1 | 1.500 | 1.500 |
| 14. უფროსი ინჟინერი მძიმე მრეწველობის დარგში | 1 | 1.200 | 1.200 |
| 15. უფროსი ინჟინერი მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყომშენებლობის დარგში | 1 | 1.150 | 1.150 |
| 16. უფროსი ინჟინერი მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგში | 1 | 1.100 | 1.100 |
| 17. ინჟინერი | 2 | 1.100 | 2.200 |
| 18. ინჟინერი ტექნიკური ინფორმაციის დარგში | 1 | 1.000 | 1.000 |
| 19. ინჟინერი | 2 | 900 | 1.800 |
| 20. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მეთოდისტი | 1 | 1.000 | 1.000 |
| 21. მხატვარი-გამფორმებელი | 1 | 850 | 850 |
| 22. მეცნიერი თანამშრომელი ექსკურსიებისა და სალექციო პროპაგანდის დარგში | 1 | 1.000 | 1.000 |
| 23. ტექნიკოსი | 2 | 750 | 1.500 |
| 24. ზედამხედველი-მცველი | 1 | 300 | 300 |
| სულ | 15 | | 14.600 |
| მთლად | 48 | | 39.320 |

სულ ორმოცდარვა ერთეული ხელფასის 39.320 მან. თვიური ფონდით, მათ შორის ადმინისტრაციული პერსონალი ხელფასის 12.350 მან. თვიური ფონდი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ეროვნული

## 33 საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის შემდგომი ხარისხობრივი გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ „საქართველოს სსრ მეცხოველეობაში სანაშენო საქმის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 ივლისის დადგენილების შესასრულებლად გარკვეული მუშაობა ჩატარდა. მოწყობილია სანაშენო საქმისა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესლვის 9 სახელმწიფო სადგური და ხელოვნური დათესლვის 9 სახელმწიფო სადგური; სადგურები დაკომპლექტებულია კადრებით, ძირითადი მოწყობილობით და ნაწილობრივ — სატრანსპორტო საშუალებებით; მომზადებულია 300 მთესლავი ტექნიკოსი; სახელმწიფო სადგურებს გადაეცა 117 ბუღა და საბუღე; 23 რაიონში შესწავლილია პირუტყვის ბერწიანობის მიზეზები და ა. შ. 1958 წელს დათესლილია 19,7 ათასი ძროხა და 518,7 ათასი ცხვარი.

აღინიშნოს, რომ ამასთან ერთად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი და რაიაღმასკომები, არ ითვალისწინებენ რა იმას, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სანაშენო მუშაობას და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნურ დათესლვას მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გასადიდებლად, საკმაო დახმარებას არ უწევენ სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესლვის სახელმწიფო სადგურებსა და საკოლმეურნეო პუნქტებს, მთელ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ხელოვნური დათესლვის საკოლმეურნეობათაშორისო და საკოლმეურნეო პუნქტების მოწყობა.

პირუტყვის სადედე სულადობის ბერწიანობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ხელოვნური დათესლვის როლის შეუფასებლობის შედეგად, ბერწიანობა ჯერ კიდევ რჩება საქართველოს სსრ საზოგადოებრივ მეცხოველეობაში დიდი დანაკარგის ერთერთ მიზეზად.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, ახმეტის, ქარელის, თეთრიწყაროს, დმანისის, ლაგოდეხის, სიღნაღის, აბაშის, ცხაკაიას, ამბროლაურის, ზუგდიდის, ცაგერისა და ლანჩხუთის რაიონების კოლმეურნეობებში ჩატარებული შემოწმებით გამოირკვა, რომ ძროხების ბერწიანობის ძირითადი მიზეზია: დედაპირუტყვის, მწარმოებლებისა და სარემონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტო მოზარდეულის არასაკმაო და არასრულფასოვანი კვება, ბუღების ნაკლებობა და არასწორად გამოყენება; დაგრილებისა და ხელოვნური დათესლვის ცუდი ორგანიზაცია; ინფექციური და ინვაზიურ დაავადებათა მასობრივი გავრცელება ცხოველთა შორის; ადგილობრივი საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, მეცხოველეობის სპეციალისტებისა და კოლმეურნეობათა გამგეობების არასაკმაო ყურადღება ჯოგის კვლავწარმოებისა და მეცხოველეობის გაუმჯობესების საკითხებისადმი.

საქართველოს სსრ მეცხოველეობის ხარისხობრივი გარდაქმნის და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა სულადობის კვლავწარმოების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. წინადადება მიეცეთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომსა და რაიაღმასკომებს:

ა) მიმდინარე წლის 15 აპრილამდე შეამოწმონ და განიხილონ სანაშენო მუშაობისა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესლვის და ხელოვნური დათესლვის სახელმწიფო სადგურების, საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო პუნქტების მდგომარეობა და მზადყოფნა და შეიმუშაონ ღონისძიებანი 1959 წლის 70 ათასი ძროხის დათესლვისათვის, დანართის თანახმად;

ბ) აპრობაციის მონაცემების საფუძველზე ჩაატარონ დაწუნება და გამოიყვანონ ჯოგიდან კვლავწარმოებისათვის გამოუსადეგარი ყველა ბუღა სახელმწიფო სადგურების მოქმედების ზონებში; არ დაუშვან თავისუფალი დაგრილება;

გ) მიმდინარე წლის 15 აპრილამდე ჩაატარონ მეცხოველეობის ფერმების მუშაკთათვის სამდღიანი რაიონული სემინარები სანაშენო საქმის, ჯოგის კვლავწარმოებისა და პირუტყვის ბერწიანობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე;

დ) უზრუნველყონ მეცხოველეობის ყველა ფერმაში ზოოტექნიკური აღრიცხვის წარმოება, დაგრილებისა და ხელოვნური დათესვლის გეგმების შედგენა, მწარმოებელთა, დედაპირუტყვის და სარემონტო მოზარდეულის სრულფასოვანი კვება და ძროხების მთელი სულადობის ვეტერინარული შემოწმება ყოველ ორ თვეში;

ე) რჩევა მისცენ სიღნაღის, ლენინგორის, ონის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, მახარაძის, ქობულეთისა და გუდაუთის რაიონების კოლმეურნეობებს მოაწყონ მიმდინარე წელს სასოფლო-სამეურნეო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოველთა ხელოვნური დათესვლის საკოლმეურნეობათაშორისო სადგურები სამეურნეო ანგარიშზე;

ვ) გამოუყონ სანაშენო მუშაობისა და ხელოვნური დათესლვის და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესლვის თვითეულ სახელმწიფო სადგურს საკვები ბაზის შესაქმნელად ორ-ორი ჰექტარი სახნავი მიწა თვითეულ ბუღაზე.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ:

ა) მოაწყოს 1959 წლის 1 მაისამდე სანაშენო მუშაობისა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესლვის სახელმწიფო სადგურები დუშეთის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, ოჩამჩირისა და ამბროლაურის რაივეტსამკურნალოებთან და საქართველოს მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტთან. დააწესოს ამ სადგურების მუშაკთა საშუალო წლიური რაოდენობა — 84 ერთეული, ამასთან გაადიდოს მუშაკთა, ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რიცხვი და ხელფასის ფონდი შრომის გეგმის ფარგლებში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 7 იანვრის № 10 დადგენილებით;

ბ) საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად, შეიმუშაოს სასელექციო-სანაშენო მუშაობის გეგმები ბაშკიჩეთის სანაშენო ქარხნისათვის, ძველი სენაკის, სამგორის და ელდარის საბჭოთა მეურნეობა-რეპროდუქტორებისათვის — 1959 წლის დამლევამდე, ხოლო კრწანისისა და ციხისჯვრის საბჭოთა მეურნეობა-რეპროდუქტორებისათვის — 1960 წელს, ამასთან იქონიოს მხედველობაში ამ მეურნეობების გადაქცევა სანაშენო მუშაობის სანიმუშო საწარმოებად;

გ) დააკისროს საქართველოს მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან არსებულ სანაშენო მუშაობისა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესლვის სახელმწიფო სადგურს გაღრმავებული სანაშენო მუშაობის შესრულება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სანაშენო ფერმა-რეპროდუქტორებში, მასობრივი სანაშენო მუშაობის წარმოება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ხარისხობრივი გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესლვის მეთოდის ფართოდ დანერგვა წარმოებაში.

3. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიშვილმა და საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. მამათელაშვილმა:

ა) მიმდინარე წლის 1 მაისამდე მოაწყონ ხელოვნური დათესლვის პუნქტები გაგრის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობასთან, ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობასთან, კრწანისის სანაშენო საბჭოთა მეურნეობასთან, ყარაიის, ბადიაურის, თამარაშენის, მანგლისისა და ყულარის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობებთან, ძველი სენაკის, ზანათისა და ხობის № 1 მეღორეობის საბჭოთა მეურნეობებთან და როდინაულის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობასთან, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო მეურნეობასთან მუხრანში და საქართველოს ზოოვეტინსტიტუტის სასწავლო მეურნეობასთან — დაბა მთავარ არხში;

ბ) უზრუნველყონ ხელოვნური დათესლვის ახალადმოწყობილი პუნქტები სადგომებით, მოწყობილობით, სატრანსპორტო საშუალებებით, გეგმური ჯიშის მაღალი კლასის მწარმოებლებით, კვალიფიციური კადრებით და სხვ. იმ ანგარიშით, რომ ეს პუნქტები პრაქტიკულად შეუდგნენ მუშაობას არა უგვიანეს 1959 წლის 1 მაისისა.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას:

ა) გაითვალისწინოს სამეცნიერო გამოკვლევათა თემატიკური გეგმით 1959—60 წლებში საქართველოს სსრ მეცხოველეობაში ჯიშთაშორისი შეჯვარების შედეგების დამუშავება; რესპუბლიკის ზონების მიხედვით მეცხოველეობასა და მეფრინველეობაში სანაშენო მუშაობის მიმართულების შესწავლა, სანაშენო მოზარდეულის გამოზრდის, პირუტყვის სადედე სულადობის ბერწიანობის წინააღმდეგ ბრძოლისა და წარმოებაში ცხოველთა ხელოვნური დათესლვის მეთოდის ფართოდ დანერგვის საკითხების შესწავლა;

ბ) მიმდინარე წლის 1 მაისამდე შეიმუშაოს ახალი ქართული ნახევრადნაზმატყლიანი, ქართული ნაზმატყლიანი ცხიმკუდიანი და თუშური ჯიშის ცხვრის შემდგომი სრულყოფის მეთოდიკა და მათი გამოყენების ღონისძიებანი, აგრეთვე შეაჯამოს რესპუბლიკის პირობებში წაბლა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ახალი ჯიშობრივი ჯგუფის სრულყოფის მუშაობის შედეგები. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილოს ეს მასალები წარმოების მუშაკთა მონაწილეობით;

გ) უზრუნველყოს სამეცნიერო-მეთოდური დახმარების გაწევა სანაშენო მუშაობის და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესლვის სახელმწიფო სადგურებისათვის, აგრეთვე საბჭოთა

ეროვნული

მეურნეობებისა და კოლმეურნეობების სანაშენო მე[illegible] როდუქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესლვის პუნქტებისათვის.

5. დაწესდეს ერთი ცხვრის ხელოვნური დათესლვის ფასი: კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის — 2 მანეთი, კოლმეურნეებისათვის, სოფელ ადგილების მუშა-მოსამსახურეებისათვის — 3 მანეთი და ქალაქების მოსახლეობისათვის — 5 მანეთი.

6. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს გაადიდოს ლიმიტგარეშე დანახარჯების ასიგნობანი 1959 წლის II კვარტალისათვის 400 ათასი მანეთით, რისთვისაც შეამციროს ამავე მიზნისათვის გათვალისწინებული ასიგნობანი 1959 წლის III კვარტალში.

7. დაევალოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს გადასცეს ბალანსიდან ბალანსზე სანაშენო მუშაობისა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესლვის მუხროვანის სახელმწიფო სადგურის 3 შენობა, რომლებიც სადგურს უკავია ვაზიანში.

8. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამოსცეს 1959 წელს 5 ბროშურა 15 ნაბეჭდი ფურცლის საერთო მოცულობით და 3 ფერადი პლაკატი სანაშენო საქმისა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესლვის საკითხებზე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს თემატიკური გეგმით და სახსრებით.

9. წინადადება მიეცეთ გაზეთ „კომუნისტის“, „ზარია ვოსტოკას“ და ჟურნალ „საქართველოს კოლმეურნის“ რედაქციებს გააშუქონ რესპუბლიკის მეცხოველეობის ხარისხობრივი გარდაქმნის საკითხები.

10. ეთხოვოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაითვალისწინოს შემოყვანა საქართველოს სს რესპუბლიკაში 1959 წელს სახელმწიფო სადგურების დასაკომპლექტებლად დაგრილების ასაკის 100 ბუღისა ხარისხით არა უმდაბლეს ელიტის კლასისა, მათ შორის შვიცის ჯიშის — 70 სული, ლებედინის, კოსტრომის, ველის წითელი ჯიშის — ათი-ათასი სული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინის-ტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხ-რეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომსა და რაიაღმასკომებს მიმდინარე წლის 1 ივლისისა და 1960 წლის 1 იანვრისათვის მოახსე-ნონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების შესრუ-ლების მიმდინარეობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 31 მარტი, № 238.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 31 მარტის № 238
დადგენილების დანართი

# გ ე გ მ ა

## ძროხების ხელოვნური დათესლვისა 1959 წლისათვის

| ხელოვნური დათესლვის სადგურები და სახელმწიფო პუნქტები | ძროხების დათესლვის გეგმა |
|---|---|
| 1. მუხროვანის | 6000 |
| 2. სოხუმის | 2500 |
| 3. ბათუმის | 2000 |
| 4. სტალინირის | 2000 |
| 5. ახალქალაქის | 4000 |
| 6. ბოგდანოვკის | 2000 |
| 7. ბაკურიანის | 2000 |
| 8. წალკის | 5000 |
| 9. დმანისის | 3500 |
| 10. ახალციხის | 2000 |
| 11. ხაშურის | 2000 |
| 12. გორის | 2000 |
| 13. გურჯაანის | 2000 |
| 14. წითელწყაროს | 3000 |
| 15. თელავის | 2500 |
| 16. თეთრიწყაროს | 2000 |
| 17. ქუთაისის | 2500 |
| 18. სამტრედიის | 3000 |
| ს უ ლ | 50000 |
| 1. დუშეთის | 2000 |
| 2. ზუგდიდის | 2500 |
| 3. ლანჩხუთის | 2500 |
| 4. ოჩამჩირის | 2500 |
| 5. ამბროლაურის | 2500 |
| 6. რესპუბლიკური სადგური საქართველოს მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან | 2000 |
| ს უ ლ | 14000 |
| **სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესლვის პუნქტი** | |
| 1. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა | 3000 |
| 2. საქართველოს ზოოვეტინსტიტუტისა | 3000 |
| ს უ ლ | 6000 |
| მთლად | 70000 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ეროვნული

## 34 ქალაქებსა და მუშათა დაბებში სასოფლო-სამეურნეო პრო-დუქტების კოოპერაციული ვაჭრობის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 20 თებერვლის № 195 დადგენილების შესაბამისად და იმ მიზნით, რომ შეიქმნას კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის ჭარბი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღების უკეთესი პირობები და გაიშალოს ამ პროდუქტების კოოპერაიცული ვაჭრობა ქალაქებსა და მუშათა დაბებში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს ცეკავშირის გამგეობას და მის კოოპერაციულ ორგანიზაციებს აწარმოონ ჭარბი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისაგან (დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის დაწესებული კალენდარული გეგმების შესრულების შემდეგ) შესყიდვის ადგილებზე შექმნილ ფასებში, მაგრამ არა უმეტეს სახელმწიფო შესასყიდი ფასებისა, რაც დამტკიცებულია დადგენილი წესით.

2. უფლება მიენიჭოთ ცეკავშირის სისტემის კოოპერაციულ ორგანიზაციებს გაყიდონ ქალაქებსა და მუშათა დაბებში სახელმწიფო საცალო ფასებში კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისაგან შესყიდული ჭარბი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

3. დაევალოთ სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორას და ცეკავშირის გამგეობას დაგზავნონ მითითება სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციის მიერ იმ ოპერაციების დაკრედიტების წესის შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ქალაქებსა და მუშათა დაბებში გასაყიდად განკუთვნილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვასთან, სეზონურ დაგროვებასთან და გადამუშავებასთან.

4. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს ერთი თვის ვადაში გამოუყონ სამომხმარებლო კოოპერაციას სადგომები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავაჭრო მაღაზიებისათვის, აგრეთვე სასაწყობო და სამაცივრო ფართობი ამ პროდუქტების შესანახად და მათი მარაგის შესაქმნელად სასეზონთაშორისო პერიოდში, მათ შორის 4 მაღაზია ქ. თბილისში და თითო მაღაზია ქალაქ ქუთაისში, რუსთავში, ბათუმსა და სოხუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოს ცეკავშირის გამგეობას გააწყოს და გახსნას [illegible] ქალაქებში 1959 წლის პირველ ნახევარში მაღაზიები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კოოპერაციული ვაჭრობისათვის.

5. დაევალოს ცეკავშირის გამგეობას, გამოცდილების დაგროვებისა და შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რაოდენობის გადიდების კვალობაზე, გააფართოოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კოოპერაციული ვაჭრობის მაღაზიების ქსელი ქალაქებსა და მუშათა დაბებში.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და სადაბო საბჭოების აღმასკომებმა დაუთმონ სამომხმარებლო კოოპერაციას შესაბამისი სადგომები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კოოპერაციული ვაჭრობის გასაშლელად.

6. დაევალოთ ცეკავშირის გამგეობას და ყველა კოოპერაციულ ორგანიზაციას, ყოველდღიური კონტროლი გაუწიონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის და ქალაქებსა და მუშათა დაბებში სახელმწიფო საცალო ფასების მიხედვით მათი გაყიდვის მიმდინარეობას, ამასთან მტკიცედ დაიცვან ვაჭრობის წესები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვის წესი.

7. მიღებულ იქნას „ცენტროსოიუზის" გამგეობის წინადადება იმის შესახებ, რომ მოეწყოს საქართველოს სს რესპუბლიკაში ხილის ბაზა ხილის მისაღებად, შესანახად და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასაგზავნად. მიზანშეწონილად ჩაითვალოს მოეწყოს ხილის ბაზა გორის რაიონში.

8. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ გამოეყოს ცეკავშირს საჭირო სავაჭრო-ტექნოლოგიური და სამაცივრო მოწყობილობა, აგრეთვე ნახევრადსატვირთო ავტომანქანები და ძარიანი მოტოროლერები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კოოპერაციული ვაჭრობის გასაშლელად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 31 მარტი, № 240.

ეროვნული

**35** „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების“ კანონის შესრულებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ

„ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების“ 1958 წლის 24 დეკემბრის კანონის შესასრულებლად და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 7 მარტის № 241 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან, სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, შეიმუშაოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა საწარმოო სწავლების მოწყობას და საშუალო სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეებისათვის სასწავლო ადგილების დათმობას საწარმოებსა და ორგანიზაციებში პროფესიული სწავლებისა და საწარმოო პრაქტიკისათვის;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებას და სკოლებში მრავალცვლიანი მეცადინეობის ლიკვიდაციას.

სკოლებში მრავალცვლიანი მეცადინეობის ლიკვიდაციის განსახორციელებლად აშენდეს ახალი სასკოლო შენობები ამ მიზნისათვის გამოყოფილ სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, გადაკეთდეს სკოლებად და სასწავლო სახელოსნოებად არსებული სადგომები, აგრეთვე უფრო ფართო მონაწილეობა მიიღონ კოლმეურნეობებმა სოფელ ადგილებში სასკოლო შენობების მშენებლობისა და მოწყობის საქმეში.

სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების გასაწყობად, ახალი მოწყობილობის გამოყოფასთან ერთად, გამოყენებულ იქნას აგრეთვე ის მოწყობილობა, რომელიც შეიძლება უსასყიდლოდ გადასცენ ამ მიზნისათვის საწარმოებმა, მშენებლობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სარემონტო-ტექნიკურმა სადგურებმა, სამეცნიერო-კვლევითმა ორგანიზაციებმა და კოლმეურნეობებმა;

გ) სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოების წარმოების მოწყობას და გაფართოებას სახალხო მეურნეობის საბჭოს და ადგილობრივი

ეროვნული

მრეწველობის საწარმოებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის;

დ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო და სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების მომარაგებას საჭირო მასალებითა და ინსტრუმენტებით.

ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება მოხსენდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 1 სექტემბრისათვის.

2. დაევალოს შრომითი რეზერვების რესპუბლიკურ სამმართველოს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან და დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, შეიმუშაოს წინადადებანი:

ა) შრომითი რეზერვების სასწავლებლებისა და სკოლების, საფაბრიკო-საქარხნო მოწაფეობის სკოლებისა და სხვა პროფესიული სასწავლებლების დღისა და სალამოს საქალაქო და სასოფლო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებად გარდაქმნის შესახებ;

ბ) პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების საწარმოო საქმიანობის გაფართოებისა და შემოსავლიანობის გადიდების შესახებ, ამასთან იქონიოს მხედველობაში მათი თანდათანობით გადაყვანა ნაწილობრივ თვითანაზღაურებაზე;

გ) ინდივიდუალურ-ბრიგადული და კურსობრივი სწავლების გზით მუშათა მომზადების ძირეულად გაუმჯობესებისა და მუშათა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ.

აღნიშნული წინადადებანი წარედგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას 1959 წლის 15 აპრილისათვის.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან და შრომითი რეზერვების საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოსთან ერთად, 1959 წლის 15 მაისისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების კანონის შესაბამისად შემუშავებული პროექტები იმ ახალგაზრდობის პროფესიული სწავლებისა და შრომითი მოწყობის 1959—1965 წლების გეგმებისა, რომელიც რვაწლიან სკოლებს, საწარმოო სწავლების მქონე საშუალო სკოლებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს ამთავრებს, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ საჭიროა დაწესდეს საწარმოებში სამუშაოზე ახალგაზრდობის მიღების ჯავშანი.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან და შრომითი რეზერვების საქართველოს სამმართველოსთან ერთად, პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მონაწილეობით არა უგვიანეს 1959 წლის 10 აპრილისა წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იმ პროფესიების სია, რომელთა მიხედვით მომზადებულ უნდა იქნან ახალგაზრდობის რიცხვიდან კვალიფიციური მუშები უშუალოდ წარმოებაში ინდივიდუალურ-ბრიგადული სწავლების წესით, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და საწარმოო სწავლების მქონე საშუალო სკოლებში.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, განათლების სამინისტროსთან, სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, შრომითი რეზერვების საქართველოს სამმართველოსთან და ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, შეიმუშაოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მასწავლებელთა მომზადების გაფართოებასა და გაუმჯობესებას პედაგოგიურ ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ახალი ამოცანების შესაბამისად, აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის საჭირო ოსტატებისა და მასწავლებლების მომზადებას ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

დასახულ ღონისძიებათა შესახებ მოხსენდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 1 მაისისათვის.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, განათლების სამინისტროს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საბჭოს, საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს არა უგვიანეს 1959 წლის 15 მაისისა წარუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების კანონის შესაბამისად შემუშავებული პროექტები მიღება-გამოშვების გეგმებისა და ცნობები 1959—1965 წლებისათვის მოსწავლეთა კონტინგენტის შესახებ შესაბამისი გაანგარიშებებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებ[illegible] ხედვით.

7. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1959 წლის 7 მარტის № 241 დადგენილებით:

ა) დაავალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ შრომითი რეზერვების მთავარ სამმართველოს და რუსეთის სფსრ განათლების სამინისტროს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მონაწილეობით სამი თვის ვადაში შეიმუშაონ უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესები სკოლების სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებისათვის, აგრეთვე იმ საწარმოებისა, მშენებლობებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებშიაც იწარმოებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა საწარმოო სწავლება, და დაამტკიცონ ეს წესები პროფკავშირთა შესაბამის ცენტრალურ კომიტეტებთან შეთანხმებით;

ბ) დაავალა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარ სამმართველოს, რუსეთის სფსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის და სხვა დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით, შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ რადიოს, ტელევიზიის და სხვა თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა ფართოდ გამოყენებას. საღამოს და დაუსწრებელი უმაღლესი განათლების სისტემაში, აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკური სწავლების მიზნებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 1 აპრილი, № 247

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 36 საქართველოს სსრ შინაგან წყალსატევებში თევზჭერის წესების მე-17 მუხლის დამატების შესახებ, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 12 დეკემბრის № 817 დადგენილებით

თევზჭერის წესების დამრღვევებისათვის ჯარიმების გადახდევინების წესის დადგენის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ შინაგან წყალსატევებში თევზჭერის წესების მე-17 მუხლი, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 12 დეკემბრის № 817 დადგენილებით, შეივსოს და მიღებულ იქნას იგი შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 17. თევზჭერის წესების მოთხოვნილებათა დარღვევის შემთხვევაში, რასაც თან არ ახლავს ფეთქებად ან მომწამლავ ნივთიერებათა ან ჭერის სხვა მავნებელ საშუალებათა გამოყენება, დამნაშავეებს დაედებათ ჯარიმა.

თევზჭერის წესების დარღვევისათვის ჯარიმას დაადებენ:

თევზდაცვის რაიონული ინსპექტორები: 400 მანეთამდე—ცალკე პირებს და 3000 მანეთამდე—ცალკე საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს;

საქთევზდაცვის სამმართველოს უფროსი და მისი მოადგილე: 500 მანეთამდე—ცალკე პირებს და 5000 მანეთამდე—ცალკე საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

თევზჭერის წესების დამრღვევთ ჯარიმები გადახდებათ შემდეგი წესით:

თევზჭერის წესების დამრღვევი მოვალეა მასზე დადებული ჯარიმა შეიტანოს მის მიერ უწყების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს თევზის მარაგის დაცვისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველოს მიმდინარე ანგარიშზე, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე ჯარიმის გადახდევინების შესახებ გადაეცემა სახალხო სასამართლოს;

უკეთუ თევზჭერის წესების დამრღვევი იქნება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელმაც უარი განაცხადა ჯარიმის ნებაყოფლობით გადახდაზე, მაშინ მისი გადახდევინება წარმოებს უდავო წესით, რისთვისაც სახელმწიფო ბანკის შესაბამის გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილებას წარედგინება საინკასო დავალება დამრღვ[illegible]შიდან ჯარიმის თანხის ჩამოწერის შესახებ.

ჯარიმის დადება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას ათი დღის ვადაში ზემდგომ ინსტანციაში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 1 აპრილი, № 261

## 37 განსაზღვრული გასაღების მქონე პროდუქციის გეგმის ზევით წარმოების დაუშვებლობისა და მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული მარაგის შემცირების ზომების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 26 თებერვლის № 205 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს მიიღონ ზომები, რათა მათდამი დაქვემდებარებულმა საწარმოებმა არ დაუშვან განსაზღვრული გასაღების მქონე პროდუქციის წარმოება გეგმის გადამეტებით.

დაწესდეს, რომ გეგმის გადამეტებით დამზადებული პროდუქცია, რომელსაც განსაზღვრული გასაღება აქვს, არ უნდა იქნას მხედველობაში მიღებული საწარმოთა საქმიანობის შეფასებისა და ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთათვის პრემიების გამოანგარიშების დროს.

2. დამტკიცდეს, დანართის თანახმად, იმ პროდუქციის სია, რომლის 1959 წელს გამოშვება გეგმის გადამეტებით არ არის ნებადართული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს ცალკეული სახის პროდუქციაზე მოთხოვნილების შეცვლისას შეიტანონ შესწორებანი წარმოების გეგმებში, ამასთან შეცვალონ განსაზღვრული გასაღების მქონე პროდუქცია ისეთი პროდუქციით, რომელიც უფრო საჭიროა სახალხო მეურნეობისათვის, აგრეთვე შეიტანონ შესაბამისი შესწორებანი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებში.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სამინისტროებსა და უწყებებს გაანაწილონ საწარმოთა შეკვეთები მოწყობილობისა და სხვა სამრეწველო პროდუქციის მიწოდების შესახებ შეკვეთების ანაზღაურების იმ სახსრების ფარგლებში, რაც საწარმოებს მოეპოვებათ.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორამ, სსრ კავშირის სამრეწველო ბანკის საქართველოს კანტორამ, სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კანტორამ და კომუნალურმა ბანკმა გააძლიერონ იმისადმი კონტროლი, რომ საწარმოებმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა დაიცვან მოწყობილობისა და სხვა სამრეწველო პროდუქციის მიწოდებაზე შეკვეთების მიცემის დადგენილი წესი.

4. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა აცნობონ ყველა საწარმოს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს მატერიალური და ფულადი რესურსების არარაციონალურად ხარჯვის აღკვეთის მიზნით:

არ მისცეს საწარმოებს სესხი განსაზღვრული გასაღების მქონე პროდუქციისათვის, რომელიც მათ გეგმის გადამეტებით დაამზადეს.

აძლიოს საწარმოებს სახსრები განსაზღვრული გასაღების მქონე პროდუქციის გეგმის გადამეტებით გამოშვებისათვის ხელფასის გასაცემად მხოლოდ ზემდგომი ორგანიზაციის ნებართვით და იმ წესით, რაც გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 იანვრის № 24 დადგენილებით იმ საწარმოებისათვის, რომლებმაც ხელფასის ფონდის გადახარჯვა დაუშვეს.

დადგენილია, რომ საწარმოები მოვალენი არიან სულ ცოტა სამი—ხუთი თვის განმავლობაში აანაზღაურონ სახსრები, რომლებიც დახარჯულია ხელფასის გასაცემად განსაზღვრული გასაღების მქონე პროდუქციის გეგმის გადამეტებით გამოშვებასთან დაკავშირებით.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს 1959 წლის 1 მაისიდან წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას წინადადებანი მზა პროდუქციის, მასალების, ნედლეულის და სხვა მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული მარაგის რეალიზაციის შესახებ იმ ანგარიშით, რომ 1959 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში დაყვანილ იქნას მათი მარაგი დაწესებულ ნორმატივებამდე, რისთვისაც განიხილონ მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული მარაგის შემადგენლობა 1959 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით საწარმოებსა და ორგანიზაციებში. ამასთან დასახონ საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებას მათი გადანაწილებისა და სავაჭრო ორგანიზაციების მეშვეობით კოლმეურნეობებისა, სარეწაო კოოპერაციის საწარმოებისა და მოსახლეობისათვის დადგენილი წესით მიყიდვის გზით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით, გულმოდგინედ განიხილოს ეს წინადადებანი და მიმდინარე წლის 15 მაისისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისი პროექტი.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დააზუსტონ საბრუნავი სახსრების დაწესებული ოდენობის ფარგლებში საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივები დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის.

7. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს ყოველკვარტალურად მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, თუ რა მდგომარეობაშია მატერიალურ ფასეულობათა მარაგი საქართველოს სსრ საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში, აგრეთვე, თუ რა ზომები მიიღეს მათ ამ ფასეულობათა ზენორმატიული მარაგის აღკვეთისათვის.

ეცნობოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგ-

 მუხ. 37

მო კომიტეტთან არსებულმა სარესპუბლიკათაშორისო [illegible] მთავარმა სამმართველომ მოითხოვა, რათა მიღებულ იქნას ზომები მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული მარაგის სარესპუბლიკათაშორისო განაწილების წესით რეალიზაციისათვის იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ამ ფასეულობათა რეალიზაცია რესპუბლიკის შიგნით.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელებს:

ა) დააწესონ ისეთი პროდუქციის წარმოების გეგმური დავალებანი, რომელთა ნომენკლატურას არ ამტკიცებს ზემდგომი ორგანიზაცია, მხოლოდ შესაბამის გამსაღებელ ორგანიზაციებთან, სავაჭრო ორგანიზაციებთან ან შემკვეთებთან შეთანხმებით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნა საწარმოების ან ცალკეული საამქროების გადაყვანას ახალი ან მოდერნიზებული სახის პროდუქციის გამოშვებაზე, მაქსიმალურად გამოიყენონ დაუმთავრებელი წარმოების პროდუქცია, რომელიც განკუთვნილია წინათ ათვისებული სახის ნაწარმის გამოსაშვებად, ხოლო მოცემული საწარმოსათვის ზედმეტი მატერიალური რესურსების რეალიზაცია მოახდინონ არა უგვიანეს სამი თვის ვადისა მას შემდეგ, რაც საწარმოები გადაყვანილი იქნებიან ახალი ან მოდერნიზებული სახის პროდუქციის წარმოებაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 13 აპრილი, № 265

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 13 აპრილის № 265
დადგენილების დანართი

## ს ი ა

### სამრეწველო და სასურსათო საქონლისა, რომელთა გამომუშავებისას აკრძალულია წარმოების 1959 წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულება

#### 1. სამკერვალო ნაწარმი

ხელოვნური აბრეშუმის პერანგი.
ქალის ზედატანი ნატურალური და ხელოვნური აბრეშუმისაგან.
ქალის კაბა ნატურალური და ხელოვნური აბრეშუმისაგან.
ბავშვის კაბა აბრეშუმისა.
მამაკაცის შარვალი შტაპელის ტილოსაგან.
ბიჭის კოსტიუმი შტაპელის ტილოსაგან.
სამუშაო კომბინეზონები მამაკაცისა და ქალისა.
კაცის პალტო წყალგაუმტარი ქსოვილისაგან.
კაცის ქურთუკი წყალგაუმტარი ქსოვილისაგან.
ბიჭის პალტო წყალგაუმტარი ქსოვილისაგან.
ბავშვის ქურთუკი წყალგაუმტარი ქსოვილისაგან.
ბიჭის და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ქურთუკი ველვეტისა.
ფორმის წინსაფარი გოგონებისათვის.
ბიჭის კოსტიუმი სელისა.
კაცის შარვალი სელისა.
კომპლექტები ახალშობილთათვის.
კაცის პერანგი ბამბისა.
ჟაკეტი სკოლისა და სკოლამდელი ასაკის გოგონებისათვის.
პიჯაკი სკოლის და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის.
მოსასხამი სკოლის და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის.
რეზინნარევი პალტო სკოლის ასაკის ბიჭებისათვის.

#### 2. სასურსათო საქონელი

ჯემი ხილისა.
ხილფაფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების დანარჩენი საქონელი

პლასტელინი.
სამელნე ფხვნილი.
ავტოკალმისტარი.
ჰამაკი.
კუბები.
პორტრეტები.
ფრენბურთის ბადურები.
გასაყარი რეზინა.
მექანიკური საკინძე („მოლნია“).
საათის ხამაჯური.
პლასტმასის ღილი.
რქის ღილი.
ტიული-ბადურა.
ლითონის კნოპი.
პარაფინის სანთელი.
ფეხსაცმლის კრემი წყალზე.
ნავთის ლამპა.
შამფური.
კაკალსამტვრევი ალუმინისა.
გულის ქინძისთავი ყოველგვარი (გარდა ძვირფასი ლითონებისა).
ჩაის საწური.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 38 თამბაქოს ხარისხის გაუმჯობესების ზომების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მკვეთრად შემცირდა დამზადებული თამბაქოს ასორტიმენტი—უმაღლეს ხარისხებს (პირველი და მეორე) თამბაქოს ნედლეულის საერთო მასაში სრულიად უმნიშვნელო ადგილი უკავიათ.

ეს იმის შედეგია, რომ ადგილობრივმა საბჭოთა ორგანოებმა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებმა შეასუსტეს ყურადღება თამბაქოს წარმოებისადმი. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში დარგული თამბაქოს მნიშვნელოვანი ნაწილი განლაგებულია ცივ ზონაში და ისეთ ნაკვეთებზე, რომლებიც გამოუსადეგარია ხარისხოვანი ნედლეულის მისაღებად. დარაიონებული ჯიშების ნაცვლად, ფართოდ არის გავრცელებული ადგილობრივი რეპროდუქციის თამბაქოები, რომლებიც ძალიან დაბალი ხარისხის ნედლეულს იძლევიან. აზოტოვანი სასუქის შეტანა მეტად დიდი დოზებით ხდება, რაც მკვეთრად ამცირებს თამბაქოს გემოსა და არომატს.

რესპუბლიკის ბევრი კოლმეურნეობა არ არის უზრუნველყოფილი ფარდულებით, ხოლო არსებული ფარდულები არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. არ მოიპოვება დასახარისხებელი სადგომები და დასატენიანებელი სარდაფები. სრულიად არ არის მექანიზებული თამბაქოს საველე და მოსავლის შემდგომი დამუშავება.

ტრესტ საქთამბაქოს დამამზადებელი პუნქტები სტანდარტის მოთხოვნების დარღვევით იღებენ ცალებს შერეული სასაქონლო ხარისხებით; ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც უმაღლეს ხარისხს იღებენ დაბალ ხარისხად და პირიქით. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ტრესტ საქთამბაქოს ტექნიკური ბაზა არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

თამბაქოს ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, ლაგოდეხის, მარნეულისა და ბოლნისის რაიაღმასკომებს მიიღონ ზომები კოლმეურნეობებში თამბაქოს დამუშავების გაუმჯობესებისათვის და უზრუნველყონ ნედლეულის ხარისხის მკვეთრად გადიდება.

მეხ. 38

2. დაევალოს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს უზრუნველ-ყოს სამსუნის ტიპის თამბაქოს ნარგავების განლაგება ხარისხიანი ნედლეულის მისაღებად უფრო გამოსადეგ ნაკვეთებზე. ამ მიზნით მოაწყოს კომისიები შემდეგი შემადგენლობით: რაიაღმასკომების, საფერმენტაციო ქარხნის წარმომადგენლები და კოლმეურნეობის თავმჯდომარე მეთამბაქოობის თვითეულ კოლმეურნეობაში მიწის ნაკვეთების გამოსაყოფად, ამასთან გათვალისწინებულ იქნას სახელ-მწიფოსათვის თამბაქოს მიყიდვის დავალების სრული უზრუნველ-ყოფა 1959—1965 წლებში. ეს ფართობები გამოიყენოს თამბაქოსა-თვის და ყოველწლიურად განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი ნიადაგის სტრუქტურის გასაუმჯობესებლად.

თამბაქოსათვის ნაკვეთების გამოყოფა, რაც გაფორმებულ უნდა იქნას აქტებით, დამთავრდეს 1959 წლის 1 ოქტომბრამდე და ამიე-რიდან არ იქნას დაშვებული თამბაქოს დარგვა ისეთ ნაკვეთებზე, რომლებიც არ არის განკუთვნილი ამ კულტურისათვის და გამოუსა-დეგარია მისთვის.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნ-ველყოს აღნიშნული კომისიების მუშაობის ხელმძღვანელობა, ამას-თან იქონიოს მხედველობაში, რომ თამბაქოს მოყვანა შეხამებულ უნდა იქნას სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების (ციტრუსების, ჩაის და სხვ.) შემდგომ განვითარებასთან.

3. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბ-ჭოებს, ლაგოდეხის, მარნეულისა და ბოლნისის რაიაღმასკომებს:

ა) მოაწყონ თამბაქოს პლანტაციების მოვლა, თამბაქოს აღება, გაშრობა და მოსავლის შემდგომი დამუშავება აგროტექნიკის მო-თხოვნების სრული შესაბამისობით;

ბ) ურჩიონ კოლმეურნეობებს აწარმოონ დარგვა თითო ჰექტარ პლანტაციაზე: სამსუნის ტიპის თამბაქოსი აფხაზეთის ასს რესპუბ-ლიკაში ფერდობებზე, დაქანების მიხედვით, — 115 ათასიდან 130 ათას მცენარემდე და ვაკე ადგილებში — 105 ათასიდან 115 ათას მცენარემდე; ტრაპიზონის ტიპისა — ფერდობებზე და მცირეძალო-ვან ნიადაგებში — 90 ათასი მცენარე და ნაყოფიერ ნიადაგებში — 81 ათასი მცენარე;

გ) დარგვა აფხაზეთის ასსრ ყველა კოლმეურნეობაში აწარმოონ თანაბრად და დაამთავრონ 1 ივნისამდე.

დ) უზრუნველყონ მცენარეთა თავის წაწყვეტა და გაფუჩქვნა თამბაქოს ნარგავების მთელ ფართობზე, აგროტექნიკის მოთხოვნე-ბის მტკიცე შესაბამისობით.

ეროვნული

ნამხრების დატოვება დამატებითი მოსავლის მისაღებად;

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამთავრდება თამბაქოს მცენარეზე არსებული ყველა ძირითადი ფოთლის აღება.

აჭარის ასს რესპუბლიკასა და საქართველოს სსრ დანარჩენ რაიონებში — ისეთ პლანტაციებში, სადაც მცენარეები სუსტად და საშუალოდ არის განვითარებული, — თამბაქოს ყველა ძირითადი ფოთლის აღების დამთავრების შემდეგ.

პლანტაციებში, სადაც ძლიერ არის განვითარებული მცენარეები, რომლებზედაც აგროწესების მიხედვით ყვავილედის მოშორება უნდა წარმოებდეს მასზე პირველი კოლოფების გამუქების დროს, დაშვებულ იქნას დამატებითი მოსავლის მოყვანა ძირითად მოსავალთან ერთად.

4. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს:

ა) ტრაპიზონის ტიპის თამბაქოს ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, უმაღლესი ხარისხები (I და II) დახარისხების შემდეგ, ვიდრე მათი დაცალება მოხდებოდეს, ჩააწყონ თაიებად ან დასტებად ამისათვის მოწყობილ სადგომებში; თაიებში 15 დღის განმავლობაში გაჩერებული თამბაქო დაცალებისას ხელმეორედ დაახარისხონ;

ბ) თამბაქოს ჩაბარება დამამზადებელ პუნქტებში აწარმოონ 1 სექტემბრიდან 1 მარტამდე, ამასთან დაიცვან ჩაბარების შემდეგი ოდენობა თვეების მიხედვით:

სექტემბერში—10%, ოქტომბერში — 20 და ნოემბერში—25%;

დეკემბერში — 25%, იანვარში — 10 და თებერვალში — 10%.

აიკრძალოს თამბაქოს ნედლეულის ჩაბარება აგვისტოში.

5. დაწესდეს თამბაქოსათვის სიდერატების თესვის 1959—1965 წლების გეგმა № 1 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გაითვალისწინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურეულის პროდუქტების მთავარი სამმართველოს გეგმით ცერცველა — შვრიის შესყიდვა და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ რაიონებში შეტანა № 2 დანართით გათვალისწინებული რაოდენობით.

დაევალოთ ლაგოდეხის, მარნეულისა და ბოლნისის რაიაღმასკომებს მოაწყონ კოლმეურნეობებში ცერცველას თესლის გამოყვანა იმ რაოდენობით, რაც საჭიროა თამბაქოსათვის სიდერატების თესვის გეგმის შესასრულებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დაწესდეს 1960 წლის გაზაფხულზე კვალსათბურებში თამბაქოს თესვის გეგმა 332 ათას კვ. მეტრ ფართობზე, № 3 დანართის თანახმად. შემდგომ წლებში კვალსათბურებში თესვა მოხდეს იმ ოდენობით, რაც უზრუნველყოფს ნერგით თამბაქოს ნარგავის მთელი ფართობის სულ ცოტა ნახევარს მაინც.

დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების კოლონიების სამმართველოს დაამზადონ თავიანთ საწარმოებში, 1959 წელს თვითეულმა 30 ათასი საკვალსათბურო ჩარჩო და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარმა სამმართველომ — 10 ათასი ჩარჩო და გადასცეს ისინი ცეკავშირს მეთამბაქოობის კოლმეურნეობებისათვის მისაყიდად.

დაევალოს ცეკავშირს 1959 წლის დამლევამდე შეიტანოს 70 ათასი საკვალსათბურო ჩარჩო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და რაიონებში, № 3 დანართის თანახმად.

დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს დაამზადონ კოლმეურნეობებსა და ადგილობრივ საწარმოებში 1960 წლის დამდეგისათვის საკვალსათბურო ჩარჩოები № 3 დანართით გათვალისწინებული რაოდენობით.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას შეიმუშაოს წინადადებანი საკვალსათბურო ჩარჩოების წარმოების გაფართოების შესახებ იმ ანგარიშით, რომ 1961 წლიდან მთლიანად იქნას უზრუნველყოფილი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოთხოვნილება საკვალსათბურო ჩარჩოებზე და თავისი წინადადებანი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბსი წინადადებანი წარუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 1 ივნისისათვის.

8. აეკრძალოთ კოლმეურნეობებს მინერალური სასუქების შეტანა თამბაქოსათვის ისეთი რაოდენობით, რაც აღემატება აგროწესებით გათვალისწინებულ ნორმებს, აგრეთვე აზოტოვანი სასუქის შეტანა ფოსფოროვანი სასუქის შეუტანლად.

9. თამბაქოს ნარგავების საველე აპრობაციის ხარისხობრივი ჩატარების სტიმულირების მიზნით, დაწესდეს აპრობატორებისათვის ქირა 5 მანეთის ოდენობით ერთი ჰექტარის დარგვისათვის, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თამბაქოს მრეწველობის სახსრების ხარჯზე.

10. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, ლაგოდეხის, მარნეულისა და ბოლნისის რაიაღმასკომებს:

ეროვნული

ა) უზრუნველყონ 1959—1963 წლებში სტანდარტული სადგომე-ბის მშენებლობა კოლმეურნეობებში: მზეზე შრობისათვის — 6.225 თვალი, ცეცხლზე შრობისათვის — 85, თამბაქოს დახარისხებისა და დაცალებისათვის — 1.475 სადგომი, აგრეთვე 3.000 წყალსატევი თვითეული 50 კუბ. მეტრი ტევადობისა, რაც განაწილდეს ავტონო-მიური რესპუბლიკებისა და რაიონების მიხედვით, № 4 დანართის თანახმად;

ბ) მოიყვანონ 1959—1960 წლებში ტექნიკურად წესიერ მდგო-მარეობაში კოლმეურნეობებში არსებული თამბაქოს ყველა საწარ-მო სადგომი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართ-ველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ ორი თვის ვადაში შეიმუ-შაონ საშრობი სადგომის გამარტივებული ტიპობრივი პროექტი.

11. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსე-ბულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნე-ობის მთავარ სამმართველოს საშრობი ფარდულების შესაკეთებლად დაამზადოს, როგორც გამონაკლისი, 1959 წელს და გადასცეს ცეკავ-შირს 2 მილიონი ცალი სახურავი ყავარი, აქედან 15 ივლისამდე ერთი მილიონი ცალი და 1 სექტემბრამდე — ერთი მილიონი ცალი მეთამ-ბაქოობის კოლმეურნეობებისათვის მისაყიდად. ყავარი დამზადდეს მხოლოდ მორებისაგან, რომლებიც გამოზიდულია ტყიდან გადამუშა-ვების პუნქტებში.

დაევალოს ცეკავშირს აღნიშნული რაოდენობის სახურავი ყავარი შეიტანოს რაიონებში, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სა-მინისტროს განრიგით.

12. დაევალოს ცეკავშირს:

ა) შეიტანოს პირველ რიგში, მაგრამ არა უგვიანეს 1959 წლის 1 ივლისისა, რაიონებში სპეციალურად მეთამბაქოობის კოლმეურნეო-ბებისათვის მისაყიდად მასალები, რაც საჭიროა საშრობი ფარდულე-ბის მშენებლობისა და რემონტისათვის, საკვალსათბურო ჩარჩოების დასამზადებლად და სხვ., № 5 დანართის თანახმად;

ბ) მისცეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების კოლონიების სამმართველოს ორ-ორი ათასი კუბ. მეტრი დახერხილი ხე-ტყის მასალა საკვალსათბურო ჩარჩოების დასამზადებლად.

13. სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი თამბაქოს ხარისხისათვის კოლმეურნეობათა პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით, ეცნო-

ბით 1959 წლიდან კოლმეურნეობებს გეგმები თამბაქოს შესყიდვის ასორტიმენტის მიხედვით.

დაწესდეს 1959 წლის მოსავლის თამბაქოს ჩაბარების შემდეგი გეგმური ასორტიმენტი:

(% %-ად)

| | I ხარისხი | II ხარისხი | III ხარისხი | IV ხარისხი |
|---|---|---|---|---|
| აფხაზეთის ასსრ | 1,0 | 12 | 82,0 | 5 |
| აჭარის ასსრ | 0,3 | 5 | 84,7 | 10 |
| ლაგოდეხის რაიონი | 0,5 | 5 | 84,5 | 10 |
| მარნეულის რაიონი | 0,5 | 5 | 84,5 | 10 |
| ბოლნისის რაიონი | 0,2 | 5 | 84,8 | 10 |

დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, ლაგოდეხის, მარნეულისა და ბოლნისის რაიაღმასკომებს ერთი თვის ვადაში აცნობონ რაიონებს, ხოლო რაიონებში — კოლმეურნეობებს 1959 წლის მოსავლის თამბაქოს შესყიდვის გეგმები საქონლური ხარისხის მიხედვით.

14. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს შემოიღონ შრომის ანაზღაურების წახალისებითი სისტემა გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის არა მარტო რაოდენობის მიხედვით, არამედ, და უმთავრესად, ასორტიმენტის მიხედვითაც.

15. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს:

ა) საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად სამი თვის ვადაში შეიმუშაონ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადებანი იმის შესახებ, რომ თამბაქოს დამუშავების მექანიზაციისათვის გამოყენებულ იქნან არსებული მანქანები და დამზადდეს ახალი მანქანები; შეიტანონ სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თემატიკურ გეგმაში მეთამბაქოობის სამუშაოთა მექანიზაციის საკითხების დამუშავება;

ბ) 1959 წლის მოსავლის თამბაქოს აღების დაწყებამდე გამოასწორონ ახვლედიანის სისტემის ასანემსი მანქანის დეფექტები და ჩაატარონ 1959 წლის თამბაქოს მოსავლის აღების სეზონში ფართო საწარმოო გამოცდა როგორც ამ მანქანისა, ისე კვირკველიას სისტემის ასანემსი მანქანისა და შედეგები მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 1 დეკემბრისათვის.

16. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) უზრუნველყოს თამბქოს მიღება კოლმეურნეობებისაგან არაფერმენტირებული თამბაქოს სტანდარტის მოთხოვნების მტკიცე შესაბამისობით, რისთვისაც დამზადების 1959 წლის სეზონის დაწყებამდე მოამზადოს მიმღები პუნქტების მუშაკები და სასტიკი კონტროლი გაუწიოს თამბაქოს მიღებას;

ბ) საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად დამზადების სეზონის დაწყებამდე ჩაატაროს ყველა რაიონში მოკლევადიანი კურსები კოლმეურნეობათა სპეციალისტებისა და მეთამბაქოეების მოსამზადებლად;

გ) გაითვალისწინოს აფხაზეთის ასსრ სოხუმის რაიონში 4.000 ტონის სიმძლავრის საფერმენტაციო ქარხნის მშენებლობა იმ ანგარიშით, რომ გადაეცეს იგი საექსპლოატაციოდ 1964 წლის მოსავლის თამბაქოს დამზადების სეზონის დასაწყისისათვის, და ბათუმის საფერმენტაციო ქარხნის რეკონსტრუქცია 1963 წელს;

დ) გააწყოს 1959 წელს განთიადის საფერმენტაციო ქარხანაში ელექტროკამერა თამბაქოს ნედლეულის ფერმენტაციისათვის;

ე) უზრუნველყოს, რომ აშენდეს 1959 წელს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, ლაგოდეხის, მარნეულისა და ბოლნისის რაიონების კოლმეურნეობებში თითო მექანიზებული საშრობი ფარდული გ. ახვლედიანის მიერ წარმოდგენილი სქემის მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გამოუყოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ამ მიზნისათვის: 700 ცალი ბურთობსაკისარი, 1.400 გრძივი მეტრი ფოლადის გვარლი (7—8 მმ), 25 ტონა ხარისხოვანი რკინა და 2 ტონა ფურცლოვანი რკინა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ დაამთავრონ ოჩამჩირის ქარხნისა და ლაგოდეხის საფერმენტაციო კორპუსის მშენებლობა 1960 წლისათვის.

17. სსრ კავშირის სასოფლო სამეურნეო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ 1959 წლის გაუნაწილებელი კრედიტის ხარჯზე გამოუყოს გრძელვადიანი კრედიტი თამბაქოს საშრობი ფარდულების მშენებლობისათვის აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებს 300 ათასი მანეთი და ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებს — 300 ათასი მანეთი.

18. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, ლაგოდეხის, მარნეულისა და ბოლნისის რაიონული საბჭოების აღმასკომებს განიხილონ ეს დადგენილება კოლმეურნეობათა

ეროვნული

თავმჯდომარეების, ბრიგადირების, მერგოლურების, სოფლის მეურ-ნეობის მოწინავეთა და სპეციალისტთა რაიონულ თათბირებზე და დასახონ თვითეული კოლმეურნეობის მიხედვით კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ თამბაქოს ნედლეულის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 13 აპრილი, № 267.

ფურ. 38
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 13 აპრილის № 267
დადგენილების დანართი № 1

# დ ა ვ ა ლ ე ბ ა ნ ი

**სიდერატების თესვისა თამბაქოსათვის 1959—1965 წლებში**

(ჰექტარობით)

| ავტონომიური რესპუბლი-კები და რაიონები | 1959 წ. | 1960 წ. | 1961 წ. | 1962 წ. | 1963 წ. | 1964 წ. | 1965 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აფხაზეთის ასსრ . . . | 300 | 850 | 2400 | 3000 | 3500 | 3500 | 3500 |
| აჭარის ასსრ . . . . | 50 | 150 | 250 | 300 | 500 | 500 | 500 |
| მარნეულის რაიონი . . | 25 | 100 | 300 | 500 | 500 | 500 | 500 |
| ლაგოდეხის რაიონი . . | 25 | 100 | 300 | 500 | 500 | 500 | 500 |
| ბოლნისის რაიონი . . | 10 | 25 | 75 | 100 | 100 | 100 | 100 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 13 აპრილის № 267
დადგენილების დანართი № 2

## გეგმა

### ცერცველას და შვრიის თესლის შეტანისა თამბაქოსათვის სიდერატების დასათესად 1959—1965 წლებში

| | 1959 წ. | | 1960 წ. | | 1961 წ. | | 1962 წ. | | 1963 წ. | | 1964 წ. | | 1965 წ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ცერცვე-ლა | შვრია | ცერცვე-ლა | შვრია | ცერცვე-ლა | შვრია | ცერცვე-ლა | შვრია | ცერცვე-ლა | შვრია | ცერცვე-ლა | შვრია | ცერცვე-ლა | შვრია |
| აფხაზეთის ასსრ . . . | 450 | 150 | 1275 | 425 | 3600 | 1200 | 4500 | 1500 | 5250 | 1850 | 5250 | 1850 | 5250 | 1850 |
| აჭარის ასსრ . . . . | 75 | 25 | 225 | 75 | 375 | 125 | 450 | 150 | 750 | 150 | 750 | 150 | 750 | 150 |
| სულ . . . , | 525 | 175 | 1500 | 500 | 3975 | 1325 | 4950 | 1650 | 6000 | 2000 | 6000 | 2000 | 6000 | 2000 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

№ 2
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 13 აპრილის № 267
დადგენილების დანართი № 3

## გ ე გ მ ა

### საკვალსათბურო ჩარჩოების შეტანისა და ადგილზე დამზადებისა 1959 წელს

| ავტონომიური რესპუბლი-კები და რაიონები | ჩარჩოების შეტანა (ათას ცალობით) | ჩარჩოების დამზადება ადგილზე (ათას ცა-ლობით) |
|---|---|---|
| აფხაზეთის ასსრ . . . | 20,0 | 20,0 |
| აჭარის ასსრ . . . . | 5,0 | 3,0 |
| ლაგოდეხის რაიონი . . | 30,0 | — |
| მარნეულის რაიონი . . | 14,0 | — |
| ბოლნისის რაიონი . . | 1,0 | — |
| ს უ ლ . . . . | 70,0 | 23,0 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 13 აპრილის № 267
დადგენილების დანართი № 4

# დ ა ვ ა ლ ე ბ ა ნ ი

## თამბაქოს ნაგებობათა მშენებლობისა 1959—1963 წლებისათვის

| ავტონომიური რესპუბ-ლიკები და რაიონები | მზეზე შრობა (თვალი) | | ცეცხლზე შრობა (ობიექტი) | | დასახარისხე-ბელი სადგო-მები (ობიექტი) | | წყალსა-ტევი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ 5 წლის განმავლობაში | აქედან ყოველ-წლიურად | სულ 5 წლის განმავლობაში | აქედან ყოველ-წლიურად | სულ 5 წლის განმავლობაში | აქედან ყოველ-წლიურად | სულ 5 წლის განმავლობაში | აქედან ყოველ-წლიურად |
| აფხაზეთის ასსრ . . . | 2500 | 500 | — | — | 1000 | 200 | 3000 | 600 |
| აჭარის ასსრ . . . . | 725 | 145 | — | — | 200 | 40 | — | — |
| ლაგოდეხის რაიონი . . | 1150 | 230 | 25 | 5 | 135 | 27 | — | — |
| მარნეულის რაიონი . . | 1625 | 325 | 50 | 10 | 120 | 24 | — | — |
| ბოლნისის რაიონი . . | 225 | 45 | 10 | 2 | 20 | 4 | — | — |
| ს უ ლ | 6225 | 1245 | 85 | 17 | 1475 | 295 | 3000 | 600 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 13 აპრილის № 267
დადგენილების დანართი № 5

# გ ე გ მ ა

## ცეკავშირის მიერ საშენი მასალების შეზიდვისა მეთამბაქოობის რაიონებისათვის 1959 წელს

| | ზომის ერთეული | აფხაზეთი | აჭარა | ლენტე-ხი | მარნეუ-ლი | ბოლნისი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მრგვალი ხე-ტყე | კუბ. მ | 20500 | 4300 | 6650 | 7850 | 1150 | 40450 |
| დახერხილი ხე-ტყე | „ | 4760 | 1000 | 1100 | 1450 | 220 | 8530 |
| წითელი აგური | ათასი ცალი | 2450 | 650 | 970 | 1030 | 200 | 5300 |
| სახურავი რკინა | ტონა | 65 | 15 | 40 | 60 | 10 | 190 |
| სამშენებლო ლურსმანი | „ | 25 | 9,6 | 22 | 18,4 | 5 | 80 |
| ფანჯრის მინა | ათასი კვ. მეტრი | 80 | 20,0 | 60 | 28 | 2 | 190 |
| ცემენტი | ტონა | 2600 | 30 | 45 | 65 | 10 | 2750 |
| ფოლადი სხვადასხვა | „ | 12 | 4 | 11 | 8 | 3 | 38 |
| მავთული | „ | 12 | 4 | 12 | 9 | 3 | 40 |
| შიფერი | ათასი პირობ. ერთეული | 975 | 395 | 637 | 831 | 110 | 2948 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**39** საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წეს-დების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს წესდება საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების შესახებ, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 13 აპრილი, № 270.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 13 აპრილის № 270
დადგენილებით

## წ ე ს დ ე ბ ა

## საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოებისა

### I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება (საქ. ნსს) მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციაა, იქმნება ნებაყოფლობით საწყისზე და მიზნად ისახავს რესპუბლიკის მოსახლეობის ფართო მასების მიზიდვას და მათ მონაწილეობას ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარებაში და სახალხო დოვლათისა და მოქალაქეთა პირადი ქონების ხანძრისაგან დაცვისათვის აქტიურ ბრძოლაში.

საზოგადოებას ევალება თავისი წევრების აღზრდა სოციალისტური სამშობლოს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მი ერთგულების სულისკვეთებით.

2. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ძირითად ამოცანას წარმოადგენს:

ა) მოსახლეობაში ხანძარსაწინააღმდეგო აგიტაციისა და პროპაგანდის გატარება, სახანძრო-ტექნიკური ცოდნის გავრცელება და მის მიერ ხანძრის თავიდან აცილებისა და ქრობის წესების შესწავლა

ბ) საზოგადოების შემადგენლობაში ახალი წევრების მიზიდვა და საქართველოს ნსს პირველადი ორგანიზაციების შექმნა საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, საბჭოთა მეურნეობებში, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში, კოლმეურნეობებში, სახლმმართველობებში, სასწავლებლებში და სხვ;

გ) საზოგადოების წევრების მომზადება ყველა სახის ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ჩასატარებლად და ხანძრის ქრობის საშუალებებით მუშაობის შესწავლა;

დ) მოხალისეთა სახანძრო რაზმეულებისა და რაზმების ორგანიზაცია და მომზადება;

ე) სახანძრო საქმეში რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის განვითარებისადმი ხელის შეწყობა, სახალხო მეურნეობის ობიექტების სახანძრო ტექნიკური კომისიებისათვის მუშაობაში დახმარების აღმოჩენა.

3. ზემოაღნიშნულ ამოცანათა შესასრულებლად საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება:

ა) განუმარტავს მოსახლეობას ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს;

ბ) აწყობს და ატარებს საზოგადოების წევრებს შორის და მოსახლეობაში ლექციებს, საუბრებს, თემატიკურ საღამოებს, რადიო და ტელეგადაცემებს, კინოსა და სხვა ღონისძიებებს ხანძარსაწინააღმდეგო თემებზე, ამასთან ამ მუშაობაში აბამს ნსს აქტივს, სახანძრო საქმის სპეციალისტებს, ინჟინერ-ტექნიკურ, მეცნიერ, აგრეთვე ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებს;

გ) გამოსცემს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით თვალსაჩინო სახელმძღვანელოებსა და სააგიტაციო მასალებს (პლაკატები, სამახსოვროები, სააგიტაციო ფურცლები, მოწოდებები და სხვ.) სახანძრო უშიშროების საკითხებზე, აგრეთვე სასწავლო სახანძრო-ტექნიკურ ლიტერატურას;

დ) აწყობს კურსებს, სემინარებს, შეკრებებსა და წრეებს სახანძრო სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, კლუბებს,

ეროვნული

ოთახებსა და კუთხეებს საზოგადოების წევრებს შორის და მოსახლეობაში მასობრივ ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩასატარებლად სახანძრო დაცვის საკითხებზე;

ე) აწყობს ხანძარსაწინააღმდეგო სააგიტაციო გამოფენებს და გამოუშვებს ფილმებს ხანძარსაწინააღმდეგო თემატიკაზე;

ვ) ხელს უწყობს მოსახლეობის ცოდნის დონის ამაღლებას ადგილობრივ საჰაერო დაცვის საქმეში და ეხმარება არმიის, ავიაციისა და ფლოტის ნებაყოფლობით საზოგადოებას ხანძარსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯგუფების (რგოლების) მომზადებაში საწარმოებში, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საცხოვრებელ სახლებში და სხვა ობიექტებზე;

ზ) შესაბამის უწყებებთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, გამოყოფს სახანძრო საგუშაგოებს თეატრებში, კინოებში, კლუბებსა და სხვა ადგილებში;

თ) აწყობს წარმოებითს საწარმოებსა და სახელოსნოებს ცეცხლსაქრობების დასამზადებლად, შესაკეთებლად, დასამუხტავად და გადასამუხტავად, ქიმსამუხტავების დასამზადებლად, ლუმელებისა და კვამლსადენების გადასაწყობად და შესაკეთებლად, ჭვარტლისაგან გასაწმენდად, ნაპერწკლისა და ჭვარტლის დამჭერების დასამზადებლად და გასამართავად, სამშენებლო კონსტრუქციების, თეატრალური დეკორაციებისა და სხვა მასალების ცეცხლისაგან დამცველი ხსნარით გასაჟღენთად, შესაღებად, შესალესად, ფოტოსტენდების, პლაკატების, ტაბელების, ფარების, ბროშურების, წესების, სამახსოვროებისა და ხანძარსაწინააღმდეგო თემებზე სხვა მასალების გამოსაცემად; ტექმინიმუმების, მოხსენებების, ლექციების, საუბრების ჩასატარებლად ხანძარსაწინააღმდეგო თემებზე; ხანძრის შემთხვევაში შენობა-ნაგებობებიდან ევაკუაციის გეგმების შესადგენად, სახანძრო ტექნიკისა და მოწყობილობის, ინვენტარისა და მეხამრიდების დასამზადებლად და შესაკეთებლად; ელექტროსადენების იზოლაციის წინააღმდეგობის შესამოწმებლად, თანახმად ელექტროდანადგარების ტექნიკური ექსპლოატაციის წესებისა, აგრეთვე სხვა საწარმოებს და სახელოსნოებს. რომლებიც დაკავშირებული იქნებიან ხანძრების თავიდან აცილებასა და მათთან ბრძოლასთან.

ი) განიხილავს და გადაწყვეტს სახანძრო დეპოების, სახელოსნოებისა და კლუბების მშენებლობის საკითხებს, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ ზემოჩამოთვლილ საწარმოო საქმიანობისა და საზოგადოების წევრთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციასთან.

4. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება თავის მუშაობას წარმართავს ამ წესდების საფუძველზე, საქართველოს სსრ შსს სახანძრო დაცვის სამმართველოს ხელმძღვანელობითა და კონტროლის გაწევით და პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში.

## II. საზოგადოების წევრები, მათი უფლება-მოვალეობანი

5. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წევრად შეიძლება იყოს საბჭოთა კავშირის ყოველი მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი, რომელიც ცნობს საზოგადოების წესდებას და ირიცხება საზოგადოების ერთ-ერთ პირველად ორგანიზაციაში.

6. ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წევრად შეიძლება იყვნენ აგრეთვე ჭაბუკები და ქალიშვილები 10-დან 18 წლამდე. დებულებას მათთვის ამუშავებს საქართველოს სსს რესპუბლიკური საბჭო, საქართველოს ალკკ ცკ-თან და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით.

7. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წევრად მიღება ხდება ინდივიდუალურად საზოგადოების ერთ-ერთ ორგანიზაციაში განცხადების შეტანით.

საზოგადოების წევრად მიღების საკითხს წყვეტს პირველადი ორგანიზაციის საბჭო, ხოლო სადაც ასეთი არ არის — ამ საზოგადოების წევრთა საერთო კრება.

საზოგადოების წევრად მიღებულს ეძლევა დადგენილი ნიმუშის საწევრო წიგნაკი და სსს წევრობის სამკერდე ნიშანი.

8. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წევრი ვალდებულია:

ა) აქტიურად იმუშაოს საზოგადოების ერთ-ერთ ორგანიზაციაში, ესწრებოდეს კრებებს და ასრულებდეს საზოგადოების ორგანიზაციის ყველა დავალებას;

ბ) აიმაღლოს თავისი სახანძრო-ტექნიკური ცოდნა;

გ) იყოს მაგალითის მაჩვენებელი ხანძარსაწინააღმდეგო წესებისა და რეჟიმის დაცვაში, წარმოებასა და ყოფაცხოვრებაში, მონაწილეობას ღებულობდეს ხანძრის ქრობაში;

დ) დროულად იხდიდეს საწევრო გადასახადს;

ეროვნული

ე) დაიცვას დისციპლინა, გაუფრთხილდეს საზოგადოების ქონე-ბასა და მატერიალურ ფასეულობას და დაიცვას იგი გაფუჭებისა და დატაცებისაგან;

ვ) განუმარტოს მოსახლეობას საზოგადოების მიზნები და ამოცა-ნები, პროპაგანდა გასწიოს მათ შესახებ, ხელი შეუწყოს საზოგადო-ების წევრებად მშრომელების მიზიდვას.

9. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წევ-რებს უფლება აქვთ:

ა) მიიღონ მონაწილეობა გადამწყვეტი ხმის უფლებით საზოგა-დოების წევრთა კრებაზე, აირჩიონ და არჩეულ იქნან საზოგადოების ყველა ხელმძღვანელ ორგანოში;

ბ) ისარგებლონ უპირატესობით სახანძრო-ტექნიკურ სასწავლებ-ლებსა და სკოლებში შესვლისას;

გ) მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების მიერ მოწყობილ კლუ-ბების მუშაობაში;

დ) ატარონ საზოგადოების წევრთათვის დაწესებული სამკერდე ნიშანი.

**შენიშვნა:** 10-დან 18 წლამდე ასაკის ჭაბუკები და ქალიშვილები შეიძლე-ბა არჩეულ იქნან მხოლოდ ნორჩ მეხანძრეთა რაზმეულის ორგანოებში.

10. ინვალიდობის შემთხვევაში, რომელიც მოჰყვა ხანძრის ქრო-ბას ან ამ წესდებით გათვალისწინებულ სხვა მოვალეობათა შესრუ-ლებას, საზოგადოების წევრს უფლება აქვს მოითხოვოს, გარდა კა-ნონით გათვალისწინებული ანაზღაურებისა დასახიჩრებისათვის, ერთდროული დახმარება საზოგადოებისაგან. საზოგადოების წევრის დაღუპვის შემთხვევაში ერთდროული დახმარება მიეცემა მის ოჯახს. ერთდროული დახმარების ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო.

ცალკეულ შემთხვევაში, საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს გადაწყვეტილებით, მატერიალური დახმარება მკურნალობისათვის შეიძლება მიეცეს საზოგადოების იმ წევრებს, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ხანძრის ქრობაში და ატარებდნენ ხანძარ-საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ მუშაობას.

11. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წევრები, რომლებმაც განსაკუთრებული აქტივობა გამოიჩინეს სა-ზოგადოების განმტკიცებაში, მიაღწიეს საუკეთესო მაჩვენებლებს სა-ხანძრო საქმის შესწავლაში, სახანძრო-გამოყენებითს სპორტში, კონ-კურსებში, დათვალიერებაში, ხანძრის ქრობაში, ხანძრის თავიდან

აცილებასა და სხვა სასარგებლო მუშაობაში, შეიძლება დაჯილდოებულ იქნან მით, რომ:

ა) საზოგადოების საბჭომ და პირველადმა ორგანიზაციის საერთო კრებამ გამოუცხადონ მადლობა და მათი გვარები შეიტანონ წარჩინებულთა დაფაზე, აგრეთვე წარადგინონ საზოგადოებაში არსებულ სხვაგვარ ჯილდოსა და წახალისებაზე;

ბ) საზოგადოების საქალაქო, რაიონულმა და სადაბო საბჭოებმა — გამოუცხადონ მადლობა და მათი გვარები შეიტანონ წარჩინებულთა დაფაზე, მისცენ ძვირფასი საჩუქრები, ფულადი ჯილდო, აგრეთვე წარადგინონ საზოგადოებაში არსებულ სხვაგვარ ჯილდოსა და წახალისებაზე;

გ) საზოგადოების რესპუბლიკურმა (ავტონომიური რესპუბლიკების), საოლქო საბჭოებმა — დააჯილდოონ სიგელებით, გამოუცხადონ მადლობა, შეიტანონ საპატიო დაფაზე, მისცენ ძვირფასი საჩუქრები და ფულადი ჯილდო, აგრეთვე წარადგინონ საზოგადოებაში არსებულ სხვაგვარ ჯილდოსა და წახალისებაზე;

დ) საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ — დააჯილდოოს სიგელებით „ნსს წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით, მიანიჭოს „საპატიო მოხალისე-მეხანძრის" წოდება და გადასცეს სათანადო ნიშანი და საზოგადოებაში არსებული სხვაგვარი ჯილდოები.

12. საზოგადოების იმ წევრთა მიმართ, რომლებიც არ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს, საზოგადოების საბჭოსა და პირველადი ორგანიზაციის საერთო კრებას შეუძლია გამოიყენოს შემდეგი ღონისძიებანი: საზოგადოებრივი გაკიცხვა, საყვედური, ხოლო ისეთი მოქმედებისათვის, რომელიც არცხვენს საზოგადოების წევრის წოდებას, — გარიცხოს საზოგადოების წევრთა შემადგენლობიდან.

საზოგადოების წევრობიდან გარიცხვის გადაწყვეტილება ძალაში შედის მას შემდეგ, როცა მას დაამტკიცებს საზოგადოების საქალაქო (რაიონული, სადაბო) საბჭო.

თუ ერთი წლის განმავლობაში საზოგადოების წევრი არ გადაიხდის საწევრო შესატანს, მექანიკურად გაირიცხება მისი შემადგენლობიდან.

## III. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების სტრუქტურა

13. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საფუძველს წარმოადგენენ საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველადი ორგანიზაციის ორგანოები:

ა) პირველადი ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება;

ბ) პირველადი ორგანიზაციის საბჭო;

გ) სარევიზიო კომისია (რევიზორი).

საზოგადოების საქალაქო, რაიონული, სადაბო (ქალაქის ტიპის დაბები) ორგანოები:

ა) საქალაქო, რაიონული, სადაბო კონფერენცია;

ბ) საქალაქო, რაიონული, სადაბო საბჭო;

გ) სარევიზიო კომისია.

საზოგადოების რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკების) საოლქო ორგანოები:

ა) რესპუბლიკური — საოლქო კონფერენციები;

ბ) რესპუბლიკური — საოლქო საბჭოები;

გ) სარევიზიო კომისია.

საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური ორგანოები:

ა) რესპუბლიკური კონფერენცია;

ბ) რესპუბლიკური საბჭო;

გ) რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი;

დ) სარევიზიო კომისია.

14. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები იქმნება იმ საწარმოებში, დაწესებულებებში, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სახლმმართველობებში, სასწავლებლებსა და სხვა ორგანიზაციებში, სადაც ითვლება საზოგადოების სულ მცირე 10 წევრი.

მსხვილ საწარმოებში შეიძლება შეიქმნას ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რამდენიმე პირველადი ორგანიზაცია (საამქროებში, განყოფილებებში და სხვ.).

15. საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები:

ა) უხსნიან მოსახლეობას ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს და იზიდავენ მოსახლეობის ფართო მასებს საზოგადოების წევრებად;

ბ) აწყობენ და ატარებენ მოსახლეობაში მასობრივ-განმარტებით მუშაობას სახანძრო უშიშროების წესების დაცვაზე საწარმოებსა და ყოფაცხოვრებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) უზრუნველყოფენ საზოგადოების წევრთა აქტიურ მონაწილეობას მოხალისეთა სახანძრო რაზმეულებისა და რაზმების მუშაობაში;

დ) იღებენ აქტიურ მონაწილეობას ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარებაში ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის განსახორციელებლად და დასაცავად საწარმოებსა და ყოფაცხოვრებაში;

ე) ხელს უწყობენ იმას, რომ სახანძრო ფარდულები, დეპოები, წყალსატევებთან მისასვლელები იყოს წესიერ მდგომარეობაში და ხანძრის ქრობის საშუალებანი სამოქმედოდ მუდმივ მზადყოფნაში.

16. საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა საერთო კრება, რომელიც ითვლება უფლებამოსილად, თუ მას ესწრება ამ ორგანიზაციის წევრთა ნახევარი მაინც.

პირველადი ორგანიზაციის წევრთა საერთო კრების მოწვევა ხდება კვარტალში ერთხელ მაინც.

17. მიმდინარე მუშაობის ჩასატარებლად საზოგადოების პირველადი ორგანიზაცია, სადაც ირიცხება 15 და მეტი წევრი, საერთო კრებაზე ირჩევს ღია კენჭისყრით 1 წლის ვადით პირველადი ორგანიზაციის საბჭოს, იმ შემადგენლობითა და რაოდენობით, რასაც დაადგენს საერთო კრება.

საბჭო ღია კენჭისყრით ირჩევს თავის შემადგენლობიდან თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და ხაზინადარს.

იმ ორგანიზაციებში, სადაც საზოგადოების 15 წევრზე ნაკლებია, ირჩევენ თავმჯდომარესა და მის მოადგილეს.

18. ყველა ოპერაციას, რომელნიც დაკავშირებულია ფულადი სახსრების მიღებასა და ხარჯვასთან, პირველადი ორგანიზაციები ატარებენ საზოგადოების საქალაქო, რაიონული და სადაბო საბჭოების მეშვეობით.

19. სახსრების სწორად ხარჯვის, საწევრო გადასახადების შეკრების სიზუსტის, საზოგადოების წევრთა აღრიცხვის, ქონების აღრიცხვისა და შენახვის სარევიზიოდ პირველადი ორგანიზაციის საერთო კრებაზე ღია კენჭისყრით, ერთი წლის ვადით, ხდება სარევიზიო კომისიის არჩევა იმ შემადგენლობითა და რაოდენობით, რასაც დაადგენს საერთო კრება.

სარევიზიო კომისია თავისი შემადგენლობიდან აირჩევს თავმჯდომარესა და მის მოადგილეს.

პირველად ორგანიზაციებში, სადაც საზოგადოების 15 წევრზე ნაკლებია, ხდება რევიზორის არჩევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარევიზიო კომისია (რევიზორი) წელიწადში ორჯერ მაინც ატარებს რევიზიას, რომლის შედეგებს და წინადადებებს აყენებს განსახილველად საბჭოზე ან საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის საერთო კრებაზე.

სარევიზიო კომისიის წევრები ერთდროულად დროს არ შეიძლება იყვნენ პირველადი ორგანიზაციის საბჭოს წევრები, მაგრამ მონაწილეობას იღებენ მის სხდომებზე სათათბირო ხმის უფლებით.

## საზოგადოების საქალაქო, რაიონული და სადაბო (ქალაქის ტიპის დაბებში) ორგანოები

20. საზოგადოების საქალაქო, რაიონული და სადაბო ორგანოები იქმნება იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების 15 ან მეტი პირველადი ორგანიზაციაა.

21. საზოგადოების უმაღლეს ორგანოდ ქალაქში, რაიონში, დაბაში ითვლება საქალაქო, რაიონული, სადაბო კონფერენცია.

22. საზოგადოების საქალაქო, რაიონულ, სადაბო კონფერენციას მოიწვევს სათანადო საბჭო 2 წელიწადში ერთხელ მაინც.

რიგგარეშე კონფერენციის მოწვევა ხდება საქალაქო, რაიონული, სადაბო საბჭოს, საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ზემდგომი საბჭოების გადაწყვეტილებით ან ქალაქში, რაიონში, დაბაში საზოგადოების წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით. კონფერენცია უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება არჩეულ დელეგატთა 2/3 მაინც. კონფერენციაზე წარმომადგენლობის ნორმებსა და დელეგატების არჩევის წესს ადგენენ საზოგადოების საქალაქო, რაიონული, სადაბო საბჭოები.

კონფერენციის მოწვევა და დღის წესრიგი გამოცხადდება 2 კვირით ადრე მაინც.

23. საქალაქო, რაიონული და სადაბო კონფერენცია ისმენს და ამტკიცებს საქალაქო, რაიონული, სადაბო საბჭოსა და სარევიზიო კომისიის ანგარიშს, წყვეტს საზოგადოების საქმიანობის მნიშვნელოვან საკითხებს, ირჩევს საზოგადოების საქალაქო, რაიონულ, სადაბო საბჭოსა და სარევიზიო კომისიას.

საზოგადოების საქალაქო, რაიონული, სადაბო საბჭო და სარევიზიო კომისია აირჩევა ღია კენჭისყრით ორი წლის ვადით, იმ შემადგენლობით და რაოდენობით, რასაც დაადგენს კონფერენცია.

24. კონფერენციების შუალედ პერიოდში საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობას ხელმძღვანელობს საზოგადოების საქალა-

ქო, რაიონული, სადაბო საბჭო, რომელიც თავის წევრთა შემადგენლობიდან ირჩევს ღია კენჭისყრით თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და მდივანს.

25. საზოგადოების საქალაქო, რაიონული და სადაბო საბჭო:

ა) ჩამოაყალიბებს და ამტკიცებს საზოგადოების პირველად ორგანიზაციებს, ხელმძღვანელობს მათ საქმიანობას, აწარმოებს პირველადი ორგანიზაციებისა და საზოგადოების წევრთა აღრიცხვას და უზრუნველყოფს საწევრო გადასახადების შემოსვლის გეგმის შესრულებას.

ბ) ადგენს სამუშაო გეგმებს და ამუშავებს საზოგადოების საქმიანობის განვითარებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს ხანძრების თავიდან ასაცილებლად და მათთან საბრძოლველად;

გ) ადგენს შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვებს და უდგენს მათ საზოგადოების ზემდგომ საბჭოს დასამტკიცებლად, აწარმოებს საბუღალტრო აღრიცხვას, ადგენს ანგარიშგების ბალანსებსა და ჩატარებული მუშაობის ანგარიშებს;

დ) აწყობს კურსებს, შეკრებებს, წრეებს ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმეულებისა და რაზმების უფროსების, მეღუმეღლეების, საკვამურის მწმენდელების, შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორების, საცხოვრებელი სახლების სახანძრო დაცვის საზოგადოებრივი რწმუნებულების და სხვა ხანძარსაწინააღმდეგო ფორმირებათა სახანძრო-ტექნიკურ მოსამზადებლად;

ე) საზოგადოების რესპუბლიკურ — საოლქო საბჭოებთან შეთანხმებით აწყობს და ხელმძღვანელობს საზოგადოების საქალაქო (რაიონული, სადაბო) ორგანიზაციის სამეურნეო-საწარმოო საქმიანობას;

ვ) ქმნის მოხალისეთა სახანძრო რაზმეულებს და ინახავს მათ მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში, უზრუნველყოფს მოხალისეთა სახანძრო რაზმეულების წევრთა ჩაბმას დათვალიერებასა და კონკურსში საუკეთესო მსრ-ზე.

26. საზოგადოების საქალაქო, რაიონული, სადაბო სარევიზიო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და კომისიის მდივანს. სარევიზიო კომისიის სხდომას თავმჯდომარე იწვევს საჭიროების მიხედვით, მაგრამ კვარტალში ერთჯერ მაინც.

სარევიზიო კომისიის წევრები ერთდაიმავე დროს არ შეიძლება იყვნენ საზოგადოების საქალაქო (რაიონული, სადაბო) საბჭოს წევრებიც, მაგრამ მონაწილეობას იღებენ მის სხდომებზე სათათბირო ხმის უფლებით.

27. საზოგადოების სარევიზიო კომისია რევიზიას [illegible] ანგარიშებს, ქონებისა და ანგარიშგების მდგომარეობას, საწევრო გადასახადებისა და სხვა თანხების შემოტანას და საბჭოში საქმეების, შემოსული საჩივრებისა და განცხადებების მსვლელობას.

28. სარევიზიო კომისია თავის საქმიანობაში ანგარიშვალდებულია საქალაქო (რაიონული, სადაბო) კონფერენციის წინაშე.

კონფერენციების შუალედ პერიოდში სარევიზიო კომისია წელიწადში ორჯერ მაინც ატარებს რევიზიას, რის შედეგებსა და თავის წინადადებებს განსახილველად წარუდგენს საზოგადოების შესაბამის საბჭოს.

## საზოგადოების რესპუბლიკური და საოლქო ორგანოები

29. საზოგადოების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს: რესპუბლიკაში — რესპუბლიკური, ხოლო ოლქში — საოლქო კონფერენცია.

30. საქართველოს რესპუბლიკური კონფერენციის მოწვევა ხდება ოთხ წელიწადში ერთჯერ მაინც, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში — ორ წელიწადში ერთჯერ მაინც.

რიგგარეშე კონფერენციების მოწვევა ხდება საზოგადოების რესპუბლიკური — საოლქო საბჭოს გადაწყვეტილებით ანდა რესპუბლიკაში, ოლქში წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით. რიგგარეშე საოლქო კონფერენცია შეიძლება მოწვეულ იქნას საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს გადაწყვეტილებით.

კონფერენციის მოწვევა და დღის წესრიგი გამოცხადდება თვენახევრით ადრე მაინც.

წარმომადგენლობის ნორმებს და კონფერენციაზე დელეგატების არჩევის წესს ადგენს საზოგადოების შესაბამისი საბჭო.

31. რესპუბლიკური (საოლქო) კონფერენცია ითვლება უფლებამოსილად, თუ მას ესწრება არჩეულ დელეგატთა არანაკლებ 2/3-ისა.

32. რესპუბლიკური (საოლქო) კონფერენცია:

ა) ისმენს და ამტკიცებს შესაბამისი საბჭოს და სარევიზიო კომისიის ანგარიშს;

ბ) წყვეტს საზოგადოების რესპუბლიკური (საოლქო) ორგანიზაციის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს;

გ) ირჩევს რესპუბლიკურ (საოლქო) საბჭოს, საზოგადოების სარევიზიო კომისიას შესაბამისად 4 და 2 წლის ვადით, კონფერენციის მიერ დადგენილი შემადგენლობითა და რაოდენობით.

**შენიშვნა:** საქართველოს რესპუბლიკურ კონფერენციას, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც აღნიშნულია „ა“, „ბ“, „გ“ პუნქტებში, შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ და წარუდგინოს ისინი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

კონფერენციის მიერ განხილული ყველა საკითხი წყდება ხმის უბრალო უმრავლესობით.

33. კონფერენციებს შუალედ პერიოდში საზოგადოების რესპუბლიკური (საოლქო) ორგანიზაციის საქმიანობას ხელმძღვანელობს შესაბამისი საბჭო.

საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს სხდომები ტარდება ნახევარწელიწადში ერთხელ, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის საბჭოებისა — კვარტალში ერთხელ მაინც.

34. საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭო:

ა) საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოებას წარმოადგენს ყველა საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში;

ბ) ხელმძღვანელობს და წარმართავს საზოგადოების ავტონომიური რესპუბლიკების, საოლქო, საქალაქო, რაიონულ და სადაბო საზოგადოებათა ორგანიზაციების საქმიანობას;

გ) შეიმუშავებს და მიიღებს საზოგადოების საქმიანობის განვითარებისაკენ მიმართულ ზომებს სახანძრო უშიშროების გასაძლიერებლად და ხანძრებთან საბრძოლველად რესპუბლიკაში.

დ) ხელმძღვანელობს სააგიტაციო და პროპაგანდისტულ საქმიანობას სახანძრო უშიშროებისა და ხანძრებთან ბრძოლის, კადრების მომზადების საკითხებზე, აგრეთვე სხვადასხვა ხანძარსაწინააღმდეგო, სასწავლო, სააგიტაციო მასალებისა და თვალსაჩინო სახელმძღვანელოების გამოცემას;

ე) ხელმძღვანელობს სასწავლო სამუშაოებს, შეიმუშავებს და ამტკიცებს პროგრამებს, აგრეთვე აწყობს კურსებს, შეკრებებს, წრეებს, კლუბებს;

ვ) აწყობს და ატარებს რესპუბლიკურ შეჯიბრებებს ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა საუკეთესოდ გატარებისათვის, საზოგადოების წევრთა შორის სახანძრო-გამოყენებითი და სპორტის სხვა სახეობათა განვითარებისათვის, აწყობს და ატარებს დათვალიერება-კონკურსს მსრ-ს და რესპუბლიკის სხვა სახანძრო ფორმირებათა მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისათვის;

ზ) ამტკიცებს საზოგადოების წარმოებითი საწარმოების და სასწავლო დაწესებულებათა დებულებებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) ამტკიცებს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საწარმოო-საფინანსო გეგმას და ნაკრებ ბალანს;

ი) იხილავს და ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტოლქის, ქალაქების, რაიონების, დაბების ნსს საბჭოების, მათი საქვეუწყებო ორგანიზაციების და უშუალოდ მათზე დაქვემდებარებული საწარმოების გეგმებს, ხარჯთაღრიცხვებს, ანგარიშებს, უწევს კონტროლს დამტკიცებული გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შესრულებას;

კ) ხსნის ამ წესდების მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტში აღნიშნულ საწარმოებს;

ლ) ამტკიცებს სათანადო წესის მიხედვით საზოგადოების ბეჭდის, შტამპის, საწევრო წიგნაკის ნიმუშებს;

მ) ამუშავებს და ამტკიცებს საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობისათვის საჭირო ფასდებას;

ნ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მეშვეობით გადაწყვეტს საკითხებს იმის შესახებ, რომ საზოგადოების ორგანიზაციები ცენტრალიზებული წესით უზრუნველყოფილ იქნენ საჭირო ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, ხანძრის ქრობის საშუალებებით, ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკით, სხვადასხვა მასალებით, სპეცტანსაცმლით, ფორმის ტანსაცმლით;

ო) ადგილობრივ საბჭოთა და პარტიულ ორგანოებთან შეთანხმებით ეწევა ნსს პერიფერიული ორგანიზაციების კადრების შერჩევას, მომზადებასა და განაწილებას;

პ) ქალაქში, რაიონში, ობიექტებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა დაწესებულებებში სახანძრო საქმის კარგად დაყენებისათვის აწესებს გარდამავალ დროშებსა და ჯილდოებს.

35. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს გადაწყვეტილებები და მითითებები სავალდებულოა საზოგადოების ყველა ორგანიზაციისათვის.

36. საქართველოს ნსს რესპუბლიკური საბჭოს სხდომათა შუალედ პერიოდში ხელმძღვანელობისათვის და მიმდინარე სამუშაოების საწარმოებლად, საქართველოს ნსს რესპუბლიკური საბჭო ღია კენჭისყრით ირჩევს საბჭოს პრეზიდიუმს 7—9 კაცის შემადგენლობით: თავმჯდომარე, 1ან 2 მოადგილე, პრეზიდიუმის წევრები და მდივანი.

საბჭოს პრეზიდიუმი უფლებამოსილია განახორციელოს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოებისათვის მინიჭებუ-

ლი ყველა ის უფლება, რომლებიც გათვალისწინებულია ამ წესდების 10, 11, 34, 35, 53 პუნქტებით.

37. ავტონომიური რესპუბლიკების (ოლქის) საზოგადოების საბჭო:

ა) ხელმძღვანელობს საზოგადოების საქალაქო (რაიონის, დაბის) ორგანიზაციების მუშაობას რესპუბლიკის, ოლქის ტერიტორიაზე;

ბ) იღებს ზომებს საზოგადოების საქმიანობის განვითარებისათვის, რესპუბლიკაში — ოლქში ხანძარსაწინააღმდეგო უშიშროებისა და ხანძრებთან ბრძოლის გასაძლიერებლად;

გ) ამტკიცებს წლიურ საფინანსო გეგმებსა და ბალანსებს;

დ) განიხილავს და ამტკიცებს საზოგადოების ძირეული საბჭოების და მათდამი დაქვემდებარებული საწარმოო სახელოსნოების, საწარმოების, სასწავლებლების გეგმებს, ხარჯთაღრიცხვებს და ანგარიშებს, კონტროლს უწევს დამტკიცებული გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შესრულებას;

ე) აფინანსებს სახანძრო ტექნიკის შესანახი დეპოების, ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკური მოწყობილობისა და ინვენტარის სარემონტო სახელოსნოების მშენებლობას, ხანძარსაწინააღმდეგო საიგიტაციო მასალების დამზადებას და საზოგადოების წევრთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის ჩასატარებლად საჭირო კლუბების მშენებლობას;

ვ) აწყობს კურსებს, შეკრებებს, წრეებს კვალიფიკაციის ასამაღლებლად, კლუბებს, ოთახებს, კუთხეებს და ხელმძღვანელობს მათ მუშაობას;

ზ) ხელმძღვანელობს ხანძარსაწინააღმდეგო პროპაგანდას, საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ნებართვით გამოსცემს ხანძარსაწინააღმდეგო თემატიკაზე თვალსაჩინო და საიგიტაციო მასალებს (პლაკატები, ფურცლები და სხვ.); ამუშავებს ტექსტებს ხანძარსაწინააღმდეგო უშიშროების საკითხებზე და აწყობს მათ ტრანსლაციას რადიოთი;

თ) წარმოადგენს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკურ (ავტონომიური რესპუბლიკების) — საოლქო საბჭოს ყველა საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში;

ი) აწყობს და ატარებს საუკეთესო მოხალისეთა სახანძრო რაზმეულებისა და სხვა ხანძარსაწინააღმდეგო ფორმირებათა დათვალიერებასა და კონკურსს;

38. რესპუბლიკური (საოლქო) სარევიზიო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, მოადგილესა და მდივანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარევიზიო კომისიის წევრები ერთდაიმავე დროს შეიძლება იყვნენ საზოგადოების რესპუბლიკური (საოლქო) საბჭოს წევრები, მაგრამ ამ საბჭოს სხდომებზე იღებენ მონაწილეობას სათათბირო ხმის უფლებით.

39. სარევიზიო კომისია რევიზიას უწევს საბჭოს საფინანსო საქმიანობას, ფულად ანგარიშებს, ქონების მდგომარეობას, სახსრების სწორად ხარჯვას, საწევრო გადასახადებისა და სხვა ანარიცხების შემოტანას, რესპუბლიკის (საოლქო) საბჭოში საქმეების, საჩივრებისა და განცხადებების მსვლელობას.

40. სარევიზიო კომისიას შეუძლია მოიწვიოს დასახმარებლად ბუღალტრები და სხვა სპეციალისტები საზოგადოების წევრთა აქტივიდან, როგორც ექსპერტები.

41. სარევიზიო კომისია თავისი საქმიანობის ანგარიშს უდგენს რესპუბლიკურ (საოლქო) კონფერენციას.

სარევიზიო კომისია კონფერენციების შუალედ პერიოდში რევიზიას ატარებს წელიწადში ორჯერ მაინც და რევიზიის შედეგებს, აგრეთვე თავის წინადადებებს განსახილველად დააყენებს საზოგადოების შესაბამის საბჭოზე.

### IV. მოხალისეთა სახანძრო რაზმები

42. საქართველოს ნსს, საქართველოს სსრ შსს სახანძრო დაცვის სამმართველოსთან შეთანხმებით და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო — რაიონული აღმასკომების შესაბამისი გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში, სოფლის მსხვილ დასახლებულ პუნქტებში, მუშათა და სააგარაკო დასახლებებში აყალიბებს მოხალისეთა სახანძრო რაზმებს.

შენიშვნა: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წ. 17 იანვრის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს ნსს ქალაქის სახანძრო რაზმთან (ქსრ) აყალიბებს მოხალისეთა სახანძრო რაზმეულს (მსრ) ნსს წევრებისაგან.

მსრ-ის მუშაობის რეგლამენტირება ხდება საქართველოს სსრ შსს მიერ დამტკიცებული და საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებული დებულების შესაბამისად.

43. მოხალისეთა სახანძრო რაზმს საჭირო სასამსახურო შენობით უზრუნველყოფს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი.

ეროვნული

რაზმის უზრუნველყოფა, მათ შორის მსრ, რომე[illegible] ბებულია ქალაქის სახანძრო რაზმთან, სახანძრო-ტექნიკური მომარაგება და ყველა მისი შესაბამისი ხარჯები ეკისრება საქართველოს ნებაყოფლობით სახანძრო საზოგადოებას.

44. მოხალისეთა სახანძრო რაზმის მოვალეობებს, სამსახურის შესრულების წესს და შინაგანაწესს განსაზღვრავს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო დამტკიცებული შესაბამისი დებულებით.

### V. საზოგადოების უფლებები

45. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება იურიდიული პირია, მას უფლება აქვს დადგენილი წესის მიხედვით შეიძინოს და გაასხვისადოს ქონება, საკრედიტო დაწესებულებებში გახსნას და დახუროს ანგარიშები, დადოს ხელშეკრულებები და შეთანხმებები, გასცეს დავალებები, წარადგინოს სარჩელი და პასუხი აგოს სასამართლო სარჩელებზე სასამართლოს და სახელმწიფო არბიტრაჟში.

საზოგადოება პასუხისმგებელია თავის ვალდებულებებზე საკუთარი სახსრებისა და ქონების ფარგლებში, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის·გამოკლებით.

46. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოებას აქვს ემბლემა და „ნსს“ წევრის სამკერდე ნიშანი, სამკერდე ნიშნები „ნსს წარჩინებული“ და „საპატიო მეხანძრე-მოხალისე“.

47. ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქების, რაიონების, დაბების საბჭოებს საკრედიტო დაწესებულებებში გახსნილი აქვთ ანგარიშები. ყველა ფულადი ოპერაცია ხდება მხოლოდ საქართველოს სსრ საკრედიტო დაწესებულებების მეშვეობით.

ფულად საბუთებს, ხელშეკრულებებს, ვალდებულებებს, დავალებებს ხელს აწერს შესაბამისი საბჭოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე და ბუღალტერი.

48. საზოგადოების რესპუბლიკურ, საოლქო, რაიონულ და სადაბო საბჭოებთან შეიძლება შეიქმნას რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის, სახანძრო-ტექნიკური და სხვა სექციები.

სექციების მუშაობის წესს განსაზღვრავს მათი დებულება, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

49. რესპუბლიკურ და საოლქო საზოგადოებებს უფლება აქვთ იყვნენ „სანიტარული ტექნიკისა და ქალაქის მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების“ იურიდიული წევრები.

50. საზოგადოებაში მომუშავეთ შრომის სტაჟში ეთვლებათ რესპუბლიკურ, საოლქო, რაიონულ, საქალაქო, სადაბო ნებაყოფლობით სახანძრო საზოგადოებაში საშტატო თანამდებობაზე წინა წლების მუშაობა, აგრეთვე გასამხედროებულ, ქალაქის და საუწყებო სახანძრო დაცვაში მუშაობა.

### VI. ფულადი სახსრები

51. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოებისა და მისი ორგანიზაციების სახსრებს შეადგენს:

ა) საზოგადოების წევრთა შესასვლელი და საწევრო გადასახადები;

ბ) სამეურნეო-საწარმოო, სასწავლო, საგამომცემლო და საზოგადოების სხვა საქმიანობიდან მიღებული მოგება;

გ) სხვადასხვა ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების მიერ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისა და ტექნიკის საკითხების დასამუშავებლად, საჩვენებელი გამოფენების მოსაწყობად, ხანძარსაწინააღმდეგო საქმის სპეციალისტების კადრების მოსამზადებლად და სხვა დანიშნულებისათვის გამოყოფილი სახსრები;

დ) საქართველოს სსრ საკრედიტო დაწესებულებებში საზოგადოების მიერ შენახული სახსრების პროცენტები.

52. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წევრად მიღებისას შეიტანება შესასვლელი გადასახადი 50 კაპ. ოდენობით, ნსს საწევრო ბილეთისა და სამკერდე ნიშნის საფასური, ხოლო შემდეგ საწევრო გადასახადი წლიურად 1 მანეთის რაოდენობით.

შენიშვნა: ნორჩ მეხანძრეთა რაზმეულის წევრები შესასვლელ გადასახადს და საწევრო ბილეთის საფასურს არ იხდიან.

53. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური აპარატის შენახვა, აგრეთვე ამ წესდების 34 პუნქტში გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ხდება საზოგადოების რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკების), საოლქო, რაიონული და სადაბო ორგანიზაციების საწარმოო საქმიანობის საერთო ბრუნვის ანარიცხებიდან.

ანარიცხების ოდენობას და წესს განსაზღვრავს საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო.

54. საზოგადოების მთელი მოგება, სახელმწიფო გადასახადებისა და გამოსაღების შეტანის შემდეგ, ხმარდება ხანძარსაწინააღმდეგო გამაფრთხილებელ ღონისძიებათა ორგანიზაციასა და ხანძრებთან ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებას, აგრეთვე საზოგადოების ამოცანებიდან გამომდინარე მიზნებს.

55. საზოგადოების საბჭოების სამუშაო აპარატი, რომლის შტატიც გატარებულია რეგისტრაციაში საფინანსო ორგანოებში, ინახება საზოგადოების სახსრების ხარჯზე.

### VII საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტა

56. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს საზოგადოების რესპუბლიკური კონფერენციის გადაწყვეტილებით ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 13 აპრილის № 270
დადგენილებით

### საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ემბლემის

## ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲐ

საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ემბლემა წარმოადგენს ფარისებრ თითბრის ფირფიტას, რომელიც დაფარულია ცისფერი მინანქრით; ზედა ნაწილში გამოსახულია წითელი მინანქრიანი ვარსკვლავი. ფირფიტის ცენტრში გადაჯვარედინებულია სახანძრო ნაჯახი და ტექნიკური გასაღები, ხოლო მათ ზემოთ — სახანძრო ჩაჩქანი (კასკა).

ეს გამოსახულებანი ერთი მხრიდან შემოფარგლულია ოქროსფერი დაფნის, ხოლო მეორე მხრიდან — მუხის ტოტებით.

ქვედა ნაწილში ტოტების გადაჯვარედინებასთან მიმაგრებულია პატარა ფარი წარწერით: „ნსს“ და ნახევრად გაშლილი ლენტი წარწერით: „საქ. სსრ“. ყველაფერი ეს წითელი მინანქრის ფონზეა. ყველა დანარჩენი გამოსახულების დეტალები ოქროსფერია.

ემბლემის ზომაა 3,5 × 2,2 სმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 13 აპრილის № 270
დადგენილებით

## საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წევრის სამკერდე ნიშნის

## აღწერილობა

საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წევრის სამკერდე ნიშანი წარმოადგენს რომბისებრ ფიგურას ზომით 18 X 12 მმ.

ნიშნის ფონი დაფარულია თეთრი მინანქრით და შემოვლებულია 1 მმ ოქროსფერი ზოლით.

ნიშნის კუთხის ზედა ნაწილში მოთავსებულია წარწერა „საქ. სსრ“ — შუაში წარწერა „ნსს“, ნიშნის კუთხის ქვედა ნაწილში სახანძრო ჩაჩქანის (კასკის) ფონზე მოთავსებულია გადაჯვარედინებული სახანძრო ნაჯახი და ტექნიკური გასაღები.

ასოები, ჩაჩქანი (კასკა), ნაჯახი და ტექნიკური გასაღები ოქროსფერია.

ნიშნის ზომა დიაგონალით 2,5×1,5 სმ, ნიშანი მაგრდება ქინძისთავით მკერდის მარჯვენა მხარეს ორდენებს ქვემოთ.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 13 აპრილის № 270
დადგენილებით

## ნიშნის „ნსს წარჩინებული“

## აღწერილობა

ნიშნის კორპუსი მზადდება თითბრისაგან და წარმოადგენს ფარისებრ ოდნავ ამობურცულ ფირფიტას, რომლის ცენტრშიც გამოსახულია გადაჯვარედინებული სახანძრო ნაჯახი და ტექნიკური გასაღები, ხოლო მათ ზევით — სახანძრო ჩაჩქანი (კასკა).

ეს გამოსახულებანი, ერთის მხრივ, შემოფარგლულია დაფნის, ხოლო მეორე მხრივ — მუხის ტოტებით.

ზევით, სადაც გადაჯვარედინებულია ტოტები — მიმაგრებულია თამასა წარწერით: „წარჩინებული“, ქვევით — ფარი წარწერით „ნსს“, ხოლო ფარს ქვევით — ლენტი წარწერით „საქ. სსრ“.

ზედა თამასა, ქვევით ფარი და ლენტი დაფარულია წითელი მინანქრით, ხოლო ნიშნის ყველა დანარჩენი გამოსახულებანი და წარწერები — ამობურცულია და ოქროსფერია.

ნიშნის ზომაა 3×2,5 სმ.

ნიშანი მაგრდება ხრახნით, მკერდის მარჯვენა მხარეს ორდენებს ქვემოთ.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 13 აპრილის № 270
დადგენილებით

**ნიშნის — „საპატიო მეხანძრე-მოხალისეს“**

## ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა

სამკერდე ნიშანი „საპატიო მეხანძრე-მოხალისე“ მრგვალი ფორმისაა, ზომით 25×25 მმ, სისქით 2 მმ.

ნიშნის წინაპირის ზედა ნაწილში მოთავსებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა, ნიშნის გვერდებზე მუხისა და დაფნის ფოთლების გვირგვინი.

ნიშნის შუაგულში — სახანძრო ჩაჩქანი (კასკა) გადაჯვარედინებულ სახანძრო ნაჯახის, ტექნიკური გასაღებისა და ჩირაღდნის ფონზე, ჩაჩქანის (კასკის) ქვევით მოთავსებულია ექვსწახნაგიანი ფარი წარწერით: „ნსს“, ფარი დაყრდნობილია ლენტზე, რომელიც მოთავსებულია ნიშნის ქვედა ნაწილში, ლენტზე წარწერილია „საქ. სსრ“.

ნიშანზე მოთავსებული ყველა ჩამოთვლილი გამოსახულებანი, გარდა საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშისა და ნიშნის საერთო ფონისა, — ოქროსფერია.

ფარის არე და ლენტი დაფარულია წითელი მინანქრით. ნიშნის პირის ყველა დეტალი რელიეფურია. ნიშნის უკანა მხარე გლუვია.

ნიშანი შეერთებულია ნახევრად გაშლილი ფორმის [illegible] ლენტის კალაპოტთან საყურით, რომელსაც წარწერილი აქვს ოქროს ასოებით — „საპატიო მეხანძრე-მოხალისე“.

ნიშანი მაგრდება ხრახნით მკერდის მარჯვენა მხარეს, ორდენებს ქვემოთ.

---

## 40 მშენებლობაში საპროექტო საქმის გაუმჯობესების შესახებ (ამონაკრეფი)

„მშენებლობაში საპროექტო საქმის გაუმჯობესების შესახებ“. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 20 თებერვლის № 166 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებს, უწყებებსა და საპროექტო ორგანიზაციებს:

ა) სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმების შესაბამისად სამრეწველო საწარმოთა მშენებლობის დაპროექტების დავალებათა და საპროექტო დავალებათა შემუშავებისა და დამტკიცების დროს უზრუნველყონ მშენებლობის რაიონის და საწარმოთა მშენებლობისათვის საჭირო მოედნების, ნედლეულით, ნახევარფაბრიკატებით, ენერგიითა და სათბობით საწარმოთა მომარაგების ძირითადი წყაროების ამორჩევის გულმოდგინე დასაბუთება, ძირითადი და დამხმარე წარმოებისა და სამშენებლო ბაზების, აგრეთვე ენერგეტიკული მეურნეობის, წყალმომარაგების, კანალიზაციის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და სხვა საინჟინერო ნაგებობათა და კომუნიკაციათა კოოპერირების საკითხების უფრო მეტად მიზანშეწონილად გადაწყვეტა.

ბ) უზრუნველყონ საწარმოთა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტების შემუშავების დროს უახლესი ტექნოლოგიური პროცესების გამოყენება წარმოებისა და მაღალნაყოფიერი მოწყობილობის კომპლექსური მექანიზაციითა და ავტომატიზაციით, რომლებიც უპასუხებენ ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის ტექნიკის ყველაზე უფრო მაღალ დონეს, აგრეთვე გაითვალისწინონ პროექტებით, ტექნიკურ-ეკონომიურ დასაბუთებათა საფუძველზე, შემდეგში საწარმოთა გაფართოებისა და რეკონსტრუქციის შესაძლებლობა.

გ) არ დაუშვან ისეთი საპროექტო დოკუმენტაციის გამოყენება, რომელიც საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობის დაწყებისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის მოძველებული აღმოჩნდა და ვერ ასახავს წარმოებისა და მშენებლობის თანამედროვე დონეს. საჭირო შემთხვევებში შეიტანონ წინათ შემუშავებულ პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებში ცვლილებანი, რომლებიც დაკავშირებულია ახალი სახის მოწყობილობის გამოყენებასთან და ტექნოლოგიური და სამშენებლო დაპროექტების ახალი ნორმების შემოღებასთან (მშენებლობის ფაქტიური მდგომარეობის გათვალისწინებით).

პროექტების შეცვლა შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ ინსტანციის ნებართვის მიღების შემდეგ, რომელმაც ეს პროექტები დაამტკიცა (პროექტების შემკვეთებთან დადებული ხელშეკრულებებით);

დ) უზრუნველყონ საპროექტო ორგანიზაციების უშუალო მონაწილეობა მუშაობაში, რასაც პროექტთა შემკვეთები ატარებენ დაპროექტების დავალებათა შესადგენად; ისეთი საწარმოების დაპროექტებისას, რომლებსაც რთული ტექნოლოგიური პროცესები აქვთ და რომლებიც ახალ პროგრესულ სამშენებლო კონსტრუქციებს იყენებენ, შეიმუშაონ დაპროექტების დავალებათა შესაბამისად, საპროექტო გადაწყვეტის ვარიანტები იმისათვის, რომ ამორჩეულ იქნას მათგან ყველაზე უფრო მისაღები ვარიანტები. საპროექტო გადაწყვეტის ვარიანტების რაოდენობა შეთანხმებულ უნდა იქნას იმ ინსტანციასთან, რომელმაც დაპროექტების დავალება დაამტკიცა.

დაწესდეს, რომ საპროექტო ორგანიზაციებს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროების, უწყებებისა და მგეგმავი ორგანოების თანაბრად, ეკისრებათ პასუხისმგებლობა პროექტებში საწარმოთა კოოპერირების საკითხების სწორად გადაწყვეტისათვის.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს ყოველწლიურად შეადგინონ და წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს (ხოლო ასლი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტს) ახალი ძირითადი სახეობის მოწყობილობის შექმნის საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოთა გეგმების პროექტები და მშენებლობისათვის ან საწარმოთა რეკონსტრუქციისათვის საჭირო ამ მოწყობილობის წარმოების გეგმები, აგრეთვე სისტემატურად გადასინჯონ დამზადებული მოწყობილობის ნომენკლატურა იმ მიზნით, რომ მოიხსნას წარმოებიდან მოძველებული სახეობანი.

ამ მუხლში აღნიშნული გეგმები შეთანხმებულ უნდა იქნეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტთან.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სახმშენს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს უზრუნველყონ 1959 წელს, დანაკლისი ტიპობრივი პროექტების შემუშავებასთან ერთად, შენობათა და ნაგებობათა საგეგმო კონსტრუქციული გადაწყვეტის უნიფიკაციის სამუშაოთა შესრულება (სსრ კავშირის სახმშენის მიერ დამტკიცებული გეგმით) სამრეწველო და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობაში გამოსაყენებელი კონსტრუქციების ტიპზომების რაოდენობის მაქსიმალური შემცირების მიზნით, აგრეთვე იმ მიზნით, რომ შეიქმნას შესაძლებლობანი საქარხნო პირობებში მათი მასობრივი დამზადებისა და მშენებლობის ღირებულების შემცირებისათვის.

4. საჭიროდ იქნას მიჩნეული დაგეგმვის პროექტების შემუშავების განხორციელება რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი რაიონებისათვის იმ ვარაუდით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამრეწველო საწარმოების, ელექტროსადგურების, ქალაქებისა და დაბების, საერთო-სარაიონო საინჟინრო ნაგებობების, ქსელისა და კომუნიკაციების, საავტომობილო გზების, რკინიგზების და კავშირგაბმულობის ნაგებობათა რაციონალურად განლაგება. რაიონული დაგეგმვის პროექტების შემუშავებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ საჭიროა გადაიჭრას პირველ რიგში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1965 წლების საკონტროლო ციფრებით დასახული ამოცანები.

დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ სახმშენს 1959 წლის 1 ივნისამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით, იმ რაიონების სია, რომლებისათვისაც შემუშავებულ უნდა იქნას რაიონული დაგეგმვის პროექტები და ამ პროექტების შემუშავების რიგითობა.

5. დაევალოთ თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ფოთის, ჭიათურის, ტყიბულის, ტყვარჩელის, გორის და რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს შეიმუშაონ 1959—1960 წლებში 1965 წლამდე პერიოდისათვის საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური მშენებლობის განლაგების გეგმები, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ მიზანშეწონი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია ამ მშენებლობის განხორციელება, როგორც წესი, [illegible] ტერიტორიებზე, ეკონომიური ტიპობრივი პროექტების ფართოდ გამოყენებით.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან და დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად, ორი კვირის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი საპროექტო ორგანიზაციების უწყებრივი დაქვემდებარების შესახებ, მათი მუშაობაში პარალელიზმის აღმოფხვრის მიზნით, ადგილობრივი საძიებო ორგანიზაციების და საპროექტო ორგანიზაციათა საძიებო განყოფილებების გამსხვილების, აგრეთვე საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის მთავარი საპროექტო ინსტიტუტის გამოყოფის შესახებ.

7. გადაყვანილ იქნან 1959 წლის 1 ივლისიდან საპროექტო და საძიებო ორგანიზაციები სამეურნეო ანგარიშზე და დაწესდეს, რომ პროექტების შემკვეთი ორგანიზაციისა და საპროექტო ორგანიზაციის ურთიერთ დამოკიდებულება უნდა ხორციელდებოდეს ხელშეკრულების საფუძველზე.

10. დაწესდეს რომ:

საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დაფინანსება მიმდინარე წლის და მომავალი წლების მშენებლობისათვის ხორციელდება იმ სახსრების ხარჯზე, რაც გამოიყოფა კაპიტალური მშენებლობისათვის;

საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ღირებულება შეიტანება ობიექტების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვებსა და კაპიტალური მშენებლობის შინამშენებლობის სატიტულო სიებში;

მომავალი წლების მშენებლობისათვის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ღირებულება ცალკე სტრიქონად გამოიყოფა კაპიტალურ დაბანდებათა გეგმებში;

საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება გამოირკვევა საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ღირებულების გამსხვილებული მაჩვენებლების ცნობარით, რომელიც დამტკიცებული იქნება დადგენილი წესით.

11. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს 1959 წლის 28 აპრილისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი (სათანადო გაანგარიშებებით) საკავშირო ბიუჯეტთან რესპუბლიკური ბიუჯეტის ურთიერთდამოკიდებულებათა შეცვლის შესახებ, რომლებიც ამ დადგენილების შესაბამისად გამომდინარეობენ.

12. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ყოველწლიურად გაითვალისწინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავების დროს სახსრები, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ საპროექტო ორგანიზაციებმა შეასრულონ:

ა) ტიპობრივი დაპროექტების, ძიების, დაპროექტებისა და მშენებლობის ნორმების, ტექნიკური პირობებისა და ტექნიკური ინსტრუქციების შემუშავების სამუშაოები, აგრეთვე კვლევითი საპროექტო და ექსპერიმენტული სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია მშენებლობაში ახალი ტექნიკის დანერგვასთან, და დაპროექტებისა და მშენებლობის როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე საზღვარგარეთის გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების სამუშაოები;

ბ) სახალხო მეურნეობის დარგების განვითარების ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთებისა და სხვა მასალების, რაიონული დაგეგმვის პროექტების და ქალაქებისა და დაბების განაშენიანების პროექტების შედგენის სამუშაოები;

13. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სახმშენი, სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები, რომელთა გამგებლობაშიც იმყოფებიან საპროექტო ორგანიზაციები, დაგეგმილი წლის დამდეგამდე დაამტკიცებენ:

ა) იმ საპროექტო-საძიებო სამუშაოთა გეგმებს (ფულადი გამოხატულებით და თემატიკით), რომლებიც ხორციელდება კაპიტალური მშენებლობის სახსრების სახელმწიფო ბიუჯეტის და სხვა წყაროების სახსრების ხარჯზე, იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფილ იქნან კაპიტალური მშენებლობის გეგმებით გათვალისწინებული მშენებლობანი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით და სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროების, უწყებებისა და სხვა შემკვეთი ორგანიზაციების შეკვეთებით საპროექტო სამუშაოთა შესრულების კოოპერაციის გათვალისწინებით;

ბ) საპროექტო ორგანიზაციების მუშაკთა რაოდენობას და ხელფასის ფონდს მუშაკთა საერთო რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც დაწესებულია სახალხო მეურნეობის საბჭოსა, სამინისტროებისა, უწყებებისა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებისათვის.

14. შეიქმნას 1959 წლის 1 ივლისიდან რესპუბლიკის საპროექტო და საძიებო ორგანიზაციებში მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფის ფონდი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 20 თებერვლის

№ 166 დადგენილებით დამტკიცებული დებულება მუშაკთა კულ-ტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოე-ბის სრულყოფისათვის საპროექტო (საძიებო) ორგანიზაციის ფონ-დის შესახებ დაეგზავნოთ საქართველოს სსრ სახმშენს, სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დე-პუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებსა და რესპუბლიკის საპროექტო ორგანიზაციებს.

15. დაევალოთ საქართველოს სსრ სახმშენს, სახელმწიფო საგეგ-მო კომისიას, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწ-ყებებს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმას-კომებს მიიღონ ზომები საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დანახარჯე-ბის, აგრეთვე საპროექტო და საძიებო სამუშაოთა დაუმთავრებელი წარმოების მოცულობის შემცირებისათვის.

16. გავრცელდეს 1959 წლის 1 ივლისიდან საპროექტო და საძიე-ბო ორგანიზაციების დირექტორებზე უფლებები, რომლებიც გათვა-ლისწინებულია „საწარმოთა დირექტორების უფლებების გაფართოე-ბის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვის-ტოს № 1430 დადგენილების II განყოფის 1, 8, 9, 10, 13, 14, 21, 22, 24, 26, 29, 30, 32 და 33 მუხლებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 13 აპრილი, № 268

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს 1959 წლის
20 თებერვლის № 166 დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საპროექტო (საძიებო) ორგანიზაციის ფონდის შესახებ მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფისათვის

1. საპროექტო (საძიებო) ორგანიზაციის ფულადი ფონდი მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფისათვის შეიქმნება ყველა საპროექტო (საძიებო) ორგანიზაციაში, რომლებმაც შეასრულეს ან გადაჭარბებით შეასრულეს საპროექტო და საძიებო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმა ფულადი გამოხატულებით და ფიზიკური მოცულობით, უმნიშვნელოვანეს ობიექტებზე, აგრეთვე შეასრულეს მოგების გეგმა.

დაპროექტებისა და ძიების უმნიშვნელოვანესი ობიექტების (მომავალი წლების მშენებლობის ობიექტებისა და ტიპობრივი დაპროექტების ჩათვლით) სიებს დააწესებენ სახალხო მეურნეობის საბჭოები, სამინისტროები, უწყებები და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები საპროექტო ორგანიზაციების სამუშაოთა გეგმის დამტკიცების დროს.

2. მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფისათვის საპროექტო (საძიებო) ორგანიზაციის ფონდის შექმნის წყაროს წარმოადგენს ორგანიზაციის მოგება.

საპროექტო (საძიებო) ორგანიზაციის ფონდში გეგმური მოგებიდან ანარიცხები წარმოებს 2 პროცენტის ოდენობით.

თუ საპროექტო (საძიებო) ორგანიზაციამ გადაჭარბებით შეასრულა მოგების გეგმა, ფონდში დამატებით გადაირიცხება ზეგეგმითი მოგების თანხის 30 პროცენტი.

გეგმური და ზეგეგმური მოგებიდან საპროექტო (საძიებო) ორგანიზაციის ფონდში ანარიცხების საერთო წლიური თანხა არ უნდა აღემატებოდეს საწარმოო პერსონალის ხელფასის წლიური ფონდის 5 პროცენტს (ფაქტიურად შესრულებულ საპროექტო და საძიებო სამუშაოთა მოცულობაზე გადაანგარიშებით).

ეროვნული

3. საავანსო ანარიცხები საპროექტო (საძიებო) ორგანიზაციის ფონდში მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფისათვის წარმოებს ყოველი კვარტალის დამთავრების შემდეგ, ორგანიზაციის ბალანსების საფუძველზე იმ თანხების 60 პროცენტის ოდენობით, რომლებიც გამოანგარიშებულია ამ დებულების მე-2 მუხლის შესაბამისად. ორგანიზაციის ფონდში ანარიცხების საბოლოო ოდენობა დაწესდება წლიური ანგარიშის მიხედვით.

საპროექტო (საძიებო) ორგანიზაციის ფონდს წლის განმავლობაში საქმიანობის შედეგების მიხედვით დაამტკიცებენ შესაბამისი სამინისტროები, უწყებები, სახალხო მეურნეობის საბჭოები და აღმასკომები, რომელთა გამგებლობაშიც იმყოფება საპროექტო (საძიებო) ორგანიზაცია, თუ შესრულებულია ამ დებულებით გათვალისწინებული პირობები.

4. სახსრები საპროექტო (საძიებო) ორგანიზაციის ფონდიდან მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფისათვის დაიხარჯება შემდეგ ღონისძიებებზე:

ა) ორგანიზაციის მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად (საბავშვო დაწესებულებებისათვის, დასასვენებელი სახლების, სასადილოების, კლუბების მოსაწყობად, მათთვის საჭირო ინვენტარის შესაძენად და ფიზკულტურული ღონისძიებებისათვის), ინდივიდუალური პრემიების მისაცემად, დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების საგზურების შესაძენად და ორგანიზაციის მუშაკებისათვის ერთდროული დახმარების აღმოსაჩენად ფონდის 50 პროცენტამდე.

ბ) ახალი ტექნიკის დანერგვისა და მოქმედი მოწყობილობის მოდერნიზაციისათვის, ორგანიზაციის საცხოვრებელი ფონდის მშენებლობისა (კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის ზევით) და რემონტისათვის—ფონდის 50 პროცენტამდე.

5. მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფისათვის საპროექტო (საძიებო) ორგანიზაციის ფონდში ანარიცხები გეგმური მოგებიდან შეიტანება ორგანიზაციის შემოსავალ-გასავლის წლიურ ბალანსში დაგეგმილი წლის I, II და III კვარტალების საავანსო ანარიცხებისა და წინა წლის დამატებით ანარიცხების ოდენობით.

ეროვნული

6. მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფისათვის საპროექტო (საძიებო) ორგანიზაციის ფონდის ანგარიშში ხარჯები შეიძლება გაწეულ იქნას მხოლოდ არსებული თანხების ფარგლებში, სახსრების ხარჯვა ამ ფონდში მოსალოდნელი შემოსვლის ანგარიშში აკრძალულია.

---

## 41 „საბჭოთა ვაჭრობის წარჩინებულის" ნიშნის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ნება დაერთოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დააწესოს სამკერდე ნიშანი „საბჭოთა ვაჭრობის წარჩინებული".

დაევალოს მას შეიმუშაოს და სახელმწიფო ვაჭრობის და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით დაამტკიცოს დებულება ნიშნის შესახებ და მისი ნიმუში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 21 აპრილი, № 288

## 42 გადასახლება-დასახლების შეღავათების მოწესრიგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 13 მარტის № 259 დადგენილება „გადასახლება-დასახლების შეღავათების მოწესრიგების შესახებ" დაეგზავნოთ სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კანტორას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საქმთავკოლმეურნმშენს, ცეკავშირს, აფხაზეთის ასსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომსა და რაიაღმასკომებს.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საქმთავკოლმეურნმშენს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომსა და რაიაღმასკომებს სათანადო კონტროლი გაუწიონ გადასახლებულთათვის სახლების მშენებლობას და ამ მშენებლობის უზრუნველყოფას მასალებითა და სახლის მზა დეტალებით, აგრეთვე გაითვალისწინონ სახალხო მეურნეობის გეგმებით საშენი მასალების გამოყოფა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მისაყიდად ჩასახლების ადგილებში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას:

ა) გამოუყოს ცეკავშირს საბაზრო ფონდიდან გადასახლებულთათვის მისაყიდად ჩასახლების ადგილებში სასურსათო მარცვალი ან ფქვილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 13 მარტის № 259 დადგენილებით გათვალისწინებული რაოდენობით. მარცვლისა და ფქვილის გაყიდვა აწარმოოს ზოლობრივ საცალო ფასებში;

ბ) გაითვალისწინოს სახალხო მეურნეობის გეგმებით საშენი მასალების გამოყოფა იმ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მისაყიდად, რომლებიც გადასახლებულებს იღებენ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 22 აპრილი, № 294.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

# დადგენილება № 259

**1959 წლის 13 მარტი**

მოსკოვი, კრემლი

## გადასახლება-დასახლების შეღავათების მოწესრიგების შესახებ

გადასახლებულებისა და კოლმეურნეობებისათვის მინიჭებული შეღავათების მოწესრიგების მიზნით, აგრეთვე, იმ მიზნით, რომ დახმარება გაეწიოთ მათ გადასახლებასა და ახალ ადგილებზე სამეურნეო მოწყობაში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს იმ ოჯახებისათვის, რომლებიც გეგმური წესით გადასახლდებიან ნებაყოფლობით საფუძვლებზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საშუალო ოდენობა ერთდროული ფულადი დახმარებისა სახელმწიფოს ხარჯზე, კრედიტებისა საეზოე ნაგებობებიანი სახლების მშენებლობისათვის, ამ კრედიტების ნაწილობრივ დაფარვით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, და კრედიტებისა (კოლმეურნეობებში გადასახლებული ოჯახებისათვის) ძროხებისა და სხვა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის შესაძენად, დანართის თანახმად.

აღნიშნული დახმარებისა და კრედიტების ოდენობას და გაცემული კრედიტების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფარვის წილს ცალკეული ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით, მათი თავისებურების გათვალისწინებით, დააწესებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, იმ საშუალო ოდენობის საფუძველზე, რაც დაწესებულია ამ დადგენილებით ჩასახლების შესაბამისი რაიონისათვის, აგრეთვე იმ თანხების ფარგლებში, რომლებიც ყოველწლიურად დამტკიცდება ამ მიზნებისათვის მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში.

2. დაწესდეს, რომ გადასახლებულებისათვის საეზოე ნაგებობებიანი საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად კრედიტებს მისცემს სასოფლო-სამეურნეო ბანკი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, იმ ვარაუდით, რომ ეს კრედიტები დაიფაროს ათი წლის განმავლობაში, დაწყებული მესამე წლიდან კრედიტის მიღების შემდეგ, ხოლო კრედიტებს ძროხების ან სხვა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის შესაძენად კოლმეურნეობებში გადასახლებულთათვის—კოლ-

მეურნეობებს, მათი დაფარვით სამი წლის განმავლობაში, [illegible]ლი მესამე წლიდან კრედიტის მიღების შემდეგ. გადა[illegible] აუნაზღაურებენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს კრედიტების თავიანთ წილს იმ ვადებსა და იმ პირობებში, რაც დაწესებულია ამ დადგენილებით, რის შემდეგ გადასახლებულთათვის აშენებული სახლები საეზოე ნაგებობებით და ნაყიდი პირუტყვი გადადის მათს პირად საკუთრებაში.

იმ შემთხვევაში, თუ გადასახლებულთათვის აშენებული სახლები ან მათთვის ნაყიდი პირუტყვი გამოყენებულ იქნა სხვა მიზნებისათვის, მიცემული კრედიტი გადახდებათ ვადამდე.

3. უფლება მიენიჭოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება დართონ, რომ:

ა) აუნაზღაურდეთ ოჯახებს, რომლებიც სახლდებიან მოკავშირე რესპუბლიკის შიგნით უტყეო რაიონებში, ხე-ტყის მასალისა და სახლის ძელურების გადაზიდვის ღირებულება (ოჯახზე ერთი ვაგონის ანგარიშით) იმ ასიგნობათა ხარჯზე, რაც გათვალისწინებულია რესპუბლიკის ბიუჯეტით გადასახლება-დასახლების ღონისძიებებისათვის;

ბ) მიეცეთ, როგორც გამონაკლისი, კრედიტები ძროხების შესაძენად იმ ოჯახებს, რომლებიც სახლდებიან მრავალმიწიანი რაიონების საბჭოთა მეურნეობებში, რაიონების სიის მიხედვით, რომელსაც მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო დაამტკიცებს.

4. განთავისუფლებულ იქნან ჩასახლების ადგილებში:

ა) გადასახლებული კოლმეურნეები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდისაგან;

ბ) კოლმეურნეობები, რომლებიც გადასახლებულებს იღებენ თავიანთ შემადგენლობაში, საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან, მიღებული ოჯახების რიცხვის მიხედვით, ხოლო გადასახლებულებისაგან ახლად მოწყობილი კოლმეურნეობები — მთლიანად აღნიშნული გადასახადის გადახდისაგან;

გ) ოჯახები, რომლებიც სახლდებიან საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ან მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან სოფლის მეურნეობიდან მიღებულ შემოსავალზე.

აღნიშნული შეღავათები ეძლევათ გადასახლებულებსა და კოლმეურნეობებს ვადით ორიდან ხუთ წლამდე, დაწყებული გადასახადების გადახდის იმ ვადებიდან, რომლებიც არ დამდგარა ახალ საცხოვრებელ ადგილზე ჩასახლების დროისათვის. შეღავათების მოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედების კონკრეტულ ვადებს ცალკეული ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით დააწესებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

5. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს, რომლებიც თავიანთ შემადგენლობაში იღებენ გადასახლებულებს, შექმნან იმ სახსრებიდან, რაც კოლმეურნეობათა განკარგულებაში რჩება მათთვის გადასახლების შეღავათების მინიჭების შედეგად, კოლმეურნეობათა ფონდი გადასახლებულთა მოსაწყობად და ხარჯონ ამ ფონდის სახსრები იმ გადასახლებულთა სამეურნეო მოწყობის უზრუნველსაყოფად და დახმარების გასაწევად, რომლებიც ამას საჭიროებენ.

6. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს:

ა) სათანადო კონტროლი გაუწიონ გადასახლებულთათვის სახლების მშენებლობას და ამ მშენებლობის უზრუნველყოფას მასალებით და სახლის მზა დეტალებით, აგრეთვე გაითვალისწინონ სახალხო მეურნეობის გეგმებით საშენი მასალების გამოყოფა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მისაყიდად ჩასახლების ადგილებში;

ბ) გამოუყონ საბაზრო ფონდიდან სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს გადასახლებულთათვის მისაყიდად ჩასახლების ადგილებში სასურსათო მარცვალი ან ფქვილი 1,5 ცენტნერი ოჯახის მეთაურზე და 0,5 ცენტნერი ოჯახის თვითეულ წევრზე. მარცვლისა და ფქვილის გაყიდვა აწარმოონ ზოლობრივ საცალო ფასებში.

7. დაწესდეს, რომ ამ დადგენილებით გათვალისწინებული გადასახლების შეღავათები ეძლევათ იმ ოჯახებს, რომლებიც გეგმური წესით გადასახლდებიან 1959—1961 წლებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ერთი მოკავშირე რესპუბლიკებიდან სხვა რესპუბლიკებში და მოკავშირე რესპუბლიკის შიგნით, აგრეთვე იმ კოლმეურნეობებს, რომლებიც თავიანთ შემადგენლობაში იღებენ ამ ოჯახებს.

კოლმეურნეობები, კოლმეურნეები და სხვა მოსახლეობა, რომლებიც ამ დადგენილების გამოცემამდე გადასახლდნენ, სარგებლობენ გადასახლების შეღავათით, რაც დაწესებულია სსრ კავშირის მთავრობის იმ დადგენილებებით, რომელთა შესაბამისად წარმოებდა მათი გადასახლება.

შეღავათების მიღების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს გადასახლების ბილეთი, რომელსაც გადასახლება-დასახლების ორგანოები იძლევიან.

8. დაევალოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პურეულის პრო-

დუქტების სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და „ცენტროსოიუზს“ ერთი თვის ვადაში დაამტკიცონ ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა იქნას მიღებული გადასახლებულთაგან და მიეცეთ მათ ჩასახლების ადგილებში გადაცვლის ქვითრებით პირუტყვი, მარცვალი და კარტოფილი.

9. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 19 თებერვლის № 517 დადგენილების მე-3 მუხლის მესამე აბზაცი და მე-10, 11, 12, 22-ე, 23-ე მუხლები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ხრუშჩოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მაგიერ **მ. სმირტიუკოვი.**

შუ. 42
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სსრკ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის
13 მარტის № 259
დადგენილების დანართი

# საშუალო ოდენობა

## ერთდროული ფულადი დახმარებისა, კრედიტებისა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის, ამ კრედიტების ნაწილობრივი დაფარვით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, აგრეთვე კრედიტებისა ძროხების და სხვა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის შესაძენად გადასახლებულთათვის

| რაიონები | ერთდროული ფულადი დახმარება (მანეთობით) | | კრედიტი საეზოე ნაგებობებიანი სახლის მშენებლობისათვის | | კრედიტი ძროხების ან სხვა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის შესაძენად (მანეთობით, ოჯახზე) |
|---|---|---|---|---|---|
| | ოჯახის მეთაურზე | ოჯახის წევრზე | მანეთობით ოჯახზე | მათ შორის მიეკუთვნება სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშს (პროცენტულად) | |
| 1. რუსეთის სფსრ რესპუბლიკასა და ყაზახეთის სს რესპუბლიკაში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადასახლების დროს, აგრეთვე კალინინგრადის ოლქში გადასახლების დროს . | 600 | 200 | 20000 | 35 | 1500 |
| 2. უზბეკეთის სსრ, თურქმენეთის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, საქართველოს სსრ, სომხეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ, სარწყავი მიწების რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადასახლების დროს, აგრეთვე ხერსონის, ნიკოლაევისა და ყირიმის ოლქებში (ოლქის მშრომელთა დეპუტატების | | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| რაიონები | ერთდროული ფულადი დახმარება (მანეთობით) | | კრედიტი საეზოო ნაგებობებიანი სახლის მშენებლობისათვის | | კრედიტი ძროხის ა[illegible] სავე მეწველი რქოსა[illegible] ნი პირუტყვის შესაძ[illegible] ნად (მანეთობ. ოჯახზე) |
|---|---|---|---|---|---|
| | ოჯახის მეთაურზე | ოჯახის წევრზე | მანეთობით (ოჯ.-ზე) | მათ შორის მიეკუთვნება სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშა (პროცენტულად) | |
| საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებული სასოფლო საბჭოების ტერიტორიის გარდა) გადასახლების დროს . . | 500 | 150 | 17000 | 30 | 1500 |
| 3. ჩიტის ოლქის, შორეული აღმოსავლეთისა და შორეული ჩრდილოეთის რაიონების, აგრეთვე შორეულ ჩრდილოეთთან გათანაბრებული რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადასახლების დროს. . . . . . | 1500 | 300 | 22000 | 50 | 3000 |
| 4, დანარჩენი რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადასახლების დროს . | 200 | 100 | 1000 | — | 1500 |

**შენიშვნები:** 1. მხარის ან ოლქის შიგნით გადასახლების დროს ერთდროული ფულადი დახმარება გაიცემა — 200 მანეთი ოჯახის მეთაურზე და 100 მანეთი ოჯახის წევრზე.

2. მურმანსკის ოლქში ბარენცის ზღვის სანაპიროზე მდებარე თევზჭერის კოლმეურნეობებში გადასახლების დროს, კრედიტის გარდა, გადასახლებულებს მიეცემათ სახლის ასაშენებლად 25 ათასი მანეთი თევზჭერის კოლმეურნეობათა რეგულირების ფონდების ხარჯზე.

3. იმ პირებს, რომლებიც ყირიმის ოლქში სახლდებიან, კრედიტი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად საეზოო ნაგებობებით შეიძლება გაუდიდდეთ საშუალოდ 20 ათას მანეთამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. იმ პირთათვის საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად კრედიტის მიცემის დროს, რომლებიც გადასახლდებიან უკრაინის სსრ ხერსონისა და ნიკოლაევის ოლქებში, აგრეთვე ბელორუსიის სსრ პოლესიეს ამოსაშრობი მიწების რაიონებში, რესპუბლიკის ბიუჯეტის ანგარიშზე შეიძლება მიკუთვნებულ იქნას ამ კრედიტის 25 პროცენტამდე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მაგიერ მ. სმირტიუკოვი.

## 43 1959—1965 წლებში შაქრის წარმოების გადიდების უზრუნველყოფის ზომების შესახებ

„1959—1965 წლებში შაქრის წარმოების გადიდების უზრუნველყოფის ზომების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 მარტის № 227 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს:

ა) უზრუნველყოს საქართველოს შაქრის კომბინატის ჭარხლის გადამუშავების სიმძლავრის გადიდება 1961 წელს, რისთვისაც ჩაატაროს საწარმოს გაფართოება და რეკონსტრუქცია დღეღამეში 3 ათასი ცენტნერის გადასამუშავებლად;

ბ) მოაწყოს საქართველოს სსრ ხაშურის რაიონის სოფელ ბრილში კარიერები წელიწადში 20 ათასი ტონა კირქვის დასამზადებლად შაქრის კომბინატის ტექნოლოგიური საჭიროებისათვის;

გ) მოკირწყლოს ჭარხლის მიმღებ პუნქტებში დასატვირთავი მოედნები 3 ათას კვ. მეტრ ფართობზე;

დ) გააგრძელოს რკინიგზის ჩიხი და საყრდენი კედელი ჭარხლის მიმღებ პუნქტში — ქალაქ გორში.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და სახალხო მეურნეობის საბჭომ გაადიდონ კაპიტალური დაბანდებანი შაქრის კომბინატის რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის 11 მილიონი მანეთის მოცულობით, მათ შორის 1959 წელს — ერთი მილიონი მანეთის, 1960 წელს — ერთი მილიონი მანეთის და 1961 წელს — 9 მილიონი მენათის მოცულობით.

აეკრძალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს კაპიტალურ დაბანდებათა ამ დადგენილებით გათვალისწინებული მოცულობის შემცირება.

3. გადაეცეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გამოყოფილი ტექნოლოგიური მოწყობილობა, № 1 დანართის თანახმად.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, 1959 წლიდან დაწყებული, გაითვალისწინოს მატერიალურ-ტექნიკური მომარგების გეგმებით მასალებისა და მოწყობილობის გამოყოფა შაქრის კომბინატის რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის, სამუშაოთა ფიზიკური მოცულობის საფუძველზე.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, ხაშურის, ქარელის, გორისა და კასპის რაიაღმასკომებს:

ა) უზრუნველყონ შაქრის ჭარხლის წარმოების შემდგომი გადიდება მისი მოსავლიანობის ამაღლების, აგრეთვე სათესი ფართობების გადიდების გზით; ამ მიზნით მიაღწიონ ჭარხლის დამუშავების კვადრატული და კვადრატულ-ბუდობრივი წესების ფართოდ დანერგვას და ნათესების მოვლის უცილობლივ განხორციელებას, აგროტექნიკის მოთხოვნების სრული შესაბამისობით;

ბ) უზრუნველყონ კოლმეურნეობები და რუისის მეჭარხლეობის საბჭოთა მეურნეობა მექანიზატორთა კადრებით, რათა დამუშავებულ იქნას შაქრის ჭარხალი კვადრატული და კვადრატულ-ბუდობრივი წესების მიხედვით, რომლებიც მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად, იძლევიან შრომის დანახარჯებისა და პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების მკვეთრად შემცირების შესაძლებლობას.

დაწესდეს ჭარხლის მთესველი თვითეული კოლმეურნეობის მიხედვით ამ კადრებზე არსებული მოთხოვნილება და მოეწყოს მათი მომზადება სპეციალურ მოკლევადიან კურსებზე;

გ) მიიღონ ზომები, რათა გაცილებით მეტი რაოდენობით იქნას შეტანილი შაქრის ჭარხლის ნათესებში ნაკელი, ნაცარი და სხვა ადგილობრივი სასუქები, აგრეთვე გამოყენებულ იქნას შაქრის კომბინატის დეფეკატი გამოსაზიდად და მინდვრებში შესატანად.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გამოუყონ კოლმეურნეობებს და რუისის მეჭარხლეობის საბჭოთა მეურნეობას

ეროვნული

მინერალური სასუქი შაქრის ჭარხლის ნათესებში შესატანად იმ ანგარიშით, რომ სავსებით იქნას უზრუნველყოფილი ნათესები სასუქებით.

7. რჩევა მიეცეთ ქარელის რაიონის კოლმეურნეობებს განახორციელონ 1959—1965 წლებში პირუტყვის გასასუქებელი საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო სადგომების მშენებლობა, ამასთან გამოიყენონ ამ მიზნისათვის დურდო, რომელიც შაქრის კომბინატიდან იქნება მიღებული გაყიდული შაქრის ჭარხლისათვის; საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარმა სამმართველომ პრაქტიკული დახმარება გაუწიონ ქარელის რაიონის კოლმეურნეობებს პირუტყვის გასასუქებელი სადგომების მშენებლობების საქმეში.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას გააძლიერონ მუშაობა, რათა გამოძებნილ იქნას და დაინერგოს შაქრის ჭარხლის მავნებლებისა და დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ახალი, უფრო ეფექტური საშუალებანი და მეთოდები.

9. მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 მარტის № 227 დადგენილებით:

ა) დაწესებულია, რომ მასალებისა და მოწყობილობის მიწოდება მოქმედი შაქრის ქარხნების რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის უნდა წარმოებდეს დაგეგმილი წლის პირველ ნახევარში წლიური ფონდების სულ ცოტა 70 პროცენტით მაინც, რათა უზრუნველყოფილ იქნას ქარხნების დროულად მომზადება შაქრის ჭარხლის გადამუშავების სეზონის დასაწყისისათვის;

ბ) შაქრის ქარხნების დაჩქარებული მშენებლობის და მათ საწარმოო სიმძლავრეთა საექსპლოატაციოდ დროზე გადაცემის მიზნით, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება მიენიჭათ განახორციელონ 1959 წელს, როგორც გამონაკლისი, ახალი შაქრის ქარხნების მშენებლობა, მოქმედი შაქრის ქარხნების გაფართოება და რეკონსტრუქცია, საცხოვრებელი სახლების და კომუნალური დანიშნულების შენობების მშენებლობა ამ ქარხნებისათვის ცალკეული ობიექტების პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების მიხედვით ისე, რომ არ იქნას წარდგენილი კომპლექსური საპროექტო დავალება და მისი შეჯამებითი სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშება, აგრეთვე სამუშაო ნახაზების მიხედვით შედგენილი ხარჯთაღრიცხვები.

10. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და საქართველოს შაქრის კომბინატის დირექტორს მოიწვიონ 1959—1961 წლებში შრომითი შეთანხმების საფუძველზე შაქრის კომბინატის და სხვა საწარმოების ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები შაქრის კომბინატის რეკონსტრუქციის საპროექტო სამუშაოთა შესასრულებლად იმ ანგარიშით, რომ ამასთან დაკავშირებული ხარჯები გაწეულ იქნას შაქრის კომბინატის მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ანგარიშში.

11. ეთხოვოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დამატებით გამოყოს 1959—1960 წლებში ტექნოლოგიური და თბოტექნიკური მოწყობილობა შაქრის კომბინატის მცირეძალოვანი და მოძველებული მოწყობილობის გამოსაცვლელად, № 2 დანართის თანახმად, აგრეთვე მოწყობილობა და ავტომანქანები ტექნოლოგიური კირქვის კარიერის დამუშავების მექანიზაციისათვის, № 3 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ქიტიაშვილი.

ქ. თბილისი, 1959 წ. 25 აპრილი, № 304.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 25 აპრილის № 304
დადგენილების დანართი № 1

## ს ი ა

### ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობისა, რომელიც 1959 წელს გამოეყო საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საქართველოს შაქრის კომბინატის გაფართოებისა და რეკონსტრუქციისათვის

| | ზომის ერთეული | სულ | მათ შორის წლის პირველი ნახევარი | III კვ. | IV კვ. | მიმწოდებლები |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჭარხალსაჭრელი . . . | ცალი | 1 | 1 | — | — | უკრაინის სსრ საწარმოები |
| სატურაციის ქვაბები . . | „ | 2 | 2 | — | — | უკრაინის სსრ საწარმოები |
| დურდოს გამოსაწური წნეხი ჰორიზონტალური | „ | 1 | 1 | — | — | უკრაინის სსრ საწარმოები |
| ცენტრიდანული ტუმბო | „ | 5 | 5 | — | — | რუსეთის სფსრ საწარმოები |
| გადმოსატვირთავ-დასაწყობი მანქანები ფარისებრი | „ | 2 | 2 | — | — | რუსეთის სფსრ საწარმოები |
| სატრაქტორო ნიჩბები . | „ | 2 | 2 | — | — | უკრაინის სსრ საწარმოები |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 25 აპრილის № 304
დადგენილების დანართი № 2

## ს ი ა

### ტექნოლოგიური და თბოტექნიკური მოწყობილობისა, რომელიც დამატებით უნდა იქნას გამოყოფილი 1959—1960 წლებში საქართველოს შაქრის კომბინატის მცირეძალოვანი და მოძველებული მოწყობილობის გამოსაცვლელად

| მოწყობილობის დასახელება | რაოდე-ნობა | მიღების წელი |
|---|---|---|
| ჩალამჭერი . . . . . . . | 1 ცალი | 1959 წელი |
| ჭარხალტუმბო დღეღამეში 15 ათასი ცენტნერის ნაყოფიერებით . . . . . . . . | 1 ცალი | 1959 წელი |
| ავტომატური სასწორები დს-800 . . | 2 ცალი | 1959 წელი |
| ამაორთქლებელი აპარატი, ხურების ზედაპირით 1500 კვ. მ. . . . . . . . . . . . . . | 1 ცალი | 1959 წელი |
| ვაკუუმ-აპარატი 500 ცენტნერი ტევადობისა . . . | 1 ცალი | 1959 წელი |
| შაქრის საშრობი დოლი . . . . . . . . . . . | 1 ცალი | 1959 წელი |
| ცენტრიდანული წვნის ტუმბოები . . . . . . | 6 ცალი | 1959 წელი |
| ბადაგის გადასატუმბავი ყვინთა ტუმბოები . . . | 4 ცალი | 1959 წელი |
| ნახშირმჟავა გაზის ტურბოგაზსაბერები ტვ-80-1,6 . | 1 ცალი | 1959 წელი |
| განუწყვეტლივ მოქმედი დიფუზიური დანადგარი დღე-ღამეში 15 ათასი ცენტ. ნაყოფიერებისა . . . . | 1 ცალი | 1960 წელი |
| ძირითადი დეფაქციის ქვაბი . . . . . . . . . . | 1 ცალი | 1960 წელი |
| მფეთქავი ცენტროფუგები . . . . . . . . . . . | 2 ცალი | 1960 წელი |
| ცენტრიდანული ტუმბოები ნდს-14 . . . . . . | 2 ცალი | 1960 წელი |
| ორთქლის ქვაბები 35 ტონა/საათი ნაყოფიერებისა, წნევა 15 ატმოსფერო . . . . . . . . . . . | 3 ცალი | 1960 წელი |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 25 აპრილის № 304
დადგენილების დანართი № 3

# ს ი ა

**მოწყობილობისა, რომელიც დამატებით უნდა იქნას გამოყოფილი 1959—1960 წლებში საქართველოს სსრ ხაშურის რაიონის სოფ. ბრილის კირქვის კარიერებისათვის**

| მოწყობილობის დასახელება | რაოდე-ნობა | მიღების წელი |
|---|---|---|
| ექსკავატორი 0,35 კუბ. მეტრი ტევადობის ციცხვით . | 1 ცალი | 1960 წელი |
| ბულდოზერი დ-259 . . . . . . . , , , , , | 1 ცალი | 1960 წელი |
| ავტომტვირთავი 40003, თითო 5 ტონა ტვირთამწეობისა . . . . . . , , , , , , , , | 4 ცალი | 1959—60 წლები |
| ფართო ლიანდაგის მოტომზიდები . . . . . . , | 1 ცალი | 1959 წელი |
| ვიწრო ლიანდაგის მოტომზიდები . . . . . . . . | 1 ცალი | 1959—60 წლები |
| ავტოთვითმცლელი გაზ-205 , , , , , , , , | 5 ცალი | 1959—60 წლები |
| სატრაქტორო მტვირთავები . . . . , , . . . | 5 ცალი | 1959—60 წლები |
| მოძრავი დიზელიანი კომპრესორები კს-9 , , , , | 2 ცალი | 1959—60 წლები |
| პერფორატორი რბ-17 . . . . . . . . , , , | 10 ცალი | 1959—60 წლები |
| გარეპირის სატეხები შკდ-7 , . . . . . . . | 1 ცალი | 1959—60 წლები |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**44** **საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში შრომის მავნე პირობებიანი პროფესიების დამატებითი სიის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში შრომის მავნე პირობებიანი იმ პროფესიების დამატებითი სია, რომლებისთვისაც დაწესებულია დამატებითი შვებულება, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ქიტიაშვილი.

ქ. თბილისი, 1959 წ. 25 აპრილი, №312.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 25 აპრილის № 312
დადგენილების დანართი

# ს ი ა

## საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში შრომის მავნე პირობებიანი დამატებითი პროფესიებისა, რომლებისთვისაც დაწესებულია დამატებითი შვებულება

| პროფესიების დასახელება | დამატებითი შვებულების ხანგრძლიობა (სამუშაო დღეებში) |
|---|---|
| 1. ოსტატები და მღებავები — მელაქეები ისეთი საღებავებიანი პულველიზატორთან მუშაობის დროს, რომლებიც შეიცავენ აცეტონს, აცეტატს, ბენზოლს, მეთანოლს და მათ დერივატებს — ტოლუოლს, ქსილოლს და რთულ სპირტებს . . . . . . . . . . . . . . . . | 12 |
| 2. ზეინკლები, რომლებიც მუდამ ეწევიან ღია ჰაერზე ბენზინსვეტების შეკეთებას, ეთილირებულ ბენზინთან მუშაობის დროს . . . . . . . . . . . . . . | 6 |
| 3. ზეინკლები, რომლებიც სადგომებში ეწევიან ბენზინსვეტებისა და არმატურის რემონტს, ეთილირებულ ბენზინთან მუშაობის დროს . . . . . . . . . . . . . . | 12 |
| 4. სპეცტანსაცმლის შემნახველი მუშები (მეგარდეროპეები) და სადგომის დამლაგებლები, ეთილირებულ ბენზინთან მუშაობის დროს . . . . . . . . . . . . . . | 6 |
| 5. მემოქლონეები, მათი შეგირდები, მჭედლები, მჭრელები და მკერავები, თუ ისინი მუშაობენ ხელის პნევმატიკური ინსტრუმენტით ლითონის ნაკეთობებზე . . . . . . . | 12 |
| 6. მუშები, რომლებიც მუდმივად მუშაობენ ხელის პნევმატიკური და ელექტრონის დამრტყმელი ინსტრუმენტით სხვა ადგილებზე . . . . . . . . . . . . . . | 6 |
| 7. ავტომობილის შემკეთებელი და გამსინჯავი მუშები, რომლებიც მუდმივ მუშაობენ ღამის ცვლებში . . . . . | 6 |
| 8. მუშები, რომლებიც მუდმივ ეწევიან მარცვლის, ფქვილის, ბურღულის, ქატოს კომბინირებული საკვების და მათი ნარჩენების დატვირთვა-გადმოტვირთვას . . . . . | 12 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 45 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:
დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 25 აპრილი, №314

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წ.
25 აპრილის № 314 დადგენილებით

### დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ძირითადი ამოცანაა საქართველოს სსრ კანონმდებლობის კოდიფიკაცია და სისტემატიზაცია, აგრეთვე შემუშავება მთავრობის დავალებით და წინასწარ განხილვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში შესატანი საკანონმდებლო აქტების და მთავრობის დადგენილებათა პროექტებისა ნორმატიული ხასიათის საკითხებზე.

2. აღნიშნული ძირითადი ამოცანის შესაბამისად, იურიდიულ კომისიას ეკისრება:

ა) მომზადება წინადადებებისა საქართველოს სსრ კანონმდებლობის კოდიფიკაციისა და, ახალი კანონების და სხვა ნორმატიული აქტების გამოცემასთან დაკავშირებით, მასში ცვლილებების შეტანის

და მოძველებული დებულებების გაუქმების შესახებ, რე[illegible] კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის აუცილებლობის საფუძველზე;

ბ) საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ქრონოლოგიური და სისტემატური კრებულის შედგენა ნორმატიული ხასიათის საკითხებზე;

გ) შემუშავება საქართველოს სსრ მთავრობის დავალებებით და თავისი ინიციატივით საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების პროექტებისა და მათი შეტანა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად;

დ) საქართველოს სსრ მთავრობის იმ დადგენილებათა სიების შედგენა ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან, საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით, რომლებიც ძალადაკარგულად ითვლებიან, და ამ სიების წარდგენა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად;

ე) დასკვნების მიცემა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის მის განსახილველად წარდგენილი საკანონმდებლო აქტების, აგრეთვე საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა პროექტების მიხედვით;

ვ) საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების, აგრეთვე საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა სისტემატიზაცია, რომლებსაც ნორმატიული ხასიათი აქვთ;

ზ) ნარკვევების შედგენა საბჭოთა კანონმდებლობის საკითხებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბიუროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილეების დავალებებით;

თ) სსრ კავშირის და საქართველოს სსრ საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების აღრიცხვა დადგენილი წესით.

3. იურიდიული კომისია იძლევა იურიდიული ხასიათის დასკვნებს მთავრობის ცალკეული დავალებებით, აგრეთვე იძლევა განმარტებებს სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების შეკითხვების გამო იურიდიულ საკითხებზე.

4. იურიდიული კომისია მოამზადებს გამოსაცემად საქართველოს სსრ მოქმედ კოდექსებს.

5. იურიდიულ კომისიას უფლება ენიჭება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) მიიღოს საჭირო შემთხვევებში საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისაგან, ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და სასწავლებლებისაგან დასკვნები საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებისა და მთავრობის დადგენილებათა პროექტებზე, რომლებსაც იურიდიული კომისია ამუშავებს;

ბ) მოიწვიოს საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებისა და მთავრობის დადგენილებათა პროექტების შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და სასწავლებლების სპეციალისტები.

6. იურიდიული კომისია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებისა და მთავრობის დადგენილებათა პროექტებს, რომელთა დამუშავებას იგი ეწევა, დასკვნებს პროექტების გამო, კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციის საკითხებს, კომისიის მუშაობის გეგმებს, მათს შესრულებას და კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

7. იურიდიული კომისია შეიქმნება კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და წევრთა შემადგენლობით, რომლებსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დანიშნავს.

8. იურიდიული კომისიის თავმჯდომარე დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს კომისიის აპარატის მუშაკებს.

9. იურიდიული კომისიის სტრუქტურას და შტატებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბი და თავისი სახელწოდება.

---

შეკვეთა 424 ტირაჟი 1850

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.